

იესოს ცხოვრება და მსახურება

Shepherds Global Classroom არსებობის მიზანია ქრისტეს სხეულის აღჭურვა, სასწავლო გეგმის (კურიკულუმების) მიწოდების გზით, რათა მთელს მსოფლიოში გამოიზარდონ ქრისტიანი ლიდერები. ჩვენ მიზნად ვისახავთ გავამდიდროთ ადგილობრივი სასწავლო პროგრამები 20-კურსიანი კურიკულუმის ინსტრუმენტის გადაცემით სულიერი მასწავლებლების ხელში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ამ კურსის უფასოდ ჩამოტვირთვა შესაძლებელია ელ მისამართზე: <https://www.shepherdsglobal.org/courses>

წამყვანი ავტორი: დოქტორი რანდალ მაკელვაინი (Dr. Randall D. McElwain)

საავტორო უფლებები © 2019 Shepherds Global Classroom
მეორე გამოცემა, ნათარგმნია ინგლისურიდან ქართულ ენაზე

ყველა უფლება დაცულია.

მესამე მხარის მასალებზე დაცულია მფლობელების საავტორო უფლებები და მათი გავრცელება ხდება შესაბამისი ლიცენზიით.

გამოყენებული ბიბლიები: ახალი გადამუშავებული გამოცემა 2015, სბს-სტოკჰოლმი 2013, სბს-სტოკჰოლმი 2001, სსგ-საქართველოს საპატრიარქო გამოცემა

ნებართვის შეტყობინება:


ეს კურსი შეიძლება დაიბეჭდოს და გავრცელდეს უფასოდ ბეჭდურ და ციფრულ ფორმატში შემდეგი მითითებების შესაბამისად: (1) კურსის შინაარსის რაიმე სახით შეცვლა დაუშვებელია; (2) არ შეიძლება კურსის წიგნების ასლების გაყიდვა მოგების მიზნით; (3) საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ თავისუფლად და უფასოდ გამოიყენონ/დააკოპირონ ეს კურსი, მაშინაც კი, თუ ისინი იღებენ სწავლის საფასურს; და (4) კურსის თარგმნა დაუშვებელია Shepherds Global Classroom-ის ნებართვისა და ზედამხედველობის გარეშე.

სარჩევი

ისრაელის რუკა.....	5
მითითებები კლასის ლიდერებისთვის	7
(1) მსახურებისთვის მზადება	9
(2) ლოცვა იესო ქრისტეს მსგავსად	27
(3) წინამძღოლობა იესო ქრისტეს მსგავსად	45
(4) სწავლება იესო ქრისტეს მსგავსად	65
(5) ქადაგება იესო ქრისტეს მსგავსად.....	85
(6) იესო ქრისტე და ღვთის სამეფო	101
(7) სიყვარული იესო ქრისტეს მსგავსად.....	123
(8) ჯვარი და აღდგომა.....	145
(9) მემკვიდრეობის დატოვება.....	169
სამეფოს სახარება (ქადაგება)	187
რეკომენდებული რესურსები	199
დავალებების ჩაწერა	201

ისრაელის რუკა

- (1) ტვიროსი¹
- (2) კესარია ფილიპეს
- (3) გალილეა (რეგიონი)
- (4) კანას
- (5) კაპერნაუმი
- (6) ნაზარეთი
- (7) დეკაპოლისი (რეგიონი)
- (8) სამარია (რეგიონი)
- (9) იორდანეს მდინარე
- (10) ემაუსი
- (11) იერუსალიმი
- (12) ბეთლემი
- (13) სანაპირო დაბლობი
- (14) ცენტრალური მაღლობები
- (15) იუდეის უდაბნო
- (16) მკვდარი ზღვა
- (17) გალილეის ზღვა
- (18) ხმელთაშუა ზღვა



¹¹ “Map of Israel” was created by SGC with open data from NED, SRTM, NASA, and Bible Geocoding (CC BY 4.0), available from <https://www.flickr.com/photos/sgc-library/52344178339>, public domain (CC0)

მითითებები კლასის ლიდერებისთვის

ეს კურსი სწავლობს იესოს ცხოვრებას და მსახურებას, როგორც დღევანდელი ცხოვრების და მსახურების მაგალითს. ეს არ არის სახარებების სრული შესწავლა. ამის ნაცვლად, ამ კურსში განხილულია იესოს მსახურების ასპექტები, რათა ახლანდელი მსახურებისთვის გაკვეთილები მივიღოთ. თუ გსურთ შეისწავლოთ ქრისტეს სრული ცხოვრება, გირჩევთ ერთ – ერთ წიგნს, რომელიც მოცემულია ამ წიგნში, რეკომენდებული რესურსების განყოფილებაში.

თუ ჯგუფურად სწავლობთ, შეიძლება მონაცვლეობით წაიკითხოთ მასალა. პერიოდულად უნდა შეჩერდეთ, კლასში დისკუსიისთვის. როგორც კლასის ლიდერი, თქვენ ხართ პასუხისმგებელი, რომ დისკუსია არ გასცდეს შესასწავლ მასალას. თითოეული დისკუსიის პერიოდისთვის აუცილებელია განსაზღვროს დროის მონაკვეთი.

დისკუსიის კითხვები და კლასში მოცემული აქტივობები მონიშნულია ამ სიმბოლოთი ►. ყოველთვის, როდესაც ამ სიმბოლოს მიუახლოვდებით, დასვით კითხვა (კითხვები), რომელიც მას მოყვება და სტუდენტებს მიეცით საშუალება განიხილონ პასუხი. გთხოვთ, დრო გამოყოთ მნიშვნელოვანი დისკუსიისთვის. ამის გარეშე, სტუდენტებმა შესაძლოა ვერ დააკავშირონ იესოს მსახურების შესწავლა დღევანდელ მსახურებასთან.

კურსის განმავლობაში ჩამოთვლილია **წმიდა წერილის** მრავალი მონაკვეთი, როგორც მთავარ ტექსტში, ასევე სქოლიოებში. კლასში ხმამაღლა წასაკითხი მონაკვეთები ასევე მითითებულია წყვეტილი ისრებით ►. სტუდენტებმა გრძელი მონაკვეთები გაკვეთილამდე უნდა წაიკითხოთ. კლასში კი მოკლე მონაკვეთები უნდა წაიკითხოთ.

სექციები სახელწოდებით **„უფრო ახლო ხედი“** ყურადღებას ამახვილებს გაკვეთილის განხილვასთან დაკავშირებულ სპეციალურ თემებზე.

თითოეული გაკვეთილი მოიცავს ერთ ან ორ დავალებას. თუ სტუდენტს სურს **მოიპოვოს სერთიფიკატი Shepherds Global Classroom–სგან**, ის უნდა დაესწროს საკლასო გაკვეთილებს და შეასრულოს დავალებები. კურსის ბოლოს მოცემულია ფორმა შესრულებული დავალებების ჩასაწერად.

ამ კურსის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტების მომზადება მასწავლებლობისთვის. კლასის ლიდერმა უნდა მისცეს სტუდენტებს შესაძლებლობები, განავითარონ სწავლების უნარები. მაგალითად, კლასის ლიდერმა ზოგჯერ უნდა დაუშვას, რომ სტუდენტმა გაკვეთილის მოკლე მონაკვეთი ასწავლოს კლასს.

გაკვეთილი 1

მსახურებისთვის მზადება

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- (1) იმის გაცნობიერება, რომ იესო არის მაგალითი ჩვენი მსახურებისთვის.
- (2) ღმერთის უზენაესობის დაფასება მათ მომზადებაში, ვისაც მან მოუწოდა.
- (3) დაემორჩილოს ღმერთის მოწოდებას იმ როლზე, რომელსაც ის აირჩევს მისთვის.
- (4) მიჰყვეს იესოს ნაბიჯებს ცდუნებაზე გამარჯვებაში.

ამ გაკვეთილისთვის მომზადება

წაიკითხეთ მათეს 1-4, ლუკას 1-3 და იოანეს 1.

მსახურების პრინციპი

ღმერთი ამზადებს მათ, ვისაც ის მოუწოდებს იმ მსახურებისთვის, რომლისთვისაც მათ მოუწოდებს.

შესავალი

იესო ქრისტეს ცხოვრებასა და მსახურებაში, ჩვენ შევისწავლით იესოს, როგორც ნიმუშს, ჩვენი მსახურებისთვის დღეს. იესომ თქვა: „მაგალითი მოგეცით, რათა როგორც მე მოგეჩუქეთ, თქვენც ისე მოიქცეთ“ (იოანეს 13:15). იესოს მიწიერი ცხოვრება მისი მიმდევრების მაგალითი იყო.

პავლეს ესმოდა ეს პრინციპი. როდესაც მან ფილიპეში ქრისტიანებს შორის კონფლიქტის შესახებ გაიგო, პავლემ მიუთითა იესოს მაგალითი. „ის ზრახვანი იქონიეთ თქვენში, რაც ქრისტე იესოშია“ (ფილიპელთა 2:5). პავლემ იცოდა, რომ თუ ის ქრისტიანები იესოს მაგალითს მიჰყვებოდნენ, მათი თავმდაბლობა უზრუნველყოფდა ეკლესიაში კონფლიქტის მოგვარებას.

აფრიკაში მოგზაურობისას ებრაელი ჟურნალისტი დევიდ პლოცი მაღავის აეროპორტში აღმოჩნდა. იქ ის შეხვდა აფრიკელ პასტორს, რომელმაც პლოცი თავის სახლში მიიყვანა, ორი დღის განმავლობაში უმასპინძლდებოდა და უმოწმებდა მას იესო მესიის შესახებ. მოგვიანებით დევიდ პლოცმა დაწერა, „მე არ მჯერა ისეთი რამის, რისიც ამ კაცს სჯერა, მაგრამ მე გამაოცა მისმა დარწმუნებულობამ. ის გრძნობს, რომ ქრისტე მოძრაობს მასში,

ამიტომ წაიყვანა უცხო ადამიანი, დაასახლა, აჭმევდა და შემოსა.” ამ აფრიკელმა პასტორმა შეიმეცნა, რომ ჩვენ მოწოდებულნი ვართ, მივყვეთ იესოს მაგალითს.

ეს კურსი არ არის იესოს ცხოვრების ყოვლისმომცველი შესწავლა. ამის ნაცვლად, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იესოს ცხოვრების იმ ასპექტებზე, რომლებიც მსახურებისთვის მაგალითს წარმოადგენს დღეს. ჩვენ შევისწავლით ჩვენი მსახურების მოდელს იესოს მაგალითზე.

ამ პირველ გაკვეთილზე ვიხილავთ იესოს მომზადებას მსახურებისთვის. ეს ასახავს პრინციპს, რომ ღმერთი ამზადებს თითოეულ ადამიანს, რომელსაც ის მოუწოდებს იმ მსახურებისთვის, რომლისთვისაც ის მათ მოუწოდებს.

ღმერთმა მოამზადა თავისი მსახურის ოჯახური მდგომარეობა

► დაფიქრდით თქვენს ოჯახურ წარმომავლობაზე და ახალგაზრდობაზე. როგორ გამოიყენა ღმერთმა თქვენი წარსული, მსახურებისთვის მოსამზადებლად?

სახარებებში მოყვანილი გენეალოგიებიდან ჩანს, რომ უზენაესმა ღმერთმა იესოს დაბადებამდე საუკუნეებით ადრე მოუმზადა გზა თავის მსახურს. იესოს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე მოამზადა ღმერთმა გზა მისი მოსვლისთვის.

გენეალოგიები პასუხობენ კითხვას: „ვინ იყო იესო?“ გენეალოგიები გვიჩვენებს აბრაამისა და დავითის მნიშვნელობას. აბრაამი მნიშვნელოვანია იესოს წინაპრებში, რადგან ღმერთმა აბრაამს აღუთქვა: „იკურთხება შენში დედამიწის ყველა ტომი“ (დაბადების 12:3). ეს დაპირება შესრულდა იესო ნაზარეტელის მეშვეობით.

დავითი მნიშვნელოვანია გენეალოგიებში, რადგან ღმერთმა აღუთქვა, რომ დავითის „მყარი იქნება შენი ტახტი უკუნისამდე“ (2 მეფეთა 7:16). იესოს დაბადებისას, 500 წელზე მეტი იყო გასული, რაც დავით მეფე ტახტზე იჯდა. მათე და ლუკა აჩვენებენ, რომ იესო იყო დავითისთვის აღთქმული პირობის აღსრულება.

იესო დავითის ძე იყო (მათეს 1:1-17)

ბერძნულ ახალ აღთქმაში მათეს პირველი ორი სიტყვა არის biblos genesis, ფრაზა, რომელიც მათეს სახარების პირველ მკითხველებს გაახსენებდა დაბადების წიგნს (დაბადების 2:4; 5:1). ისევე, როგორც დაბადების წიგნი წარმოაჩენს ღმერთის უზენაესობას ქმნილებებზე, მათეც წარმოაჩენს ღმერთის უზენაესობას ისტორიაზე. მათეს სახარებაში მოყვანილი გენეალოგია გვიჩვენებს, რომ ისრაელის მთელი ისტორია მიდიოდა მესიის დაბადებამდე.

მათეს გენეალოგიაში თოთხმეტი დასახელების სამი ჯგუფია აღრიცხული. ეს იყო საერთო ებრაული მეხსიერების სავარჯიშო. რეგულარული ჯგუფები ეხმარებოდა მოსწავლეებს დაემახსოვრებინათ სახელების გრძელი სიები. მათეს გენეალოგიის მკითხველებს უნდა

სცოდნოდან, რომ ამ ჩამონათვალში არ შედიოდა აბრაამსა და იოსებს შორის ყველა წინაპარი. მათეს ფრაზა „იყო მამა“ შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ წინაპარს. ებრაული გენეალოგია ხშირად გამოტოვებდა ზოგიერთ თაობას. მათე ყურადღებას ამახვილებს იესოს გენეალოგიის მნიშვნელოვან წევრებზე და გამოტოვებს სხვა სახელებს.

იმის გამო, რომ მათემ გამოტოვა ზოგიერთი თაობა, განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ ჩამოთვლილი სახელები. მათემ ეს სახელები მიზნისთვის აირჩია. მაგალითად, მათე მოიხსენიებს ოთხ ქალს. ებრაელთა გენეალოგიაში ეს ჩვეულებრივად არ ხდებოდა. თითოეულ ამ სახელს საექვო წარმოშობა აქვს. რახაბი და რუთი უცხოელები იყვნენ. თამარი, რახაბი და ბათ - შებაყია ასოცირდება სექსუალურ სირცხვილთან.

ანალოგიურად, ამ სიაში შეყვანილი ზოგიერთი მამაკაცი შერცხვენილი იყო. იუდა სამარცხვინოდ ექცეოდა თამარს. იეხონიას მოდგმას ჩამოერთვა ისრაელის ტახტის დაკავების უფლება (მათეს 1:12; იერემიას 22:30). რაც ყველაზე საგულისხმოა, მათე დავითს მოიხსენიებს არა როგორც დიდი მიღწევების მქონეს, არამედ როგორც „სოლომონის მამა ურიას ცოლისგან.“

ეს სახელები იესოს ცოდვილ კაცობრიობასთან აიგივებს. ღმერთმა თავისი ძე შემოიყვანა სამყაროში არა უმწიკვლო ოჯახის ხაზით, არამედ როგორც ჩვეულებრივი ცოდვილთა შთამომავალი. ებრაელი ლიდერები დასცინოდნენ იესოს სამარცხვინო დაბადებას და უარყოფდნენ მას, როგორც უღირსს (იოანეს 8:41, 48). მათე გვიჩვენებს: ”თუ მესია შეიძლება დაიბადოს ამგვარი წინაპრებისგან, ის შეიძლება იყოს მხსნელი ყველა ადამიანისთვის, თუნდაც სამარცხვინოსი.”²

► ჩვენს კულტურაში ადამიანის წარმოშობის რა ელემენტები გვაფიქრებინებს, რომ მას აქვს დაბალი პოტენციალი?

ღმერთი ხშირად მოუწოდებს მოულოდნელი წარმოშობის ადამიანებს მსახურებაში. არავინ არ არის გამოუსადეგარი მათი ოჯახის წარმოშობის გამო. ადამიანის ბიოგრაფიის ის ელემენტები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მათ მცირე პოტენციალი აქვთ, შეიძლება ღმერთისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

იესო ადამის ძე იყო (ლუკას 3:23-38)

მათე მიჰყვება „ებრაელთა მეფის“ გენეალოგიას აბრაამამდე. ლუკა მიჰყვება იესოს გენეალოგიას ადამამდე. ეს შეესაბამება ლუკას ხაზგასმას იესოზე, როგორც "კაცის ძე". ლუკას გენეალოგია ხაზს უსვამს იესოს ადამიანურობას. ლუკა გენეალოგიას ათავსებს უშუალოდ იესოს ცდუნების ამბამდე. ეს ახსენებს მკითხველს, რომ იესომ, მეორე ადამმა წარმატებას მიაღწია იქ, სადაც პირველი ადამი დამარცხდა.

² Blomberg, Craig. *Jesus and the Gospels*. Nashville: Broadman & Holman, 1997, 199

ახლო ხედი: მათესა და ლუკას გენეალოგიები

მათეს 1 და ლუკას 3 იძლევა იესოს განსხვავებულ გენეალოგიას. მათე აბრაამიდან მეფე სოლომონის მეშვეობით გადადის იოსებზე. ლუკა მიჰყვება გენეალოგიას იოსებისგან ნათანის (დავითის კიდევ ერთი ვაჟის) მეშვეობით, ადამამდე.

გენეალოგიები აბრაამსა და დავითს შორის იგივეა. ამასთან, დავითსა და იოსებს შორის, ეს ორი გენეალოგია სხვადასხვა ხაზს ასახავს. განსხვავების სავარაუდო ახსნაა ის, რომ მათე აღწერს იოსების წარმოშობას, ხოლო ლუკა - მარიამის წარმოშობას.³

იოსების წარმოშობა, მათეს მიხედვით, არის „სამეფო“ გენეალოგია, რომელიც სოლომონიდან იწყება. ეს შეესაბამება მათეს მთავარ აზრს, იესოს მეფეობის შესახებ. ეს არის იესოს ლეგალური (კანონიერი) წარმოშობა - რაც იოსების მეშვეობით უნდა მოხდეს.

მარიამის წარმოშობა ლუკაში არის „ფიზიკური“ გენეალოგია, რომელიც დავითის ვაჟის ნათანის გავლით იწყება. ეს გენეალოგია შეესაბამება ლუკას ხაზგასმას იმაზე, რომ იესო არის „კაცის ძე.“ ამის საჩვენებლად, ლუკა მარიამის საშუალებით ასახავს იესოს ფიზიკურ გენეალოგიას. ის კვლავ იწყებს ფრაზით „იოსების ძე“, რადგან ებრაულ გენეალოგიებში გამოიყენებოდა მამრობითი სახელი, მაშინაც კი, როდესაც ქალის საგვარეულო იძებნებოდა.

მარიამის წარმოშობა უზრუნველყოფს დავითთან სისხლის კავშირს. იოსების შთამომავლობა უზრუნველყოფს ტახტის უფლებებს სოლომონის მეშვეობით.

ღმერთმა მოამზადა თავისი მსახურის ოჯახური მდგომარეობა (გაგრძელება)

იესო იყო ღვთის ძე (იოანეს 1:1-18)

იოანეს სახარება იწყება ღვთიური გენეალოგიით; იესო ღვთის ძე იყო. „იესოს ცხოვრება არ დაწყებულა ... დაბადების მომენტიდან. ის სამყაროში, მანამდე არსებული მდგომარეობიდან, კონკრეტული მისიის შესასრულებლად მოვიდა.“⁴

ძველ აღთქმაში, ღვთის დიდება - შექმნა, ისრაელში კარავში მკვიდრობდა. ახლა, ღვთის დიდება ჩვენს შორის, იესო ქრისტეს პიროვნებაში ცხოვრობს (იოანეს 1:14). ღმერთის ღვთიური დიდება ახლა ადამიანის სახით გამოვლინდა.

სიტყვა იყო მარადიული: „სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანეს 1:1). მამა და ძე ცხოვრობდნენ მარადიულ მოზიარეობაში.⁵ რატომ მოვიდა იესო ჩვენს

³ სხვა შესაძლო განმარტებებისთვის ეწვიეთ <http://www.gotquestions.org/Jesus-genealogy.html>, ხელმისაწვდომია 2021 წლის 22 მარტიდან

⁴ J. Dwight Pentecost, *The Words and Works of Jesus Christ* (Grand Rapids: Zondervan, 1981), 28

⁵ იოანეს 1:3 უარყოფს იეჰოვას მოწმეების მტკიცებას, რომ იესო იყო ქმნილება. იესო იმყოფებოდა ქმნილების დროს. „ყოველივე მისი მეშვეობით შეიქმნა; და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“

სამყაროში? მამის გამოსავლენად. მამა არავის უნახავს, მაგრამ იესომ „გაგვიცხადა ის“ (იოანეს 1:18). როდესაც ჩვენ ვხედავთ იესოს, ვხედავთ მამას.

დღეს მრავალი ადამიანი ასახავს იესოს, როგორც მოსიყვარულე მეგობარს, ხოლო მამას, როგორც მკაცრ მოსამართლეს. თუმცა, იოანეს 1 გვიჩვენებს, რომ იესოს ხასიათი მამის ხასიათის იდენტურია. როდესაც ჩვენ ვხედავთ იესოს, ვხედავთ მამას.

ღმერთმა სასწაულებრივი დაბადებით მოამზადა თავისი მსახური

იესო დაიბადა იუდეის ბეთლემში, ძვ. წ. დაახლოებით 5 წელს.⁶ იოსები ბეთლემში გაემგზავრა რომაელების მიერ მოსახლეობის აღწერის გამო. აღწერის მიზანი იყო რომის კონტროლის ქვეშ მყოფი პროვინციების საგადასახადო ჩანაწერების შენარჩუნება.

რომის ჩვეულებრივი მეთოდი იყო ხალხის რეგისტრაცია ქალაქში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. ამასთან, ებრაელ მოსახლეობასთან მშვიდობის შესანარჩუნებლად, რომელიც სწრაფად აჯანყდა, რომმა იუდეის პროვინციას მისცა უფლება დაეცვათ წინაპრების სახლში დარეგისტრირების ებრაული მეთოდი. შედეგად, იოსებმა და მარიამმა ნაზარეთიდან ბეთლემისკენ 100 კილომეტრი გაიარეს. მიუხედავად იმისა, რომ დარეგისტრირება მხოლოდ ოჯახის უფროსს მოეთხოვებოდა, იოსებმა მარიამი მიიყვანა ბეთლემში. სავარაუდოდ, იოსებს არ სურდა მარიამის დატოვება ჭორიკანა მეზობლებთან პატარა სოფელ ნაზარეთში.

ერთი შეხედვით, საგადასახადო აღწერა რომის იდეა იყო. თუმცა, ღმერთი ამზადებდა გზას თავისი მსახურისთვის. ღმერთი მოქმედებს მსოფლიო მოვლენების მეშვეობით, რათა შეასრულოს თავისი მიზანი. ღმერთმა სუვერენულად აიძულა წარმართი იმპერატორი ებრაელთა აღწერის „არჩევაში“, ღვთის მიზნების შესასრულებლად. „მეფის გული წყლის ნაკადია უფლის ხელში, საითაც მოისურვებს, იქით მიუშვებს“ (იგავების 21:1). როგორც ღვთის სამეფოს მუშაკები, ამათ უნდა დაგვარწმუნოს, რომ ღმერთი ასრულებს თავის მიზნებს მაშინაც კი, როდესაც ჩანს, თითქოს ბოროტი ხალხი ახორციელებს კონტროლს.

ეს საგადასახადო აღწერა ერთ – ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ მოამზადა ღმერთმა სამყარო იესოს დაბადებისთვის. ღმერთმა იმოქმედა ბერძნული იმპერიის კულტურული საფუძველის, რომის იმპერიის სამართლებრივი სისტემის და ებრაული სარწმუნოების რელიგიური პრინციპების მეშვეობით, რათა მოემზადებინა ჩვენი სამყარო მესიის მოვლინებისთვის. ამ საფუძველის შესასწავლად, გთხოვთ, იხილოთ Shepherds Global Classroom - ის ახალი აღთქმის გამოკვლევა, პირველი გაკვეთილი.

⁶ გრიგორიანული კალენდარი 1582 წლამდე არ ყოფილა შემუშავებული. ეს კალენდარი მიახლოებითაა და არა ზუსტი. ჰეროდე დიდი გარდაიცვალა ძვ. წ. დაახლოებით 4 წელს. ამ თარიღის საფუძველზე იესოს დაბადება შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. 5-6 წლით.

მწყემსების ვიზიტი (ლუკას 2:8-20)

პირველი ვინც მიიღო ინფორმაცია იესოს დაბადების შესახებ, იყვნენ მწყემსები ბეთლემის შემოგარენში. ეს აღსანიშნავია, რადგან პირველი საუკუნის ებრაელების უმეტესობა მწყემსებს ერიდებოდა. მწყემსებს ისეთი დაბალი სოციალური სტატუსი ჰქონდათ, რომ მათ ჩვენებს არ ღებულობდნენ ებრაულ სასამართლოებში. ყურადღების მწყემსებზე გამახვილებით ლუკა წარმოაჩენს: „თუ მწყემსები არიან მისაღებები, მაშინ ნებისმიერია მისაღები ღვთის სამეფოში!“ ანგელოზმა უთხრა მწყემსებს: „ნუ გეშინიათ, აჰა, დიდ სიხარულს გახარებთ, რომელიც მთელი ხალხისთვის იქნება“ (ლუკას 2:10).

სახარება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ერთით (ისრაელით) ან ერთი სოციალური კლასით; სახარება ყველა ადამიანისთვისაა. ეს თემა ჩანს ლუკას სახარებაში. ლუკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იესოს მსახურებას ქალების, სამარიელებისა და გარიყულებსთვის, როგორცაა ზაქე.

მოგვების ვიზიტი (მათეს 2:1-12)

მათეს სახარება თავიდან მიმართული იყო ებრაელი აუდიტორიისადმი. იმ დროს, როდესაც ლუკამ ყურადღება გაამახვილა იესოს მიერ ყველა ხალხისადმი გზავნილზე, მათემ ჯერ ყურადღება გაამახვილა იესოს გზავნილზე ზეციერი სამეფოს შესახებ. მწყემსების ნაცვლად მათემ აღწერა ბრძენი კაცების, მოგვების ვიზიტი. ეს ვიზიტი მას შემდეგ მოხდა, რაც იესოს ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა, სავარაუდოდ, მისი დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ (მათეს 2:11). ამას ადასტურებს ჰეროდეს ბრძანება, რომ მოეკლათ ყველა მამრობითი სქესის ჩვილი ორ წლამდე.

მოგვები იყვნენ ცის მკვლევარები, რომლებიც აკვირდებოდნენ უჩვეულო ნიშნებს. იმ დროს, როდესაც მოგზაურობა საშიში იყო, მათ დიდი მანძილი გაიარეს, რათა შეესწავლათ უცნაური ნიშანი, რომელიც ცაში ნახეს.

მოგვები პირველად მოვიდნენ იერუსალიმში, ლოგიკურად გილას, რომ ენახათ ებრაელთა მეფე. როდესაც ჰეროდემ შესაძლო მეტოქის შესახებ ინფორმაცია მიიღო „შემრწუნდა მეფე ჰეროდე და მასთან ერთად მთელი იერუსალიმი“ (მათეს 2:3). ფრაზა „მთელი იერუსალიმი“ წინასწარმეტყველებს იერუსალიმის რელიგიური ლიდერების მიერ იესოს მოგვიანებით უარყოფაზე.

მოგვების ვიზიტი იყო წარმართთა წინაშე მესიის პირველი წარდგენა. იერუსალიმში მყოფთაგან განსხვავებით, რომელნიც ნიშნით „შემრწუნდნენ“, მოგვებმა რწმენით უპასუხეს. იესო მოვიდა, როგორც ყველა ერის მეფე, და არა მხოლოდ ებრაელთა მეფე.

მათე არ იუწყება, რამდენი მოგვი მოგზაურობდა იესოსთვის თაყვანის საცემად. „სამი ბრძენის“ შესახებ ტრადიცია ეფუძნება მათეს 2:11 -ში მოხსენიებულ სამ ძღვენს. თითოეული ძღვენი წარმოადგენდა იესოს მსახურების რაღაც ასპექტს.

- ოქრო ძღვენია მეფისთვის. ამასთან, იესო ტახტიდან კი არ იმეფებს, არამედ ჯვრიდან.
- გუნდრუკი (საკმეველი) საჩუქარია მღვდლისთვის. მსხვერპლშეწირვისას საკმეველს, როგორც სუნამოს ხმარობდნენ. იესო მოვიდა როგორც მღვდელი, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ყველა ადამიანს შესულიყვნენ ღვთის თანდასწრებაში.
- მური გამოიყენებოდა მიცვალებულის ბალზამირებისთვის. იესო დაიბადა, რათა მომკვდარიყო მთელი კაცობრიობისთვის.

ღმერთმა დაიცვა მისი მსახური

იესოს დაბადებამდე ანგელოზი სიზმრად ესაუბრა იოსებს, რათა გაემხილა ღვთის გეგმა. მოგვების ვიზიტის შემდეგ, ანგელოზმა გააფრთხილა იოსები, რომ ეგვიპტეში გაქცეულიყვნენ. ოჯახი ეგვიპტეში დარჩა ჰეროდეს სიკვდილამდე (დაახლოებით ძვ. წ. 4 წ.).

მრავალი თვალსაზრისით, ჰეროდე დიდი იყო ღირსეული მმართველი. იგი პატივს სცემდა ებრაელ ხალხს, ებრაელთა კვების კანონებსაც კი იცავდა, რადგან პატივს სცემდა მათ, ვისაც მართავდა. მან დაიწყო ტაძრის განახლება, რომელიც გაგრძელდა იესოს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ძვ. წ. 25 წელს შიმშილობის დროს, მან საკუთარი ფულით იყიდა საკვები იუდეის მშვიერი მოსახლეობისთვის.

ამასთან, ჰეროდე გიჟურად პარანოიული იყო. მან მოკლა მისი ერთი ცოლი, მარიამი და მისი დედა, ალექსანდრა, როდესაც მას ეჭვი გაუჩნდა მათ მიერ მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში. ჰეროდეს სამი ვაჟი იქნა მოკლული, რადგანაც მათ იმ ასაკს მიაღწიეს, როდესაც ისინი საფრთხეს შეუქმნიდნენ მას. ჰეროდესნაირი პარანოიული ადამიანისთვის ბეთლემში ჩვილების მკვლელობა გასაკვირი არ არის. რამდენიმე ათეული ჩვილის მოკვლა მისი პოზიციის შესანარჩუნებლად, მცირედი დისკომფორტი იქნებოდა.

ჰეროდეს სისასტიკე მის სიკვდილამდე გაგრძელდა. როდესაც ის სიკვდილს უახლოვდებოდა, ჰეროდემ ბრძანა, რომ იერუსალიმის წამყვანი მოქალაქეები დაეპატიმრებინათ და მოეკლათ, როდესაც ის გარდაიცვლებოდა. მას სჯეროდა, რომ ეს გარანტი იქნებოდა, რომ მისი გარდაცვალების დღე გლოვის დღე იქნებოდა. (ამის ნაცვლად, ჰეროდეს ქვრივმა გაათავისუფლა პატიმრები, რის გამოც მთელს პალესტინაში იზეიმეს დღესასწაული.)

ჰეროდეს გარდაცვალების შემდეგ, მისი ტერიტორია სამ ვაჟს შორის გაიყო. ანტიპას გადაეცა კონტროლი გალილეასა და პერეაზე; ფილიპეს პალესტინის ჩრდილო – აღმოსავლეთ ნაწილზე ჰქონდა უფლებამოსილება; არქელაოსი დაინიშნა მმართველად იუდეაში, იდუმეასა და სამარიამში. ძველი ისტორიკოსების თქმით, არქელაოსს ჰქონდა

მამის ყველა სისუსტე, მაგრამ მამის არცერთი კარგი მახასიათებელი არ ჰქონია. ებრაელებს სძულდათ იგი და ახ.წ. 6 წელს. მას მეფობა ჩამოართვეს, იუდეველთა მხრიდან კეისრისადმი საჩივრის გამო. ამის შემდეგ, იუდეას მართავდნენ რომაელი გამგებლები, როგორც იყო პონტოელი პილატე.

ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ, ანგელოზი კვლავ გამოეცხადა სიზმარში და მოუწოდა იოსებს ისრაელში დაბრუნებისკენ. თუმცა, რადგან არქელაოსი ისეთივე საშიში იყო, როგორც ჰეროდე დიდი, იოსებმა არჩია თავისი ოჯახი წაეყვანა ნაზარეთში, ვიდრე ბეთლემში დაბრუნებულიყო.

► პატარა ასაკში ჯონ ვესლი სასწაულებრივად გადაარჩინეს ცეცხლ მოდებული სახლიდან. მას სჯეროდა, რომ ღმერთმა იგი განსაკუთრებული მიზნისთვის დაიცვა. ვესლიმ თავი მოიხსენია, როგორც „დამწვრობის დამდა.“ მოიწვიეთ თქვენი კლასის წევრები, რომ გაუზიარონ ისტორიები, თუ როგორ შემოინახა ღმერთმა ისინი მსახურებისთვის - სასწაულებრივი დაცვით ან ღვთის განგებით..

ახლო ხედი: მათეს 2:23

ყველა სხვა სახარებაზე მეტად, მათეს სახარება გვიჩვენებს, რომ იესოს მსახურებამ შეასრულა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებები. მათემ იუდეველ აუდიტორიას მისწერა, რომ იესო იყო აღთქმული მესია:

- იესოს ქალწულისაგან შობა (მათე 1:22-23) ასრულებს ესაიას 7:14.
- იესოს ბეთლემში დაბადება (მათე 2:5-6) ასრულებს მიქას 5:2.
- ეგვიპტეში გაქცევა (მათე 2:14-15) ასრულებს ოსიას 11:1.
- ბეთლემში ჩვილების მკვლელობა (მათე 2: 16-18) ასრულებს იერემიას 31:15.
- იერუსალიმში შესვლა (მათე 21:1-5) ასრულებს ზაქარიას 9:9.

წინასწარმეტყველების შესრულების ერთ-ერთი რთული მაგალითი გვხვდება მათეს 2:23. მათე წერს: „მისული კი ნაზარეთად წოდებულ ქალაქში დასახლდა; რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომ მას ნაზარეველი დაერქმეოდა.“

სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს ჩანაწერი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებებში იმის შესახებ, რომ მესიას "ნაზარეველი დაერქმეოდა". ამ მუხლის უკან შეიძლება იყოს ორი იდეა:

1. იესოს დროს, ნაზარეთი იყო სოფელი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა (იოანეს 1:46). ებრაელი ხალხი ელოდებოდა, რომ მესია მოვიდოდა იუდეიდან და არა გალილეის სავაჭრო რეგიონიდან (იოანეს 7:41,52). ის ფაქტი, რომ იესო ნაზარეთის მსგავსი საზოგადოარი ადგილიდან მოვიდა, ასრულებდა წინასწარმეტყველებებს, როგორიცაა ესაია 49:7 და 53:3.

2. ესაიას 11:1 წინასწარმეტყველებდა, რომ მესია იქნებოდა „ტოტი.“ ებრაული სიტყვა ტოტი (ნეტცერი) ჰგავს სიტყვას „ნაზარეთი“. მათეს ებრაელ მკითხველებს ეცოდინებათ ეს სიტყვების ტამაში.

ღმერთმა წინამორბედით მოუმზადა გზა თავის მსახურს

იოანე ნათლისმცემელი იესოს ბიძაშვილი იყო. იოანეს ამბავი მაშინ დაიწყო, როდესაც მისი მამა, ზაქარია, ერის სახელით საკმევლს წვავდა, რაც მღვდლის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მოვალეობაა (ლუკას 1:9).

როდესაც ზაქარიამ შეასრულა ეს წმინდა მოვალეობა, ანგელოზი გამოჩნდა საკმევლის სამსხვერპლოს მარჯვენა მხარეს. ებრაული ტრადიციის თანახმად, სწორედ აქ იდგა ღმერთი შესაწირავის დროს. ანგელოზმა გაბრიელმა ზაქარიას უთხრა, რომ მისი ლოცვები ძეზე შესმენილია.

იმის გამო, რომ ელისაბედი მშობიარობისთვის ხანგადასული იყო, ზაქარიამ ეჭვი შეიტანა ანგელოზის დანაპირებში. ურწმუნოების გამო ის დადუმდა იოანეს დაბადებამდე. როგორც მღვდელმა და წმიდა წერილის მოწაფემ, ზაქარიამ იცოდა ძველი აღთქმის ამბები ანასა და რაქელზე და უნდა ერწმუნა დაპირების, რომ ღმერთი სასწაულებრივად გახსნიდა ელისაბედის საშვილოსნოს.

ოცდაათი წლის შემდეგ იოანემ დაიწყო თავისი მსახურება. იერუსალიმში მღვდლად მსახურობის ნაცვლად, იოანე წინასწარმეტყველად მსახურობდა იუდეის უდაბნოში. იოანე მესიის წინამორბედად იყო წარგზავნილი. როდესაც იოანე ქადაგებდა, ხალხმა იკითხა: „არის იოანე დაპირებული მესია?“ მან უპასუხა: „მოდის ჩემზე ძლიერი, რომლის სანდლის თასმის გახსნის ღირსიც არა ვარ“ (ლუკას 3:16). მონის ერთ – ერთი ყველაზე დაბალი მოვალეობა იყო მისი პატრონის სანდლებზე ზრუნვა, მაგრამ იოანემ თქვა: „ვინც მოდის, ჩემზე ისე მაღლა დგას, რომ ამ დაბალი მოვალეობის ღირსიც კი არ ვარ.“ იოანე წარმოადგენს თავმდაბალი მსახურების მაგალითს.

მთელი წმიდა წერილის განმავლობაში, ღმერთი იყენებდა ადამიანებს, რათა მოემზადებინა გზა სხვისთვის. გადახედეთ ბარნაბასა და პავლეს მაგალითს. როდესაც სავლე დევნიდა ქრისტიანებს, ბარნაბა უკვე პატივსაცემი წინამძღოლი იყო ეკლესიაში. ბარნაბა ენდობოდა პავლეს, როდესაც ბევრი ქრისტიანი არ ენდობოდა ეკლესიის ამ მღვდელს.

როდესაც მათ დაიწყეს პირველი მისიონერული მოგზაურობა, საქმეების წიგნი ამ გუნდს უწოდებს: „ბარნაბას და სავლეს“ (საქმეების 13:2). მალე ისინი ცნობილი გახდნენ, როგორც „პავლე და ბარნაბა“ (საქმეების 13:43 და შემდეგ). ბარნაბა იყო „წინამორბედი“, მაგრამ მას სურდა, რომ პავლე გამხდარიყო ლიდერი.

ზოგჯერ თქვენი როლი შეიძლება იყოს იოანე ნათლისმცემლის ან ბარნაბას მსგავსად, გზის მომზადება სხვისთვის. მზად ხართ იყოთ „წინამორბედი“, ვიდრე „მთავარი პერსონაჟი“? იქ სადაც ღმერთი მოინდომებს თქვენს გამოყენებას, თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღეთ. თუ ღმერთი დამხმარეს როლში ჩაგაყენებთ, ნუ უარყოფთ ამ მსახურებას. თქვენ შეგიძლიათ ენდოთ ღმერთს, რომ ის გამოგიყენებთ ყველაზე ეფექტურად.

ჩვენ ვხედავთ იოანე ნათლისმცემლის თავმდაბლობას, როდესაც მან თავის მიმდევრებს იესოზე მიუთითა (იოანეს 1:35-37). რაბინის მიზანი იყო მოწაფეების მოპოვება, რომლებიც მის მასწავლებელს მიჰყვებოდნენ და პატივს სცემდნენ. ამის ნაცვლად, იოანე ნათლისმცემელმა თავის მიმდევრებს უფროს მასწავლებელზე მიუთითა. მას ესმოდა, რომ მისი ამოცანა იყო მიეთითებინა სხვებისთვის თავისზე დიდისკენ. იოანე ხედავდა, თუ როგორ ტოვებდნენ მას მისი მიმდევრები, რათა იესოს გაჰყოლოდნენ. მისი მიზანი იყო ღვთის სამეფო და არა საკუთარი დიდება. როგორც ქრისტიანმა ლიდერებმა, არასდროს უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი მიზანია მივუთითოთ ხალხს იესოსკენ, და არა საკუთარი თავისთვის წარმატების მიღება.

ახლო ხედი: რას ნიშნავს მოინანიო?

► წავიკითხეთ მათეს 3:1-6.

იოანე მონანიების შესახებ ქადაგებდა. დღეს ზოგი ამბობს, რომ მონანიება მხოლოდ აზრის შეცვლას ნიშნავს. ბევრი აღიარებული ქრისტიანი შეცვლილი ცხოვრების რამდენიმე ნიშანს აჩვენებს.

ამასთან, სიტყვა „მონანიება“ ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე გონებრივ გადაწყვეტილებას. ახალი აღთქმის მწერლებმა სიტყვა „მონანიება“ ისევე გამოიყენეს, როგორც ებრაელმა წინასწარმეტყველებმა. ეს ნიშნავდა სრულად „ცხოვრების შეცვლას“. ახალ აღთქმაში მონანიება ნიშნავს:

- თქვენი აზრებისა და რწმენის შეცვლას და
- თქვენი მოქმედებებისა და ცხოვრების წესის შეცვლას.

ცოტა ხნის წინ წავიკითხე ამერიკაში პოპ მომღერლის შესახებ, რომელიც ცნობილია თავისი ცოდვილი ცხოვრების წესით. ამ მომღერალმა თქვა: „ქრისტიანი გავხდი და სულით ავივსე. მე ვაგრძელებ ცხოვრებას, როგორც ადრე ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა უკვე ქრისტიანი ვარ. თუ მოვკვდები, სამოთხეში წავალ.“ ამ ადამიანის „მონანიება“ არ შეიცავს მის ცხოვრების წესის ცვლილებას. ეს არ არის ჭეშმარიტი მონანიება.

იოანე ასწავლიდა, რომ მონანიება ცვლის ცხოვრების წესს. იოანემ სთხოვდა ნათლობის კანდიდატებს: „გამოეღოთ მონანიების ღირსი ნაყოფი“ (ლუკას 3:8). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან ჰკითხა: „რა ამტკიცებს იმას, რომ თქვენ შეცვალეთ თქვენი ცხოვრება?“

ნათლობა არ უნდა გახდეს ცარიელი რიტუალი: „მწამს, ახლა მომნათლეთ.“ ნათლობა უნდა იყოს მოწმობა ჭეშმარიტი მონანიებისა და შეცვლილი ცხოვრების შესახებ.

ღმერთმა თავისი მსახური განსაცდელებით მოამზადა

იესოს ცდუნებაზე გამარჯვება გვამღერებს მაგალითს, როდესაც ცდუნების წინაშე ვდგავართ. „მაშინ უდაბნოში წაიყვანა სულმა იესო ეშმაკისგან გამოსაცდელად“ (მათეს 4:1). ცდუნება მოვიდა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე იესო საჯარო მსახურებას დაიწყებდა. სანამ სხვებს უქადაგებდა, იესომ მამის ნებისადმი სრული მორჩილება გამოავლინა.

მათე ცდუნების ამბავს უშუალოდ იესოს ნათლობის შემდეგ ათავსებს. ჩვენი უდიდესი ცდუნებები ხშირად სულიერ გამარჯვებას მოჰყვება. ელიას მიერ ქარმელის მთაზე გამარჯვებისთანავე ჩვენ ვხვდებით, რომ მას ცდუნება ჰქონდა სასოწარკვეთაში და ეჭვში ჩავარნილიყო, როდესაც სიცოცხლისთვის იბრძოდა (4 მეფეთა 18-19).

ლუკა ცდუნების ისტორიას ათავსებს მას შემდეგ, რაც იესოს გენეალოგიას ადამამდე მიჰყვა. ლუკა გვიჩვენებს, რომ სადაც ადამი დამარცხდა, იესომ, კაცის ძემ, გაიმარჯვა (ლუკას 3:38). იესომ თავი კაცობრიობასთან გააიგივა და შექმნა მოდელი, თუ როგორ შეუძლიათ ჩვეულებრივ ქრისტიანებს გაიმარჯვონ ცოდვაზე.

ცდუნებები:

ქვების პურად გადაქცევის ცდუნება

სატანა აცდუნებდა იესოს, რათა თავისი ღვთიური ძალა გამოეყენებინა და ქვები პურად ექცია. ეს **დამოუკიდებლობის** ცდუნება იყო. სატანა აცდუნებდა იესოს, რათა თავისი ძალა საკუთარი სარგებელისთვის გამოიყენა, ნაცვლად იმისა, რომ მიწდობოდა მამას. იესომ მამას მიანდო თავისი „უფლება“ საჰმელზე.

„ჩვენ ტაშს ვუკრავთ მათ, ვინც აცხადებს: „მე დავამტკიცებ ჩემს ძალას ჩემი უფლებების დაცვით. მაგრამ სრულყოფილმა კაცმა აჩვენა, რომ ჭეშმარიტი ძალა ადამიანის ნების მიტოვებაში მდგომარეობს, ღვთის ნების თანახმად.“

- ჯ. კემპბელ მორგანის მასალებზე დაყრდნობით.

აკრძალული ხილის წინაშე მყოფი პირველი ადამი არ დაემორჩილა ღმერთს. აკრძალული პურის პირისპირ, მეორე ადამი ერთგული დარჩა.

ტაძრის ქიმიდან გადახტომის ცდუნება

სატანა აცდუნებდა იესოს ტაძრის ქიმიდან გადახტომისთვის (კიდრონის ხეობიდან 91 მეტრის სიმაღლეზე). ეს გააოცებდა ხალხს, როდესაც დაცვაზე, მამის დაპირებას გამოცდიდა.

სატანას მოჰყავს მაგალითად ფსალმუნის 90:11-12 - ში ნათქვამი დაპირება, რათა იესო აცდუნოს, რომ მან გამოსცადოს მამის დანაპირები. ამ გამოცდით იესო მამას თავის

მსახურად აქცევდა - დაქვემდებარებულს მის მოთხოვნებსა და მოლოდინებზე. ეს იყო ზედმეტი თავდაჯერებულობის ცდუნება.

იესომ უარი თქვა 90-ე ფსალმუნის დაპირების გამოყენებაზე იმ სიტუაციაში, რომელშიც ეს დაპირება შეუსაბამო იყო. სატანის საპასუხოდ, იესომ თქვა მეორე რჯულის 6:16 - ში დაწერილი: „არ გამოსცადო უფალი, შენი ღმერთი.“ როგორც ღმერთის შვილები, ჩვენ არ უნდა გამოვცადოთ ჩვენი ზეციერი მამა.

ახლო ხედი: რწმენა, თუ ვარაუდი?

ზოგი ქრისტიანი ამბობს: „წიგნში მოყვანილი ყველა დაპირება ჩემია.“ მიუხედავად იმისა, რომ წმიდა წერილის ყველა დაპირება სიმართლეა, ჩვენ ყოველთვის უნდა ვიკითხოთ: „ეხება ეს დაპირება ამ სიტუაციას?“ იესომ იცოდა, რომ 90-ე ფსალმუნის დაპირება არ იყო ღვთის ნება იმ მდგომარეობისთვის, რომელიც მას უდაბნოში შეექმნა. როგორ შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებულები, რომ ღვთის დანაპირებს ვაცხადებთ ჭეშმარიტი რწმენით და არა ყალბი ვარაუდით?

(1) ჩვენ უნდა ვიცოდეთ ღვთის სიტყვა.

რაც მეტად ვიცნობ ბიბლიური დაპირების კონტექსტის და დაპირების პირობების შესახებ, მით უკეთ შევაფასებ მის გამოყენებას ჩემს მდგომარეობაში.

გარკვეული დაპირებები კონკრეტულ ადამიანებს მიეცათ კონკრეტულ ვითარებაში. ძველ აღთქმაში ღმერთი ჰპირდებოდა მატერიალურ კურთხევას, თუ ისრაელი აღთქმის ერთგული დარჩებოდა. მათი მიწა დიდ ნაყოფს გამოიღებდა, ბელლები სავსე იქნებოდა და სამხედრო გამარჯვებებს მოიპოვებდნენ. ახალი აღთქმის დაპირებები უფრო ხშირად სულიერი ხასიათისაა. ზოგიერთები იმედგაცრუებულები არიან ამის გაგებით, მაგრამ ჩვენ უნდა ვიხაროთ. მატერიალურ კეთილდღეობას მხოლოდ დროებითი ღირებულება აქვს; სულიერ კეთილდღეობას აქვს მარადიული ღირებულება. ვარაუდი ღვთის დაპირებებს აგდებს მათი ბიბლიური კონტექსტიდან და ჩემს პირად სურვილებს უსადაგებს; რწმენა ენდობა ღმერთს, რომ შეასრულებს დანაპირებს თავისი ნებისამებრ.

(2) ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ განსხვავება კონკრეტულ და ზოგად დაპირებებს შორის.

ზოგადი დაპირების წაკითხვისას უნდა ვიკითხოთ, იძლევა თუ არა ღმერთი დაპირებას ჩვენი კონკრეტული სიტუაციისთვის. ზოგიერთი დაპირება ზოგადია და არა უნივერსალური.

ფსალმუნი 102: 3 ადიდება ღმერთს, რომელიც „არის მკურნალი ყველა შენი სნეულებისა.“ ზოგიერთმა ქრისტიანმა მიიღო ეს საყოველთაო დაპირება, რომ ღმერთი განკურნავს ყველა მორწმუნე ქრისტიანის ყველა დაავადებას. თუმცა, წმიდა წერილიდან ჩანს, რომ ყველა ფიზიკური დაავადება არ იკურნება. პავლე ლოცულობდა განკურნებისთვის, მაგრამ ღმერთმა თქვა: „არა“ (2 კორინთელთა 12:7). ზოგჯერ ღმერთი ირჩევს თავისი

შვილების განკურნებას ავადმყოფობისგან; ზოგჯერ ის ირჩევს მათ მაღლი მიაწიქოს ტკივილის გადასატანად.

ჩვენ სამი ახალგაზრდა ებრაელის მსგავსად უნდა ვუპასუხოთ. როდესაც მეფე ნაბუქოდონოსორი მათ ღუმელში ჩაგდებით დაემუქრა, მათ თქვეს, „ჩვენს ღმერთს, რომელსაც ვემსახურებით, შეუძლია ცეცხლით გავარვარებული ღუმლიდანაც გვიხსნას და შენი ხელიდანაც გადაგვარჩინოს, მეფევ, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, დაე, ცნობილი იყოს შენთვის მეფევ, რომ მაინც არ მოვემსახურებით შენს ღმერთებს და არც შენს მიერ აღმართულ ოქროს კერპს ვცემთ თაყვანს“ (დანიელის 3:17-18). მათ იცოდნენ, რომ ღმერთს შესწევდა ძალა მათ გასათავისუფლებლად; მაგრამ თუ ღმერთი სხვა გზას აირჩევდა, ისინი დარჩებოდნენ მისი ერთგული მსახურები.

ღმერთს შეუძლია თავისი შვილები გაათავისუფლოს, მაგრამ ის ყოველთვის არ ირჩევს ამ გზას. სანამ ღმერთი არ გაგიცხადებთ, რომ ბიბლიური დაპირება კონკრეტულად თქვენთვისაა, მიენდეთ ღმერთს, გააკეთოს ისე, როგორც თვითონ აირჩევს. მოციქულმა იოანემ ასეთი დაპირება მოგვცა: „და აჰა, რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც კი ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვთხოვთ მისგან“ (1 იოანეს 5:14-15).

ვარაუდი გულისხმობს, რომ ბიბლიური დაპირებები ეხება ჩემს კონკრეტულ სიტუაციას. რწმენა ამბობს: „მე ვთხოვ მისი ნების თანახმად.“ ზედმეტად თავდაჯერებული ვიქნები, თუ ყველა დაპირებას პირად დაპირებად მივიღებ. ამის ნაცვლად, მე უნდა ვიკითხო, არის თუ არა ეს დაპირება განკუთვნილი ჩემი მდგომარეობისთვის.

(3) ჩვენ უნდა ვილოცოთ „იესოს სახელით.“

იესო დაგვპირდა: „რასაც ჩემი სახელით ითხოვთ, გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში“ (იოანეს 14:13). ლოცვა „იესოს სახელით“ ნიშნავს ლოცვას მისი ნებისა და მისი ხასიათის შესაბამისად. ეს ნიშნავს ლოცვას „რათა განდიდდეს მამა.“ ვარაუდი ეძებს ჩემს ნებას; რწმენა ეძებს ღვთის დიდებას.

ლოცვა „რათა განდიდდეს მამა“ ნიშნავს, რომ ჩვენს ცხოვრებაში უნდა დავემორჩილოთ ღმერთის საბოლოო მიზნებს. ღმერთი დაჰპირდა ისრაელს: „ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ“ (იერემიას 29:11). უნდა გვახსოვდეს, რომ ეს პირობა მიეცა ისრაელს, რადგან იგი ბაბილონში სამოცდაათწლიანი მონობის წინაშე აღმოჩნდა. ბაბილონში მონობაც კი სარგებელს მოუტანდა ღვთის ხალხს; მათ გასაჭირში ისრაელი შეჰღალადადებდა ღმერთს და მან შეისმინა მათი.

დღეს ჩვენთვის ეს დაპირება მოქმედებს? დიახ! ღმერთის ხასიათი არ შეცვლილა; მას თავისი შვილებისთვის სიკეთე მოაქვს. ყველაფერი რაც მოხდება არ იქნება კარგი, მაგრამ

ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვილოცოთ „იესოს სახელით“, რადგან ვიცით, რომ ღმერთი მიზანმიმართულად მოქმედებს ყველაფერში, რაც ჩვენს ცხოვრებაში ხდება.

ღმერთმა თავისი მსახური განსაცდელებით მოამზადა (გაგრძელება)

ცდუნებები

მსოფლიოს სამეფოების შეთავაზება

სატანის უკანასკნელმა ცდუნებამ შესთავაზა კომპრომისი, გზა ჯვრის გარეშე იესოს მომავალი მეფობის მისაღწევად. თუ იესო თავყვანს სცემდა სატანას, მას შეეძლო თავი დაეხსნა ჯვრის ტანჯვისგან. იესომ უპასუხა მეორე რჯულის 6:13 - დან: „გემინოდეს უფლისა, შენი ღვთისა, და მას ემსახურე.“

იესოს გამარჯვება ცდუნებაზე

იმისათვის, რომ სარგებლობა მოგვიტანოს იესოს ცდუნების მაგალითმა, უნდა გვახსოვდეს, რომ იესო სრულად ადამიანი იყო. ის ცდუნებული იყო „ყველაფერში ... ჩვენსავით, გარდა ცოდვისა.“

► წაიკითხეთ 1 კორინთელთა 10:13 და ებრაელთა 4:15. რას ასწავლიან ისინი ცდუნების შესახებ?

1 იოანეს 2:16 -ში მოციქული განსაზღვრავს ცდუნების სამ გზას: „ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და ამაო დიდება ცხოვრებისა.“ იესო გამოიცადა თითოეულ ამ ასპექტში.

- სატანა აცდუნებდა ხორციელი სურვილებით, როდესაც იესოს პური მოშივდა.
- სატანა აცდუნებდა თვალთა გულისთქმით, როდესაც იესოს მსოფლიოს სამეფოები აჩვენა.
- სატანამ ცხოვრების ამაო დიდებას მიმართა, როდესაც იესოს აცდუნებდა, მოემოქმედებინა დრამატული აქტი, რომელიც ხალხს გააოცებდა.

იესოს ცდუნებაზე გამარჯვება არ მოუპოვებია მისი ღვთიური ძალის გამოყენებით. იესო სრულად ადამიანი იყო და დაამარცხა ცდუნება მის ადამიანურობაში. მისი გამარჯვება გვაძლევს მაგალითს ცდუნების ჟამს. გაითვალისწინეთ სამი იარაღი, რომლებიც იესომ გამოიყენა ცდუნებაზე გამარჯვებისთვის.

სულის ძალა

იესო სულიწმიდის ხელმძღვანელობით დადიოდა. მან მოიმოქმედა ის, რის გაკეთებისკენაც მას სული მიუძღვოდა. „დაბრუნდა იორდანედან სულიწმიდით აღვსილი იესო და სულის მერ გაყვანილ იქნა უდაბნოში“ (ლუკას 4:1).

მთელი თავისი მიწიერი მსახურების განმავლობაში იესო მოქმედებდა სულიწმინდის ძალით. მან სულიწმინდის ძალით განდევნა დემონები (მათეს 12:28). „სცხო ღმერთმა სულიწმიდით და ძალით იესო ნაზარეტელს, რომელიც დადიოდა, ქველმოქმედებდა და კურნავდა ეშმაკისგან ყველა გატანჯულს, რადგან ღმერთი იყო მასთან“ (საქმეების 10:38).

იესომ მიწიერი მსახურება სულიწმინდის ძალით აღასრულა. თუ გვინდა ვიყოთ ძლიერები ცდუნების წინაშე, უნდა ვიცხოვროთ სულიწმინდის ძალაში.

ლოცვის ძალა

იესო ცდუნებულ იქნა ორმოც დღიანი მარხვისა და ლოცვის შემდეგ. ლოცვა მას სულიერი ბრძოლისთვის ამზადებდა. მომდევნო ერთ-ერთ გაკვეთილში ჩვენ დავინახავთ ლოცვის მნიშვნელობას იესოს ცხოვრებაში და მსახურებაში. თუკი იესო ლოცვას ეყრდნობოდა, ჩვენ როგორ უნდა ველოდოთ სულიერ გამარჯვებებს ლოცვის გარეშე?

სატანა ხშირად თავს გვესხმის მას შემდეგ, რაც ლოცვით ცხოვრებაში უყურადღებოდ ვიქცევით. მან იცის, რომ ცდუნების წინაშე სუსტები ვიქნებით, თუ არ შევინარჩუნებთ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, ლოცვით ცხოვრებას.

სიტყვის ძალა

იესო თითოეულ ცდუნებას პასუხობდა წმიდა წერილის სიტყვებით. საიდან იცოდა მან ეს წერილები? ებრაელმა ბავშვებმა დაიმახსოვრეს თორა, როგორც ბავშვობის განათლების ნაწილი. როდესაც იესო ცდუნებულ იქნა, წმიდა წერილის სიტყვები სწრაფად გაახსენდა.

ჩვენ, როგორც ქრისტიანებმა, გულში უნდა ჩავიდოთ ღვთის სიტყვა. განსაცდელის დროს, წმიდა წერილი ძალას მოგვცემს ცდუნების წინაშე აღმოჩენილებს.

ცდუნების წინაშე იესო იგივე ინსტრუმენტებს იყენებდა, რაც ჩვენც გვაქვს. ჩვენ უნდა დავხვდეთ ცდუნებას, როგორც იესო, სულის ძალით, ლოცვის ძალით და სიტყვის ძალით. ამ იარაღის გარეშე, ჩვენ სატანის შემოტევას ვერ გავუძლებთ და დავეცემით.

ახლო ხედი: განსხეულება

ადრეული ქრისტიანები საყოველთაოდ შეთანხმდნენ, რომ იესო ღვთიური იყო. მიუხედავად იმისა, რომ ერეტიკოსები, როგორიცაა არიუსი, უარყოფდნენ იესოს ღვთაებრიობას, ორთოდოქსი ქრისტიანები ასწავლიდნენ, რომ იესო ღვთიური იყო.

ორთოდოქსალური ქრისტიანობა ასევე ასწავლიდა იმას, რომ იესო სრულად ადამიანი იყო. ამ დოქტრინას ხშირად უარყოფდნენ ერეტიკოსები. დღესაც კი მრავალი ევანგელისტი სერიოზულად არ აღიქვამს იესოს ადამიანურობას. ბევრი ქრისტიანი თვლის, რომ იესო სრულად ღვთიური იყო, მაგრამ მისი ადამიანურობა არ იყო რეალური. მათი აზრით, მან „ითხოვა“ ადამიანის სხეული, მაგრამ სრულად ადამიანური არ ყოფილა.

ზოგიერთი ქადაგების ილუსტრაცია ხელს უწყობს ამ ცრუ იდეას. ზოგიერთი მქადაგებელი მოგვითხრობს ლეგენდაზე მეფის შესახებ, რომელიც თავს გლეხად წარმოაჩენდა და მოგზაურობდა. ამასთან, იესო არ იყო ღმერთი, რომელიც თავს გვაჩვენებდა ადამიანად. ის ერთ-ერთი ჩვენგანი გახდა.

სწავლება იესოს ადამიანურობაზე მნიშვნელოვანია ჩვენი ქრისტიანული გამოცდილებისთვის. თუ იესო სრულად ადამიანი არ იყო, მისი ცხოვრება არ არის რეალისტური მოდელი ჩვენთვის. ერთმა ღვთისმეტყველმა ასე თქვა: „თუ იესო სინამდვილეში არ არის ჩვენი მსგავსი, მაშინ ჩვენ ვთავისუფლდებით იმისგან, რომ ვიყოთ მისი მსგავსები.“⁷

ბევრი თვლის, რომ ჩვენ მუდმივად უნდა ვვარდებოდეთ განზრახ ცოდვაში. იესომ თავის ადამიანურობაში აჩვენა, რომ ჩვეულებრივ ქრისტიანებს შეუძლიათ სულიწმიდის ძალით ცოდვაზე გამარჯვების შენარჩუნება.

თუ იესო ჩვენი დასუსტებული კაცობრიობის ნაწილი გახდა, თუ მან განიცადა ჩვენი საჭიროება სულის ძალაში და თუ ის ცდუნდა, როგორც ჩვენ, მაშინ ცდუნებაზე მისი გამარჯვება ჩვენ გვაჩვენებს, როგორ უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. სულიწმიდის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ გამარჯვებული ცხოვრებით.

► თქვენთვის რომელია უფრო რთულად აღსაქმელი, სწავლება იესოს ღვთაებრიობაზე, თუ სწავლება მის ადამიანურობაზე? იმსჯელეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ეს მოძღვრება ჩვენი ქრისტიანული ცხოვრებისა და მსახურებისთვის.

დასკვნა: ღმერთი ამზადებს თავის მსახურებს

ამ გაკვეთილზე ვნახეთ, როგორ მოამზადა ღმერთმა გზა იესოს მსახურებისთვის. წინაპრების მეშვეობით, რომის იმპერიის გამოყენებით, სასწაულებრივი დაბადებით, იოანე ნათლისმცემლის მსახურებით და ცდუნებებითაც კი ღმერთმა მოამზადა გზა იესოსთვის.

ამ ჭეშმარიტებას ჩვენ არაერთხელ ვხედავთ ბიბლიაში. გადახედეთ პავლეს მაგალითს. პავლე გაიზარდა რომის ქალაქ ტარსუსში. ბავშვობიდან ჰყავდა არაებრაელი მეგობრები. ებრაელთა უმეტესობისგან განსხვავებით, პავლე კომფორტულად გრძნობდა თავს წარმართებთან.

პავლეს მამა რომის მოქალაქე იყო, ამიტომ პავლეს ჰქონდა რომის მოქალაქეობის ღირებული უფლებები. დედა ებრაელი იყო, ამიტომ პავლემ ადრეული ასაკიდან განისწავლა ძველი აღთქმის წერილებში. მას ჰქონდა ბრწყინვალე გონება და სწავლობდა

⁷ Cherith Fee Nordling, “Open Question” *Christianity Today*, April 2015, 26-27

ებრაულ ღვთისმეტყველებას დიდი მოძღვარის გამაღიელის ხელმძღვანელობით. რომაული წარმომავლობის მქონე ის სწავლობდა ბერძნულ ენას და ბერძენი ფილოსოფოსების სწავლებებს.

ამ გამოცდილების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ ღმერთმა პავლეს მოუწოდა მისიონერი გამხდარიყო წარმართთა შორის. ღმერთმა დაბადებიდან მოამზადა პავლე, რომ ყოფილიყო წარმართთა პირველი მოციქული. დაფიქრდით იმ მზადებაზე, რომელიც ღმერთმა გაითვალისწინა ამ მსახურებისთვის:

- პავლეს რომის მოქალაქეობამ მას თავისუფლად მოგზაურობის საშუალება მისცა.
- პავლეს ებრაულმა და ბერძნულმა განათლებამ მას მისცა საშუალება ახალი აღთქმის ყველაზე ძირითადი წიგნების დასაწერად.
- პავლეს მიერ ბერძნული ფილოსოფიის შესწავლამ მას საშუალება მისცა ბერძენ მოაზროვნეებთან ესაუბრა ათენის მსგავს ადგილებში.

შეიძლება თქვენ თქვათ: „ღმერთს არ მოუცია ჩემთვის პავლესავით დიდი განათლება. მე არ მაქვს დიდი ოჯახური წარმომავლობა.” არაუშავს! შეხედეთ პირველი საუკუნის ეკლესიის სხვა წინამძღოლებს.

სიმონი ბავშვობიდან მეთევზე იყო. მას არ ჰქონდა პავლესნაირი განათლება და ინტელექტუალური ბრწყინვალება. უფრო მეტიც, მოგვიანებით პეტრემ თქვა, რომ პავლემ დაწერა რამდენიმე რამ, „რომელთა გაგება ძნელია” (2 პეტრეს 3:15-16). მაგრამ ღმერთმა ძლიერად გამოიყენა პეტრე. პავლეს ღრმა სიტყვებით გაოგნებულ ადამიანებს შეეძლოთ გაეგოთ პეტრეს მარტივი ქადაგებები.

ღმერთმა მოგამზადათ თქვენი მსახურების ადგილისთვის. თუ უარს იტყვი შენს განათლებაზე, წარსულზე და ყველაფერზე, რაც ღმერთმა მოგცა, ის გამოგიყენებს შენ თავისი მიზნის მისაღწევად. ღმერთი ამზადებს მათ, ვისაც ის მოუწოდებს იმ მსახურებისთვის, რომლისთვისაც მათ მოუწოდებს.

გაკვეთილი 1 დავალებები

(1) ამ გაკვეთილში ჩვენ ვნახეთ ცდუნებაზე გამარჯვების იესოს მაგალითი. ჩამოთვალეთ სამი ბიბლიური მაგალითი იმ ადამიანებისა, რომლებიც ცდუნებაზე გამარჯვებას ინარჩუნებენ. აღნიშნეთ ერთი რამ, რაც მათ ძალას აძლევდა ცდუნების წინაშე.

ცდუნებაზე გამარჯვების მაგალითები	წმიდა წერილი	რამ მიანიჭა გამარჯვება?
იოსები (სექსუალური სიწმინდე)	დაბადების 39	ყურადღების მიპყრობა ღმერთისკენ (დაბადების 39:9)

ჩამოთვალეთ სამი ბიბლიური მაგალითი იმ ადამიანებისა, რომლებიც ცდუნებებში ჩავარდნენ. თითოეულ შემთხვევაში დაადგინეთ ერთი ფაქტორი, რამაც გამოიწვია მათი დაცემა.

წარუმატებლობის მაგალითები ცდუნებაში	წმიდა წერილი	რამ გამოიწვია დამარცხება?
პეტრეს მიერ იესოს უარყოფა	ლუკას 22:54-62	ზედმეტი თავდაჯერებულობა (ლუკას 22:31-34)

(2) თქვენს მიერ ჩამოთვლილი მაგალითების საფუძველზე მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიის შესწავლა ცდუნების შესახებ. გამოიყენეთ იესოს მაგალითები და ის მაგალითები, რომლებიც თქვენს ცხრილში ჩამოთვალეთ.

გაკვეთილი 2

ლოცვა იესო ქრისტეს მსგავსად

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- (1) გააცნობიეროს ლოცვის მნიშვნელობა იესოს ცხოვრებასა და მსახურებაში.
- (2) შეითვისოს ლოცვის პრინციპები იესოს სწავლებიდან.
- (3) გაიგოს ლოცვის მნიშვნელობა ჩვენს დღევანდელ მსახურებაში.
- (4) შეიმუშავოს პრაქტიკული ნაბიჯები, რათა მლოცველი პიროვნება გახდეს.

მსახურების პრინციპი

თუ იესოსავით მსახურება გვსურს, იესოსავით უნდა ვილოცოთ.

შესავალი

ლოცვით გზავნილში, პროფესორმა ჰოვარდ ჰენდრიქსმა ეს დამაჯერებელი განცხადება გააკეთა:

სატანა არ არის წინააღმდეგი, თუ ბიბლიას კითხულობ, ოღონდაც კი არ ილოცო, რადგან ამ შემთხვევაში წმინდა წერილი არასოდეს შეცვლის შენს ცხოვრებას. ამან თქვენში შეიძლება სულიერი სიამაყის სერიოზული შემთხვევაც კი გამოიწვიოს, რადგან ეს თქვენ კარგად იცით.

სატანა არ არის წინააღმდეგი, რომ შენი რწმენა გააზიარო, ოღონდაც კი არ ილოცო, რადგან მან იცის, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია ესაუბრო ღმერთს ხალხზე, ვიდრე ესაუბრო ხალხს ღმერთზე.

სატანა არ არის წინააღმდეგი თუ ადგილობრივი ეკლესიის მსახურებაში ჩაერთვები, ოღონდაც კი არ ილოცო, რადგან ამ შემთხვევაში აქტიური იქნები, მაგრამ ბევრს ნამდვილად ვერ მიაღწევ.⁸

ლოცვა იკავებდა ცენტრალურ ადგილს იესოს მიწიერ მსახურებაში. ლოცვაზე მნიშვნელოვანი არაფერია. იესოს მსახურება ემყარებოდა თავის ზეციერ მამასთან

⁸ ადაპტირებულია Howard G. Hendricks, "Prayer—the Christian's Secret Weapon." Reprinted in *Veritas*, January 2004

ურთიერთობას. ეს ურთიერთობა შენარჩუნებული იყო ლოცვით და ღმერთთან ძალიან ახლო კავშირით.

► ამ გაკვეთილის შესწავლამდე შეაფასეთ ლოცვის როლი თქვენს ცხოვრებაში და მსახურებაში. დაუსვით კითხვა საკუთარ თავს:

- არის თუ არა ჩემი ლოცვითი ცხოვრება თანმიმდევრული?
- ბოლოს როდის მივიღე კონკრეტული პასუხი ლოცვაზე?
- რა არის ჩემი ლოცვითი ცხოვრების ყველაზე დიდი გამოწვევა?
- ვიზრდები ჩემს ლოცვით ცხოვრებაში?

„ლოცვა არის სულის
გიმნაზია“.

- სამუელ ცვემერი,
„ისლამის მოციქული“

იესოს ლოცვის მაგალითი

იესოს მსახურების განმავლობაში ჩვენ ვხედავთ, რომ იგი ლოცულობდა გადამწყვეტ მომენტებში. სახარებებში მოხსენიებულია თხუთმეტი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც იესო ლოცულობდა. ლოცვა არასოდეს ყოფილა მეორეხარისხოვანი; ლოცვა მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი იყო.

ლუკა სხვა მწერლებზე მეტად ხაზს უსვამს ლოცვას იესოს მსახურებაში. მხოლოდ ლუკა გადმოგვცემს, რომ იესო თორმეტი მოწაფის არჩევამდე მთელი ღამე ლოცულობდა (ლუკას 6:12). მხოლოდ ლუკა გადმოგვცემს, რომ ფერისცვალება მოხდა მაშინ, როდესაც იესომ პეტრე, იაკობი და იოანე მთაზე აიყვანა ლოცვისთვის (ლუკას 9:28). ეს აქცენტი გრძელდება მოციქულთა საქმეებშიც, რადგან ლუკამ ოცდათხუთმეტჯერ დაწერა ლოცვის როლზე ადრეულ ეკლესიაში.

ლოცვა იესოს ყოველდღიურ მსახურებაში

► წაიკითხეთ მარკოზის 1:32-39.

ეს ამბავი იესოს მსახურების დასაწყისიდანვე გვიჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული ლოცვა და მსახურება. ყურადღება მიაქციეთ ამ თხრობის განვითარებას. წინა საღამოს ხალხი შეიკრიბა იმ სახლის გარეთ, სადაც იესო იმყოფებოდა და მან მრავალი მათგანი განკურნა.

დილით ადრე, იესო „უდაბნო ადგილას“ წავიდა სალოცავად. სიმონ პეტრე მივიდა მის მოსამებნად, რადგან „ყველა შენ გეძებს.“ იესომ უპასუხა: „წავიდეთ სხვა ახლო-მახლო ქალაქებში, რათა იქაც ვიქადაგო, ვინაიდან ამისთვის ვარ მოსული.“ იესოს მსახურების მაგალითი იყო ლოცვა, რომელსაც თან ახლავს მსახურება.

ეს უნდა იყოს ნიმუში მსახურებისთვის. ლოცვის გარეშე ჩვენი მსახურება სულიერად დამღლელი ხდება. მსახურების გარეშე ჩვენი ლოცვითი ცხოვრება ხდება საკუთარი თავისადმი ორიენტირებული; ჩვენ არ ვცდილობთ ვემსახუროთ გარშემომყოფების საჭიროებებს. იესო გვაჩვენებს, რომ ლოცვა და მსახურება ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ლოცვა გადაწყვეტილების მიღების დროს

► წაიკითხეთ ლუკას 6: 12-16.

იესოს მსახურების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თორმეტი მოციქულის არჩევა იყო. ათასობით ადამიანიდან, ვინც უსმენდა მის ქადაგებას, ბევრი საკმაოდ ახლოს იყო მასთან, რომ წოდებულიყო „მოწაფედ“ (იოანეს 6:60, 66). სამოცდათორმეტნი საკმაოდ ახლოს იყვნენ იესოსთან, რომ წარედგინათ ის მათ მახარობლურ მოგზაურობაში (ლუკას 10:1). მაგრამ იესომ მხოლოდ თორმეტი კაცი აირჩია „მოციქულებად.“

თორმეტმა დიდი დრო გაატარა იესოსთან. ისინი მასთან იყვნენ მისი მიწიერი მსახურების ბოლოს. მისი ამბავების შემდეგ, თერთმეტი მოციქული ადრეული ეკლესიის წინამძღოლი გახდა. თორმეტის არჩევა საკვანძო გადაწყვეტილება იყო. იესოს არ დაუწერია წიგნები და არ დაუარსებია არცერთი სკოლა. მისი მემკვიდრეობა ამ მამაკაცებს ეკუთვნოდა.

რა მოიმოქმედა იესომ თორმეტის არჩევამდე? ის ლოცულობდა. კრიტიკული გადაწყვეტილების წინ იესომ ღამე ლოცვაში გაატარა. მით უფრო, ბევრად მთავარი როლი უნდა შეასრულოს ლოცვამ, ჩვენს გადაწყვეტილებების მიღებაში!

ლოცვა ტანჯვის წინაშე

► წაიკითხეთ მათეს 26: 36-46.

დაპატიმრებამდე რამდენიმე საათით ადრე, იესო გეთსიმანიაში წავიდა სალოცავად. ის ემზადებოდა ტანჯვისთვის ლოცვით. იესო არასდროს იყენებდა თავის ღვთიურობას, ადამიანურობის ჭრილობებისა და ტკივილებისგან თავის დასაღწევად. სამაგიეროდ, იგი ლოცვას ეყრდნობოდა, რათა ძალა მიეღო ტანჯვის წინაშე.

იესოს ლოცვა ბაღში დღეს ჩვენთვის მაგალითია. მისი ლოცვა არ იყო ხელოვნური; იესო ტანჯვის რეალობის წინაშე იდგა. გამხნევებთ იმის გაცნობიერება, რომ იესომ ტკივილს ძალიან ადამიანურად უპასუხა? ტანჯვის წინაშე იესო ლოცულობდა მისი შემსუბუქებისთვის:

ის არ ლოცულობდა ბაღში: „ო, უფალო, მე იმდენად მადლიერი ვარ, რომ შენ ამირჩიე, რომ ვეტანჯო შენი სახელის გულისთვის.“ არა, მან განიცადა მწუხარება, შიში, მიტოვება და რაღაც სასოწარკვეთილებამდე მიახლოებული. და მაინც, მან

გაუძლო, რადგან იცოდა, რომ სამყაროს ცენტრში ცხოვრობს მისი მამა, სიყვარულის ღმერთი, რომელსაც ენდობა, იმის მიუხედავად, თუ როგორ ვითარდება მოვლენები.⁹

ტანჯვის წინაშე არ უნდა მოვაჩვენოთ თავი იმაზე ძლიერებად, ვიდრე სინამდვილეში ვართ. იოხის მსგავსად, ჩვენი ტკივილის წინაშე შეგვიძლია ვიტყვი კიდეც. თავის ადამიანურობაში, იესომ იგივე გააკეთა! ამასთან, იესოს მსგავსად, ჩვენც შეგვიძლია ერთგულები ვიყოთ, რადგან ვიცით, რომ ჩვენი მოსიყვარულე ზეციერი მამა ფლობს საბოლოო ძალაუფლებას.

ლოცვაში შეგვიძლია მივიღოთ ჩვენი მამის ნება. იესოს ლოცვის გასაღები ტანჯვის წინაშე, და ჩვენი ლოცვის გასაღები ტანჯვაში, მამის ნებისადმი დამორჩილებაა: „თუმცა იყოს არა ჩემი ნებისამებრ, არამედ შენი ნებისამებრ.“

იესოს სწავლება ლოცვის შესახებ

იესომ არა მხოლოდ თავისი მაგალითით აჩვენა ლოცვის მნიშვნელობა, არამედ მან სწავლების დიდი ნაწილი ლოცვას დაუთმო. იესომ იცოდა, რომ მისი მიმდევრების სულიერი ცხოვრებისთვის ლოცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამიტომ ის თავის მოწაფეებს ლოცვას ასწავლიდა.

იესოს სწავლება მთაზე ქადაგებისას

► წაიკითხეთ მათეს 6:1-18.

მთაზე ქადაგებისას იესო ასწავლიდა სულიერი საქმიანობის სამ სფეროზე: ღარიბებისთვის გაცემაზე, ლოცვასა და მარხვაზე. მისი სწავლებიდან გამომდინარე ნათელია, რომ იესო ელოდა, რომ ეს ჩვეულებრივი საქმიანობა იქნებოდა მისი მიმდევრებისთვის. იესოს არ უთქვია: „თუ ღარიბებს მისცემ...“ ან „თუ ილოცებ ...“ ან „თუ იმარხულებ ...“ მას მოლოდინი აქვს, რომ მისი მიმდევრები იქნებიან გულუხვი, მლოცველი და თვითდისციპლინირებული მოწაფეები.

იესომ აჩვენა, რომ ეს კარგი საქმეები შეიძლება უაზრო იყოს, თუ ისინი ბოროტი მოტივებიდან მომდინარეობენ. ძველ სამყაროში „თვალთმაქცი“ იყო მსახიობი, რომელსაც სხვადასხვა ნიღბები ეკეთა სპექტაკლში სხვადასხვა როლის შესასრულებლად. შესაძლებელია „რელიგიური როლი ითამაშო“ სხვების წინაშე.

- შეიძლება ღარიბებისთვის გავიღოთ, რათა ხალხზე შთაბეჭდილება მოვახდინოთ ჩვენი კეთილშობილებით. იესომ თქვა: „მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური.“

⁹ Philip Yancey, *The Jesus I Never Knew* (Grand Rapids: Zondervan, 1995), 161

- შეიძლება ვილოცოთ, რათა ხალხზე შთაბეჭდილება მოვახდინოთ ჩვენი ლამაზი სიტყვებით. იესომ თქვა: „მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური.“
- შეიძლება ვიმარხულოთ, რათა სხვებზე შთაბეჭდილება მოვახდინოთ ჩვენი ღვთისმოსაობითა და თვითდისციპლინით. იესომ თქვა: „მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური.“

თითოეულ შემთხვევაში, ის, ვინც ღარიბებს აძლევდა, ლოცულობდა ან მარხულობდა, ამას სხვა ადამიანებზე შთაბეჭდილების მოსახდენად აკეთებდა. ხალხი შთაბეჭდილების ქვეშ მოექცნენ; ეს იყო მისი საზღაური. ასე რომ, ის ღვთისგან ვეღარ მიიღებს საზღაურს.

ამ სულიერი საქმიანობის მოტივი უნდა იყოს მოსაწონი ჩვენი ზეციერი მამისთვის. იქნება ეს ღარიბებისთვის გაცემა, ლოცვა თუ მარხვა, ჩვენი ჯილდო თავად ღმერთია. ჩვენ არ უნდა ვაკეთოთ ეს სულიერი საქმეები ამქვეყნიური ტაშისთვის. ამის ნაცვლად, ჩვენ ამას ვაკეთებთ ღმერთში მუდმივი ჩაღრმავების სურვილის გამო.

იესომ თავის მოწაფეებს ასწავლა ლოცვა მარტივი და პირდაპირი წესით:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი; მოვიდეს მეფობა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მოგვცე ჩვენ დღეს; და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა; და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისგან (მათეს 6:9-13).

ეს არ არის ლოცვა, რომელიც უნდა იკითხებოდეს უაზროდ, როგორც „ცარიელი ფრაზები“, რომლებიც იესომ დაგმო მათეს 6:7-8-ში. ამის ნაცვლად, ეს ლოცვა აყალიბებს დამოკიდებულებას, რომლითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ ჩვენს ლოცვებში:

ურთიერთობა

„მამა ჩვენი, ცათა შინა“ გვიჩვენებს ჩვენს ახლო ურთიერთობას ღმერთთან. ჩვენ ვაღიარებთ ღმერთს არა როგორც შორეულ ღვთაებას, არამედ როგორც მამას, რომელსაც უყვარს შვილებისთვის კარგი საჩუქრების გაკეთება (მათეს 7:11). ეს ფრაზა გვთავაზობს როგორც სიახლოვეს („მამაო ჩვენო“), ისე ძალაუფლებას („ცათა შინა“). ღმერთი ერთდროულად დიადიც არის და პიროვნულიც.

პატივისცემა

„წმიდა იყოს სახელი შენი“ გვიჩვენებს განსხვავებას ჩვენსა და ჩვენს მამას შორის „ცათა შინა.“ მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი მოსიყვარულე მამაა, ის წმიდაა.¹⁰ როგორც

¹⁰ სიტყვა "წმიდა" ნიშნავს "წმინდას" ან "გამოყოფილს".¹¹

გვასწავლის ბრძენი ეკლესიასტეში, ჩვენ ღვთის თანდასწრებაში პატივისცემითა და მოწიწებით უნდა წავრდგეთ (ეკლესიასტეს 5:2).

დამორჩილება

„მოვიდეს მეფობა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ წარმოადგენს ჩვენს ნებაყოფლობით დამორჩილებას მისი ძალაუფლების წინაშე. როგორც სრულდება ღვთის ნება ზეცაში, ჩვენ უნდა ვილოცოთ, რომ ის შესრულდეს დედამიწაზეც.

უზრუნველყოფა

„პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოში მაცივრებისა და ელექტროენერგიის გაჩენამდე. საკვები ერთჯერადად მიეწოდებოდათ. ეს ფრაზა გულისხმობს ჩვენს ყოველდღიურ მინდობას მამაზე. როგორც მისი შვილები, მას ვანდობთ ჩვენი საჭიროებების უზრუნველყოფას.

აღსარება

„მოგვითქვე ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა.“ ლუკას 11: 2–4 – ში იგივე ლოცვა ჩამოყალიბებულია: მოგვითქვე ჩვენი ცოდვები, რადგანაც ჩვენ მივუტევებთ ყველა ჩვენს მოვალეს.“ ვინაიდან ჩვენი ცოდვა არის „ვალი“, ღმერთის წინაშე, მნიშვნელობა მათესა და ლუკაში ერთნაირია (კოლასელთა 2:14).

იესო არ ასწავლიდა იმას, რომ ჩვენს მიერ სხვების პატიებით ღმერთის მიერ ჩვენდამი შენდობას „ვიმსახურებთ“. ამის მაგივრად, ჩვენ, პატიება მიღებულები, ნებით ვპატიობთ მათ, ვინც გვაწყენინა. იესოს იგავი შეუბრალელებლ მონაზე, გვიჩვენებს, კავშირს ჩვენს პატიებას და სხვების მიმართ პატიების მზადყოფნას შორის (მათეს 18:21-35).

გამარჯვება

„და ნუ მიგვიყვან განსაცდელში, არამედ გვიხსენი ბოროტისგან“ – ეს არის ლოცვა ცდუნებაზე და განსაცდელზე გამარჯვებისთვის. ღმერთი არასდროს აცდუნებს თავის შვილებს, (იაკობის 1:13). მაგრამ თითოეულ ჩვენგანს განსაცდელისა და ცდუნების დრო დაგვიდგება (1 პეტრეს 1:6-7). ამ დროს, ღმერთი არასოდეს დაუშვებს იმაზე მეტ ცდუნებას, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია გადავიტანოთ (1 კორინთელთა 10:13).

იესოს სწავლება გაბედული ლოცვის შესახებ

► წაიკითხეთ ლუკას 11: 1-13.

ლუკა იგავით მიჰყვება "მამაო ჩვენოს" ლოცვას, რომელიც გვასწავლის, რომ თამამად უნდა ვევედოთ მამას, რომელსაც უყვარს შვილებისთვის კეთილი მისაცემელის მიცემა. ახლო აღმოსავლეთში ჩვეულებრივი იყო მეზობლებისგან სესხის აღება სტუმრის გამასპინძლებისთვის. თუ მამაკაცი გაბედულად ითხოვდა, მისი მეზობელი მისცემდა

იმას, რაც საჭირო იყო. ამ კულტურაში უხეშად ითვლებოდა თხოვნაზე „არა“- ს თქმა. მაშინაც კი, თუ მეზობელს არ სურდა ოჯახის შეწუხება, ის დახმარების თხოვნას არ უარყოფდა.

უფრო მეტიც, ღმერთს სურს, რომ ის კეთილი მისაცემელი გადასცეს თავის შვილებს, რომლებიც გაბედულად ითხოვენ. ისევე, როგორც ამ იგავში მამაკაცი გაბედულად ითხოვს, ჩვენც შეგვიძლია მივუახლოვდეთ ჩვენს ზეციერ მამას მინდობით. რატომ? არა იმიტომ, რომ ღმერთს შერცხვება ჩვენი თხოვნის უარყოფა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ მოგვეცა ნებართვა, „ვითხოვოთ, ვეძებოთ და ვაკაკუნოთ.“

ახლო ხედი: ებრაული სწავლების სტილები

ლუკას 11: 1-13-ში იესო მოგვითხრობს კაცზე, რომელსაც არ სურს საწოლიდან ადგომა, რათა დაეხმაროს მეზობელს, რომელსაც სტუმრისთვის საკვები სჭირდება.

ამ იგავის გასაგებად უნდა გესმოდეთ სწავლების ებრაული სტილი - არგუმენტი „უფრო მცირედიდან მეტისკენ“. სწავლების ამ მეთოდით ნათქვამია: „თუ „ა“ (ნაკლები) მართალია, მაშინ რამდენად მეტად „ბ“ (უფრო დიდი) შეიძლება იყოს მართალი.“ დღეს შეგვიძლია ვთქვათ: „თუ კაცი დააპურებს მშიერ უცნობს (ა), რამდენად მეტად დააპურებს მოსიყვარულე მამა თავის შვილებს (ბ).“

როდესაც იგავს კითხულობ, არ იფიქრო, რომ: „ღმერთი ჰგავს იძულებულ მეზობელს. უნდა დავიყოლიო, რომ ჩემს ლოცვებს უპასუხოს.“ ამის ნაცვლად, იესო იძულებულ მეგობარს უპირისპირებს მოსურნე ზეციერ მამას. თუ მიწიერი მეზობელი უპასუხებს გაბედულ თხოვნას, მით უმეტეს პასუხობს ზეციერი მამა თავის შვილებს!

იესოს სწავლება ლოცვის შესახებ (გაგრძელება)

იესოს სწავლება გაბედული ლოცვის შესახებ (გაგრძელება)

ლოცვა არის ურთიერთობა.

თუ ღმერთს სურს უპასუხოს თავისი შვილების ლოცვებს, რატომ აგვიანებს მისი პასუხი ზოგჯერ? „ითხოვეთ, ეძებეთ და აკაკუნეთ“ ეს არის ბრძანებები აწმყო დროში. ისინი გულისხმობენ, რომ ჩვენ უნდა განვაგრძოთ თხოვნა, ძებნა და კაკუნა. რატომ?

ერთი მიზეზი ის არის, რომ ლოცვა უფრო მეტია, ვიდრე მოთხოვნების ჩამონათვალი. ლოცვა არის უწყვეტი ურთიერთობა ჩვენს ზეციერ მამასთან. ისევე, როგორც პავლემ გვიბრძანა: „ილოცე განუწყვეტლივ.“ (1 თესალონიკელთა 5:17). იესო გვიბრძანებს, განვაგრძოთ თხოვნა, ძიება და კაკუნა. ღმერთთან ამ

„ლოცვა არ ნიშნავს ნივთების თხოვნას და იმის მიღებას, რაც გვსურს. ლოცვა ნიშნავს ღმერთისადმი თხოვნას და იმის მიღებას, რაც გვჭირდება.“ - ფილიპ იენსი

უწყვეტი საუბრით ჩვენი ურთიერთობა უფრო ღრმავდება. ლოცვა უფრო მეტია, ვიდრე მოთხოვნების ჩამონათვალი; ლოცვა არის ურთიერთობა.

იგავი დაჟინებული ლოცვის შესახებ

ლუკა 17 – ში ფარისევლებმა იესოს ჰკითხეს, თუ როდის მოვიდოდა ღვთის სამეფო. მან უპასუხა, რომ ისინი არ უნდა ელოდონ თვალსაჩინო ნიშნებს. ამის ნაცვლად, „თვითონ თქვენშია ღმერთის სამეფო“ (ლუკას 17:20-21). ღვთის სამეფო უკვე არსებობდა მათში, ვინც იესოს მიჰყვებოდა.

შემდეგ იესო მიუბრუნდა თავის მოწაფეებს და ასწავლა მათ ღვთის სამეფოს შესახებ. ისინი მოელოდნენ, რომ იესო დაუყოვნებლივ დაამყარებდა პოლიტიკურ სამეფოს, მაგრამ იესომ მოამზადა ისინი ლოდიანისთვის თავის სიკვდილის შემდეგაც კი. ლოდიანის დროს მათ უნდა გაეგრძელებინათ დაჟინებითი ლოცვა და „არ მოეწყინათ.“ შემდეგ იესომ თქვა ამბავი ერთგული ლოცვის შესახებ.

► წაიკითხეთ ლუკას 18:1-8.

მრავალ ანტიკურ ქალაქში მოსამართლეები არაკეთილსინდისიერები იყვნენ. კერავინ შეძლებდა მოსმენის მიღებას, სანამ ქრთამს არ გადაიხდიდა. ერთ ქვრივს მოსამართლისთვის მისაცემი ქრთამის ფული არ ჰქონდა, ამიტომ მან უარი თქვა მისი საქმის განხილვაზე. ამასთან, ამ დაჟინებულმა ქალბატონმა უარი თქვა დანებებაზე. ბოლოს, უსამართლო მოსამართლემ თქვა: „რაკი ეს ქვრივი აღარ მასვენებს, დავიცავ, რომ აღარ მოვიდეს და არ გამტანჯოს.“

ეს იგავი იყენებს იგივე „უფრო მეტისკენ“ სტილს, როგორც იგავი გაბედული მეზობლის შესახებ. როცა წაიკითხავ ამ იგავს, გაიგებ:

- ღმერთი არ არის უსამართლო მოსამართლე. ჩვენს მამას სურს, რომ „სამართალი მისცეს თავის რჩეულებს.“
- ჩვენ არ ვართ ქვრივი. ის უცხო იყო; ჩვენ ღმერთის შვილები ვართ.
- მან ვერ მიიღო მოსამართლესთან მისადგომი; იესოს მეშვეობით, ჩვენ ღმერთთან გვაქვს წვდომა.

„ლოცვა არ სძლევს
ღვთის
წინააღმდეგობას.
ლოცვა ინახავს
ღვთის მზაობას.“
- მარტინ ლუთერი

ეს არის კონტრასტების იგავი. თუ უსამართლო მოსამართლემ უპასუხა დაჟინებულ ქვრივს, მით უმეტეს, ჩვენი ზეციერი მამა უპასუხებს შვილების ლოცვებს.

იგავი თავმდაბალი ლოცვის შესახებ

► წაიკითხეთ ლუკას 18:9-14.

იესოს შემდეგი იგავი ლოცვის შესახებ არის „მათთვის, ვინც თავდაჯერებულია და მიაჩნიათ, რომ ისინი მართლები არიან და სხვებს ზიზღით ეპყრობიან.“ ეს იგავი გვასწავლის სათანადო დამოკიდებულებას ლოცვაში.

იგავის მთავარი აზრი ბოლოს არის: „ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, და ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება.“ ფარისევლებს ეგონათ, რომ ლოცვებზე პასუხებს იღებდნენ მათი სიმართლის გამო. იესო აჩვენებს, რომ ლოცვაზე პასუხები მოდის ღვთის წყალობის გამო მათთვის, ვისაც საკუთარი სიმართლე არ აქვს. არავინ იმსახურებს ნაპასუხებ ლოცვებს; ღმერთი პასუხობს ლოცვას მისი წყალობით, მათ, ვინც არაფერს იმსახურებს.

განცხადება: ლოცვა ქრისტიანის ცხოვრებაში

ქრისტეს მსგავსი ხალხი ლოცვის ხალხია. ლივერპულის მეცხრამეტე საუკუნის ეპისკოპოსმა ჯეი. სი. რაილმა შეისწავლა დიდი ქრისტიანების ცხოვრება მთელი ისტორიის მანძილზე. მისი თქმით, ზოგი მდიდარი იყო, ზოგი ღარიბი. ზოგი განათლებული იყო; სხვები გაუნათლებელი. ზოგი კალვინისტი იყო; ზოგიც არმინიელები. ზოგი წირვას იყენებდა; ზოგი თავისუფალი იყო. “მაგრამ მათ ყველას ერთი საერთო ჰქონდათ. ისინი ყველანი ლოცვის მამაკაცები იყვნენ.”¹¹

ეკლესიის ისტორიის განმავლობაში ქრისტეს მსგავსი ადამიანები ლოცვის ხალხი იყვნენ. ე.მ. ბონდსი, დიდი ქრისტიანი ლიდერი, ყოველ დილით 4:00 - დან 7:00 საათამდე ლოცულობდა. მან დაწერა: „სულიწმიდა არ მიედინება მეთოდების საშუალებით, არამედ ადამიანების საშუალებით. ის მექანიზმებზე კი არ მოდის, არამედ ადამიანებზე. ის არ სცხებს გეგმებს, არამედ მამაკაცებს - ლოცვით მამაკაცებს.”¹²

ჯორჯ მიულერმა ობლების თავშესაფრები მოაწყო ათასობით ბავშვისთვის. მან გადაწყვიტა, რომ არასდროს სთხოვდა დახმარებას სხვა ადამიანებს, მაგრამ მხოლოდ ლოცვას დაეყრდნობოდა. მან მხოლოდ ლოცვით 7,000,000 აშშ დოლარი მიიღო. იგი არა მარტო მხარს უჭერდა თავის ობლების თავშესაფრებს, არამედ მიულერმა ათასობით დოლარი მისცა სხვა მსახურებებს. ჯორჯ მიულერმა იცოდა ლოცვის ძალა.

რატომ ვლოცულობთ?

ჩვენ ვლოცულობთ, რადგან ღმერთზე ვართ დამოკიდებულნი.

მის ადამიანურობაში იესო ეყრდნობოდა ლოცვას მამასთან კომუნიკაციისთვის. ლოცვა არის ღმერთზე დამოკიდებულების აქტი. ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენ საკუთარ თავს კი არ უნდა დავყრდნოთ, არამედ ღმერთს.

¹¹ ციტირებულია Matt Friedeman, *The Accountability Connection* (Wheaton, Illinois: Victor Books, 1992), 37

¹² Edward M. Bounds, *Power Through Prayer* (Kenosha, Wisconsin: Treasures Media, n.d.), 2

► წაიკითხეთ მათეს 26:31-46.

სიმონ პეტრეს დაცემა აჩვენებს ლოცვის მნიშვნელობას. იესომ მოწაფეები გააფრთხილა: „თქვენ ყველანი დაიფანტებით ჩემს გამო ამ ღამეს.” უფრო პირდაპირ, იესომ გააფრთხილა პეტრე: „სიმონ, სიმონ! აჰა, სატანამ მოითხოვა, რომ ხორბალივით გაგცხრილოთ” (ლუკას 22:31). პეტრე დაეცა ორი სისუსტის გამო.

„თუ ლოცვის გარეშე რამის გაკეთება შეგიძლია, ნამდვილად ღირს ამის გაკეთება? ”

- დოქტორი ჰოვარდ ჰენდრიქსი

1. **პეტრე ზედმეტად თავდაჯერებული იყო.** ის დაჟინებული იყო: „თუნდაც, რომ ისინი ყველანი გაიფანტონ შენს გამო, მე არასდროს გავიქცევი ... მაშინაც კი, თუ შენთან ერთად უნდა მოვკვდე, არ უარგყოფ!” (მათეს 26:33, 35). სიამაყე აძლევდა პეტრეს ზესმეტად დიდ თავდაჯერებულობას.
2. **პეტრემ ვერ ილოცა.** რადგან საკუთარ ძალებში იყო დარწმუნებული, პეტრე ღმერთზე არ იყო დანდობილი. ნაცვლად იმისა, რომ იესოს ლოცვაში შეერთებოდა, პეტრეს ეძინა. ჩვენ ყველაზე გულწრფელად ვლოცულობთ, როდესაც ვაცნობიერებთ ჩვენს სრულ დამოკიდებულებას ღმერთზე. დიკ ისტმანმა დაწერა: „მხოლოდ ლოცვით უქვემდებარებთ ჩვენს პრობლემებს მთლიანად ღმერთს.”¹³

ჩვენ ვლოცულობთ, რათა უფრო სრულად შევიცნოთ ღმერთი.

თანამედროვე ეკლესიის ერთ-ერთი დიდი სისუსტეა ღმერთის ჩვენი ზედაპირული ცოდნა. ძალიან ხშირად, ჩვენი ლოცვის თხოვნები მხოლოდ მატერიალური საჭიროებებისგან და პიროვნული დაკმაყოფილებისაგან შედგება. ბევრი ჩვენგანი მეტ დროს უთმობს ლოცვას: „ღმერთო, გთხოვთ, დაეხმარე ჩემს შვილებს კარგი სამსახურის პოვნაში” ვიდრე: „ღმერთო, გთხოვ, ჩემი შვილები ჩამოაყალიბე შენი ხატების მსგავსად.” ჩვენ უფრო გულწრფელად ვლოცულობთ ფიზიკური განკურნებისათვის, ვიდრე სულიერისათვის. ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად ნაკლებად გვესმის ლოცვის რეალური მნიშვნელობა.

ჩვენ ლოცვას ვუყურებთ, როგორც საშუალებას, რომ საკუთარი თავისთვის მივიღოთ რამე; ლოცვის შესახებ ბიბლიური იდეა ისაა, რომ ჩვენ თავად ღმერთი შევიცნოთ.”

- ოსვალდ კამერსი

ლოცვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ღმერთის უფრო სრულყოფილად შეცნობაა. ლოცვაში ღვთის გულთან ჰარმონიულობაში მოვდივართ. ლოცვა არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთმა გააკეთოს ის, რაც ჩვენ გვინდა. ლოცვა გვაძლევს ღვთის გულის შეცნობას, სანამ არ მოვინდომებთ იმას, რაც მას სურს.

¹³ Dick Eastman, *The Hour That Changes the World* (Grand Rapids: Baker Book House, 1995), 12

როდესაც ამ მომენტს ჩავწვდებით, იესომ თქვა: „ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ, და მოგეცემათ“ (მარკოზის 11:24). იმიტომ, რომ ჩვენი გული შეწყობილია ღმერთის გულთან, ჩვენ არ მოვითხოვთ არასწორი მოტივებიდან, ან ღვთის ნების საწინააღმდეგოდ (იაკობის 4:3 და 1 იოანეს 5:14). ღვთის გულის ეს ცოდნა თანმიმდევრული ლოცვით მოდის.

პურიტანებმა თქვეს, რომ ჩვენ უნდა „ვილოცოთ, სანამ არ ვილოცებთ.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ უნდა ვილოცოთ საკმარისად დიდხანს და მოთმინებით, რომ გადავლახოთ ცარიელი სიტყვები და შევიდეთ ღვთის თანდასწრებაში. ჩვენ უნდა ვილოცოთ, სანამ არ ვიხარებთ ღმერთში.

► მოყვებით იმ პერიოდის შესახებ, როდესაც ლოცვამ უფრო ღრმად გაგაცნოთ ღმერი და მისი ნება.

როგორ ვლოცულობთ?

იესოს ლოცვის მაგალითის შესწავლით მნიშვნელოვან გაკვეთილებს ვიღებთ ეფექტური ლოცვის შესახებ.

ჩვენ მოთმინებით ვლოცულობთ.

იესო ღვთის ძე იყო. შესაძლოა მოლოდინი გვექონდეს, რომ მისი ლოცვითი ცხოვრება მარტივი სიტყვებისგან შედგება: „მამა, რა გსურს, რომ გავაკეთო?“ და დაუყოვნებლივი პასუხის მიღება! ამის ნაცვლად, ჩვენ ვხედავთ, რომ იესომ მთელი ღამე ლოცვაში გაატარა, სანამ თორმეტს აირჩევდა. ჩვენ ვხედავთ, როგორ იბრძვის ის ლოცვაში გეთსიმანიის ბაღში. ლოცვა, თუნდაც იესოსთვის, მოითხოვდა მოთმინებას და დროს. ლოცვა ღმერთის დალოდებაა.

გლენ პატერსონმა ლოცვაში ლოდინის მნიშვნელობის შესახებ დაწერა, „რასაც ღმერთი აკეთებს ჩვენში, სანამ ველოდებით, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, რასაც ველოდებით. ლოდინი არის პროცესი, როდესაც ღმერთი გვაიძულებს ისეთები ვიყოთ, როგორიც მას სურს.“ ღმერთს რომ ველოდებით, ჩვენ უკეთ შევიცნობთ მას.

„ადამიანებმა შეიძლება გააუქმონ ჩვენი მიმართვები, უარყონ ჩვენი გზავნილი, დაუპირისპირდნენ ჩვენს არგუმენტებს, შეიზიზღონ ჩვენი პიროვნებები; მაგრამ ისინი უძლურები არიან ჩვენი ლოცვების წინააღმდეგ“.

- ჯ. სიდლოუ ბაქსტერი

ფსალმუნი 36: 1-9 ასწავლის მნიშვნელოვან გაკვეთილებს ლოცვის შესახებ. გადახედეთ ამ ბრძანებებს:

- ნუ გაბოროტდები.
- მიენდე უფალს.
- ისიამოვნე უფლის მიერ.
- ღმერთს მიახლოე შენი გზასავალი.

- მიენდე მას.
- დაემორჩილე უფალს.
- მოთმინებით დაელოდე მას.
- ნუ განრისხდები.
- არ გაბოროტდე (კვლავ!)

ეს ბრძანებები მიუთითებს მოთმინებით მინდობას ღმერთზე, რომელიც ზრუნავს შენზე და „აგისრულებს გულის საწადელს.“ მოთმინებითი ლოცვით, ჩვენ გავხდებით სანდო ადამიანები, რომლებიც ღმერთს სურს, რომ ვიყოთ.

დაჟინებული ლოცვის მოდელი

ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისში ჯორჯ მიულერმა დაიწყო ლოცვა ხუთი მისი მეგობრის გადარჩენისთვის. მრავალი თვის შემდეგ, ერთი მათგანი უფალთან მოვიდა. ათი წლის შემდეგ კიდევ ორი მათგანი მოაქცია. მეოთხე ადამიანის გადარჩენას ოცდახუთი წელი დასჭირდა.

მიულერი სიკვდილამდე დაჟინებით ლოცულობდა, მეხუთე მეგობრისთვის. ორმოცდათორმეტი წლის განმავლობაში ის არასოდეს დანებებულა ლოცვაში, რომ ამ მეგობარს ქრისტე მიეღო! მიულერის დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ მეხუთე მეგობარმაც მიიღო გადაარჩენა. მიულერს სწამდა დაჟინებული ლოცვის.

ჩვენ მორჩილად ვლოცულობთ.

იესო ლოცულობდა: „იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი“ (ლუკას 22:42). იესომ იცოდა, რომ მას შეეძლო მამის სრულყოფილი ნების ნდობა.

ლოცვა თავმდაბლობის აქტია. ჩვენ სხვებისთვის ვლოცულობთ, რადგან მათ ვერ დავეხმარებით ჩვენი სიბრძნით; ჩვენ ღმერთს უნდა ვენდოთ. ჩვენ თვითონ ვლოცულობთ, რადგან ჩვენი ძალებით ვერ ვმართავთ ცხოვრებას; ჩვენ ღმერთს უნდა ვენდოთ.

ლოცვა აღიარებს ჩვენს საჭიროებას ღმერთის დახმარებაში. როდესაც დარწმუნებულნი ვართ, რომ შეგვიძლია გავუმკლავდეთ ცხოვრებისეულ პრობლემებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გულწრფელად ვილოცოთ. როდესაც ვაღიარებთ, რომ ცხოვრებას საკუთარი ძალებით ვერ ვმართავთ, მორჩილად ვლოცულობთ.

ჩვენი ლოცვა უნდა შესრულდეს „სარწმუნო მორჩილებით.“ როდესაც ველოდებით ღვთის პასუხს, შეგვიძლია დარწმუნება და მშვიდობა გვქონდეს, რადგან ვლოცულობთ ზეციერი მამის წინაშე, რომელსაც ვუყვარვართ და თავისი შვილებისთვის საუკეთესო სურს. სიცოცხლისა და მსახურების სიძნელეების დროს, მორჩილი ლოცვა ღმერთისადმი მშვიდ ნდობას გვანიჭებს.

ჩვენ პიროვნულად ვლოცულობთ.

იესომ თავის მოწაფეებს ასწავლა, რომ ლოცვა დაეწყოთ ღმერთისადმი პირადად მიმართვით: „მამაო ჩვენო.“ ჭეშმარიტი ლოცვა პიროვნულია. პოლ მილერმა დაწერა: „ბევრ ადამიანს უჭირს ისწავლოს ლოცვა, რადგან ისინი ყურადღებას ამახვილებენ ლოცვაზე და არა ღმერთზე.“¹⁴ ძალიან ხშირად ჩვენ „ვამბობთ ლოცვებს“, იმის ნაცვლად, რომ ვესაუბრობთ ღმერთს. ამაშია იესოს გაფრთხილების საფუძველი, რომ არ გამოიყენოთ „ამაო სიტყვები“ (მათეს 6:7).

წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც სასადილო მაგიდასთან მიდის დამახსოვრებული გამოსვლების ნაკრებით. ის ამბობს: „მსურს ვესაუბრო ჩვენს ოჯახს, ამიტომ მოვამზადე დამახსოვრებული სიტყვები.“ ეს არ არის ნამდვილი საუბარი! ჩვენ მოლოდინი გვაქვს, რომ ადამიანი ყურადღებას გაამახვილებს სუფრასთან მსხდომებზე და არა სიტყვებზე, რომლებსაც ის გამოიყენებს.

ანალოგიურად, ლოცვა ყურადღებას ამახვილებს ღმერთზე და არა დამახსოვრებელ სიტყვებზე. ლოცვა არ არის სისტემა; ლოცვა არის ურთიერთობა. ლოცვა უნდა იყოს პიროვნული.

როგორ ვხდებით ლოცვის ადამიანები?

მეხუთე საუკუნეში, რომაელმა დიდგვაროვანმა ქალბატონმა ანიკია ფალტონია პრობამ, რჩევა სთხოვა ავგუსტინეს, ლოცვის შესახებ. პრობას სურდა ცოდნოდა, როგორ გამხდარიყო ლოცვის ადამიანი. ავგუსტინემ დაწერა გრძელი წერილი ბრძნული რჩევებით ლოცვის შესახებ.¹⁵ ამ ნაწილში ჩვენ შევისწავლით ავგუსტინეს ლოცვის პრინციპებს.

როგორი ადამიანი შეიძლება გახდეს ლოცვის ადამიანი?

პირველ რიგში, ავგუსტინე ამბობს, რომ მლოცველი ადამიანი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც სხვა რესურსი არ აქვს. მლოცველი ადამიანია, ვინც მარტო ლოცვას ეყრდნობა.

პრობა რომის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და შეძლებული კაცის ქვრივი იყო. მისი სამი ვაჟი მსახურობდნენ რომის კონსულებად. ავგუსტინემ უთხრა პრობას, რომ მას „თავი უნდა ჩაეთვალა ამ სამყაროში მიტოვებულად.“ რაც არ უნდა მდიდარი, ძლიერი და წარმატებული ვიყო, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი უმწეობა ღმერთის წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ლოცვები ფარისეველთა ლოცვებს უფრო დაემსგავსება, ვიდრე მებაქეების ლოცვებს.

¹⁴ Paul E. Miller, *A Praying Life: Connecting with God in a Distracting World* (Colorado Springs: NavPress, 2009)

¹⁵ Philip Schaff, ed. *The Confessions and Letters of St. Augustine: Nicene and Post-Nicene Fathers, First Series, Volume I* (Buffalo, New York: Christian Literature Publishing Company, 1886), 459-469

რისთვის უნდა ვილოცოთ?

ავგუსტინე საკვირველ პასუხს აძლევს პრობას. ის ამბობს: „ილოცე ბედნიერი ცხოვრებისთვის“. ეს შეიძლება ეგოისტურად ჟღერდეს, მაგრამ ავგუსტინე განმარტავს, რომ ნამდვილი ბედნიერება მხოლოდ ღმერთისგან მოდის. „ჭეშმარიტად ბედნიერია ადამიანი, რომელსაც აქვს ყველაფერი, რაც სურს ჰქონდეს და არ სურს ჰქონდეს ისეთი რამ, რაც არ სურს.“

ქრისტიანი ბედნიერია, რადგან მას ღმერთი ჰყავს და არ სურს ჰქონდეს არაფერი ისეთი, რაც ღმერთს არ სურს, რომ მას ჰქონდეს. მეფსალმუნეს მსგავსად, ჩვენც კმაყოფილნი ვართ ღვთის თანდასწრებით.

ერთსა ვთხოვ უფალს, ამას ვევედრები, რომ დავემკვიდრო უფლის სახლში მთელი ჩემი სიცოცხლე, ვუმზერდე უფლის სიმშვენიერეს და მის ტაძარში ფიქრს ვემლეოდე (ფსალმუნის 26:4).

თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს ღმერთის თანდასწრება, ყველაფერზე მეტად, შეგვიძლია ვილოცოთ ბედნიერებისთვის, რადგან ვიცით, რომ ღმერთი დააკმაყოფილებს ჩვენს სანუკვარ სურვილს, თავისი თავის ჩვენდამი მიძღვნივით!

როგორ უნდა ვილოცოთ გასაჭირის დროს?

ავგუსტინე პრობას ახსენებს, რომ პავლეს ესმოდა, რომ იქნებოდა დრო, როდესაც „ჩვენ არ ვიცით, რაზე, ან როგორ უნდა ვილოცოთ“ (რომაელთა 8:26). როგორ ვლოცულობთ, როდესაც უმწეო მდგომარეობაში ვვარდებით?

ავგუსტინე წმიდა წერილის სამ ადგილს მიმართავს. პირველი, ის პავლეს მაგალითზე მიუთითებს, როდესაც ის ლოცულობდა „სხეულის ეკლისგან“ განთავისუფლებისთვის. განთავისუფლების ნაცვლად, ღმერთმა აღუთქვა: „საკმარისია შენთვის ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა.“ პავლემ დაამოწმა: „ამიტომ უფრო ხალისით დავიკვებნი ჩემს უძლურებებში, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში ... ვინაიდან როცა უძლური ვარ, მაშინ ვარ ძლიერი“ (2 კორინთელთა 12:8-10).

მეორე, ავგუსტინე მიუთითებს იესოს მაგალითზე გეთსიმანიაში. იესომ ღმერთს წარუდგინა თავისი სურვილები. იესო ლოცულობდა: „მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი.“ მაგრამ ის ასკვნის: „თუმცა იყოს არა ჩემი ნებისამებრ, არამედ შენი ნებისამებრ“ (მათეს 26:39).

და ბოლოს, ავგუსტინე მიუთითებს რომაელთა 8:26 -ზე. როდესაც არ ვიცით როგორ ვილოცოთ, სულიწმიდა წარმართავს ჩვენს გულებს. სული „გვეხმარება ჩვენს უძლურებაში“ და „შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით.“ როდესაც სიტყვებს მიღმა ვართ, სულიწმიდა აწვდის ჩვენს ლოცვებს მამას, რომელიც იღებს მათ და

„ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველივეს სასიკეთოდ გვაწევს” (რომაელთა 8:26-28).

დასკვნა: როდესაც თქვენ არ იცით როგორ ილოცოთ

ზოგჯერ დუმილი საუკეთესოა, რაც შეგიძლია გააკეთო.¹⁶ გინდა ილოცო, მაგრამ არ იცი როგორ; ლოცვები არ მოდის. რას გააკეთებ? საიდუმლო იმის გაგებაშია, რომ ქრისტე ჩვენი დიდი მღვდელმთავარი.

როგორც სახარებისეულ ქრისტიანებს, ჩვენ გვჯერა ყველა მორწმუნის მღვდლობის. ეს დიდი რეფორმაციული დოქტრინა გვასწავლის, რომ თითოეულ ჩვენგანს აქვს მამისადმი მისადგომელი. ამასთან, არასწორად გაგების შემთხვევაში, ამ მოძღვრებამ შეიძლება გამოიწვიოს სულიერი ბრძოლა. შეიძლება ექვი დამეუფლოს: „საკმარისად ვილოცე? მე ნამდვილად შევიტანე წვლილი?”

2013 წელს გამართულ კონფერენციაზე პროფესორმა ალან ტორანსმა დაამოწმა ამ კითხვების გარშემო მისი ბრძოლის შესახებ.

2008 წლის იანვარში, ჩემი მეუღლე ჯეინი სიმსივნით გარდაიცვალა. ის იყო ყველაზე მშვენიერი ქრისტიანი ქალი, ცოლი და დედა. რთული იყო იმის ყურება, თუ როგორ კვდება ტკივილებით, რადგან კიბო ვრცელდებოდა მის სხეულში და უკიდურესად ძნელი იყო იმის დანახვა, რომ ჩვენი შვილები ხედავდნენ მის ტანჯვას. იყო დრო, როდესაც ჩემს მწუხარებაში მთელი ძალით ვცდილობდი გამეგო როგორ მელოცა და რისთვის მელოცა. არ ვიცოდი როგორ მელოცა.

იმ დროს ქრისტეს მღვდლობა უფრო აქტუალური გახდა, ვიდრე შემიძლია გადმოცემა. როდესაც ჯეინი ხელში მყავდა აყვანილი, ამაღლებული მღვდელი (იესო ქრისტე) შუამდგომლობდა ჩვენთვის. შეგვეძლო დაგვესვენა მის თანდასწრებაში.

ლოცვა, რომელსაც იმ პერიოდში ვასრულებდი, იყო მამაო ჩვენო. მე არ ვყოფილვარ მიტოვებული ლოცვაში მარტო. „მამაო ჩემო, რომელიც ხარ ცათა შინა - შორს ხარ იქიდან, სადაც მე ვარ.” ამის ნაცვლად, სულიწმიდის საშუალებით ვლოცულობდი: „მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი; მოვიდეს მეფობა შენი, და იყოს ნება შენი.”

ქრისტეს მუდმივი მღვდლობის მნიშვნელობის აღმოჩენა ნიშნავს სახარების აღმოჩენას ისე, რომ გარდაიქმნება ჩვენი ცხოვრების და თაყვანისმცემლობის ყველა ნაწილი.

¹⁶ ეს ნაწილი ადაპტირებულია Marc Cortez, *Everyday Theology*

ჩვენ არასწორად გვესმის ყველა მორწმუნის მღვდლობა, როდესაც ვფიქრობთ, რომ ეს ნიშნავს, რომ მამას ჩვენი სულიერი ძალით უნდა მივაღწიოთ. ეს შეცდომაა. ყველა მორწმუნის მღვდლობა ხაზს უსვამს იმას, რომ *ქრისტეს გარდა სხვა შუამავალი არ გვჭირდება*. ის არის ის, ვინც შუამდგომლობს ჩვენთვის, იღებს ღოცვის ჩვენს უთავბოლო მცდელობებს და მამას წარუდგენს მათ, როგორც მისაღებ მსხვერპლს. ჩვენს ღოცვას სული აძლიერებს და შუამდგომლობს ჩვენი მღვდელმთავარი, იესო ქრისტე.

როდესაც არ იცი როგორ ილოცო, უიმედობა ნუ დაგეუფლება. ჩვენ გვყავს ის, ვინც ღოცულობს ჩვენთვის, მუხლმოდრეკილია ჩვენს გვერდით, შუამდგომლობს მამასთან და ამბობს იმას, რისი თქმაც არ შეგვიძლია.

გაკვეთილი 2 დავალებები

(1) ანბანური საძიებლის ან ბიბლიის საძიებო პროგრამის გამოყენებით, იპოვნეთ ბიბლიაში ლოცვის სამი მაგალითი. შეადარეთ თითოეული ლოცვა მამაო ჩვენოს ლოცვას. მამაო ჩვენოს ლოცვის რომელი ელემენტები გვხვდება სხვა ბიბლიურ ლოცვებში? გამოიყენეთ ცხრილი შემდეგ გვერდზე, რომ დააფიქსიროთ ის, რასაც ხედავთ.

(2) აწარმოეთ ლოცვის ჟურნალი ერთი თვის განმავლობაში. ჩაწერეთ თქვენი იმედგაცრუებები ლოცვაში, თქვენი გამარჯვებები ლოცვაში და ღმერთის პასუხები ლოცვაზე. გამოიყენეთ ეს ჟურნალი, რათა ხელი შეუწყოთ თქვენი ლოცვითი ცხოვრების ზრდას.

ბიბლიური ლოცვა	წმიდა წერილი	ლოცვის საფუძვლები
ნეემიას ლოცვა	ნეემიას 1:5-11	<ul style="list-style-type: none"> • ურთიერთობა: „იცავს აღთქმას“ • პატივისცემა: „დიადი და საოცარი ღმერთი“ • წარდგენა: „შენი მსახურის ლოცვა“ • უზრუნველყოფა: „წარმატება მიანიჭე შენს მსახურს“ • აღსარება: „ისრაელიანების ცოდვების აღიარება“

გაკვეთილი 3

წინამძღოლობა იესო ქრისტეს მსგავსად

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- (1) აღიაროს ის თვისებები, რამაც იესო დიდ ლიდერად აქცია.
- (2) გაითვალისწინოს ღმერთის მიერ მოცემული მისია და მოწოდება მისი ყოველდღიური პრიორიტეტების დასადგენად.
- (3) შეიმუშავოს მომავალი ლიდერების მომზადებისა და მსახურების გუნდის შექმნის პროცესი.
- (4) დააფასოს თავისი როლი, როგორც ხალხის მსახურის, რომელსაც ხელმძღვანელობს.

მსახურების პრინციპი

ლიდერები ყველაზე მეტად ჰგვანან იესოს, როდესაც ისინი სხვებს ემსახურებიან.

შესავალი

„ლიდერობა“ არის სიტყვა, რომელიც ძლიერ გრძნობებს იწვევს. როდესაც ამქვეყნიურად მოაზროვნე ადამიანები ფიქრობენ ხელმძღვანელობაზე, ისინი ფიქრობენ ძალასა და თანამდებობაზე. იყო ლიდერი, ესე იგი იყო „ბოსი.“ ამბიციურ ლიდერებს სურთ „კიბეზე ასვლა“ და უმაღლესი ტიტულის მოპოვება. პასტორებსაც კი შეიძლება გაუჩნდეთ ეს აზროვნება. მათ შეიძლება ყურადღება გაამახვილონ უფრო დიდი ეკლესიების მიღწევაზე, მაღალი პოზიციებისა და მეტი პატივისცემის მიღებაზე.

ამქვეყნიური აზროვნების საპასუხოდ, ზოგი ქრისტიანი რეაგირებს ტერმინ „ხელმძღვანელობის“ წინააღმდეგ. ერთხელ პასტორმა მითხრა: „არ მსურს ჩემს ეკლესიაში ხელმძღვანელი ვიყო. მე უბრალოდ ვმსახურობ.“ თუმცა, მართალია, მისი სიტყვები მოკრძალებულად ჟღერდა, მაგრამ მის ეკლესიას არც მიმართულება ჰქონდა და არც მიზანი. ყველა ორგანიზაციას, ეკლესიებსაც კი სჭირდებათ ლიდერები.

პასტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ სიტყვა „პასტორის“ ძირეული მნიშვნელობაა „მწყემსი.“ მწყემსს არ აქვს ძალიან შთამბეჭდავი სამუშაო! მწყემსი მთელ დღეებს სუნიან ცხვრებთან ერთად ატარებს. მის საქმიანობაში მოსაწყენი მოვალეობებია - საჭმლისა და წყლის მოძიება, მოხეტიალე ბატკნების დევნა და დამავებულ ცხვარზე ზრუნვა.

მწყემსს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მწყემსი ბევრ მდაბალ საქმეს ასრულებს, მაგრამ მწყემსი ასევე ატარებს მძიმე პასუხისმგებლობას ფარის უსაფრთხოდ წარმართვისთვის. ფარა დამოკიდებულია მწყემსზე, რომელიც წინამძღოლია.

ესო წარმოადგენს ჭეშმარიტი ლიდერის იდეალურ მოდელს. ის იყო მწყემსი, რომელიც თავმდაბლად, მაგრამ მიზნის ღრმა გაგებით მსახურობდა. ის ძლიერი, მაგრამ თანაგრძნობით სავსე იყო. ის არ ეძებდა თანამდებობას, მაგრამ დარწმუნებული იყო თავის მისიაში. ესო გვაძლევს მსახური ლიდერების მაგალითს.

► გაიხსენეთ ყველაზე წარმატებული ლიდერი, რომელსაც პირადად იცნობდით. ჩამოთვალეთ სამი ან ოთხი მახასიათებელი, რომელიც ამ ადამიანს კარგ ლიდერად ხდის. ჩანს ეს მახასიათებლები იესოს მსახურებაში? ჩანს ეს მახასიათებლები თქვენს მსახურებაში?

ესო აჩვენებს, რომ ჭეშმარიტი ხელმძღვანელობა თავმდაბალ მომსახურებას გულისხმობს. თავმდაბლობა არ ნიშნავს სისუსტეს ან გადაუწყვეტელობას; იესო იყო ძლიერი. სახარებები არა ერთ გზის წარმოაჩენენ იესოს ძალაუფლებას.¹⁷ ამასთან, იესომ ძალაუფლება მოიპოვა არა პატივისცემის მოთხოვნით, არამედ მსახურებით. როდესაც მისი მოწაფეები კამათობდნენ სამეფოში თანამდებობებზე, იესომ თქვა:

წარმართებზე მეფეები ბატონობენ და მათი ხელმწიფენი მწყალობლებად იწოდებიან. თქვენ კი ასე როდი ხართ. თქვენს შორის დიდი იყოს როგორც მცირე, ხოლო უფროსი - როგორც მსახური. რადგან ვინ არის უფრო დიდი: მეინახე თუ მსახური? განა მეინახე არა? მე კი თქვენ შორის ვარ, როგორც მსახური (ლუკას 22:25-27).

ამ გაკვეთილზე ჩვენ გავეცნობით იმ მახასიათებლებს, რომლებმაც იესო დიდ ლიდერად აქცია. ჩვენ ვისწავლით, თუ როგორ ვიყოთ უფრო ეფექტური ლიდერები, იესოს მაგალითზე.

ეფექტურმა ქრისტიანმა ლიდერმა იცის თავისი მისია

დიდ ლიდერს აქვს მკაფიო მისია და მიზანმიმართულად არის მასზე ორიენტირებული. იესომ იცოდა თავისი მისია. იესოს მისია შეჯამებულია მარკოზის 10: 45-ში: „რადგან მე კაცისა იმისთვის როდი მოსულა, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად ემსახუროს და მრავალთა გამოსასყიდად მისცეს თავისი სული.“

თავის პირველ საჯარო ქადაგებაში იესომ თავის მსმენელებს უთხრა, რომ ესაიას მიერ ნაწინასწარმეტყველები მისიის შესასრულებლად მოვიდა:

¹⁷ მათეს 7:28-29; მარკოზის 1:22-28; ლუკას 4:32-36; ლუკას 20:1-8

უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად (ლუკას 4:18-19, ესაიას 61: 1-3).

იესოს მისია ხელმძღვანელობდა მის ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს. როდესაც ის იუდეიდან გალილეაში გაემგზავრა, მისი მისია ხელმძღვანელობდა იესოს კურსს. ებრაელი რაბინები ხშირად მოგზაურობდნენ მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ მხარეს, რათა თავი აერიდებინათ სამარიელებისგან წაბილწვას. იესოს კურსს ხელმძღვანელობდა მისია, რათა სამარიელი დედაკაცისთვის „უფლის სასურველი წელიწადი“ გაეცხადებინა. ამისთვის „მას სამარიაზე მოუხდა გავლა“ (იოანეს 4:4,.). როგორც ქრისტიან ლიდერს, თქვენი მისია უნდა გიდევდეს თქვენს ყოველდღიურ გადაწყვეტილებებში.

როგორც ლიდერს, იმაზე გაცილებით მეტი საკეთებელი გექნებათ, ვიდრე ოდესმე შეძლებთ. როგორ განსაზღვრავთ თქვენს პრიორიტეტებს? თქვენ ვერ შეძლებთ გააკეთოთ ყველაფერი და არც უნდა გააკეთოთ ყველაფერი. თქვენ უნდა შეაფასოთ შესაძლებლობები თქვენი მისიით. ყველა ლიდერს უნდა ჰქონდეს ორი სია: „გასაკეთებელი“ და „არ გასაკეთებელი“ სია. „გასაკეთებელ“ სიაში შედის ის, რაც უნდა შეასრულოთ. „არ გასაკეთებელი“ სია მოიცავს ისეთ რამეებს, რაც ხელს გიშლით თქვენს მისიაში. შეიძლება ვინმე სხვა იყოს მოწოდებული ამ საქმეების გასაკეთებლად, მაგრამ თქვენ არა. თქვენი მისია უნდა განსაზღვრავდეს თქვენს ყოველდღიურ პრიორიტეტებს.

მოციქული პავლე იყო ლიდერობის ეტალონი, მან იცოდა თავისი მისია. პავლე იყო მოწოდებული ეკლესიების დასაარსებლად რომის იმპერიის მნიშვნელოვან ქალაქებში. მას არ სურდა „სხვის საძირკველზე დაშენება“, არამედ სახარება მიეტანა მათთვის, ვისაც ჯერ არ სმენია (რომაელთა 15:20). მისი მისია განსაზღვრავდა სად ემოგზაურა პავლეს, რამდენ ხანს დარჩენილიყო თითოეულ ადგილას და მის ქადაგებასაც კი. პავლეს მისია განსაზღვრავდა ყველა გადაწყვეტილებას.

► განიხილეთ ეს კითხვები:

- რა არის ის მისია, რაც ღმერთმა მოგცათ? შეაჯამეთ თქვენი მისია რამდენიმე სიტყვით.
- გააცანით თქვენი მისია მათ, ვინც თქვენთან ერთად შედის მსახურებაში?
- თქვენი მისია განსაზღვრავს თქვენს ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს?

ეფექტური ქრისტიანი ლიდერი ამზადებს სხვა ლიდერებს

მსახურების დასაწყისიდან იესომ გულდასმით აირჩია მოწაფეების ჯგუფი და ასწავლიდა მათ, რათა მსახურება გაეგრძელებინათ მისი მამასთან დაბრუნების შემდეგ. ეს მოწაფეები მისგან სწავლობდნენ, მასთან ერთად ატარებდნენ დროს, მსახურობდნენ მასთან ერთად

და ავრცელებდნენ მის კეთილ უწყებას მთელს მსოფლიოში. იესომ აღბეჭდა მოწაფეები თავისი ანარეკლით და შემდეგ, ისინი ეკლესიის ასაშენებლად გამოიყენა.

ლუკამ დაწერა მსახურების სიმძიმის შესახებ. „ამასობაში ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი, ისე რომ ერთმანეთს თელავდნენ. იესომ ჯერ თავის მოწაფეებს მიმართა“ (ლუკას 12:1). იესოს ყურადღება ვერ იქნა გადატანილი მოწაფეებისთვის მსახურებიდან, თუმცა ათასობით ადამიანის მსახურება შეიძლება უფრო წარმტაცი ყოფილიყო. მან იცოდა, რომ სამეფოს დასამყარებლად, მას უნდა მოემზადებინა თავისი მოწაფეები, რათა ეკლესიას გაძლოდნენ. მოწაფეების მომზადებით, ჩვენ ვამზადებთ ლიდერებს მომავალი თაობისთვის.

„იესოს არასდროს დაუწერია წიგნები. ამის ნაცვლად მან „დაწერა“ თავისი წერილები ადამიანებზე - მოციქულებზე“.

- უილიამ ბერკლი

პავლე იგივე მაგალითს მისდევდა. ის ხალხს უქადაგებდა, მაგრამ მან ყურადღება გაამახვილა თითოეულ ქალაქში რამდენიმე ლიდერის მომზადებაზე. ეს უზრუნველყოფს მოდელს დღევანდელი ლიდერებისთვის. პავლემ მოუწოდა პასტორებს: „აღჭურვონ წმიდანები მსახურების საქმისთვის“ (ეფესელთა 4:12). პასტორი არ არის პასუხისმგებელი ეკლესიის ყველა საქმეზე; პასტორს ევალება წევრების მომზადება და აღჭურვა, ეკლესიაში საქმიანობისთვის. ეფექტური ლიდერები ამზადებენ სხვა ლიდერებს.

იესოს მოწაფეების დამოძღვრის მოდელი

მენტორმა, ანუ მოძღვარმა, გულდასმით უნდა აირჩიოს მოწაფეები¹⁸

► წაკითხეთ იოანეს 1:35-51; იოანეს 2:1-11; მათეს 4:18-22; ლუკას 5:1-11; ლუკას 6:12-16.

ამ მუხლების წაკითხვისას, ამჩნევთ პროცესს? საჯარო მსახურების პირველ კვირაში იესომ ანდრიას და იოანეს მიუწოდა, რომ გაყოლოდნენ მას. ანდრიამ სიმონ პეტრე მიიყვანა იესოსთან. იესომ ფილიპეს მოუხმო, რომელმაც ნათანაელი იპოვა (იოანეს 1:35-51). ეს მათი მოწოდების პირველი ნაბიჯი იყო. მათ აღიარეს იესო, მაგრამ ჯერ არ გახდნენ მუდმივი მიმდევრები. ეს იყო მოწოდება, გაყოლოდნენ იესოს. მოგვიანებით, იესომ მათ სრული დროით მოწაფეობისკენ მოუწოდა.

იოანეს მე-2 თავი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ პროცესში. კანაში ქორწილის დროს, იესომ მოწაფეებს „გამოუვლინა თავისი დიდება“. დანარჩენმა სტუმრებმა არ იცოდნენ სასწაულის შესახებ; ეს ნიშანი მოწაფეებისთვის იყო. იესომ თავი გაუცხადა მიმდევრებს, რათა მინდობოდნენ მას. „და იწამეს იგი მისმა მოწაფეებმა“ (იოანეს 2:11).

მათეს 4:18-22-ში მოთხრობილი ხდება მას შემდეგ, რაც იესო ნაზარეთიდან კაპერნაუმში გადავიდა და ქადაგება დაიწყო (მათეს 4:12-17). გალილეის ზღვის პირას სეირნობისას

¹⁸ ადაპტირებულია Robert Coleman, *The Master Plan of Evangelism* (Grand Rapids: Baker Book House, 1963)

იესომ მოუწოდა სიმონს, ანდრიას, იაკობსა და იოანეს, რომ მას გაყოლოდნენ. „მათაც მაშინვე მიატოვეს ბადე და გაჰყვნენ მას“ (მათეს 4:20). იოანეს 1-ში მოთხრობილი პირველი მოწოდების შემდეგ, ამ მოწაფეებმა განაგრძეს თავიანთი საქმიანობა მეთევზეებად. ახლა იესომ მათ მსახურებაში მოუწოდა: „ამიერიდან ადამიანებს დაიჭერთ“ (ლუკას 5:10).

ამ პროცესის შემდეგი ეტაპი იყო იესოს მიერ თორმეტი მოციქულის შერჩევა. მრავალი მიმდევრისგან (იოანე 6 – ში „მოწაფეებად“ მოხსენიებულნი), იესომ აირჩია თორმეტი, რომლებიც გახდებოდნენ მისი უახლოესი თანამშრომლები.

იესო არ ჩქარობდა თორმეტის არჩევისას. როგორც ჩანს, პროცესმა რამდენიმე თვე გასტანა. ამან იესოს დრო მისცა თორმეტიდან თითოეულთან, გარკვეული დროის გასატარებლად. ძალიან ხშირად, ლიდერი სწრაფად ირჩევს მემკვიდრეს, მის გასაცნობად დროის დახარჯვის გარეშე. ბრძენი ლიდერი ადგენს დავალებებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია შეფასდეს პირის ლიდერული შესაძლებლობები.

მენტორმა დრო უნდა გაატაროს თავის მოწაფეებთან

► რომელი უფრო წარმტაცია, ბევრისთვის გადაცემა, თუ რამდენიმე პიროვნების სწავლება? რომელი უფრო მნიშვნელოვანია გრძელვადიან პერსპექტივაში? რატომ ჩადო იესომ ამდენი ძალისხმევა თორმეტში?

იესომ თავისი დროის დიდი ნაწილი დაუთმო თორმეტს. „თორმეტნი აირჩია და უწოდა მათ მოციქულნი, რათა მასთან ერთად ყოფილიყვნენ და საქადაგებლად გაეგზავნა ისინი, და რომ ჰქონოდათ განკურნებისა და ეშმაკების განდევნის ხელმწიფება“ (მარკოზის 3:14-15). პირველ რიგში, მასთან ერთად ატარებდნენ დროს, რათა გაცნობოდნენ მის მეთოდებს. მხოლოდ ამის შემდეგ იყვნენ ისინი მზად მსახურებაში გასაგზავნად.

მარკოზმა ჩაწერა იესოს ერთ – ერთი მოგზაურობა გალილეაში: „მას არ უნდოდა, რომ ვინმეს გაეგო, რადგან ასწავლიდა თავის მოწაფეებს“ (მარკოზის 9:30-31). იესოს მთავარი საზრუნავი იყო არა პროგრამების შემუშავება, რომ მრავალს მიწვდომოდა, არამედ იმ ადამიანების განვითარება, რომლებიც ეკლესიას გაუძღვებოდნენ.

იესო უქადაგებდა ათასობით ადამიანს, მაგრამ მისი მთავარი პრიორიტეტი იყო რამდენიმე ადამიანის მომზადება მომავალი მსახურებისთვის. იესომ იცოდა, რომ სწავლება უფრო ეფექტურია, როდესაც ის მცირე ჯგუფზეა კონცენტრირებული. რობერტ კოულმანი გვაფრთხილებს: „რაც უფრო გაიზრდება თქვენი მსახურება, მით უფრო რთული იქნება დროის გამოყოფა მოწაფეებისთვის. მაგრამ რაც უფრო იზრდება თქვენი მსახურება, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება დრო გამოყოფისთვის.“

სახარების კითხვისას, იხილავთ, რომ იესო იშვიათად მსახურობდა, სულ მცირე, სამი მოწაფის გარეშე. იესო და მისი მოწაფეები ხშირად მიდიოდნენ უდაბნო ადგილებში, მოსამზადებლად. მისი მიწიერი მსახურების დასრულებისკენ, იესო კიდევ უფრო მეტ დროს ატარებდა მოწაფეებთან. იერუსალიმში ბოლო კვირის განმავლობაში იესო

იშვიათად უშვებდა მოწაფეებს თვალთახედვიდან. ამ პიროვნებების მომზადება მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო.

ებრაულ ანდაზში ნათქვამია: „მოწაფე არის ის, ვინც ჭამს თავისი მასწავლებლის მტვერს.“ მოწაფე ისე ახლოს მიდიოდა მასწავლებელთან ერთად, რომ ყლაპავდა მასწავლებლის მიერ სიარულისას გამოწვეულ მტვერს. მოწაფე ჭამდა იმას, რასაც მასწავლებელი ჭამდა; მოწაფე მიდიოდა იქ, სადაც მასწავლებელი წავიდოდა; მოწაფე ერთგულად იღებდა მასწავლებლისგან სწავლებას და მაგალითს. იესოს მიმდევრებმა მასთან ერთად გაატარეს დრო, სანამ მათ მასწავლებლის ბუნება არ მიიღეს. მოგვიანებით მათ „ქრისტიანები“ უწოდეს; ისინი თავის მასწავლებელს დაემსგავსნენ.

ანალოგიურად, პავლეს ყოველთვის თან ჰყავდა მიმდევრები - ტიმოთე, ტიტე, ლუკა და ტვიქიკოსი. პავლე მათ დროს უთმობდა, ასწავლიდა და ამზადებდა მსახურებისთვის.

დღესაც, ეს ჩვენთვის წარმოადგენს ნიმუშს. როდესაც თქვენ მსახურობთ, შეგიძლიათ გაამხნევოთ გუნდის ახალგაზრდა წევრები, რომ გამოგყვნენ თქვენ, ამით ისინი ისწავლიან მსახურებას. ეკლესიის ერთმა წარმატებულმა ლიდერმა თქვა: „მე არასდროს ვმოგზაურობ საქადაგებლად, ახალგაზრდა მსახურების გარეშე. ეკლესიის მომავალი ლიდერების მომზადება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის მსახურება, რომელსაც მე ვეწევი.“ ამ პასტორს ესმის, რომ ეფექტური ლიდერები ამზადებენ სხვა ლიდერებს.

მენტორი თავისი მოწაფეებისთვის უნდა წარმოადგენდეს მსახურების ნიმუშს

მოწაფეებისთვის ფეხების დაბანის შემდეგ, იესომ თქვა: „მაგალითი მოგეცით, რათა როგორც მე მოგექცით, თქვენც ისე მოიქცეთ“ (იოანეს 13:15). იესომ აჩვენა მაგალითი. მან იცოდა, რომ საკმარისი არ იქნებოდა მხოლოდ თქმა: „ასე მოიქცით.“ ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, როგორ უნდა გაკეთდეს ეს. იესო არაფერს თხოვდა თავის მოწაფეებს, სანამ თვითონ არ აჩვენებდა მათ მაგალითს.

მოწაფეებმა დაინახეს იესოს ლოცვა და სთხოვეს: „უფალო, გვასწავლე ლოცვა“ (ლუკას 11:1). იესომ არ ჩაატარა უბრალოდ, „გაკვეთილი ლოცვის შესახებ.“ ის ლოცულობდა. როდესაც ისინი მის ლოცვას აკვირდებოდნენ, მოწაფეებს გაუჩნდათ ლოცვის გაგების წყურვილი. როდესაც მოსწავლეებს სწავლის წყურვილი აქვთ, ისინი უკეთესად სწავლობენ!

მოწაფეები ისმენდნენ, როგორ იყენებდა იესო წმიდა წერილს ქადაგების დროს. იესომ მოიშველია ძველი აღთქმა სამოცზე მეტჯერ. მან შეიმუშავა ბიბლიური ქადაგება. მოწაფეებმა აითვისეს ეს გაკვეთილი? აბსოლუტურად! როდესაც პეტრე ქადაგებდა საქმეების მე-2 თავში, მან მოიშველია იოელი, მე -15 და 109 – ე ფსალმუნები. პეტრემ იესოსგან ისწავლა თავისი ქადაგების წმიდა წერილზე აგება. ყველა ქადაგება „საქმეებში“ ეყრდნობა ძველ აღთქმას.

პავლეს იგივე მეთოდს იყენებდა. არაერთხელ მან დაწერა: „თქვენ გინახავთ ჩემი მაგალითი. მომბაძეთ მე.“¹⁹ პავლე ასწავლიდა მაგალითის მიცემით. პავლეს მოწაფეებმა, ტიტემ და ტიმოთემ, პასტორობა ისწავლეს მათი ხელმძღვანელის - პავლეს მაგალითზე.

დღეს ჩვენ უნდა მივცეთ მაგალითი მათ, ვისაც ვასწავლით. ეს მოითხოვს ჩვენგან, რომ ვიყოთ მგრძნობიარეები. ისინი ნახავენ ჩვენს ჩავარდნებს, მაგრამ მათ ასევე უნდა ნახონ ჩვენი სისუსტეების აღიარებაც. ისინი ნახავენ, როგორ წავიბორძიკებთ, მაგრამ ასევე ნახავენ, რომ უარს ვამბობთ დანებებაზე. მოწაფეები ჩვენს მაგალითზე დაკვირვებით სწავლობენ მსახურების რეალობას.

მენტორმა პასუხისმგებლობები უნდა გადაუნაწილოს თავის სტუდენტებს

► წაიკითხეთ მათეს 10:5-11:1.

იესოს განზრახვა, თავიდანვე იყო მოწაფეების მომზადება მსახურებისთვის. მან მოუწოდა, რომ გაჰყოლოდნენ, რათა ისინი „ადამიანთა მებადურებად" ექცია" (მათეს 4:19).

იესოსთან გატარებული პირველი წლის უმეტესი ნაწილის განმავლობაში მოწაფეები მის მსახურებას აკვირდებოდნენ. ისინი სწავლობდნენ მისგან მიღებული მაგალითებით. ამ დაკვირვების შემდეგ იესომ მოწაფეები მსახურებლად გააგზავნა. მათეს მე - 10 თავი გვიჩვენებს, თუ როგორ გადაუნაწილა პასუხისმგებლობები იესომ მოწაფეებს.

მან მათ ძალაუფლება მისცა (მათე 10:1).

სანამ მათ გაგზავნიდა, იესომ მისცა მოწაფეებს ძალაუფლება იმ მისიის შესასრულებლად, რომელიც მათ დააკისრა. ზოგჯერ ლიდერებს ეშინიათ თავიანთ დამხმარეებს მიანიჭონ ძალაუფლება. თუმცა, პასუხისმგებლობა ძალაუფლების გარეშე მწყობრიდან გამოიყვანს მათ, ვისაც თქვენ ამზადებთ. ჩვენ არ უნდა დავაკისროთ ჩვენს დამხმარეებს პასუხისმგებლობა, თუ ჩვენ არ ვაძლევთ მათ საკმარის ძალაუფლებას ამ პასუხისმგებლობის სატარებლად.

პასუხისმგებლობა ავტორიტეტის გარეშე აზიანებს მათ, ვისაც ავარჯიშებთ.

მან მათ მკაფიო ინსტრუქციები მისცა (მათე 10:5-42).

იესომ თავისი მოწაფეებს მისცა მკაფიო გზავნილი: ექადაგად ცათა სამეფო. მათი მიზანი გასაგები იყო. მათ ზუსტად იცოდნენ, რას ელოდა იესო მათგან.

იესომ თავის მოწაფეებს უთხრა, სად უნდა ემსახურათ: „ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებთან.“ მოგვიანებით მოციქულები უქადაგებდნენ წარმართებს, მაგრამ როდესაც ისინი სწავლობდნენ მსახურებას, იესომ უთხრა მათ, რომ დაეწყათ სახლთან ახლოს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ დავცხმაროთ ჩვენს სტუდენტებს, წარმატებას

¹⁹ 1 კორინთელთა 11:1; ფილიპელთა 3:17; ფილიპელთა 4:9

მიაღწიონ. დაიწყეთ ამოცანით, რომლის შესრულებაც მარტივია. იესომ გონივრული მიზნები დასახა.

იესომ თავის მოწაფეებს მისცა დარიგება დევნის შესახებ. დევნა არ მოხდებოდა იმიტომ, რომ მოწაფეებმა ვერ შეძლეს თავიანთი მსახურება, არამედ იმიტომ, რომ თავად იესო გაყოფს თავის მიმდევრებსა და მათ, ვინც მას უარყოფს.

მან ისინი ჯგუფებად გაგზავნა (მარკოზი 6:7).

იესომ აჩვენა გუნდურად მსახურების მნიშვნელობა. მან მოწაფეები ჯგუფებად, ორ - ორად გაგზავნა. რამდენიმე თვის შემდეგ, იესომ სამოცდაათი გაგზავნა, ჯგუფებად ორ - ორ კაცად. ეს გახდა ადრეული ეკლესიის მსახურების მოდელი. პეტრე და იოანე ერთად მსახურობდნენ. ბარნაბა და სავლე ერთად მოგზაურობდნენ. პავლე და სილა ერთად მსახურობდნენ.

მეტორი თვალს უნდა ადევნებდეს თავის მოწაფეებს

მოწაფეების მსახურებიდან დაბრუნების შემდეგ, მათ იესოს შეატყობინეს შედეგები (მარკოზის 6:30). ამის შემდგომი მოქმედება მნიშვნელოვანი ნაწილი იყო იესოს მიერ მოწაფეების მომზადებაში. არ არის საკმარისი პასუხისმგებლობის დელეგირება; ეფექტური ლიდერი შეაფასებს მოწაფის საქმიანობას. დელეგირება შეფასების გარეშე გამოიწვევს, საქმის ცუდად შესრულებას.

► წაიკითხეთ მათეს 17:14-21.

ჰოვარდ ჰენდრიქსი ასწავლიდა, რომ მარცხი სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. მოწაფეებმა კითხეს: „ჩვენ რატომ ვერ შევძელით მისი (დემონის) განდევნა (ამ ბიჭისგან)?“ იესომ უპასუხა მათ, რწმენის შესახებ სწავლებით. გაცილებით უკეთესი იყო, რომ ეს ჩავარდნა მსახურების ამ პირველ ეტაპზე მოხდა, ვიდრე იესოს ზეცაში დაბრუნების შემდეგ!

მოწაფეზე ეფექტური მეთვალყურეობა უნდა შეიცავდეს შეფასებას. როდესაც მოწაფე ვერ ასრულებს დავალებას, მას „არ აგდებენ გუნდიდან.“ ამის ნაცვლად, უნდა გავითვალისწინოთ წარუმატებლობის მიზეზი და დავგეგმოთ სამომავლო გაუმჯობესება.

იესო ამ მაგალითს გვაჩვენებს ლუკას 9-ში:

- 9:1-6-ში იესომ გაგზავნა თორმეტი მოწაფე.
- 9:10-ში მათ შეატყობინეს თავიანთი მოგზაურობის შესახებ.
- 9:37-43-ში მოწაფეებმა ვერ განდევნეს დემონი.
- 9:46-48-ში იესომ ასწავლა მათ, ვინ იქნება დიდი ღვთის სამეფოში.
- 9:49-50-ში იესომ უსაყვედურა იოანეს მსახურებაში ცუდი გადაწყვეტილების გამო.

- 9:52-ში იესომ გაგზავნა მოწაფეები სამარიის ერთ სოფელში, რათა ადგილი გაემზადებინათ მისთვის.
- 9:54-55-ში იესომ უსაყვედურა იაკობს და იოანეს კიდეც ერთი ცუდი გადაწყვეტილების გამო.
- 10:1-ში იესომ გაგზავნა უფრო დიდი ჯგუფი (სამოცდაათი) მსახურებისთვის.

იესო ანაცვლებდა სწავლებას, დელეგირებას და შეფასებას. მან არ დათმო მოწაფეები, მაშინაც კი, როდესაც ისინი მარცხდებოდნენ. ამის ნაცვლად, მან მარცხი გამოიყენა, როგორც სწავლების შესაძლებლობა.

პავლემ იგივე მეთოდს იყენებდა. მან დანიშნა ტიტე კუნძულ კრეტაზე ეკლესიის წინამძღოლად, ხოლო ტიმოთე ეფესოში პასტორად. შემდეგ მან წერილები დაწერა, რათა მათ შემდგომი დამოძღვრა მიეღოთ. პირველი მისიონერული მოგზაურობისას ეკლესიების დაარსების შემდეგ, პავლე მეორე მოგზაურობის დროს დაბრუნდა ამ ეკლესიებში, მეთვალყურეობის გასაწევად (საქმეების 15:36).

მომზადების ეს ნიმუში დღესაც ეფექტურია. ბევრი ლიდერი აგზავნის ახალგაზრდა მსახურს, შემდგომი ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების გარეშე - და უკვირს, როდესაც მსახური ვერ უმკლავდება და ჩავარდნა აქვს. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ: „მე უკვე ვასწავლე ყველაფერი, ასე რომ ისინი სწორად გააკეთებენ ამას.“ პირიქით, ზედამხედველობა უწყვეტი პროცესია. თუ გსურთ ლიდერების მომზადება, დრო უნდა დახარჯოთ ზედამხედველობაში (თვალყურის დევნებაში).

ჰოვარდ ჰენდრიქსმა ჩამოთვალა ოთხი ეტაპი ახალი მუშაკების მომზადებაში:

1. **თქმა::** ასწავლეთ მათ შინაარსი. იესომ თავის მოწაფეებს უქადაგა უწყება სამეფოს შესახებ.
2. **დანახვება:** წარმოადგინეთ მსახურების მოდელი. იესომ მოწაფეებს მსახურება დაანახა.
3. **პრაქტიკა:** მსახურება უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. იესომ მოწაფეები გაგზავნა მსახურებისთვის და შემდეგ შეაფასა მათი გამოცდილება.
4. **კეთება:** მსახურება პირდაპირი ზედამხედველობის გარეშე. სულთმოფენობის შემდეგ მოწაფეები მსახურობდნენ იესოს მეთვალყურეობის გარეშე.

► რას აკეთებთ მოწაფეების ლიდერობისთვის მოსამზადებლად? ჩვენს მიერ შესწავლილი ნაბიჯებიდან, რომელს იყენებთ ეფექტურად? რომელ ნაბიჯებს სჭირდება დახვეწა? განიხილეთ ჯგუფში, როგორ შეგიძლიათ უფრო ეფექტურები იყოთ მომავალი ლიდერების მომზადებაში. ეს დისკუსია უნდა გაგრძელდეს იქამდე, სანამ არ გექნებათ გეგმა თქვენს მსახურებაში ლიდერების განვითარების შესახებ.

ჩვენმა მოწაფეებმა უნდა წარმოშვან სხვა მოწაფეები

იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: „თქვენ არ აგირჩევით, არამედ მე აგირჩიეთ და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ და თქვენი ნაყოფი დარჩეს...” (იოანეს 15:16). იესო ამზადებდა თავის მოწაფეებს, რომ მათ კიდევ უფრო მეტი მოწაფე წარმოეშვათ.

► წაიკითხეთ მათეს 13:31-32.

იესოს იგავმა მდოგვის მარცვალზე ცხადყო, რომ ღვთის სამეფო გაცილებით მეტად გაიზრდებოდა, ვიდრე მისი თავდაპირველი ზომა. ისევე, როგორც პატარა მდოგვის მარცვალი შეიძლება გადაიზარდოს მცენარედ, რომელიც მოსალოდნელ ზომას აღემატება, ეკლესიაც გაიზრდება ბევრად უფრო მეტად, ვიდრე ვინმეს, შესაძლოა, მოლოდინი ჰქონდეს. ძველ აღთქმაში, ხეზე დასახლებული ფრინველები, განასახიერებდნენ დიდ სამეფოს, რომელშიც მრავალი ერი შედიოდა (დანიელის 4:12 და ეზეკიელის 31:6). იესო დაგვპირდა, რომ მოწაფეების გამრავლების შემდეგ, ეკლესია გაიზრდებოდა თავდაპირველი ზომის არაპროპორციულად და მოიცავდა ყველა ერს.

დოქტორ რობერტ კოულმანმა დაწერა, რომ ჩვენი მსახურების ძირითადი ფასეულობა მდგომარეობს გამრავლებაში. „საბოლოო ჯამში თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შევაფასოთ, როგორ განვითარდა (გამრავლდა) ჩვენი ცხოვრება. მიიღებენ თუ არა ის პირები, ვინც ჩვენზე მინდობილნი არიან, დიდი დავალების ხედვას და ისინი თავის მხრივ გადასცემენ მას ერთგულ მსახურებს, რომლებიც სხვებსაც ასწავლიან? ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც ჩვენი მსახურება მათ ხელში იქნება.”²⁰

ახლო ხედი: იესოს მღვდელმთავრული ლოცვა (იოანეს 17:6-19).

იესოს მღვდელმთავრული ლოცვის შუა ნაწილში ყურადღება მის მოწაფეებზეა გამახვილებული. ეს ლოცვა ასწავლის ღირებულ გაკვეთილებს მოწაფეების დამოძღვრის იესოს მეთოდის შესახებ.²¹

(1) თავდაპირველად, ჩვენ ვიცავთ მათ, ვისაც ვასწავლით.

იესო ლოცულობდა: „სანამ მათთან ვიყავი, მე მათ ვიცავდი.” სახარებებში ოცჯერ უთხრა იესომ თავის მოწაფეებს, „გაფრთხილდით“. ის იცავდა მათ შეცდომებისგან. მოწაფეების სწავლებასთან ერთად, ისინი უნდა დავიცვათ კიდევ, მათი სამყაროს საფრთხეებისგან. ჩვენს მიერ მათი მომზადება პრაქტიკული უნდა იყოს.

²⁰ Robert Coleman, “The Jesus Way to Win the World: Living the Great Commission Every Day.” Evangelical Theological Society, 2003

²¹ ადაპტირებულია Ajith Fernando, *Jesus Driven Ministry* (Wheaton, Illinois: Crossway Books, 2002), 172-173

► რა საფრთხე ემუქრება ახალგაზრდა მსახურებს თქვენს კულტურაში? როგორც ხელმძღვანელი, როგორ მოამზადებთ მათ ამ საფრთხეების დასაძლევად?

(2) ასაკის მატებასთან ერთად, ჩვენ ვენდობით მათ, ვისაც ვმოძღვრავთ.

იესო ლოცულობდა: „არ გთხოვ, რომ წუთისოფლიდან წაიყვანო ისინი, არამედ, რომ დაიცვა ბოროტისგან.“ იესომ იცოდა, რომ მოწაფეები ცდუნებების წინაშე აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ დარწმუნებული იყო მათში, ვისაც ასწავლიდა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ნდობა იმ ახალგაზრდა ლიდერების, ვისაც ვასწავლით. ეს მოითხოვს, რომ უარი ვთქვათ ლიდერობისადმი „ავტორიტარულ“ მიდგომაზე და სხვებსაც ვანდოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

აჯიტი ფერნანდო წერს, რომ ლიდერებს შეუძლიათ შეხედონ თავიანთ მიმდევრებს ორნაირად.

- სუსტი ლიდერები ყურადღებას ამახვილებენ თავიანთი მიმდევრების სისუსტეებზე.
- ეფექტური ლიდერები ყურადღებას ამახვილებენ თავიანთ მიმდევრების ძლიერ მხარეებზე და აგრძელებენ სისუსტეებზე მუშაობას. ეფექტური ლიდერები სხვებს „იმედის თვალით ხედავენ.“

(3) მას შემდეგ, რაც ისინი განისწავლებიან, ჩვენ ჩვენს მოწაფეებს ვგზავნით ქვეყნიერებაზე, მსახურებისთვის.

იესო ლოცულობდა: „როგორც შენ მომავლინე წუთისოფელში, მეც ასევე მივავლინე ისინი წუთისოფელში.“ სულიწმიდით ნათლობის შემდეგ, მოწაფეებმა დაიწყეს დიდი მისია, რომლისთვისაც მათ იესო ამზადებდა. ჩვენ ვასწავლით მოწაფეებს, რათა მათ, თავის მხრივ, შეძლონ სახარების მიტანა საჭიროებაში მყოფ ქვეყნიერებისთვის.

იესომ თქვა: „მე მათში განვდიდდი.“ როდესაც ჩვენ ვგზავნით მათ, ვისაც ვასწავლეთ, დარწმუნებულები უნდა ვიყოთ იმაში, რომ იესო განდიდდება. ჩვენ შეიძლება ცდუნება დაგვეუფლოს, მივიღოთ დიდება მათგან, ვისაც ვამზადებდით. ჩვენ შეიძლება ცდუნება დაგვეუფლოს, მივიღოთ დიდება იმ ჩვენი ცოდნისა და შესაძლებლობიდან, რო შეგვიძლია სხვების დამოძღვრა და სწავლება. ამის ნაცვლად, უნდა დავრწმუნდეთ, რომ დიდება მხოლოდ ღმერთისკენაა მიმართული.

გამოყენება: მსახურების გუნდის ფასეულობა

იესოს მაგალითი გვიჩვენებს გუნდების მნიშვნელობას მსახურებაში. გუნდური მსახურება გულისხმობს როგორც ახალგაზრდა თანამშრომლების სწავლებას, ასევე პასტორებთან ურთიერთობის დამყარებას. ჩვენ ვართ შექმნილნი სხვა ადამიანებთან ურთიერთობისთვის. რატომ არის გუნდები ასე მნიშვნელოვანი?

გუნდები უზრუნველყოფენ ბალანსს

იესომ მრავალი სხვადასხვა წარმოშობის ადამიანი აირჩია. პეტრე და იოანე მუდმივი მეტოქენი იყვნენ. მათე რომისთვის მუშაობდა, ხოლო სიმონ ზილოტს სურდა რომაელების განდევნა იუდეიდან. ეს ადამიანები წინააღმდეგობაში იყვნენ ერთმანეთთან. თავისი მოწაფეების არჩევისას, იესომ ხალხის მრავალფეროვანი ჯგუფი აირჩია.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვხედავთ გუნდში ასეთი დაპირისპირებული ხალხის არსებობის სირთულეებს, ჩვენ იგნორირება არ უნდა გავუკეთოთ ამ განსხვავებული პიროვნებების მიერ სარგებლის მოტანის შესაძლებლობას. მაგალითად, მოციქული პეტრე სწრაფი იყო ხმამაღალი განცხადებების გაკეთებაში. მას აბალანსებდნენ თომა და ანდრია, როგორც ფრთხილი მოციქულები. ადრეულმა ეკლესიამ სარგებელი მიიღო იმით, რომ ხელმძღვანელობაში განსხვავებული პიროვნებები იყვნენ.

ბრძენი ლიდერები გუნდისთვის პოულობენ სხვადასხვა წარმომავლობის წევრებს. ძლიერ გუნდს სხვადასხვა სიძლიერე შეაქვს ეკლესიის ხელმძღვანელობაში. გუნდის ერთ წევრს შეიძლება უკეთ ესმოდეს ფინანსური საკითხები; მეორე შეიძლება იყოს ძლიერი პირად ურთიერთობებში; სხვამ შეიძლება აღმოაჩინოს ღრმა ბიბლიური შეხედულებები. ყველა ერთად უზრუნველყოფს ეკლესიის დაბალანსებულ ხელმძღვანელობას.

გუნდები გონივრულ რჩევებს იძლევიან

მოწაფეების სწავლებით და მომზადებით იესომ იცოდა, რომ ის ეკლესიას უყრიდა საფუძველს. სულთმოფენობის შემდეგ, ადრეულ ეკლესიას მრავალი რთული გადაწყვეტილების მიღება მოუწია. იესომ იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილებების მიღებისას მოწაფეებს ერთმანეთი სჭირდებოდათ.

ადრეული ეკლესიის წინაშე მდგარი ერთ-ერთი გადაწყვეტილება იყო: „როგორ უნდა გახდნენ წარმართი მორწმუნეები ეკლესიის ნაწილი? საჭიროა თუ არა, მათ დაიცვან ებრაული რჯულის ყველა ასპექტი?“ მართალია ეს შეიძლება ჩვენ მარტივად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს რთული გადაწყვეტილება იყო. ეს არ იყო პირადი სურვილის საკითხი; კანონები საკვებისა და წინადაცვითის შესახებ ემყარებოდა ძველ აღთქმას. ამ გადაწყვეტილებას ხანგრძლივი შედეგები მოჰყვა. ეს გადაწყვეტილება დღეს ახდიენს გავლენას თქვენზე და ჩემზე; თუ იერუსალიმის საბჭო სხვაგვარად გადაწყვეტდა, დღეს წარმართ ქრისტიანებს მოეთხოვებოდათ ებრაული კანონების დაცვა.

საქმეების მე-15 თავი გვიჩვენებს, თუ როგორ გადაჭრა ადრეულმა ეკლესიამ ეს მნიშვნელოვანი საკითხი. განსხვავებული შეხედულებების მოსმენის შემდეგ, ისინი გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. წარმართთა ეკლესიისადმი გაგზავნილ წერილში მოციქულებმა გამოიყენეს ლამაზი ფრაზა ამ გადაწყვეტილების აღსაწერად, „მართებულად მიიჩნია სულიწმიდამ და ჩვენც“ (საქმეების 15:28). სული უძღვებოდა

ეკლესიის ლიდერების შეკრებას, მათ საშუალებას აძლევდა გაეზიარებინათ თავიანთი მოსაზრებები და შემდეგ ჯგუფი სწორ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.

იგავების დამწერი ხაზს უსვამს მრავალი თვალსაზრისის მნიშვნელობას გადაწყვეტილების მიღებისას.

- სულელს თავისი გზა სწორი ჰგონია, ბრძენი კი რჩევას ითვალისწინებს (იგავების 12:15).
- რჩევათა გარეშე ეცემა ერი, მრავალი მრჩეველი კი ხსნაა (იგავების 11:14).
- ბრძნული მითითებით შეგიძლიათ წარმართოთ ომი და მრავალი მრჩეველის წყალობით გექნებათ გამარჯვება (იგავების 24:6).

ეს მნიშვნელოვანი პრინციპია ეკლესიის ლიდერებისათვის. თუ არ გსურს სხვების მოსმენა, იგავები ამბობს, რომ შენ არ ხარ ბრძენი. სულელს თავისი გზა სწორი ჰგონია, ბრძენი კი რჩევას ითვალისწინებს.

თუ გუნდის დანიშნულება გონივრული რჩევების მიცემაა, ჩვენ გვჭირდება ადამიანები, რომლებიც ჩვენგან განსხვავებულად ფიქრობენ. ჩვენ ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ გუნდის არჩევისას არ ვეძებოთ საკუთარი ასლები. ჩვენ არ გვჭირდება „კი ბატონოები.“

გუნდები უზრუნველყოფენ გამხნევებას

ეკლესიასტე აღწერს გუნდის უპირატესობას. „ორნი სჯობიან ერთს, რადგან კარგი საზღაური აქვთ თავის შრომაში. თუ ერთი დაეცემა, მეორე წამოაყენებს თავის მეგობარს, მაგრამ ვაი მარტოხელას, დაეცემა და არავინა ჰყავს წამომყენებელი!“ (ეკლესიასტეს 4:9-10).

როდესაც ეკლესია წინააღმდეგობას წააწყდა, მოციქულები ერთმანეთს ამხნევებდნენ. ლუკამ გამოიყენა ფრაზა „ერთსულოვნად“ ადრეული ეკლესიის წევრებს შორის ურთიერთდახმარების აღსაწერად.

დიდი მისიონერი ჰადსონ ტეილორი ილუსტრირებას უკეთებს ამ პრინციპს. ტეილორი ჩინეთში წავიდა მსახურებას მოწყურებული, მაგრამ მალევე მასში იმედგაცრუებამ იმატა. მისმა ზოგიერთმა მხარდამჭერმა შეწყვიტა ფინანსური დახმარების მიწოდება. ცნობილი მისიონერები აკრიტიკებდნენ მას. ბრიტანეთის მთავრობაც კი ეწინააღმდეგებოდა მის მუშაობას. მისმა საცოლემ ინგლისიდან მისწერა, რომ მას არ შეეძლო მისიონერს გაყოლოდა ცოლად. ტეილორი იმედგაცრუებული იყო და მზად იყო შინ დაბრუნებულიყო.

ამ დროის განმავლობაში, ხანში შესულმა შოტლანდიელმა მისიონერმა, უილიამ ბარნსმა, ჰადსონ ტეილორთან შვიდი თვე გაატარა ევანგელურ მოგზაურობაში ჩინეთის შიდა მხარეში. ორი კაცი ერთად მოგზაურობდა, ერთად ლოცულობდა და ერთად ქადაგებდა. ამ მოგზაურობის დროს ტეილორმა კვლავ დაიბრუნა ხედვა ჩინეთზე. ჯონ პოლოკმა დაწერა: „უილიამ ბერნსმა გადაარჩინა ჰადსონ ტეილორი საკუთარი თავისგან.“

მოგვიანებით ჰადსონ ტეილორმა დააარსა *ჩინეთის შიდა მისია* და ცნობილია, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მისიონერი; უილიამ ბარნსი თითქმის უცნობია. ამის მიუხედავად, უილიამ ბარნსი იმსახურებს გარკვეულ დამსახურებას ათასობით ახალმოქცეულისთვის, რომლებიც ჩინეთის შიდა მისიის მეშვეობით იქნა დახსნილი. ბარნსმა გადამწყვეტ მომენტში გაამხნევა ჰადსონ ტეილორი. გუნდები უზრუნველყოფენ გამხნევებას.

გუნდები უზრუნველყოფენ ანგარიშვალდებულებას

თითოეულ ჩვენგანს აქვს ბრმა ზონები. ჩვენ შეგვაქვს ჩვენს მსახურებაში სისუსტეები, რომლებიც მოდის ჩვენი ოჯახური წარმომავლობიდან, ჩვენი ქრისტიანობამდელი ცხოვრებიდან და ჩვენი პიროვნებიდან. ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ჩვენს მსახურებაზე.

ჩვენ საკუთარ თავში ვერ ვხედავთ ამ ბრმა ზონებს, მაგრამ გუნდის სხვა წევრებს შეუძლიათ მიგვითითონ ის სფეროები, რომლებმაც შეიძლება ჩვენი მსახურება გაანადგურონ. ებრაელთა წერილის ავტორმა ქრისტიანებს მოუწოდა: „წახალისეთ ერთმანეთი სიყვარულისა და კეთილი საქმეებისთვის“ (ებრაელთა 10:24). ტერმინს „წახალისება“ აქვს ვინმეს გამოფხიზლებისა და მხილების იდეა. ზოგჯერ ეს უსიამოვნოა. არცერთ ჩვენგანს არ მოსწონს, როდესაც გვიბიძგებენ და გვაფხიზლბენ, მაგრამ პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანია. ყველა ქრისტიან ლიდერს სჭირდება მინიმუმ ერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია თქვას: „ეს ქმედება უგუნურია. შენ უნდა შეცვალო ის.“

შუა საუკუნეების მონასტრებიდან და ვესლების საკლასო შეხვედრებიდან დაწყებული თანამედროვე ჯგუფებით, როგორიცაა პირობის მცველები, ქრისტიან ლიდერებს ანგარიშვალდებულების დიდი ტრადიცია აქვთ. დღეს ეკლესიის ლიდერები სარგებლობენ ყოველკვირეული ანგარიშვალდებულების მიღებით. ეს შეიძლება გაკეთდეს ერთი ერთზე, მცირე ჯგუფებში, ან თუნდაც ტელეფონით. ამ პასუხისმგებლობამ შეიძლება გაგვაფრთხილოს სულიერი საფრთხის შესახებ, სანამ ძალიან შორს არ შევალთ.

კარგი ანგარიშვალდებულება მოითხოვს სრულ პატიოსნებას თითოეული თანამშრომლისგან და სრულ კონფიდენციალურობას თანამშრომლებს შორის. შეგიძლიათ იხილოთ ანგარიშვალდებულების შეკითხვების მრავალი მაგალითი. ერთ ჩამონათვალში შედის ეს კითხვები:

- ამ კვირაში, რეგულარულად ატარებდით დროს ღმერთთან?
- ამ კვირაში რაიმე გზით დაარღვიეთ თქვენი მთლიანობა?
- ამ კვირაში, თქვენი აზროვნება სუფთა იყო?
- ამ კვირაში ჩაიდინე რაიმე სექსუალური ცოდვა?
- ამ კვირაში რა მნიშვნელოვანი რამ გააკეთე შენი ცოლისთვის?

- ამ კვირაში, გაუზიარეთ თქვენი რწმენა ურწმუნოს?
- გულწრფელი იყავით თითოეულ ამ პასუხში?

ცდუნების დროს მნიშვნელოვანია გუნდის მიმართ ანგარიშვალდებულება. ახალგაზრდა პასტორსადმი მიწერილ წერილში პავლე რჩევას იძლევა, თუ როგორ უნდა აშენდეს მყარი მსახურება. პავლე აფრთხილებდა ტიმოთეს: „ყმაწვილკაცურ გულისთქმებს გაექეცი. მისდევ სიმართლეს, რწმენას, სიყვარულს, მშვიდობას ყველასთან, ვინც სუფთა გულით მოუხმობს უფალს” (2 ტიმოთეს 2:22). პავლეს ესმოდა, რომ ტიმოთეს სულიერ ცხოვრებას სარგებელს მოუტანდა ღმერთის სხვა მიმდევრებთან შეკავშირება, მათთან, ვინც „სუფთა გულით მოუხმობს უფალს.”

► თუ თქვენ ხართ მსახურების გუნდის წევრი, გაგვიზიარეთ რამდენიმე უპირატესობები, რასაც თქვენი გუნდიდან იღებთ. რა გამოწვევები იჩენენ თავს მაშინ, როდესაც ხარ მსახურების გუნდის წევრი?

გუნდთან ერთად მუშაობა

იესომ ძალიან განსხვავებული პიროვნებების ჯგუფი, ჩამოაყალიბა ერთიან გუნდად. იესომ მიიღო მათი განსხვავებულობა და შექმნა გუნდი, რომელსაც შეეძლო ადრეული ეკლესიის მართვა. ეკლესიას სჭირდებოდა პეტრეს მძლავრი ხელმძღვანელობა და ასევე მას სჭირდებოდა ფილიპეს მშვიდი სული. ლიდერის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა მიმდევრების ჯგუფის, გუნდად ჩამოყალიბებაა.

აჯით ფერნანდოს, შრი-ლანკას ეკლესიის ხელმძღვანელს, კარგად ესმის გუნდის შექმნის გამოწვევების შესახებ. ის წერს:

შესაძლოა, ევანგელური ეკლესიის ტრაგედია იმაშია, რომ გრძნობები ხშირად სძლევს თეოლოგიას ჩვენი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების განსაზღვრისას. ბიბლიური ქრისტიანი ამბობს: „როგორი გრძნობებიც არ უნდა მქონდეს ამ ადამიანის მიმართ, მე მას მივიღებ, რადგან ღმერთს სურს, რომ ასე მოვიქცე. და მე ვთხოვ ღმერთს, მომცეს მადლი მასთან ჰარმონიულად მუშაობისთვის.” ჩვენი თეოლოგია ამბობს, რომ ამ ადამიანთან მუშაობის ეს მცდელობები წარმატებას მიაღწევს, მაშინაც კი, თუ ჩვენი გრძნობები განსხვავებულ გზავნილს იძლევა. ჩვენი თეოლოგია გვაიძულებს ვიმუშაოთ ამ ურთიერთობებზე. ჩვენ ვლოცულობთ ადამიანისთვის და მასთან ურთიერთობებზე. ჩვენ ვხვდებით მას რეგულარულად. ჩვენ ვცდილობთ გამოვავლინოთ ქრისტიანული სიყვარული მის მიმართ და ყველაფერი გავაკეთოთ, რაც მისი პირადი კეთილდღეობისთვის შეგვიძლია. ჩვენ ვახორციელებთ ოცნებებს იმის შესახებ, რისი მიღწევაც შეუძლია ამ ადამიანს გუნდის საშუალებით.²²

²² Ajith Fernando, *Jesus Driven Ministry* (Wheaton, Illinois: Crossway Books, 2002), 133

1 კორინთელთა წერილი გვასწავლის, რომ ქრისტეს სხეულში ჩვენ არ გვაქვს უფლება უარყოფით ხალხი მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოგვწონს ისინი. თუ ეკლესიას აშენებთ, გეყოლებათ წევრები, რომლებიც შეიძლება არ მოგწონდეთ. როგორც ქრისტიანმა ლიდერმა, თქვენ უნდა თქვათ: „როგორი პიროვნული გრძნობებიც არ უნდა მქონდეს, მე მივიღებ ამ პიროვნებას, რადგან ღმერთმა ის მოიყვანა, რომ მე ვიზრუნო მასზე. მე ვილოცებ, რომ ღმერთმა მადლი მომცე მასთან მუშაობისთვის და ღმერთს ვთხოვ, აკურთხოს ის და დაეხმაროს მას მსახურებაში.“

ეფექტური ქრისტიანი ლიდერი, მსახურია

ერთხელ ვკითხე მომავალ პასტორს: „რატომ გინდა იყო პასტორი?“ ამ ახალგაზრდამ თქვა: „აეროპორტში ვიღაც ვნახე, ვინც თავისი პასტორის ჩემოდანს ატარებდა. მინდა, რომ ვიღაცამ ჩემი ჩემოდანიც ატაროს!“

იესოს შეხედულება ბევრად განსხვავებული იყო! ჩემს მეგობარს სურდა, მომსახურობდნენ; იესოს სურდა ემსახურა. „რადგან მე კაცისა იმისთვის როდი მოსულა, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად ემსახუროს და მრავალთა გამოსასყიდად მისცეს თავისი სული“ (მარკოზი 10:45). იესო გვიჩვენებს, რომ ნამდვილი ხელმძღვანელობა მომსახურებას გულისხმობს. იესომ თავი დაიმდაბლა: „მიიღო მონის ხატება“ (ფილიპელთა 2:7).

► წაიკითხეთ იოანეს 13:1-20.

სახარებაში მრავალი ადგილია, სადაც შეგვიძლია ვისწავლოთ იესოს მომსახურე ლიდერობის ნიმუში, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მაგალითია იესოს მიერ მოწაფეებისთვის ფეხების დაბანის ამბავი. ამ ქმედებით იესო აჩვენებს რას ნიშნავს იყო მსახური.

ზოგი ეკლესია ატარებს „ფეხბანვას“, რათა გაიმეორონ იესოს ქმედება, რომელიც მან საიდუმლო სერობაზე გააკეთა. ეს შეიძლება მშვენიერი მსახურება იყოს, მაგრამ შეიძლება უფრო ძლიერი იყოს იმის გაცნობიერება, რომ იესომ სპეციალური ცერემონია არ ჩაუტარებია. ამის ნაცვლად, მან უბრალოდ შეასრულა საქმე, რომელიც გასაკეთებელი იყო.

იმის გამო, რომ იერუსალიმის ქუჩები მტვრიანი იყო, ქირაობდნენ მსახურს, რომელიც ოფიციალურ სადილზე მოწვეულ სტუმრებს ფეხებს ბანდა. ეს იყო მონის მოვალეობა, რომელიც ეკისრებოდა ყველაზე მდაბალ მსახურებს. როდესაც იესო თავის მოწაფეებს შეუერთდა პასექის დღესასწაულზე, ოთახში ასეთი მსახური არ იყო. არცერთი მოწაფე, თავისი ნებით, არ ისურვებდა ამ მოვალეობის შესრულებას; მათ მაღალი თანამდებობების იმედი ჰქონდათ იესოს სამეფოში. იესო მუხლებზე დადგა და ყველაზე მდაბალი მსახურის მოვალეობის შესრულება დაიწყო.

ეს მოქმედება გვიჩვენებს, თუ როგორ ესმოდა იესოს ხელმძღვანელობა (ლიდერობა). სხვა ხალხი მიისწრაფვოდა ხელმძღვანელობისკენ პოზიციისა და ძალაუფლების მისაღებად. მათი მიზანი იყო ორგანიზაციის სათავეში მოხვედრა. იესო უკვე ზემოთ იყო; ის იყო მოწაფეების მოძღვარი. მაგრამ მან ნებით დაიკავა ყველაზე დაბალი პოზიცია.

აი ეს ნიშნავს, იყო ქრისტეს მსგავსი ლიდერი. ქრისტეს მსგავსი ლიდერი იღებს იმ საქმეებს, რომლის შესრულებაც არავის სურს. ქრისტეს მსგავსი ლიდერი სხვებს შთააგონებს არა ბრძანებების გაცემით, არამედ თავმდაბალი მსახურების მაგალითით.

ერთხელ ვიღაცამ თქვა: „მსახურებრივი სულის გამოცდაა‘ როგორ მოვიქცევი, როდესაც მსახურებით მექცევიან?“ ლიდერი, რომელიც იესოს მაგალითს მიჰყვება, არ განაწყენდება, თუ მას მსახურებით მოექცევიან. მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იესომ მსახურებით ექცეოდნენ, მაგრამ მას არც უფიქრია მათი ლანძღვა. ნუ დავივიწყებთ, რომ იესომ სხვა მოწაფეებთან ერთად იუდასაც დაბანა ფეხები. წარმოგიდგენიათ, თავმდაბლურად დაბანოთ ფეხები იმ კაცს, რომელმაც უკვე გადაწყვიტა თქვენი ღალატი?

„სათამადაო ადგილებმა ჩაანაცვლა პირსახოცი და ფეხსაბანი, როგორც ღვთის ხალხს შორის ხელმძღვანელობის სიმბოლოებმა ... დროა დავაბრუნოთ პირსახოცი. “
- ჯინ ვილკსი

როდესაც მან მოწაფეების ფეხების დაბანა დაასრულა, იესომ უთხრა ამ თანამდებობის მამიებლებს, „მე მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექცეით, თქვენც ისე მოიქცეთ“ (იოანეს 13:15). ოცდაათი წლის შემდეგ, სიმონ პეტრეს შესაძლოა გაახსენდა იესოს თავმდაბლობა, როდესაც მან დაწერა, „ერთმანეთის მიმართ ყველამ შეიმოსოს თავმდაბლობა“ (1 პეტრეს 5:5). როგორც იესომ შემოიხვია პირსახოცი მოწაფეებს რომ მომსახურებოდა, ჩვენც უნდა შემოვიხვიოთ თავმდაბლობა, რათ მოვემსახუროთ სხვებს.

როგორც ქრისტიან ლიდერებს, შეიძლება ცდუნება გვქონდეს ვეძიოთ პოზიციები და არა მომსახურების შესაძლებლობები. იესომ დაგვანახა, რომ ქრისტიანული ლიდერობა არის მომსახურება.

დასკვნა: სხვა ქრისტიანი მუშაკების მომზადების მნიშვნელობა

თქვენი ცხოვრების ბოლოს, თქვენი გავლენა, როგორც სხვა ქრისტიანი მუშაკების მრჩეველის, შეიძლება თქვენი მსახურების უდიდესი მემკვიდრეობა იყოს. თუ თქვენი მსახურების დროს მხოლოდ თორმეტ ქრისტიან მუშაკს დამოძღვრავთ, თქვენი გავლენა გამრავლდება იმ თორმეტზეც და მათზეც, ვისაც ისინი ასწავლიან.

სამწუხაროდ, მართალია, ქრისტიანი ლიდერების უმეტესობამ იცის სწავლების მნიშვნელობა, მაგრამ სულ რამდენიმე ლიდერი ხარჯავს დროს, რომელიც საჭიროა სხვების სწავლებისთვის. რატომ ვუგულებელყოფთ მსახურების ამ ასპექტს?

ერთ-ერთი მიზეზი არის დამოდღვრის საფასური. სწავლებას მიაქვს მნიშვნელოვანი (ღირებული) დრო. ჩვენ ხშირად გვგონია, რომ ახალგაზრდა ლიდერების სწავლებაზე გატარებული დრო უკეთესად შეიძლებოდა დახარჯულიყო, დიდ ჯგუფებში მსახურებისთვის.

კიდევ ერთი მიზეზი არის იმედგაცრუება, რომელიც თან ახლავს სწავლებას. მიმზიდველად ჟღერს იმის თქმა, რომ „მე ვამზადებ ლიდერების მომავალ თაობას.“ რეალობა ხშირად ნაკლებად აღმაფრთოვანებელია.

ბევრჯერ უნდა ეგრძნო იესოს იმედგაცრუება, მოწაფეების ნელი განვითარების გამო. იესოსთან სამი წლის შემდეგ ფილიპემ სთხოვა: „უფალო, გვიჩვენე მამა და ეს საკმარისია ჩვენთვის“ (იოანეს 14:8). რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც იესომ ხუთი ათასი კაცი დააპურა, მოწაფეები ამჯერად ოთხი ათასი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფის პირისპირ აღმოჩნდნენ. მათ იესოს ჰკითხეს: „საიდან უნდა შევძლოთ ამდენი ხალხის დაპურება უდაბნოში?“ (მარკოზის 8:4).

პავლე მოციქულმაც დიდწილად იგივე იმედგაცრუება განიცადა. იოანე პირველი მისიონერული მოგზაურობის დროს ჩამოშორდა მას (საქმეების 13:13). თვეების განმავლობაში დემასის მომზადების შემდეგ, პავლე ციხის სამართავო საკნიდან იწერებოდა: დემასმა შეიყვარა ქვეყნიერება და მიმატოვა“ (2 ტიმოთეს 4:10).

დამოდღვრაში და მომზადებაში ძვირი ფასია გადასახდელი და შეიძლება იმედგაცრუებაც დადგეს, მაგრამ ეს არის ლიდერის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ყველა ზრდასრულმა (ჩამოყალიბებულმა) ქრისტიანმა ლიდერმა უნდა მოამზადოს მომავალი ლიდერები. ამავე დროს, ყველა ქრისტიან ლიდერს სჭირდება მოძღვარი, რომელიც მხარს დაუჭერს ბრძოლის დროს.

ჰოვარდ ჰენდრიქსმა თქვა, რომ ყველა ადამიანს სამი ადამიანი სჭირდება ცხოვრებაში:

1. ყველა ადამიანს სჭირდება პავლე, მოძღვარი, რომელიც მოგიწოდებთ, რომ განაგრძოთ ზრდა.
2. ყველა ადამიანს სჭირდება ბარნაბა, მეგობარი, რომელსაც ისე ეყვარებით, რომ გულწრფელად გეტყვით თქვენი სისუსტეების შესახებ.
3. ყველა ადამიანს სჭირდება ტიმოთე, უმცროსი მოწაფე, რომელსაც ასწავლი და მოამზადებ მსახურებისთვის.

► დაასრულეთ ეს გაკვეთილი შეკითხვით:

- „ვინ არის ჩემი პავლე?“
- „ვინ არის ჩემი ბარნაბა?“
- „ვინ არის ჩემი ტიმოთე?“

გაკვეთილი 3 დავალებები

(1) ჩამოთვალეთ ოთხი მაგალითი, როდესაც მოწაფეები აკვირდებოდნენ იესოს მსახურებას. აღნიშნეთ, რა ისწავლეს მოწაფეებმა იესოზე დაკვირვებით.

მაგალითი	წმიდა წერილი	გაკვეთილი მოწაფეებისთვის
იესომ დემონით შეპყრობილი ბიჭი განკურნა	მათეს 17:14-21	რწმენის ძალა

(2) შეადგინეთ ორი ან სამი ადამიანისგან შემდგარი სია, რომელთა სწავლებაც შეგიძლიათ მომავალი მსახურებისთვის. დაწერეთ მოკლე აბზაცი, რომელშიც უპასუხებთ ორ კითხვას:

- რა თვისებების ნახვა მსურს პიროვნებაში, რომელსაც მე მოვამზადებ?
- რა მსურს ღმერთმა შეასრულოს იმ ადამიანში, რომელსაც მე ვასწავლი? (დააკონკრეტეთ.)

დაიწყეთ თქვენს მიერ დასახელებული პირების სწავლებისთვის ნაბიჯების გადადგმა. სთხოვეთ ღმერთს, გაჩვენოთ, როგორ შეძლოთ მოამზადოთ ისინი მსახურების შესაძლებლობებისთვის.

გაკვეთილი 4

სწავლება იესო ქრისტეს მსგავსად

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- (1) გააცნობიეროს ის თვისებები, რამაც იესო დიდ მოძღვრად აქცია.
- (2) შეითვისოს პრაქტიკული მეთოდები, რათა გაიზარდოს და განმტკიცდეს, როგორც მასწავლებელი.
- (3) დაგეგმოს დავალებები, რომლებიც გაზრდის მოსწავლეთა მზაობას გაკვეთილისთვის.

მსახურების პრინციპი

როდესაც ისინი სრულად მომზადდებიან, ჩვენი სტუდენტები დაემსგავსებიან მათ მასწავლებლებს.

შესავალი

► ეს გაკვეთილი არ შეიცავს დავალებებს ბოლოში. ამის ნაცვლად, მცირე დავალებები შეგხვდებათ გაკვეთილის განმავლობაში, სათაურით: „გაკვეთილის პრაქტიკაში გამოყენება.“ ზოგიერთ მათგანში საჭირო იქნება წერა, ან პრაქტიკული მოქმედებები. სხვებს უბრალოდ ფიქრი, ან განხილვა და დისკუსია. შეასრულეთ თითოეული დავალება საგაკვეთილო მასალაზე მუშაობისას.

ერთ-ერთი ყველაზე ღრმა მოწმობა, რომელიც ოდესმე გაკეთებულა სწავლების ძალაზე, იესოსგან მომდინარეობს. „მოწაფე მასწავლებელზე მეტი არ არის, ხოლო ყველა სწავლაგასრულებული, ისეთივე იქნება, როგორც მისი მასწავლებელი“ (ლუკას 6:40). იესომ იცოდა, როდესაც მოწაფეებს ამზადებდა, რომ ისინი ასახავდნენ მის ბუნებას. ამის გამო იესომ დიდი ძალისხმევა მიუძღვნა თორმეტის სწავლებას.

ზოგიერთ ეკლესიაში მასწავლებლის როლი ძირითადად უგულებელყოფილია. საკვირაო სკოლის გამოუცდელი მასწავლებლები, გადიან მცირე მომზადებას, ან საერთოდ არ გადიან მას. მცირე ძალისხმევა ეთმობა ახალმოქცეულების და ბავშვების სწავლებას.

ჩვენ, როგორც ეკლესიის ლიდერებმა, სწავლებას ისეთივე უპირატესობა უნდა მივანიჭოთ, როგორსაც იესო ანიჭებდა. თუ მოსწავლეები „ისეთივე იქნებიან, როგორც მათი მასწავლებელი“, სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ უნდა ვასწავლოთ მასწავლებლებს, რომ მისდიონ იესოს, როგორც მთავარი მასწავლებლის მაგალითს.

► იფიქრეთ იმაზე, რაც უკვე იცით იესოს სწავლების სტილის შესახებ. ჩამოთვალეთ სამი ან ოთხი მახასიათებელი, რაც მას დიდ მასწავლებლად აქცევს. ახლა გაიხსენეთ საუკეთესო მასწავლებელი, ვისგანაც ოდესმე გისწავლიათ. ჩამოთვალეთ სამი ან ოთხი მახასიათებელი, რამაც ეს ადამიანი დიდ მასწავლებლად აქცია. ამ ორი სიიდან რამდენი მახასიათებელი ემთხვევა ერთმანეთს?

მთავარი მასწავლებლის გული: ბუნება

იესოს სწავლების შინაარსი ემყარებოდა მასწავლებლის ბუნებას. იესოს სწავლებას საფუძვლად მისი გული უდევს. როგორია დიდი მასწავლებლის გული?

იესომ, მთავარმა მასწავლებელმა, გააცნობიერა თავისი მიმდევრების საჭიროებები

► წაიკითხეთ ლუკას 4:16-21.

სკოლის მასწავლებლები ამზადებენ „გაკვეთილის გეგმებს“ კლასის ყოველი დღისთვის. გაკვეთილის გეგმა გვიჩვენებს რას მიაღწევს მასწავლებელი თითოეულ კლასში. გაკვეთილის გეგმა მოიცავს ამის მსგავსს:

- მიზანი: მოსწავლეები ისწავლიან წილადების მიმატებას.
- აქტივობა: მოსწავლეები ამოხსნიან კლასის სამუშაო წიგნის 89-ე გვერდზე განთავსებულ 1-20 ამოცანებს.

როდესაც მომზადება დავიწყე *მწყემსების გლობალური საკლასო კურსის*, მე მოვამზადე გაკვეთილის გეგმა, რომელშიც შეჯამებული იყო ის, რის გაკეთებასაც ვიმედოვნებდი თითოეულ გაკვეთილზე. იესოს ჰქონდა თავისი მსახურების „გაკვეთილის გეგმა“, მაგრამ გაკვეთილის გეგმა არ იყო ჩამოთვლილი სამუშაო წიგნის გვერდებზე. ამის ნაცვლად, იესოს გაკვეთილის გეგმა ორიენტირებული იყო მისი მიმდევრების საჭიროებებზე. იესომ თავის მსმენელებს განუცხადა, რისთვის იყო მოვლინებული:

- გლახაკთა სახარებლად.
- ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად.
- ბრმათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად.
- ჩაგრულთა გასათავისუფლებლად.
- უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად (ლუკას 4:18-19).

იესოს მიზნები შეესაბამებოდა მისი მიმდევრების საჭიროებებს. იესოს მიმდევრები არ იყვნენ მდიდარი სადუკველეები, რომლებიც აკონტროლებდნენ იერუსალიმის ტაძარს და სინედრიონში პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობდნენ. მისი მიმდევრები იყვნენ უბრალო ებრაელები, რომლებიც რომისგან იყვნენ ჩაგრულნი. ზოგი მათგანი ბრმა იყო, ზოგი კოჭლი. ბევრი მათგანი ღარიბი ადამიანი იყო, რომლებიც მაღალი გადასახადებით იტანჯებოდა.

იესოს გაკვეთილის გეგმა მარტივი იყო; ის დააკმაყოფილებდა მისი მიმდევრების საჭიროებებს. ის გაათავისუფლებდა ტყვეებს. ის თვალს აუხელდა ბრმებს. ებრაულ კალენდარში „საიუბილეო წელი“ იყო ზეიმის დრო. უქმდებოდა ვალები; მიწა უბრუნდებოდა პირვანდელ ოჯახს; ათავისუფლებდნენ მონებს. იესომ გამოაცხადა, რომ ის მოვიდა ჩაგრულთათვის საიუბილეო წლის გამოსაცხადებლად.

მთელი თავისი მიწიერი მსახურების განმავლობაში, იესო პასუხობდა თავისი მიმდევრების საჭიროებებს. იესო ყოველთვის არ აძლევდა ხალხს იმას, რაც სურდათ, მაგრამ ის მათ აძლევდა იმას, რაც სჭირდებოდათ. სამარიელ ქალს სურდა წყალი; მაგრამ სჭირდებოდა მას გამოსყიდვა (იოანეს 4:7-42). პეტრეს სურდა თევზის დაჭერა; მაგრამ მას მისია სჭირდებოდა (მათეს 4:18-22). თითოეულ შემთხვევაში, იესო აკმაყოფილებდა თავისი მიმდევრების ღრმა საჭიროებებს.

ცოტა ხნის წინ მანქანის ყიდვა მომიწია. ბევრი გამყიდველი იწყებს სიტყვებით: „ეს შესანიშნავი მანქანაა. ეს ის მიზეზებია, თუ რატომ უნდა შეიძინოთ ეს მანქანა.“ მე შევხვდი ერთ გამყიდველს, რომელიც ბევრად განსხვავებული იყო. მან კითხვების დასმით დაიწყო. მან მკითხა: „რა მანძილს გადიხართ ყოველდღიურად?“ „რა თანხის გადახდა შეგეძლება მანქანის შეძენისთვის?“ „რომელია უფრო მნიშვნელოვანი თქვენთვის - კომფორტული მანქანა, თუ ეკონომიური?“ როდესაც კითხვებზე პასუხების გაცემა დავასრულე, გამყიდველმა მითხრა: „ეს არის საუკეთესო მანქანა თქვენი საჭიროებისთვის.“ მოსმენისას მივხვდი: „ასე მოიქცა იესო, როდესაც ასწავლიდა. მან დაიწყო მისი მიმდევრების საჭიროებების მოსმენით.“

► წაიკითხეთ მარკოზის 10: 17-22.

ამ ამბავში მდიდარი ახალგაზრდა კაცის შესახებ, რომელიც იესოსთან მივიდა, მთხრობელი ამბობს: „იესო დააკვირდა მას და შეუყვარდა.“ ამ მუხლში სიტყვა „დააკვირება“ უფრო მეტია, ვიდრე უბრალო შეხედვა. ეს ნიშნავს, რომ „კარგად დააკვირდე და გარკვევით განასხვავო.“ იესომ დაინახა ამ ახალგაზრდა კაცის გული. სხვებს შეიძლება უბრალოდ მდიდარი ახალგაზრდა კაცი დაენახათ; იესომ კი მოწყურებული სული დაინახა.

► წაიკითხეთ მარკოზის 16:1-8.

წარმოიდგინეთ პეტრეს სირცხვილი მას შემდეგ, რაც მან უარყო იესო. აღდგომის სიხარულიც კი დაიჩრდილა მისი სირცხვილით, როცა მას გაახსენდა მამლის ყვილი. ამ ვითარებაში ყოფნისას ანგელოზმა უთხრა მარიამს: „წადით, უთხარით მის მოწაფეებს და პეტრეს: აჰა, წინ მიგიძღვით იგი გალილეისაკენ. იქ ნახავთ მას, როგორც ნათქვამი აქვს თქვენთვის.“ იესომ იცოდა, რომ ყველა მოწაფეებს შორის, ვისაც ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა ნუგეშისცემა, პეტრე იყო. სხვები ხედავდნენ მშიმარას, ვიც უარყო თავისი მოძღვარი; იესომ დაინახა დაცემული მოწაფე, რომელსაც წამოყენება სჭირდებოდა.

იესომ იცოდა, რომ სტუდენტებს ვერ ვასწავლით, თუ ვერ გავუგებთ მათ. მეთევზეები ამბობენ: „თუ გსურთ თევზის დაჭერა, თევზივით უნდა იფიქროთ.“ თუ გსურთ მოიგოთ სტუდენტის გული, უნდა იფიქროთ სტუდენტივით. თქვენ უნდა გესმოდეთ მათი, ვისაც ასწავლით. როგორც მასწავლებელმა, უნდა შეისწავლოთ საგანი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი, უნდა შეისწავლოთ თქვენი სტუდენტები. თქვენ უნდა გესმოდეთ თქვენი სტუდენტების საჭიროებები.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► იფიქრეთ მათ შესახებ, ვისაც ასწავლით (ფორმალურად ან არაფორმალურად). ყურადღება გაამახვილეთ სტუდენტზე, რომელიც იბრძვის. შეადგინეთ პრაქტიკული საქმეების ჩამონათვალი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ ამ სტუდენტის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

იესო, მთავარი მასწავლებელი, მომთმენი იყო

იესო მოთმინებით ეკიდებოდა მათ, ვინც მის წინააღმდეგ გამოდიოდა.

► წაიკითხეთ იოანეს 6:41-71.

ეს ამბავი ხდება იესოს მსახურების ერთ – ერთ მნიშვნელოვან გარდამავალ ეტაპზე. წინა წლის განმავლობაში იესო დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ხალხი აღფრთოვანებული იყო მისი სასწაულებით და ისიამოვნეს პურიითა და თევზით. ახლა იესომ განაცხადა: „მე ვარ პური სიცოცხლისა.“ მან თქვა ისეთი რამ, რამაც შეაშფოთა მისი მსმენელი. „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში.“ „ამის შემდეგ ბევრი მისი მოწაფეთაგანი გაბრუნდა უკან და აღარ მისდევდა მას.“

იესო ათასებს ასწავლიდა, რადგან იცოდა, რომ ბევრი არ მიიღებდა მის სწავლებას. მან ასწავლა თორმეტსაც, რადგან იცოდა, რომ „ერთი თქვენგანი ეშმაკია.“ ის იყო მომთმენი მასწავლებელი.

იესო მოთმინებით ეკიდებოდა მათ, ვისაც მისი არ ესმოდა.

► წაიკითხეთ მარკოზის 8:27-33.

იესო მოთმინებით ეკიდებოდა მოწაფეებს, რომლებიც ნელა სწავლობდნენ. ყურადღება მიაქციეთ რამდენჯერ იხსენიებს იესო მოწაფეების ეჭვებს და სიბრძნევს. მაშინაც კი, როდესაც პეტრე აღიარებს, რომ „შენ ხარ ქრისტე“, მას ნამდვილად არ ესმის, რას ნიშნავს ეს. სულ რამდენიმე მუხლის შემდეგ, იესო საყვედურობს პეტრეს არასწორი იდეების გამო.

► წაიკითხეთ იოანეს 3: 1-21.

იესო მოთმინებით ეკიდებოდა ფარისევლებს, რომლებსაც არ ესმოდათ მისი სწავლება. როდესაც ნიკოდემოსი შემფოთდა, იესომ გაკვირვებულმა ჰკითხა: „შენ ისრაელის

მოძღვარი ხარ და განა ეს არ იცი?” ნიკოდემოსს უნდა სცოდნოდა, რომ ეზეკიელმა იწინასწარმეტყველა ის დღე, როდესაც ისრაელი წყლისა და სულისგან იშვებოდა. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ იესო დანებებულიყო, ის მოთმინებით ასწავლიდა გაკვეთილს ნიკოდემოსს.²³

აი ჩემი, როგორც მასწავლებლის, მოთმინების გამოცდა: „რამდენჯერ ვარ მზად გაკვეთილის სწავლებაზე სანამ დავნებდები?” იესო მოთმინებით ასწავლიდა და კვლავ ასწავლიდა თავის მიმდევრებს. მას არასდროს უთქვამს: „მე ეს გაკვეთილი უკვე გადმოგეცით. თუ გამოტოვებ, ახლა უკვე გვიანია.” თუ ის აღმოაჩენდა მისი სწავლებისთვის გახსნილ მოწაფეებს იესო ასწავლიდა. იესო, მთავარი მასწავლებელი, მომთმენი იყო.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► გაქვთ ცდუნება უარი თქვათ ნელ სტუდენტებთან მუშაობაზე? გეუფლებათ იმედგაცრუება, როდესაც ისინი არ რეაგირებენ თქვენს სწავლებაზე? როგორ გამოავლენთ მთავარი მასწავლებლის მოთმინებას მათ წინაშე, ვისაც ასწავლით?

იესოს, მთავარ მასწავლებელს, უყვარდა თავისი მოწაფეები

► წაიკითხეთ მარკოზის 6:30-34.

იესომ თავისი მოწაფეები გალილეის ზღვის გადაღმა წაიყვანა, რომ უკაცრიელი ადგილი ეპოვნა, სადაც ხალხის მუდმივი ზეწოლისა და მსახურებისგან დაისვენებდნენ. ათასობით ადამიანმა დაინახა, თუ სად მიდიოდა ის და ნაპირზე გაიქცნენ იესოს შესახვედრად. იესო ნაპირზე გამოვიდა და დაინახა დიდძალი ხალხი, ხუთი ათასი კაცი, ასევე ქალები და ბავშვებიც. როდესაც მან უამრავი ხალხი დაინახა, „შეებრალა ისინი, ვინაიდან უმწყემსო ცხვრებივით იყვნენ. და დაუწყო მათ მრავალი რამის სწავლება” (მარკოზის 6:34). იესო, მთავარი მასწავლებელი ასწავლიდა, რადგან უყვარდა თავისი მიმდევრები.

ამ გაკვეთილის დასაწყისში ვკითხულობთ მდიდარი ახალგაზრდის ამბავს, რომელიც „დანაღვლიანებული წავიდა“, რადგან მას არ უნდოდა გადაეხადა იესოს გაყოლის საფასური (მარკოზის 10:17-22). “იესო დააკვირდა მას და **შეუყვარდა**” (მარკოზის 10:21). მთავარ მასწავლებელს უყვარდა თავისი მოსწავლე, თუნდაც ის, ვინც წავიდა მისგან.

იესო თანაგრძნობით უყურებდა ხალხს, ცალკეულ ადამიანებს და მათაც კი, ვინც უარყოფდა მას. ერთი მქადაგებელი ქადაგებდა თემას სათაურით: „იუდა, მოწაფე, რომელიც იესოს უყვარდა.” ამ მქადაგებელმა გააცნობიერა, რომ იესომ სიყვარული იუდას

²³ იოანეს 3: 5 მიანიშნებს ეზეკიელის 36: 25-27 დაპირებას. ეზეკიელმა იხილა დღე, როდესაც ღვთის ხალხი წყლით განიბანა (ეს არის გასუფთავება უწმინდურებისა და კერპებისგან) და მიეცა ახალი სული (ეს იძლევა სურვილს შეინარჩუნო ღვთის რჯული)

მიმართაც კი გამოავლინა. იმის მიუხედავად, რომ იცოდა, რომ იუდა უღალატებდა მას, იესოს მაინც ბოლომდე უყვარდა თავისი მოწაფე.

მარტივია გიყვარდეს სტუდენტი, რომელიც კლასში ადრე მოდის, რომელსაც ყველა დავალება შესრულებული აქვს და ვისაც სწავლის დიდი სურვილი აქვს. მნელია გიყვარდეს იუდა, რომელიც გვღალატობს, მდიდარი ახალგაზრდა კაცი, რომელიც უბრალოდ წავიდა და პეტრე, რომელიც მუდმივად ვერ გეპულობს. იესო, მთავარი მასწავლებელი, გვიჩვენებს, რომ ჩვენ უნდა გვიყვარდეს რთული სტუდენტებიც კი.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► დაფიქრდი სტუდენტზე, რომლის შეყვარებაც რთულია. შესაძლოა ეს არის თანამშრომელი, რომელიც ეწინააღმდეგება თქვენს ლიდერობას. შესაძლოა ეს არის ეკლესიის წევრი, რომელიც გაკრიტიკებთ. დაიწყე ლოცვა: „ღმერთო, ყველანაირად ვცდილობ, რომ მიყვარდეს ეს ადამიანები, მაგრამ ვიცი, რომ შენ გიყვარს ისინი. გთხოვ დამეხმარე დავინახო ისინი შენი თვალებით. დამეხმარე, რომ შევიყვარო ისინი, როგორც იესოს უყვარდა თავისი მოწაფეები.“

მთავარი მასწავლებლის ხელები: მეთოდები

„მთავარი მასწავლებლის გულში“ დავინახეთ იესოს ბუნება. ყველაფერი, რასაც იესო ასწავლიდა, მის ბუნებას ემყარებოდა. „მთავარი მასწავლებლის ხელში“ ვხედავთ მეთოდებს, რომლებსაც იესო იყენებდა. თუ გვსურს იესოსავით ვასწავლოთ, უნდა მივყვეთ მის მეთოდებს.

იესომ, მთავარმა მასწავლებელმა, გაგვიზიარა თავისი მიზნები

► წაიკითხეთ ლუკას 5:1-11.

როდესაც იესო ასწავლიდა გალილეის ზღვის პირას, ხალხი ავიწროვებდა მას და მას მოუხდა ასულიყო სათევზაო ნავში, რომელიც სიმონ პეტრეს ეკუთვნოდა.²⁴ სწავლების შემდეგ იესომ მიუბრუნდა სიმონს და უთხრა: „შეცურდი ღრმად და მოისროლეთ ბადეები თევზის დასაჭერად.“

სიმონი გამოცდილი მეთევზე იყო, რომელმაც თევზაობაში მთელი ღამე წარუმატებლად გაატარა. მან იცოდა, რომ ფუჭი იყო რაიმეს დაჭერის მცდელობა, მაგრამ ის ისე მოიქცა, როგორც იესომ უბრძანა. პეტრეს გასაკვირად, მეთევზეებმა საოცრად ბევრი თევზი დაიჭირეს. იესომ უთხრა სიმონს: „ამიერიდან ადამიანთა დამჭერი იქნები.“

²⁴ ლუკა მოიხსენიებს, როგორც "გენესარეთის ტბა", იოანე, "ტიბერიის ზღვა", მათე და მარკოზი, "გალილეის ზღვა" და მოსე "კინერეთის ზღვა" (რიცხვთა 34:11) ყველა ეხება დიდ ტბას, რომელიც მნიშვნელოვანი იყო იესოს მსახურებაში. იესოს რამდენიმე მოწაფე მეთევზე იყო ამ ტბაზე და მისი მსახურების დიდი ნაწილი გალილეის ზღვის სანაპიროზე ვითარდებოდა

იესომ, ისევე როგორც ყველა კარგმა მასწავლებელმა, თავის მოწაფეებს გააცნო თავისი მიზნები. სულთმოფენობის დღეს პეტრემ აჩვენა, რომ მზად იყო იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც იესომ დააკისრა.

ეფექტური მასწავლებლები აცნობენ თავიანთ მიზნებს. ისინი ეუბნებიან სტუდენტებს: „ეს არის ის, რაც დღეს უნდა ისწავლოთ.“ გაკვეთილის ბოლოს კი კითხულობენ: „რა ისწავლეთ დღეს?“ ისინი დარწმუნდნენ, რომ მოსწავლეებმა დაინახეს, რომ გაკვეთილის მიზანი შესრულებულია.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► სწავლების შემდეგი შესაძლებლობის დროს, დაწერეთ თქვენი გაკვეთილის მიზანი დაფაზე, სადაც მოსწავლეები დაინახავენ მას. დარწმუნდით, რომ მიზანი ნათელია და გასაგებია. წარადგინეთ მიზანი სწავლების დასაწყისში. გაკვეთილის ბოლოს კითხეთ მოსწავლეებს: „შევასრულეთ თუ არა ჩვენი მიზანი?“

იესომ, მთავარმა მასწავლებელმა, შესაძლებლობები მისცა მართვადი პრაქტიკისთვის

ეფექტური სწავლება ლექციებზე მეტია. ნამდვილი სწავლება მოითხოვს პრაქტიკას.

► წაიკითხეთ ლუკას 10:1-24.

მოწაფეები ჯერ ბოლომდე არ იყვნენ მომზადებულნი, მაგრამ იესომ მათ საშუალება მისცა პრაქტიკაში გამოეყენებინათ ის ცოდნა, რომელიც მან მისცა. როდესაც მოწაფეები ამ მსახურების შესრულების შემდეგ დაბრუნდნენ, მათ შედეგები იესოს წარუდგინეს. მან დაინახა, რომ მათ ვერ აითვისეს გაკვეთილები, ამიტომ მათ დამატებითი დარიგებები მისცა. მან ასევე გაამხნევა ისინი: „ნეტარია თვალები, რომელნიც ხედავენ, რასაც თქვენ ხედავთ“. იესო მართავდა მათ პრაქტიკას.

არ არის საკმარისი პრაქტიკის შესაძლებლობის მიცემა; ის უნდა შეფასდეს და შემდეგ უნდა მოჰყვეს მეტი მომზადება. ნაცნობი ანდაზა ამბობს: „პრაქტიკა სრულყოფს.“ ეს მთლად სიმართლეს არ შეესაბამება. არასწორი პრაქტიკა არ იწვევს უკეთეს შესრულებას. უმჯობესია თქვათ: „**მართვადი პრაქტიკა** სრულყოფს.“ ეფექტური მასწავლებელი პრაქტიკის საშუალებას მისცემს სტუდენტებს, განიხილავს პრაქტიკას მათთან ერთად, შემდეგ კი გაამხნევებს და უხელმძღვანელებს სტუდენტებს.

ერთხელ გოლფის სწავლა ვცადე. გოლფის ბევრ ბურთს ვურთყამდი და ბევრ საათს ვვარჯიშობდი, მაგრამ უკეთესად არ გამომდიოდა. რატომ? მე მარტო ვიყავი საავტომობილო პოლიგონზე და არავინ მასწავლიდა. როდესაც ბურთი არასწორი მიმართულებით წავიდა, არავინ მითხრა: „შენ ამას არასწორად აკეთებ.“ როდესაც ბურთი ჩემგან მხოლოდ რამდენიმე მეტრით გაგორდა, არავის უთქვამს: „ასე დაიჭირე შენი ჯოხი“ ვვარჯიშობდი, მაგრამ ჩემს პრაქტიკას აზრი არ ჰქონდა.

პავლემ იცოდა მართვადი პრაქტიკის მნიშვნელობა. მან მოამზადა ტიმოთე და ტიტე და

შემდეგ დააყენა ისინი მსახურებებში. პასტორალურ ეპისტოლეებში პავლემ მიწერა ტიმოთეს და ტიტეს შემდგომი მითითებების მისაცემად. ის მართავდა თავისი მოწაფეების პრაქტიკას, როდესაც ისინი ასწავლიდნენ ღვთის პრინციპებს, რომლებსაც ის მათ ასწავლიდა.

ერთხელ ქრისტიანულ სკოლას ვეწვიე სამხრეთ აფრიკაში. თითოეულმა სტუდენტმა დაიზეპირა და წაუკითხა კლასს 1 კორინთელთა მე-13 თავი. ერთი სტუდენტი კვირების განმავლობაში ცდილობდა ამ დავალების შესრულებას. ის კარგად ვერ იმახსოვრებდა და ძალიან მორცხვი იყო სხვა სტუდენტების წინაშე. იმ დღეს, როდესაც მე ვიყავი, ამ სტუდენტმა საბოლოოდ მოახერხა კლასში მთელი თავის წაკითხვა.

როდესაც მან დაასრულა, სხვა სტუდენტები ადგნენ და ამხნევებდნენ ამ ახალგაზრდას. რატომ? ეს თავი სიყვარულს ეხება და მათმა მასწავლებელმა ასწავლა სტუდენტებს, რომ სიყვარული ამხნევებს სხვებს. როდესაც ისინი ამხნევებდნენ თავიანთ კლასელს, სტუდენტებს პრაქტიკაში მოყავდათ 1 კორინთელების 13 - ს გაკვეთილი! ეფექტური მასწავლებლები ხელს უწყობენ თავიანთ მოსწავლეებს პრაქტიკაში გამოიყენონ ის პრინციპები, რომლებსაც ისინი ასწავლიან.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► მიეცით თქვენს სტუდენტებს შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოიყენონ ის, რასაც სწავლობენ. თუ ახალგაზრდა პასტორებს ამზადებთ, მიეცით მათ ქადაგების, ავადმყოფი პირის მონახულების ან ურწმუნოთათვის სახარების გაზიარების საშუალება. დასრულების შემდეგ, შეაფასეთ მათი მსახურება, მიაწოდეთ წინადადებები გაუმჯობესების მიზნით და წაახალისეთ ისინი იმ ადგილების შემჩნევით, სადაც წარმატებულები აღმოჩნდნენ.

იესო, მთავარი მასწავლებელი, მოქნილი იყო

გაიხსენეთ იესოს მრავალი ადგილი და სიტუაცია. ის ასწავლიდა:

- ზღვის პირას (ლუკას 5)
- ქარიშხლის დროს (ლუკას 8:22-25)
- მოწაფეთათვის ბრძოლის ნებართვის მიცემის საშუალებით (მათეს 14:25-33)
- როდესაც მას სწავლებას სტუმრები აწყვეტინებდნენ (მათეს 12:46-50)
- ტაძარში მისვლის დროს (მათეს 24)
- როდესაც ვინმე მისი „საკლასო ოთახის“ სახურავს შლიდა (ლუკას 5:18-26)

წარმოიდგინეთ „სტუდენტები“, რომლებიც სახლში დაბრუნდნენ ლუკას 5:18-26-ში აღწერილი სასწაულის შემდეგ. მათ არასოდეს დაავიწყდებოდათ ის გაკვეთილი, რაც მათ იესოს ძალაუფლების შესახებ ისწავლეს. ლუკა წერს, რომ „განცვიფრებამ შეიპყრო ყველა და ადიდებდნენ ღმერთს და შეშინებულები ამბობდნენ: საოცრებანი ვიხილეთო დღეს.“ (ლუკას 5:26).

იესო საკმარისად მოქნილი იყო, რომ ცოდნოდა, რომ დიდი მასწავლებელი პოულობს ისეთ მომენტებს, როდესაც სტუდენტები მზად არიან ისწავლონ. ლუკა ამ პრინციპის მაგალითს იძლევა. „ერთხელ, როცა იესო ერთ ადგილას ლოცულობდა, და დაასრულა ლოცვა, ერთმა მოწაფეთაგანმა მიმართა: „უფალო, გვასწავლე ლოცვა“ (ლუკას 11:1). იესომ გამოიყენა ეს მომენტი, ლოცვის შესახებ სწავლებისთვის.

რვა წლის საბრინა ფორტეპიანოს გაკვეთილზე მივიდა და ტირილი დაიწყო: „ჩემი კატა ამ დილით მოკვდა!“ საბრინას არ აინტერესებდა გამეზი, ან ფორტეპიანოზე დაკვრის ტექნიკის შესწავლა. თუმცა, როდესაც მას მუსიკალური ნაწარმოები სახელწოდებით „ჩემი საყვარელი კნუტი“ მივაწოდე, საბრინამ გადაწყვიტა: „ამის სწავლა მინდა, ჩემი კატის ხსოვნისთვის!“

როგორც მასწავლებლებმა, ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ჩვენს მოსწავლეებს და ვრეაგირებდეთ მათ სიტუაციებზე. იესოს, მთავარი მასწავლებლის მსგავსად, ჩვენც მოქნილები უნდა ვიყოთ სწავლებისას. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ჩვენი გაკვეთილის ადაპტირება მოვახდინოთ, ჩვენი სტუდენტების საჭიროებებიდან გამომდინარე.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► მოქნილი ხარო სწავლების პროცესში? დაგეგმეთ მინიმუმ ორი განსხვავებული გზა გაკვეთილის ჩასატარებლად. თუ ჩვეულებრივ კითხულობთ ლექციას, დაგეგმეთ გაკვეთილი ლექციის გარეშე. თუ ხშირად იყენებთ PowerPoint-ს ან სხვა ტექნოლოგიას, დაგეგმეთ გაკვეთილი, რომელიც არ საჭიროებს ელექტრონერგიის გამოყენებას. თუ კლასში ასწავლით, დაგეგმეთ გარე გაკვეთილი და გამოიყენეთ ბუნება ამისთვის.

იესო, მთავარი მასწავლებელი, ურთიერთობდა შემოქმედებითად

იესო არასდროს დამჯდარა და უთქვამს: „დღეს ჩვენ წავიკითხავთ ჩვენი სახელმძღვანელოს 212 გვერდს. პეტრე, შენ წაიკითხე პირველი აზნაცი“. ამის ნაცვლად, იესომ შემოქმედებითად კომუნიკაციის ახალი გზები იპოვა.

► წაიკითხეთ იესოს შემოქმედებითი სწავლების თითოეული მაგალითი.

- **ლუკას 6:39-42.** დაფიქრდით რა ირონიაა, როდესაც ერთი ბრმა უძღვება მეორე ბრმას. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც თვალში დირე აქვს და ცდილობს სხვისი თვალიდან ბეწვის ამოღებას.
- **ლუკას 18:18-30.** შესაძლებელია თუ არა მიწიერი სიმდიდრის გამოყენება ღვთის სასუფეველში შესასვლელად? წარმოიდგინეთ ნემსის ყუნწში შეკუმშული აქლემი!
- **ლუკას 9:46-48.** იესომ მოიყვანა ბავშვი, როგორც ცოცხალი მაგალითი, თავმდაბლობის შესახებ გაკვეთილისთვის.

- **ლუკას 15:1-7.** როგორ რეაგირებს ღმერთი დაკარგულ სულზე, რომელიც შინ მოდის? იესომ ფერმერებს ცხვრის ფასეულობაზე მიუთითა.
- **ლუკას 15:11-32.** ასწავლიდა ხალხს პატრიარქალურ საზოგადოებაში, რომელშიც საბოლოო ძალაუფლება მამას ეკუთვნოდა, იესომ თქვა იგავი, რომელშიც მამა შოკის მომგვრელ საქციელს ჩადის გარშემო მყოფების თვალში, როდესაც უძლები შვილის მისასალმებლად გარბის.

იესო იშვიათად პასუხობდა კითხვას პირდაპირ. ხშირად, ის პასუხობდა იგავებით ან სხვა კითხვით. ლუკას 10 – ში რჯულის მცოდნემ ჰკითხა იესოს: „რა უნდა გავაკეთო, მოძღვარო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“ იესომ კეთილი სამარიელის ამბით უპასუხა (ლიკას 10:25-37).

იესოს შეეძლო შესანიშნავი კითხვების დასმა. იესო იშვიათად სვამდა კითხვებს, რომლებზეც შესაძლებელი იყო უბრალოდ „დიახ“ ან „არა“ ეპასუხათ. ამის ნაცვლად, ის უსვამდა კითხვებს, რომლებიც მსმენელს უბიძგებდა ახილოდა თვალი ახალ შესაძლებლობებზე.

► წაიკითხეთ ეს მაგალითები:

- **ლუკას 7:36-50.** ფარისეველს, რომელმაც ის გააკრიტიკა, იესომ ჰკითხა: „ვის უფრო მეტად ეყვარება, მას, ვისაც მეტი აპატიო, თუ მას, ვისაც ნაკლები?“
- **მარკოზის 8:36.** გვასწავლის მოწაფეობის შესახებ, იესომ ჰკითხა: „რას არგებს ადამიანს, თუ მთელ ქვეყნიერებას შეიძენს, თავის სულს კი ავნებს?“
- **ლუკას 6:46.** მათ, ვისაც მორჩილება არ სურდა, იესომ უთხრა: „რატომ მიწოდებთ: ‘უფალო, უფალო!’ და იმას კი არ აკეთებთ, რასაც გეუბნებით?“

არცერთი კითხვა არ იძლევა მარტივი პასუხის გაცემის შესაძლებლობას. თითოეული მათგანი სიღრმისეულად გვაფიქრებს იესოს სწავლების შესახებ.

მასწავლებლები ვერ იყენებენ კითხვებს სწორად ორი მიზეზით.

1. ჩვენ ვსვამთ კითხვებს, რომლებიც ძალიან მარტივია. ჩვენ ვუსვამთ "დიახ ან არა" კითხვებს. თუ გვინდა, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა სიღრმისეულად იფიქრონ, უნდა დავსვათ კითხვები, რომლებიც გასცდება სახელმძღვანელოს პასუხს.
2. პასუხის მიღებას საკმარის დროს არ ვუთმობთ. მკვლევარების თქმით, მასწავლებლების უმეტესობა ერთ წამზე ნაკლებ დროს ელოდება, სანამ სხვა სტუდენტზე გადავა პასუხის მისაღებად. დაახლოებით სამი წამი სჭირდება სტუდენტს, რომ გაიგოს კითხვა და დაიწყოს პასუხის გაცემა. კითხვების უკეთ გამოსაყენებლად, ყოველთვის დათვალეთ შვიდამდე, სანამ სხვა სტუდენტზე გადახვალთ პასუხის მისაღებად.

გამოყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► კრეატიული ხარტ სწავლების პროცესში? მოამზადეთ გაკვეთილი გალატელთა 6:7—8-ის მიხედვით. მოამზადეთ შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს ღრმად იფიქრონ თესვისა და მკის პრინციპზე. თქვენი შეკითხვების მომზადების შემდეგ, გადახედეთ ქვედა სქოლიოს დამატებითი კითხვებისთვის, რომელთა დასმა შეგიძლიათ.²⁵

ახლო ხედი: იგავების განმარტება

იგავები იყო იესოს სწავლების ყველაზე საყვარელი მეთოდი. ერთხელ ვიღაცამ განსაზღვრა იგავი, როგორც „მიწიერი ამბავი ზეციური გაკვეთილით.“ იესოს იგავებში გამოყენებული იყო ნაცნობი, სოფლის გარემო (ფერმერები, მწყემსები და ცხვარი), ნაცნობი ადამიანები (სამარიტელები, მღვდლები, მებაჟეები და ფარისევლები) და ნაცნობი სიტუაციები (დაკარგული ცხვარი, დაკარგული მონეტა და სახლიდან წასული ძე) მისი მოწაფეების ინტერესებთან დასაკავშირებლად.

შეფერდს გლობალ კლასრუმის კურსი, ბიბლიური განმარტებების პრინციპები, მოიცავს იგავების განმარტების ნაწილს. აქ მოცემულია პრინციპების მოკლე შინაარსი, რომლებიც ისწავლება ამ კურსზე. იგავის შესწავლისას უნდა ვიკითხოთ:

(1) რა კითხვამ ან სიტუაციამ შთააგონა ამ იგავის გადმოცემა?

კეთილი სამარიელის იგავმა უპასუხა რჯულის მცოდნის კითხვას: „ვინ არის ჩემი მოყვასი?“ იესოს მოთხრობილი პასუხობს: „ჩემს გზაზე შემხვდარი ნებისმიერი გაჭირვებული ადამიანი ჩემი მოყვასია და ჩემი პასუხისმგებლობა“ (ლუკას 10:36-37).

იესომ ძე შეცთომილის იგავი უთხრა რელიგიურ ლიდერებს, რომლებიც აკრიტიკებდნენ მის მეგობრობას ცოდვილებთან. „ახლოს მიდიოდა მასთან ყველა მებაჟე და ცოდვილი და უსმენდა მას. ფარისევლები და მწიგნობარნი ბუზღუნებდნენ და ამბობდნენ: ცოდვილებს ღებულობს და მათთან ჭამსო. უთხრა მათ ეს იგავ“ (ლუკას 15:1-3).

- მწყემსმა დაკარგა თავისი ცხვარი. მან გაიხარა, როდესაც იპოვა ის!
- ქალმა მონეტა დაკარგა. მან გაიხარა, როდესაც იპოვა ის!
- მამამ თავისი ძე დაკარგა. მან გაიხარა, როდესაც ის დაბრუნდა!

²⁵ კითხვები გალატელთა 6:7-8-ში თესვისა და მკის პრინციპის შესახებ:

(1) რა მაგალითები გვხვდება ბუნებაში, ან ყოფით ცხოვრებაში, რომლებიც ასახავს თესვისა და მკის პრინციპს?

(2) ვინ არიან ის ბიბლიური პერსონაჟები, რომლებიც ამ პრინციპს გამოხატავენ?

(3) თუ იცით ამ პრინციპის მაგალითები პირადი გამოცდილებიდან?

(4) თქვენს პირად ცხოვრებაში თესავთ თესლს, რომლის მომკაც არ გასურთ?

იესო გულისხმობს: „თქვენ არ უნდა შეშფოთდეთ, როცა ცოდვილებთან ერთად ვჭამ. ზეცა ხარობს, როდესაც ერთი ცოდვილი ინანიებს!“

თუ ჩვენი განმარტება არ პასუხობს კითხვას, ან არ ეხმიანება სიტუაციას, რამაც შთააგონა იესოს ნათქვამი, ჩვენ ავცდით იგავის არსს.

(2) რა არის იგავის ძირითადი საკითხი (ან საკითხები)?

იგავს ხშირად აქვს ერთი მთავარი აზრი მოთხრობის თითოეული მთავარი პერსონაჟისთვის. იგავის ძირითადი გაკვეთილი პირდაპირ შეეხება კითხვას ან სიტუაციას, რითიც იყო შთაგონებული იგავი. სხვა გაკვეთილები მომდინარეობს მოთხრობის პერსონაჟებისგან.

მე შეცთომიკის ისტორია მოიცავს სამ პერსონაჟს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მოთხრობის ძირითადი გაკვეთილი არის სამოთხეში სიხარული ცოდვილის გამო, რომელიც ინანიებს. ეს გაკვეთილი პასუხობს სიტუაციას, რამაც შთააგონა იესოს ამბავი. იგავის თითოეულ პერსონაჟს შეუძლია ისწავლოს ამბის მთავარ სათქმელთან დაკავშირებული გაკვეთილები. მამა გვასწავლის ჩვენი ზეციერი მამის საოცარ სიყვარულის შესახებ. მე შეცთომილი გვასწავლის ცოდვის ფასსა და მონანიების შესაძლებლობასაც. უფროსი ძმა გვაფრთხილებს, რომ ჩვენ შეგვიძლია ხელიდან გავუშვათ მამის სიყვარულის პრივილეგიები მაშინაც კი, როდესაც „კარგი ძეგები ვართ.“

(3) რომელი კულტურული დეტალებია მნიშვნელოვანი იგავში?

იესოს იგავები ხშირად ეწინააღმდეგებოდა მისი კულტურის ნორმებს. ეს არის ის, რაც იგავებს დასამახსოვრებელს ხდის: მამა გარბის განდგომილი ვაჟის შესაგებებლად; სამარიელი გმირია; უძლური ქვრივი ამარცხებს ძლიერ მოსამართლეს. რაც უკეთ გავიგებთ იგავის კულტურულ კონტექსტს, მით უკეთ გავიგებთ იესოს გზავნილს.

გამოყენება: მასწავლებლის შვიდი კანონი

²⁶ დოქტორი ჰოვარდ ჰენდრიქსი სამოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ასწავლიდა დალასის სასულიერო სემინარიაში. კარიერის განმავლობაში მან ასწავლა 10 000-ზე მეტ სტუდენტს. მისი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წიგნია პატარა წიგნია, რომელიც აჯამებს მის ფილოსოფიას შვიდ „კანონში მასწავლებლისთვის.“ ეს კანონები ემყარება იესოს სწავლების სტილს. ამ პრინციპების გამოყენებით, თქვენ გახდებით უფრო ეფექტური მასწავლებელი.

²⁶ ამ ნაწილში გამოყენებული მასალა ადაპტირებულია Howard Hendricks, *Teaching to Change Lives* (Colorado Springs: Multnomah Books, 1987)

მასწავლებლის კანონი

მასწავლებლის კანონი: თუ დღეს შეწყვეტ ზრდას, ხვალ შეწყვეტ სწავლებას.

დოქტორი ჰენდრიქსი სვამს კითხვას: „რომელი გირჩევნიათ დალიოთ წყალი დაჭაობებული ტბორიდან, თუ გამდინარე ნაკადულიდან?“ გამდინარე ნაკადულიდან მტკნარი წყალი უკეთესია, ვიდრე დამდგარი და უსიამოვნო.

ზოგიერთი მასწავლებელი წლების განმავლობაში არ კითხულობს ახალ წიგნს თავის საგანში და არანაირ ახალ იდეას არ ანვითარებს. მათი სწავლება ემსგავსება ტბორს; ის დამდგარია და უსიამოვნო. როგორც მასწავლებლებმა, ჩვენ უნდა განვაგრძოთ ზრდა ჩვენს სფეროში, ისევე როგორც პასტორებმა მუდმივად უნდა ისწავლონ, რათა ჩაწვდნენ ღვთის სიტყვის ახალ სიღრმეებს.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► წარმოიდგინეთ, რომ სტუდენტმა გკითხათ: „მასწავლებლო, რა ისწავლეთ ბიბლიიდან ბოლო დროს?“ თქვენი პასუხი იქნება ამ კვირაში, ამ თვეში, წელს, თუ დიდი ხნის წინ? ყოველდღიურად იზრდებით ღვთის სიტყვის ცოდნაში?

განათლების კანონი

განათლების კანონი: ის, თუ როგორ ითვისებს ნასწავლს ხალხი განსაზღვრავს იმას, თუ როგორ ასწავლით.

იესო ასწავლიდა მწყემსებს ცხვრებზე ისტორიების მოყოლით; ის მეთევზეებს ასწავლიდა „ადამიანთა მეზადურეობაზე საუბრით“; ის ასწავლიდა ქალს ჭასთან, წყალზე საუბრით. იესომ იცოდა, რომ ეფექტური მასწავლებელი ერგება და იყენებს თითოეული მოსწავლის საჭიროებებს.

დოქტორი ჰენდრიქსი ადარებს სწავლებას ფეხბურთის მწვრთნელის საქმეს. მწვრთნელი თვითონ არ თამაშობს; მწვრთნელი აძლევს სტიმულს და ხელმძღვანელობს მოთამაშეებს. ანალოგიურად, საუკეთესო მასწავლებელი არ აკეთებს ყველა საქმეს ლექციების მეშვეობით. საუკეთესო მასწავლებელი შთააგონებს თითოეულ სტუდენტს ისწავლოს ისე, როგორც ეფექტურია სწორედ ამ სტუდენტისთვის.

„სწავლების საბოლოო ტესტი არ არის ის, თუ რას აკეთებთ ან რამდენად კარგად აკეთებთ ამას, არამედ ის, თუ რა და რამდენად კარგად იცის მოსწავლემ.“

- დოქტორი ჰოვარდ ჰენდრიქსი

მორისი ჩემი ბიბლიური გაკვეთილის სტუდენტი იყო. ველოდებოდი, რომ სტუდენტები ყურადღებით ჩაიწერდნენ საკითხებს, გამოცდისთვის მოსამზადებლად. მორისს არ სურდა ჩანაწერების გაკეთება. ამის ნაცვლად, როცა ლექციებს ვკითხულობდი, ის თავის რვეულში ნახატებს ხატავდა. როგორც მასწავლებელი, ვშიშობდი, რომ მორისი არ მისმენდა. რამდენჯერმე ვუთხარი: „მორის, გთხოვ, ნუ ხატავ სურათებს. ჩაიწერე რასაც მე

გასწავლი.” მან სცადა შეესრულებინა ის, რაც მე ვთხოვე, მაგრამ მორისი ძალიან განაწყენებული დარჩა.

შემდეგ გამახსენდა დოქტორ ჰენდრიქსის განათლების კანონი. მე ვუთხარი: „მორის, მოდი, ჩავატაროთ ექსპერიმენტი. შეგიძლია დახატო, თუ მაჩვენებ, რომ გახსოვს რასაც ვამბობ კლასში.” ექსპერიმენტმა წარმატებით ჩაიარა. მორისი სწავლობდა სიტყვების სურათებად გადაქცევით. მოლოდინების შეცვლა ვისწავლე, რადგან „ის, თუ როგორ ითვისებს ნასწავლს ხალხი განსაზღვრავს იმას, თუ როგორ ასწავლით.”

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► გყავთ მოსწავლე, რომელიც განსხვავებულად სწავლობს, ვიდრე თქვენი კლასის დანარჩენი მოსწავლეები? რას აკეთებთ იმისთვის, რომ მოსწავლემ უფრო ეფექტურად ისწავლოს?

აქტივობის კანონი

აქტივობის კანონი: მაქსიმალური ჩართულობა უზეუნველყოფს ნასწავლის მაქსიმალურ ათვისებას.

იესომ იცოდა, რომ მისმა მოწაფეებმა უნდა პრაქტიკაში გაატარონ ის გაკვეთილები, რომელსაც ის ასწავლიდა. მან ისინი გაგზავნა სამსახუროდ; მან დაავალა მათ, რომ ხალხისთვის პური და თევზი დაერიგებინათ; მან ისინი უდაბნოში წაიყვანა სალოცავად; მან მათ საშუალება მისცა გამოეყენებინათ ნასწავლი. რა მოჰყვა შედეგად? მოციქულები ცნობილი გახდნენ, როგორც „მსოფლიოს ამრევები” (საქმეების17:6).

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ 10% –ზე ნაკლები გვახსოვს მოსმენილიდან, ჩვენ გვახსოვს 50% –ზე ნაკლები, რასაც ვხედავთ და ვისმენთ, მაგრამ ჩვენ გვახსოვს 90% –მდე, რასაც ვხედავთ, ვუსმენთ და ვაკეთებთ. აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვნად ზრდის სწავლებას.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► შემდეგი გაკვეთილისთვის მომზადებისას მოამზადეთ დავალება, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს პრაქტიკაში გამოიყენონ ის პრინციპი, რომელსაც ასწავლით.

კომუნიკაციის კანონი

კომუნიკაციის კანონი: იმისთვის, რომ ნამდვილად ვასწავლოთ, ჩვენ უნდა "ავაგოთ ხიდები" სტუდენტების მიმართ.

„მოვისმინე... და
დამავიწყდა.
დავინახე... და მახსოვს.
გავაკეთე... და გავიგე“.
- ჩინური ანდაზა

როგორც მასწავლებლები და პასტორები, ჩვენი მსახურება ურთიერთობაა. ჩვენი საქმეა არა უბრალოდ ინფორმაციის მიწოდება; ჩვენი საქმეა სიმაღლის, ჭეშმარიტების მიტანა ჩვენს მსმენელამდე. კომუნიკაცია წარმოსგდა ლათინური სიტყვიდან *communis*, რაც ნიშნავს საერთოს. კომუნიკაცია მოითხოვს საერთო ენის გამონახვას. კომუნიკაცია მოითხოვს ჩვენს სტუდენტებთან ხიდების აგებას.

იესომ მოწაფეებს მისცა ხიდების აგების ნიმუში. სამარიელი ქალის მისაღწევად იესომ რასობრივი, რელიგიური და სოციალური ბარიერები გადალახა. იესო იყო ებრაელი; ის სამარიელი იყო. იესო კაცი იყო; ის ქალი. იესო პატივცემული მოძღვარი (რაბინი) იყო; ამ ქალს უზნეო წარსული ჰქონდა. როგორ შეძლო იესომ ხიდი აეგო ამ ბარიერებზე? მან იპოვა საერთო ენა; ორივეს სწყუროდა. ფიზიკურმა მოთხოვნილებამ ხიდი ააგო შეხვედრისთვის, რომელმაც ცხოვრება შეცვალა (იოანეს 4:1-42).

დოქტორი ჰენდრიქსი წერდა, რომ კომუნიკაცია სამ დონეს უნდა მოიცავდეს:

1. **ცოდნა** - რაღაც ვიცი. ეს არის კომუნიკაციის უმარტივესი დონე.
2. **მგზნებარება** - რასაც ვგრძნობ. ეს არის კომუნიკაციის უფრო ღრმა დონე.
3. **მოქმედება** - რასაც მე ვაკეთებ. კომუნიკაციის ეს დონე ცვლის ჩვენს სტუდენტებს.

მე მოვისმინე, როდესაც აფრიკაში სემინარიის ადმინისტრატორმა წარუდგინა თავისი ხედვა მდიდარ ქველმოქმედს. მან მას იმაზე მეტი ფული სთხოვა, ვიდრე წარმომედგინა! ჩემდა გასაკვირად, ქველმოქმედმა გულუხვად გასცა. რატომ? სემინარიის ადმინისტრატორი სამ დონეზე ურთიერთობდა:

1. **ცოდნა** - მან იცოდა სემინარიაში მომზადების საჭიროება აფრიკაში.
2. **მგზნებარება** - ის მგზნებარედ იყო გატაცებული აფრიკაში ეკლესიის ლიდერების მომზადებით.
3. **მოქმედება** - მან სიცოცხლე აფრიკაში გაატარა და მრავალი მსხვერპლი გაიღო ეკლესიის ლიდერების მოსამზადებლად. ადმინისტრატორმა გააცნო, თუ რას აკეთებდა ის აფრიკაში.

ეფექტური სწავლებისთვის, ჩვენი საგნის მიმართ მგზნებარება უნდა გვქონდეს. წარმოიდგინეთ ეს საუბარი საკვირაო სკოლის ბევრ საკლასო ოთახში:

მასწავლებელი: „დღეს ჩვენ შევისწავლით იოანეს მე-6 თავში მოთხრობილ 5 000 კაცის დაპურების ისტორიას.“

მოსწავლე: „კითხვა მაქვს. ბიბლია ამბობს, რომ ისინი მხოლოდ კაცებს ითვლიდნენ. რატომ?“

მასწავლებელი: „არ ვიცი. ეს არ არის მნიშვნელოვანი. მხოლოდ გაკვეთილზე გაამახვილე ყურადღება.“

მოულოდნელად, ამაღელვებელი ბიბლიური ისტორია ხდება მოსაწყენი. ბავშვებს სურდათ ცოდნოდან, როგორ შეეძლო იესოს 20 000 ადამიანის გამოკვება რამდენიმე პურით და თევზით. როგორ შეგვეძლო ეს მოსაწყენი გაგვებადა? ეს მასწავლებელი არ აწვდის ცოდნას; მან არ შეისწავლა იმის საფუძველი, თუ რატომ ითვლიდნენ ებრაელი მწერლები მხოლოდ მამაკაცებს. მასწავლებელი არ გრძნობს ალტაცებას ამ საინტერესო ამბის მიმართ. მცირე შანსია, რომ ამ გაკვეთილმა შეცვალა მასწავლებლის ცხოვრება ისე, რომ მას შეეძლო შეეცვალა მოსწავლეთა ცხოვრება.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► გაკვეთილის მომზადებისას იფიქრეთ თქვენს სამყაროსა და თქვენი სტუდენტების სამყაროს შორის სხვაობაზე. დაუთმეთ დრო თქვენს სტუდენტებთან მისასვლელი ხიდის აგებას. იპოვნეთ გზა, რომ დააკავშიროთ გაკვეთილი თქვენი სტუდენტების ინტერესებთან.

გულის კანონი

გულის კანონი: ეფექტური სწავლა უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ პირისპირ კომუნიკაცია; ეს არის ურთიერთობა გულიდან გულში.

როდესაც იესომ მთაზე ქადაგება დაასრულა, „ხალხი გაოცებული დარჩა მისი მოძღვრებით, ვინაიდან იგი ასწავლიდა მათ, როგორც ხელმწიფების მქონე და არა როგორც მათი მწიგნობარნი“ (მათეს 7:28-29). იესოს მოძღვრება მისი გულიდან გამოვიდა და მსმენელის გულს შეეხო.

არაერთხელ არის ნაჩვენები სახარებებში იესოს მიერ გამოხატული თანაგრძნობა. ხალხს გული აუჩუყდა მის მიერ თანაგრძნობის გამოვლინებაზე. მისმა გულმა მათ გულამდე მიაღწია. ჰოვარდ ჰენდრიქსი გვიჩვენებს ეფექტური სწავლების ელემენტებს.

მასწავლებლის ხასიათი ნდობას აღძრავს მოსწავლეში.

თუ მოსწავლე ენდობა მასწავლებლის ხასიათს, მას აქვს ნდობა იმის მიმართაც, რასაც ასწავლიან. ჩვენ, როგორც პასტორებმა და მასწავლებლებმა, არასოდეს უნდა დავანგრძოთ ეს ნდობა. ყველაზე რთული არის ნდობის აღდგენა. ბრძენი ქრისტიანი ლიდერები გაურბიან ყველაფერს, რამაც შეიძლება მორალური ან ეთიკური მარცხი გამოიწვიოს.

თქვენმა ხასიათმა ნდობა უნდა გააჩინოს თქვენს მოსწავლეებში.

მასწავლებლის თანაგრძნობა იწვევს მოტივაციას მოსწავლეში.

როდესაც მოსწავლე გრძნობს მასწავლებლის თანაგრძნობას, ის მოტივირებულია სწავლისთვის. მოწაფეები მიყვებოდნენ იესოს, რადგან მათ იცოდნენ, რომ მას უყვარდა ისინი. თუ თქვენი მოსწავლეები არ გიყვართ, მათ მცირე სტიმული ექნებათ ისწავლონ თქვენგან.

დოქტორ ჰენდრიქსმა მცირეწლოვან ბავშვთა მასწავლებლებთან საუბრისას განაცხადა, „თუ ჯოანს ახალი ფეხსაცმელი აქვს, უნდა შეამჩნიოთ მისი ახალი ფეხსაცმელი, თორემ ის ვერასდროს გაიგებს თქვენს ახალ გაკვეთილს!“ მას შემდეგ რაც თქვენ გამოხატავთ დაინტერესებას მოსწავლის მიმართ (თქვენი სიყვარულის გამო), ისინი მზად არიან ისწავლონ გაკვეთილი, რომელსაც ასწავლით.

მასწავლებლის შინაგანი მდგომარეობა აძლევს მოსწავლეს გაგებას და აღქმის უნარს.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტუდენტი მიიღებს სწავლის მოტივაციას, მზად იქნებათ ასწავლოთ შინაარსი. მას შემდეგ, რაც მათ ნდობას მოიპოვებთ, შეგეძლებათ ესაუბროთ თქვენი გულიდან თქვენი სტუდენტების გულებს.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► გიყვართ თქვენი სტუდენტები? ასევე მნიშვნელოვანია, მათ იციან, რომ გიყვართ ისინი? როგორ შეძლებთ უკეთესად გადასცეთ თქვენი გული იმ სტუდენტებს, რომლებსაც ღმერთი გამოგიგზავნით?

წახალისების (გამხნეების) კანონი

წახალისების (გამხნეების) კანონი: სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც მოსწავლე სწორად არის მოტივირებული.

როდესაც მათ სიტყვა „მოტივაცია“ ესმით, ბევრი მასწავლებელი ფიქრობს კანფეტის, სერტიფიკატის, შეფასების მიცემაზე, ან სტუდენტების წახალისების სხვა გზებზე. ეს არის გარე ან „გარეგანი“ მოტივატორები. ისინი მომდინარეობენ სტუდენტის გარეგანიდან. გარე მოტივატორებში შედის ჯილდოები („დაიმასხოვრე 100 მუხლი და ჩვენ მოგცემთ თასს“) და დანაშაული („თუ არ დაიმასხოვრე ბიბლიური მუხლები, არ ხარ კარგი ქრისტიანი“). ბევრი მასწავლებელი თითქმის მთლიანად ეყრდნობა გარე მოტივატორებს.

გარე მოტივატორებმა შეიძლება ცოტა ხნით იმუშაონ, მაგრამ შედეგი დროებითია. თუ სტუდენტი იზიჰირებს ბიბლიურ მუხლებს მხოლოდ სერტიფიკატის მისაღებად, ის ოდესმე ზრდაში გაასწრებს ამგვარ მოტივატორებს. სერტიფიკატი აღარ იქნება ისეთი შთამბეჭდავი, რომ შრომისმოყვარეობა გამოიწვიოს. თუ სტუდენტი იზიჰირებს დანაშაულის გრძნობის გამო, საბოლოოდ ეს გრძნობაც დაკარგავს ძალას. ისინი

გადაწყვეტენ: „ვფიქრობ, რომ შემძლია ქრისტიანი ვიყო, ამ დამატებითი დამახსოვრებების გარეშე!“

შიდა, ანუ „შინაგანი“ მოტივატორები ბევრად უფრო ღრმაა. ისინი მომდინარეობენ სტუდენტის შინაგანიდან. დოქტორი ჰენდრიქსის ჩამონათვალიდან რამდენიმე შინაგანი მოტივატორი:

- **საკუთრება.** „ეს არის ჩემი ეკლესია. მის ზრდას რომ დავეხმარო, სტუმრებს მოვიწვევ.“
- **საჭიროება.** „მე მჭირდება ღვთის სიტყვა ცდუნების დასაძლევად, ამიტომ მე დავიმახსოვრებ წმიდა წერილის მუხლებს.“
- **მოწონების დამსახურება.** მე მიყვარს ჩემი მასწავლებელი და მინდა მას ვასიამოვნო, ასე რომ გაკვეთილს ვისწავლი.“

ამ მოტივაციებს ბევრად უფრო ხანგრძლივი ეფექტი გააჩნია, ვიდრე კანფეტებს, ან შეფასებებს. ამ სამოტივაციო საშუალებების გამოყენებით, ჩვენ ვუბიძგებთ ჩვენს სტუდენტებს გრძელვადიანად შესწავლისკენ.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► შეადგინეთ იმ მოტივატორების სია, რომელსაც იყენებთ თქვენი სტუდენტებისათვის. რომელია გარეგანი და რომელი შინაგანი?

მზადყოფნის კანონი

მზადყოფნის კანონი: სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც მოსწავლეს და მასწავლებელიც სათანადოდ არიან მომზადებული.

ჰგავს ეს ჩვეულებრივ საკვირაო სკოლის გაკვეთილს თქვენს ეკლესიაში?

მასწავლებელი: „დღეს ჩვენ შევისწავლით ეფესელთა მე-5 თავს. გთხოვთ გადაშალოთ თქვენი ბიბლიები.“

სტუდენტები ფიქრობენ: „რატომ არის საჭირო ეფესელთა მე-5 თავის შესწავლა?“

მასწავლებელმა ერთი საათი დაუთმო ეფესელთა მე-5 თავის სწავლებას. ის კარგი მასწავლებელია. გაკვეთილის ერთი საათის დასასრულს მოსწავლეები შთაგონებულები დარჩნენ პავლეს გზავნილით. გაკვეთილი დასრულდა და სტუდენტები სახლებში წავიდნენ. ერთი კვირის შემდეგ, ჩვენ შეიძლება ეს მოვისმინოთ:

მასწავლებელი: „დღეს ჩვენ შევისწავლით ეფესელთა მე-6 თავს. გთხოვთ გადაშალოთ თქვენი ბიბლიები.“

სტუდენტები ფიქრობენ: „რატომ არის საჭირო ეფესელთა მე-6 თავის შესწავლა?“

რამდენად უკეთესი იქნება, თუ მოსწავლეები ეფესელთა მე-6 თავს გაკვეთილამდე ისწავლიან! იქნება, თუ არა გაკვეთილი მეტად წარმატებული, თუ მოსწავლეები მოვლენ გაკვეთილზე შეკითხვების ჩამონათვალთ? რა თქმა უნდა! როგორ შეგიძლიათ მიაღწიოთ ამას? პროფესორი ჰენდრიქსი გვთავაზობს დავალებების მიცემას, რომლებიც მოსწავლეებს გაკვეთილისთვის ამზადებს. მაგალითად:

- მიეცით დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს იმ გაკვეთილზე, რომელსაც შემდეგ კვირას შეისწავლიან. „შემდეგი კვირამდე წაიკითხეთ საქმეების მე - 19 თავი, რომ გაიგოთ, როგორ დაიწყო პავლემ ეკლესია ეფესოში.“
- მიეცით დავალებები, რომლებიც გაკვეთილის საფუძველი გახდება. „მომდევნო კვირამდე წაიკითხეთ ბიბლიურ ლექსიკონში, ეფესოში, არტემიდეს ტაძრის შესახებ. ეს ხელს შეუწყობს ეფესელთა 6:10-20-ში პავლეს მიერ სულიერ ომზე ხაზგასმის გაგებას.“
- მიეცით დავალებები, რომლებიც ავითარებს სტუდენტის დამოუკიდებლად სწავლის უნარს. „ამ კვირაში ყოველდღე წაიკითხეთ ეფესელთა მე - 6 თავი. კითხვისას დაწერეთ ერთი შეკითხვა, რომელიც გაქვთ ამ თავის შესახებ. შემდეგ კვირას განვიხილავთ თქვენს შეკითხვებს.“

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► მომდევნო გაკვეთილზე, რომელზეც ასწავლით, მიეცით დავალება სტუდენტებს, რათა მოამზადოთ ისინი შემდეგი გაკვეთილისთვის. დარწმუნდით, რომ დავალება მოამზადებს მათ გაკვეთილის უკეთ გააზრებისთვის.

დასკვნა: მასწავლებლის ხასიათის მნიშვნელობა

იესომ იცოდა, რომ „ყველა სწავლაგასრულებული, ისეთივე იქნება, როგორც მისი მასწავლებელი“ (ლუკას 6:40). მისი მოწაფეები ამ პრინციპს ავლენენ. იმის გამო, რომ ის სრულყოფილი სიყვარულის ნიმუშით იყო განსწავლული, იოანე „ქუხილის მე" იოანე გახდა „სიყვარულის მოციქული.“ იმის გამო, რომ ის რწმენის ნიმუშით იყო განსწავლული, „ურწმუნო თომა" გახდა თომა, „ინდოეთის მოციქული.“ „როდესაც ისინი სრულყოფილად მომზადებულები გახდნენ, მოწაფეები მათ მასწავლებელს დაემსგავსნენ.

პირველი ნაბიჯი მასწავლებლისთვის არის გახდეთ ის, ვინც გსურთ, რომ თქვენი მოსწავლეები გახდნენ. იესო ვერ შეძლებდა მერყევი პეტრე „კლდედ" ექცია, თუ ის თვითონ არ იქნებოდა მდგრადობის მაგალითი. ჩვენ უნდა ვიყოთ ის, რაც გვსურს, რომ ჩვენი სტუდენტები გახდნენ.

პავლეს კარგად ესმოდა ეს პრინციპი. მან კორინთელებს უთხრა: „მიმბაძეთ მე, როგორც მე ქრისტეს“ (1 კორინთელთა 11:1). რა თამამი განცხადებაა! პავლე გულისხმობს: „თუ გინდა სწორი ცხოვრებით იცხოვრო, მომბაძე.“ რადგან პავლე ქრისტეს მიყვებოდა,

კორინთელთათვის უსაფრთხო იყო პავლეს გაყოლა.

თუ ჩემი სტუდენტები დამემსგავსებიან, უნდა ვიკითხო: „ვავლენ ხასიათის ისეთ თვისებებს, რისიც მრცხვენია ჩემი სტუდენტების მობაძვის?“ თუ სტუდენტებს სიბრაზით და მოუთმენლობით ვპასუხობ, არ უნდა გამიკვირდეს, თუ ჩემი მოსწავლეები "როდესაც ისინი გაასრულებენ" გამოხატავენ რისხვასა და მოუთმენლობას სხვების მიმართ.

მასწავლებლისთვის უმთავრესია ხასიათი. ვერ შეძლებთ თქვენს სტუდენტებს განუვითაროთ ისეთი ხასიათის თვისებები, რომლებსაც თქვენს ცხოვრებაში არ აყალიბებთ. გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ღვთიური ხასიათი გამოავლინოს, ვიდრე მისი დიდი განათლების გამოავლენა. ჩვენ უნდა ვიყოთ ის, რაც გვსურს, რომ ჩვენი სტუდენტები გახდნენ.

გამოიყენეთ გაკვეთილი პრაქტიკაში

► როდესაც ჩვენ დავასრულებთ ამ გაკვეთილს, იესოს მსგავსად სწავლების შესახებ, სთხოვეთ ღმერთს გაჩვენოთ, გაქვთ თუ არა ისეთი ხასიათის თვისებები, რომელთა მობაძვაც არ გსურთ თქვენი სტუდენტების მხრიდან. სთხოვეთ ღმერთს მადლი, რომ შეიტანოს საჭირო ცვლილებები, რათა როდესაც თქვენი მოსწავლეები „სრულად განისწავლებიან“, ნახოთ, როგორ აისახა მათ ცხოვრებაში ღვთის ხასიათი.

გაკვეთილი 4 დავალება

ამ გაკვეთილის დავალებები შესრულდა მთელი გაკვეთილის განმავლობაში. თუ გაკვეთილის განმავლობაში ჩამოთვლილი თითოეული მოქმედება შეასრულეთ, მეოთხე გაკვეთილზე დამატებითი დავალებები არ არის.

გაკვეთილი 5

ქადაგება იესო ქრისტეს მსგავსად

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- (1) ამოიცნოს ის თვისებები, რომლებმაც იესო ეფექტური მქადაგებელი გახადა.
- (2) გაითვალისწინოს სულიწმინდის როლი ეფექტურ ქადაგებაში.
- (3) იცოს ერთგული, როგორც მწყემსი-პასტორი.
- (4) მოამზადოს ქადაგება, იესოს ქადაგების მოდელის მიხედვით.

მსახურების პრინციპი

ეფექტური ქადაგება მხოლოდ ადამიანის ძალისხმევით შედეგი არ არის; ეფექტურია ქადაგება, რომელსაც სულიწმიდა ანიჭებს ძალას.

შესავალი

შეხედეთ ხალხის რეაქციას იესოს ქადაგებაზე.

- „როცა იესომ დაასრულა ეს სიტყვები, ხალხი გაოცებული დარჩა მისი მოძღვრებით“ (მათეს 7:28).
- „მთელი ხალხი გაოცებული იყო მისი მოძღვრებით“ (მარკოზის 11:18).
- „მრავალი ხალხი უსმენდა მას მოწადინებით“ (მარკოზის 12:37).

იესოს ქადაგება ძლიერი იყო. ათასობით ადამიანი შეიკრიბა მისი ქადაგების მოსასმენად. ეჭვგარეშეა, მისი ქადაგების სტილი დღეს ჩვენთვის მაგალითი უნდა გახდეს. გახსოვდეთ, რომ დედამიწაზე იესო მსახურობდა თავის ადამიანურ ბუნებაში. ნუ იფიქრებთ: „რა თქმა უნდა, იესო იყო ძლიერი მქადაგებელი; ის ხომ ღმერთი იყო.“ ამის ნაცვლად, იფიქრეთ: „იესო - როგორც ადამიანი - ქადაგებდა და ურთიერთობდა ძალითა და ავტორიტეტით. მისმა ქადაგებამ აუდიტორია ჭეშმარიტებისკენ მიმართა. რა შემთხვევაა ვისწავლო იესოსგან, რომელიც სახარების უფრო ეფექტურ მქადაგებლად მაქცევს?“

► წარმოიდგინეთ, რომ ახ. წ. 30 წელს ცხოვრობდით და გსმენიათ იესოს ქადაგება. რის ნახვას და მოსმენას მოელოდით?

იესო ძალაუფლებით ქადაგებდა

► წაიკითხეთ 2 კორინთელთა 4:1-6.

როდესაც იესომ კაპერნაუმში იქადაგა, ხალხი „გაოცებულნი იყვნენ მისი მოძღვრებით, ვინაიდან ძალმოსილი იყო მისი სიტყვა“ (ლუკას 4:32). მთაზე ქადაგების შემდეგ, „ხალხი გაოცებული დარჩა მისი მოძღვრებით. ვინაიდან იგი ასწავლიდა მათ, როგორც ხელმწიფების მქონე და არა როგორც მათი მწიგნობარნი“ (მათეს 7:28). მწიგნობრები სხვა მოძღვრებს ციტირებდნენ თავიანთი თეორიის დასადასტურებლად, ხოლო იესო ძალაუფლებით ქადაგებდა.

ჩვენ, როგორც პასტორებმა, ძალაუფლებით უნდა ვიქადაგოთ. ჩვენი ავტორიტეტი განსხვავებულია იესოსაგან. მისი ავტორიტეტი თავისთავად თანდაყოლილი იყო; ჩვენი, მოგვეცა, როგორც იესო ქრისტეს წარმომადგენლებს; ჩვენი ავტორიტეტი ემყარება ჩვენ მიერ ნაქადაგებ უწყებას.

ჩვენ ძალაუფლებით ვქადაგებთ, როგორც იესო ქრისტეს წარმომადგენლები

იესომ თქვა: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ზეცასა და მიწაზე.“ შემდეგ მუხლში მან თავის მიმდევრებს დაავალა: „ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი. აჰა, მე თქვენთანა ვარ დღენიდაგ საუკუნის დასასრულამდე“ (მათეს 28:18-20). ჩვენ გვაქვს ძალაუფლება, რადგან ჩვენ დაგვევალა იესოს წარმომადგენლობა.

1783 წელს შეერთებული შტატების წარმომადგენლები და მეფე გეორგ III - ს წარმომადგენლები შეხვდნენ პარიზის ხელშეკრულების ხელმოსაწერად, რითაც დასრულდა ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ომი. მეფე გეორგ III არ გამგზავრებულა პარიზში ხელშეკრულების ხელმოსაწერად. ჯორჯ ვაშინგტონსაც არ მოუწერია ხელი ხელშეკრულებისთვის. წარმომადგენლებს, ორივე ქვეყნიდან, ჰქონდათ უფლებამოსილება ხელი მოეწერათ ხელშეკრულებაზე, მათი მმართველის სახელით.

ჩვენ ასევე ვქადაგებთ, როგორც იესო ქრისტეს წარმომადგენლები. პავლემ დაწერა: „ვინაიდან ჩვენს თავს კი არ ვქადაგებთ, არამედ ქრისტე იესოს, უფალს. ხოლო ჩვენ თქვენი მონები ვართ იესოსთვის“ (2 კორინთელთა 4:5). პავლეს ავტორიტეტი არ იყო მისი. ის იყო „მსახური“, მაგრამ ის იყო „იესო ქრისტეს, როგორც უფლის, წარმომადგენელი“.

ჩვენ ძალაუფლებით ვქადაგებთ იმ უწყების გამო, რაც ჩვენ მოგვეცა

ჩვენი ავტორიტეტი ემყარება წმიდა წერილს, რომელსაც ჩვენ ვქადაგებთ. პავლემ დაწერა: „უარყავით სასირცხვილოს დაფარვა და არა ცბიერი ქცევით და ღვთის სიტყვის დამახინჯებით, არამედ ჭეშმარიტების გამოჩენით წარვადგენთ ჩვენს თავს ყველა ადამიანის სინდისის მიმართ ღვთის წინაშე“ (2 კორინთელთა 4:2). პავლემ უარი თქვა არაკეთილსინდისიერად მოქცევაზე ან რამეზე, რაც შეასუსტებს მის გზავნილს ღვთის სიტყვის შესახებ.

ამერიკაში ბევრი პასტორისთვის წმიდა წერილის ავტორიტეტი აღარ არის დამაჯერებელი. ზოგი მათგანი ელიტარულ უნივერსიტეტებში სწავლობდა, მაგრამ ძალაუფლებით აღარ ქადაგებენ. პირიქით, ისინი ეჭვებით სავსენი არიან. რატომ? მათ ეჭვი

ეპარებათ ბიბლიის ავტორიტეტში; ისინი მხოლოდ ადამიანის სიბრძნეს ეყრდნობიან. როგორც ღვთის მსახურები, ჩვენი ავტორიტეტი უნდა ემყარებოდეს ღვთის სიტყვას.

ერთხელ მოვისმინე, როგორ ყვებოდა ლიბერალი პასტორი იესოს წყალზე სიარულის ამბავს (მარკოზის 6:45-52). მარკოზი ამბობს, რომ მოწაფეები შეძრწუნდნენ! ამ პასტორს არ სჯეროდა, რომ იესო წყალზე დადიოდა. მან თქვა, რომ იესო ნაპირთან არაღრმა წყალში დადიოდა.

პასტორმა თქვა: „მარკოზის მე - 6 თავში არ არის მოთხრობილი სასწაულის შესახებ; ეს მხოლოდ ლამაზი ამბავია, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ აღაფრთოვანა მოწაფეები იესომ.“ მსახურების დასრულების შემდეგ გავიგე, რომ ვიღაცამ თქვა: რატომ შეძრწუნდა ხალხი? იესო მხოლოდ სანაპიროზე დადიოდა! აქ გასაოცარი და შემადრწუნებელი არაფერია.”

ეს პასტორი არ ენდობოდა თავის ბიბლიას; ის არ ენდობოდა წმიდა წერილის ავტორიტეტს. არანაირი საფუძველი არ არსებობს ღვთის სიტყვის ქადაგებისთვის, თუ არ გჯერათ მასში დაწერილის. ძალაუფლებით მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ქადაგება, როდესაც ვენდობით ღვთის სიტყვას.

იმის გაგება, რომ ჩვენი ავტორიტეტი გამომდინარეობს იესოსაგან და ჩვენ მიერ ნაქადაგები უწყებიდან, გვეხმარება თავიდან ავიცილოთ ის ორი საფრთხე, რაც პასტორებს უდგას.

(1) პირველი საფრთხე არის ამპარტავნება, რომელიც ამბობს: „მე პასტორი ვარ. მე ვარ „ბოსი“! ვერავინ შემეწინააღმდეგება.“

ეს ამპარტავნება აშორებს ხალხს სახარებას. პავლემ თქვა: „ჩვენს თავს კი არ ვქადაგებთ, არამედ ქრისტე იესოს.“ ჩვენი ავტორიტეტი გამომდინარეობს იესოსაგან და ღვთის სიტყვიდან.

ჩვენ თავმდაბლები უნდა ვიყოთ, რომ ვაღიაროთ, როდესაც ვცდებით. ერთხელ პასტორმა მითხრა: „მე არასოდეს ვეუბნები ეკლესიას, როდესაც შეცდომას ვუშვებ. ისინი დაკარგავენ ნდობას ჩემი ავტორიტეტისადმი.“ ამ პასტორს დაავიწყდა, რომ ჩვენი ავტორიტეტი არ ემყარება საკუთარ შეუცდომლობას; ჩვენი ავტორიტეტი ემყარება ღვთის სიტყვას. ჩვენ უნდა მივუთითოთ ჩვენს სამწყსოს ღვთის სიტყვის უზენაესი ავტორიტეტისკენ. ჩემი სიტყვები არ არის მნიშვნელოვანი; ღვთის სიტყვას აქვს ძირითადი მნიშვნელობა.

(2) მეორე საფრთხე არის ცრუ თავმდაბლობა რომელიც ამბობს: „მე მხოლოდ პასტორი ვარ. მე არ მაქვს უფლებამოსილება. პროფესიონალმა მრჩეველებმა მეტი იციან ფსიქოლოგიის შესახებ; მეცნიერებმა უფრო მეტი იციან დედამიწის წარმოშობის შესახებ; სოციოლოგებმა უფრო მეტი იციან ადამიანის სექსუალური სურვილების შესახებ. მე არ შემიძლია ვისაუბრო ემოციურ საჭიროებებზე, სამყაროს შექმნაზე ან ზნეობაზე, რადგან მე ექსპერტი არ ვარ.“

პავლემ თქვა: „ჩვენ მსახურნი ვართ, მაგრამ გვაქვს ძალაუფლება, როგორც იესო ქრისტეს წარმომადგენლებს.“ როგორც მსახურნი, თავმდაბლობით უნდა ვიცხოვროთ. მაგრამ, როგორც იესო ქრისტეს წარმომადგენლებმა, დარწმუნებით უნდა ვიქადაგოთ. ჩვენ ვმსახურობთ სამყაროს მეფის ძალაუფლებით.

იესოს ქადაგებებმა „კეთილი უწყება“ მოუტანეს გაჭირვებულ ხალხს

იესო თავისი აუდიტორიის საჭიროებებზე საუბრობდა. როდესაც „იესო გალილეაში მოგზაურობდა „ქადაგებდა სასუფევლის სახარებას“, ის სიბრალულით უყურებდა ხალხს „ვინაიდან დაუძლურებულნი და დაფანტულნი იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვარი“ (მათეს სახარება 9:36). ებრაელები რომის უღელქვეშ იყვნენ; ღარიბებს მცირე იმედი ჰქონდათ, რომ დააღწევდნენ თავს სიღარიბეს; კეთროვნები განდევნილნი იყვნენ; მებაჟეები უარყოფილნი იყვნენ საზოგადოების მიერ. თითოეულ მათგანს იესო იმედს აძლევდა.

როდესაც თქვენ საუბრობთ ხალხის საჭიროებებზე, იპყრობთ მათ ყურადღებას. თუ უდაბნოში ვცხოვრობ და თქვენ იტყვით: „დღეს მე გიქადაგებთ სიცოცხლის წყლის შესახებ“, ყურადღებით მოგისმენთ! თუ მოხუცი და უსუსური ვარ და თქვენ იტყვით: „დღეს მე გიქადაგებთ ღმერთზე, რომელიც არწივებივით ძალას მოგცემთ“, მე მოგისმენთ!

იესოს ყოველთვის ახსოვდა, რომ „სახარება“ ნიშნავს „კეთილ უწყებას.“ ის მოვიდა, რომ მოეტანა კეთილი უწყება მათთან, ვისაც იმედი ჰქონდა. ეფექტურმა ქადაგებამ იმედი უნდა მოუტანოს მათ, ვინც გვისმენს. იესოს მსგავსად, ჩვენც უნდა ვიკითხოთ: „ვინ არიან ისინი ვისთვისაც ვქადაგებ? რა საჭიროებები აქვთ მათ?“

წარმოიდგინეთ, რომ ავტოავარიაში მოყვებით და გემუქრებათ სისხლდენის გამო სიკვდილი. საავადმყოფოში ექიმი გიჩვენებთ სრულ ფერად სქემას, რომელშიც მოცემულია სტატისტიკური მონაცემები ავტოკატასტროფების შესახებ. იგი განგიმართავთ სტეტოსკოპის ისტორიულ განვითარებას. დაბოლოს, ის გაფრთხილებთ უყურადღებო მართვის საშიშროების შესახებ.

ექიმის ნათქვამი სიმართლეა, მაგრამ ის არ აგვარებს თქვენს საჭიროებას. თქვენ გჭირდებათ ადამიანი, რომელიც შეგიხვევთ ჭრილობებს და მოგცემთ წამალს ტკივილის შესაჩერებლად. ქადაგება უფრო მეტს უნდა აკეთებდეს, ვიდრე უბრალოდ ფაქტები წარმოაჩინოს; ქადაგება უნდა პასუხობდეს ჩვენი მსმენელის საჭიროებებს.

მქადაგებლებმა იქ უნდა მოფხანოთ, სადაც ხალხს ქავილი აქვს.

ადვილია ჩვენი დაცემული სამყაროს „ცუდი ამბების“ დანახვა. სახარება მეტს აკეთებს; მას იმედი მოაქვს განადგურებულ სამყაროში. იესოს ყოველთვის იმედი მოჰქონდა თავის მსმენელებისთვის. იესო არასდროს მიდიოდა კომპრომისზე ჭეშმარიტების ხარჯზე და ჩვენც არასდროს უნდა წავიდეთ კომპრომისზე ჭეშმარიტების ხარჯზე. მაგრამ იესომ

იცოდა, რომ სწორად ნაქადაგებ ჭეშმარიტებას იმედი მოაქვს. ერთმა მოხუცმა მქადაგებელმა თქვა: „თქვენ იქ უნდა მოფხანოთ, სადაც ხალხს ქავილი აქვს.“ თქვენ უნდა ისაუბროთ მათ საჭიროებებზე, ვისთან მიღწევასაც ცდილობთ.

იესოს ქადაგებები მსჯავრის დამდეგები იყო

იესო იწყებდა თავისი მსმენელის საჭიროებებით, მაგრამ მისი მიზანი უფრო ღრმა იყო, ვიდრე უბრალოდ ჭრილობაზე დროებითი სახვევის დადება. იესოს ქადაგებამ მსჯავრი დასდო მათ სინდისს და შეცვალა მათი ცხოვრება.

იესოს არ ეშინოდა გამოსულიყო თავისი მსმენელების წინაშე გზავნილით, ცოდვის გამო გასამართლების შესახებ. იესომ უთხრა მრუმობაზე წასწრებულ ქალს: „არც მე გდებ მსჯავრს“, მაგრამ მან ასევე უთხრა: „წადი და ამიერიდან ნულარ შესცოდავ“ (იოანეს 8:11).

იესოს მსახურების ერთ-ერთი ჩემი საყვარელი ამბავია პარალიზებული ადამიანის ისტორია ბეთზდას აუზზე. განკურნების შემდეგ იესომ უთხრა მას: „აჰა, შენ გაჯანსაღდი, ნულარ შესცოდავ, რათა რამე უარესი არ დაგემართოს“ (იოანეს 5:14). იესო არ ერიდებოდა ცოდვის შეწინააღმდეგებას.

როდესაც იესო ქადაგებდა, მისი აუდიტორია მზილებული რჩებოდა. ბევრი თანამედროვე მქადაგებიბლისგან განსხვავებით, იესო ქადაგებდა წმიდად ცხოვრების აუცილებლობას. იესოს არსად უთქვამს: „მამაჩემი არ ელის თქვენგან, რომ შეასრულებთ მის მცნებებს.“ პირიქით, იესომ თქვა: „თუ თქვენი სიმართლე არ აღემატება მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“ (მათეს 5:20). იესო იმ დროის რელიგიურ ლიდერებზე მეტს მოითხოვდა. იესოს ქადაგებამ ყველას, ვინც ის მოისმინა ცოდვილობის გააზრება მოუტანა.

იესოს ქადაგებები სიცოცხლეს ცვლიდა

ამერიკის სამოქალაქო ომის დროს პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი დაესწრო ეკლესიის მსახურებას, სადაც პასტორი იყო დოქტორი ფინეას გურლი. ერთი მსახურების შემდეგ მეგობარმა ჰკითხა: „რას ფიქრობ ქადაგებაზე?“ ლინკოლნმა თქვა: „ის კარგად იყო წარმოდგენილი და მშვენიერ აზრებს იძლეოდა.“

„ბიბლია არ მოგვცემია მხოლოდ ჩვენი ცოდნის გასაზრდელად, არამედ ჩვენი ცხოვრების შესაცვლელად.“

- ადაპტირებულია დ.ლ. მუდის ნაშრომის მიხედვით

მეგობარმა თქვა: „ესე იგი მოგეწონა?“ მისტერ ლინკოლნმა დააყოვნა და შემდეგ თქვა: „არა. მე ვფიქრობ, რომ პატივცემული გურლი წარუმატებელი იყო დღეს.“ მეგობარი შეცბა. „ამას რატომ ამბობ?“ ლინკოლნმა უპასუხა: „მან არ გვთხოვა ჩვენ, რომ რაიმე დიდებული რამ გაგვეკეთებინა.“ პრეზიდენტ ლინკოლნს მიაჩნდა, რომ ქადაგება პასუხს უნდა ითხოვდეს. მას სჯეროდა, რომ ქადაგებამ უნდა შეცვალოს ცხოვრება.

► წაიკითხეთ მათეს მე - 18 თავი.

იესო ქადაგებდა, რათა ცხოვრება შეცვლილიყო. მისი ქადაგება პრაქტიკული იყო. მათეს მე - 18 თავში ჩაწერილია იესოს ქადაგება „ურთიერთობები ცათა სამეფოში.“ იესო ასწავლის ამის შესახებ:

- თავმდაბლობის აუცილებლობა (18:2-6)
- რეაგირება ცდუნებაზე (18:7-9)
- რეაგირება დანაკარგზე (18:10-14)
- რეაგირება მათ მიმართ, ვინც თქვენს წინააღმდეგ შესცოდავს (18:15-20)
- პატიების აუცილებლობა (18:21-35)

ეს არის ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკული საკითხები. იესო საუბრობდა თავისი მსმენელების რეალურ საჭიროებებზე. ის ქადაგებდა, რათა ცხოვრება შეცვლილიყო.

იესომ განკურნება მისცა ადამიანს, რომელიც დაბადებიდან ბრმა იყო, შემდეგ კი მისცა მას გზავნილი, რომელიც მის ცხოვრებას მარადისობისთვის შეცვლის.

გაიგო იესომ, რომ გარეთ გააგდეს იგი, მონახა და უთხრა მას: „შენ გწამს ძე კაცისა?“ მიუგო მან და თქვა: „ვინაა იგი, უფალო, რომ ვიწამო?“ უთხრა იესომ: „შენ გინახავს იგი და, ვინც შენ გელაპარაკება, ისაა.“ მან თქვა: „მწამს, უფალო.“ და თაყვანი სცა მას (იოანეს 9:35-38).

მშიერ ხალხს იესო პურს აძლევდა - შემდეგ კი ქადაგებდა ჭეშმარიტებას, რომელიც მათ ცხოვრებას მარადისობისთვის ცვლიდა. „მე ვარ პური სიცოცხლისა. ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასოდეს მოსწყურდება“ (იოანეს 6:35).

ქადაგება, რომელიც ცხოვრებას ცვლის, აერთიანებს ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებას და ადამიანების საჭიროებებს. ეფექტური ქადაგება ღვთის ჭეშმარიტებას საუბრობს ადამიანების საჭიროებებზე.

როდესაც იესო ქადაგებდა, ის ელაპარაკებოდა გონებას, ემოციებს და ნებას. სამივე ჩართულია ნამდვილ ცვლილებებში.

იესო ელაპარაკებოდა გონებას

იოანემ იესოს აღსაწერად გამოიყენა ტერმინი „სიტყვა“. „სიტყვა“ ბერძნული ტერმინი იყო, რომელიც სიბრძნესა და გამჭრიახობას გულისხმობდა. როდესაც კითხულობთ იესოს ქადაგებას მათეს მე - 18 თავში, თქვენ კითხულობთ ყველაზე ბრძნულ სწავლებას ოდესმე მოცემულს ურთიერთობების შესახებ. წარმოიდგინეთ საზოგადოება, რომელშიც ადამიანები თავმდაბლურად ექცევიან ერთმანეთს. წარმოიდგინეთ საზოგადოება, რომელშიც პატიება ნორმაა. იესო თავისი მსმენელის გონებას სიბრძნეს ელაპარაკებოდა.

იესო ელაპარაკებოდა ემოციებს

ოცდათოთხმეტჯერ არის სახარებებში ნახსენები იესოს მსმენელთა შორის „განცვიფრება“, „სასწაული“ და „საოცრება“. ემაუსისკენ მიმავალ გზაზე მყოფმა მოწაფეებმა თქვეს: „განა არ გიზგიზებდა ჩვენი გული ჩვენში, როცა გზაში გველაპარაკებოდა და როცა წერილებს განგვიმარტავდა?“ (ლუკას 24:32). ის, ვინც იესოს უსმენდა, განიცდიდა სიხარულს მისი მოწყალე სიტყვების გამო, მწუხარებას თავიანთი ცოდვების გამო და, უპირველეს ყოვლისა, მომავლის იმედს.

იესო ელაპარაკებოდა ნებას

იესოს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ მსმენელის ყოლა; მან მიმდევრებს მოუწოდა. იესოს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ გარე ცვლილებები; მან გარდასახული გულისა და ცხოვრებისკენ მოუწოდა. იქნებოდა ეს სამარიელი ქალი ცოდვილი წარსულით თუ მდიდარი ახალგაზრდა კაცი, რომელიც გულმოდგინედ ასრულებდა რჯულს, იესო თავის მსმენელებს მოუწოდებდა, ღვთის მორჩილებისკენ. როდესაც იესოსავით ვიქადაგებთ, მსმენელებს ცხოვრების ახალი წესისკენ მოვუწოდებთ.

ახლო ხედი: თქვენ ქადაგებთ სახარებას?

პასტორი ქადაგებდა რომაელთა პირველი თავიდან, ჰომოსექსუალობის ცოდვის წინააღმდეგ. ის ჭეშმარიტებას ქადაგებდა. მაგრამ რაღაც აკლდა ჩემს გვერდით იჯდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ებრძვის იგივე სქესისადმი ლტოლვას. ამ ახალგაზრდა კაცმა იცის, რომ ჰომოსექსუალობა ცოდვაა და დაიწყო ლოცვა ხსნისთვის. მან იცის თავისი ცოდვის შესახებ ჭეშმარიტება; მან უნდა მოისმინოს კეთილი უწყება (სახარება), რომ ღმერთს შეუძლია მოგვცეს გამარჯვება ცდუნებაზე.

პასტორი ციტირებდა იესოს გაფრთხილებას განქორწინების შესახებ. ის წუწუნებდა კანონებზე, რომლებიც ადვილად განქორწინების საშუალებას იძლევა. ის ჭეშმარიტებას ქადაგებდა. მაგრამ რაღაც აკლდა.... იმ კვირაში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ორი მცირეწლოვანი შვილით ეწვია განქორწინების ადვოკატს, რადგან მათ ვერ გადაჭრეს კონფლიქტი, რომელიც მათ ქორწინებას ანგრევდა. მათ იციან, რომ განქორწინება ცოდვაა; მათ უნდა მოისმინონ კეთილი უწყება (სახარება), რომ იესოს შეუძლია განკურნოს ტკივილისგან მთი ქორწინება.

პასტორი ყვიროდა, რომ „აბორტი კლავს უდანაშაულო ბავშვს.“ ის ჭეშმარიტებას ქადაგებდა. მაგრამ რაღაც აკლდა.... მის მრევლში იყო საშუალო ასაკის ქალბატონი, რომელიც ტირის, როდესაც ახსენდება ის დღე, როდესაც აბორტის კლინიკაში მოათავსეს, როგორც დაუქორწინებელი მოზარდი. ოცი წლის შემდეგაც კი ის ეჭვობს, ღმერთმა აპატია, თუ არა მისი ცოდვა. მან იცის, რომ აბორტი ცოდვაა; მან ჭირდება, რომ მოისმინოს კეთილი უწყება (სახარება), რომ ღმერთი პატიობს მის წარსულს.

იესო არასდროს მიდიოდა კომპრომისზე ჭეშმარიტების ხარჯზე, მაგრამ არასდროს ავიწყებოდა იმედის მიცემა. მან იცოდა, რომ სახარება ცვლის ცხოვრებას. იგივე სქესისადმი ლტოლვასთან ბრძოლაში მყოფ ახალგაზრდა კაცს იესო ეტყოდა: „ჩემი მადლი საკმარისია ცდუნებაზე გასამარჯვებლად.“ იმ წყვილისთვის, რომელიც ქორწინების დანგრევის საფრთხის წინაშე იდგა, იესო ეტყოდა: „შემიძლია მოსიყვარულე გულის აღდგენა მეუღლის მიმართ, თუნდაც ის ძალიან არამიმზიდველად გეჩვენებოდეს.“ ქალბატონს, რომელმაც შესცოდა თავისი დაუბადებელი ბავშვის წინაშე, იესო ეტყოდა: „აბორტის ცოდვასაც ვაპატიებ, ისევე როგორც სხვა ცოდვებს. წადი და აღარ შესცოდო.“

სახარებაში მოცემულია ცოდვის გამო სასჯელის გზავნილი. ჩვენ ძალაუფლებით უნდა ვიქადაგოთ სასჯელის შესახებ. მაგრამ იესოსავით ქადაგებისთვის არ უნდა დაგვავიწყდეს მადლის ძალა, რომელიც ცვლის ცხოვრებას. ჩვენ ღვთის მადლის შესახებ, კეთილი უწყება უნდა მივუტანოთ დაცემულ ქვეყნიერებას.

სახარება ყოველთვის შეიცავს კეთილი უწყების ორ ნაწილს. პირველი, სახარება გვეუბნება, თუ რა გააკეთა ღმერთმა ჩვენთვის. ეს იმედს აძლევს უიმედო ქვეყნიერებას.

შემდეგ, სახარება გვეუბნება, თუ ვინ შეიძლება გავხდეთ სულიწმიდის ძალით. სახარება არასდროს გვტოვებს იქ, სადაც ვიყავით; ის გვიბიძგებს ღმერთთან სიღრმეებში სიარულისკენ.

იესოს ქადაგებები მარტივი და დასაძახსოვრებელი იყო

იესო არასოდეს აბეზრებდა ხალხს ჭეშმარიტებით. მან იცოდა ქადაგება მარტივი და პირდაპირი გზით. მისი ქადაგება ღრმა იყო, მაგრამ ამის გაგება ყველა მსმენელს შეეძლო. ის სიღრმისეულ ჭეშმარიტებას ამბობდა, მაგრამ ამის მიუხედავად აუდიტორიის ყველაზე გაუნათლებელი ადამიანის ინტერესსაც კი იწვევდა.

ეფექტური მქადაგებლის მიზანი არ არის აუდიტორიაზე შთაბეჭდილების მოხდენა, მისი ღრმა ცოდნით. მქადაგებლის მიზანი უნდა იყოს ღვთის სიტყვის მარტივად და ძლიერად გადმოცემა – და მისცეს საშუალება სულიწმიდას, დაარწმუნოს მსმენელები ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებაში.

როგორ ახერხებდა იესო, რომ მისი ქადაგებები ყოფილიყო მარტივი და საინტერესო?

იესო ყვებოდა ამბებს

მათ, ვინც იესოს ქადაგებებს ისმენდა, ხშირად ესმოდათ ეს სიტყვები: „მოდით ერთ ამბავს მოგიყვებით.“ მისმა ამბებმა მოხიზლა მსმენელი და ყური გაუხსნა მისი გზავნილის მისაღებად.

უმეტესობა ჩვენგანს ამბავი გაცილებით დიდხანს ახსოვს, ვიდრე სამპუნქტიანი მონახაზი. კარგი ამბები, ანუ ისტორიები ქადაგებას ილუსტრირებს ისე, რომ ქადაგების მთავარი

აზრის დამახსოვრებაში გვხვდებით. შესანიშნავი ამბავი აჯამებს გზავნილს, ანუ მთავარ აზრს, რომლის გადმოცემასაც მქადაგებელი ცდილობს.

► განიხილეთ ბოლო ისტორია, რომელიც ქადაგებისას მოისმით. ეფექტურად გადმოსცემს ეს ისტორია მქადაგებლის სათქმელს? დაიმახსოვრეთ ისტორიის მიზანი? იქნებოდა ქადაგება ისეთივე ეფექტური და დასამახსოვრებელი ამ ისტორიის გარეშე?

იესო იყენებდა მარტივ ენას

მე ვასწავლი ფორტეპიანოს მასწავლებლების კლასს. მეცადინეობის ფარგლებში ვაძლევ კონცეფციას და ვთხოვ თითოეულ მასწავლებელს, აუხსნას ის ახალგაზრდა პიანისტს. რაც უფრო უკეთ ესმის მასწავლებელს კონცეფცია, მით უფრო მარტივად შეუძლია მას აუხსნას ის მოსწავლეს. მასწავლებელი, რომელიც იყენებს რთულ სიტყვებს კონცეფციის სწავლებისთვის, ხშირად მაღავს იმას, რომ თვითონ ვერ გაიგო საგანი. რაც უკეთესად გაიგებთ რამეს, მით უფრო მარტივად შეძლებთ მის გადაცემას.

იესომ იცოდა, როგორ ეთარგმნა ჭეშმარიტება თავისი აუდიტორიის ენაზე. ის უქადაგებდა ფერმერებს თესლის თესვის შესახებ. ის უქადაგებდა მწყემსებს ცხვრების შესახებ. ის უქადაგებდა მეთევზეებს თევზაობის შესახებ. ბევრი უარყოფდა იესოს გზავნილს, მაგრამ მისი ქადაგებები არავისთვის იყო მოსაწყენი.

იესოს გზავნილები გასაგები იყო მეთევზეების, ფერმერებისა და დიასახლისებისთვის. მაგრამ ამას შეიძლება გაენაწყენებინა მეცნიერები, რელიგიური და პოლიტიკური ლიდერები. მისი ქადაგება საზოგადოების ყველა დონეზე იყო მიმართული. მარტივი არ ნიშნავს ზედაპირულს. ჩვენმა ქადაგებებმა უნდა გადმოსცენ სახარების დიადი ჭეშმარიტებები გასაგებად და მარტივად.

იესო იყენებდა გამეორებებს

ერთხელ ვესტუმრე პასტორს, რომელიც იმედგაცრუებული იყო თავისი მრევლით. მან თქვა: „მათ ეს უკვე უნდა იცოდნენ; ამის შესახებ მე ორი წლის წინ ვიქადაგე.“ მე შევახსენე, რომ იესო ბევრჯერ ქადაგებდა ერთსა და იმავეს, სანამ მისი მოწაფეები არ გაიგებდნენ.

მე ვკითხე ამ პასტორს: „როგორ ფიქრობთ, თქვენი ქადაგება უკეთესია, ვიდრე იესოსი?“

„რატომ უნდა არა!“

„როგორ ფიქრობთ, თქვენი ეკლესიის წევრები უფრო ბრძენები არიან, ვიდრე მოწაფეები?“

„არა!“

„მაშინ მოგიწევთ ჭეშმარიტების გამეორება, როგორც იესო აკეთებდა.“

იესო იმეორებდა იმავე ჭეშმარიტებებს თავის ქადაგებებში. ის მრავალჯერ ასწავლიდა მოწაფეებს თავის სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ის ბევრჯერ ქადაგებდა

ცათა სამეფოს შესახებ. იესომ იცოდა, რომ ეს ჭეშმარიტებები სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, ამიტომ ის უამრავჯერ ქადაგებდა ამ გზავნილებს, რათა მათ დამსწრე საზოგადოებამდე მიეღწიათ.

ახლო ხედი: იგებენ თუ არა თქვენს გზავნილებს თქვენი მსმენელები?

წაიკითხეთ ეს ქადაგება.

وَلَمَّا رَأَى الْجُمُوعَ صَعِدَ إِلَى الْجَبَلِ فَلَمَّا جَلَسَ تَقَدَّمَ إِلَيْهِ تَلَامِيذُهُ
فَعَلَّمَهُمْ قَائِلًا
طُوبَى لِلْمَسَاكِينِ بِالرُّوحِ لِأَنَّ لَهُمْ مَلَكُوتَ السَّمَاوَاتِ
طُوبَى لِلْحَزَانَى لَأَنَّهُمْ يَتَعَزَّوْنَ
طُوبَى لِلْوَدْعَاءِ لَأَنَّهُمْ يَرِثُونَ الْأَرْضَ
طُوبَى لِلْجِيَاعِ وَالْعَطَاشِ إِلَى الْبَرِّ لَأَنَّهُمْ يُشْبِعُونَ
طُوبَى لِلرَّحَمَاءِ لَأَنَّهُمْ يَرْحَمُونَ
طُوبَى لِلْأَنْقِيَاءِ الْقَلْبِ لَأَنَّهُمْ يُعَايِنُونَ اللَّهَ
طُوبَى لِصَانِعِي السَّلَامِ لَأَنَّهُمْ أَبْنَاءُ اللَّهِ يُدْعَوْنَ
طُوبَى لِلْمَطْرُودِينَ مِنْ أَجْلِ الْبَرِّ لِأَنَّ لَهُمْ مَلَكُوتَ السَّمَاوَاتِ
طُوبَى لَكُمْ إِذَا عَيَّرُوكُمْ وَطَرَدُوكُمْ وَقَالُوا عَلَيْكُمْ كُلَّ كَلِمَةٍ شَرِيرَةٍ مِنْ أَجْلِ كَاذِبِينَ
افْرَحُوا وَتَهَلَّلُوا لِأَنَّ أَجْرَكُمْ عَظِيمٌ فِي السَّمَاوَاتِ قَائِلًا لَهُمْ هَكَذَا طَرَدُوا

ეს არის იესოს მთაზე ქადაგების პირველი 12 მუხლი. ეს ძლიერი ქადაგებაა, მაგრამ თუ არაბულად ვერ კითხულობთ, აქედან სარგებელს ვერ მიიღებთ. რატომ? ეს თქვენს ენაზე არ არის ნათარგმნი. შესაძლებელია ჭეშმარიტების ქადაგება მისი უბრალო ენაზე თარგმნის გარეშე, რომლის გაგებაც ჩვენს მსმენელს შეუძლია. იესოს მსგავსად ქადაგებისთვის, მარტივად და დასამახსოვრებლად უნდა ვიქადაგოთ.

იესოს ქადაგებები უტყუარი იყო

იესოს ქადაგებები უტყუარი იყო. მისი ცხოვრება შეესატყვისებოდა მის გზავნილებს. იესო უბრალოდ არ ქადაგებდა ღვთისმოსავი ცხოვრების შესახებ; ის ღვთისმოსავი ცხოვრებით ცხოვრობდა. ვერავინ მიუთითებდა იესოს გზავნილებსა და მისი ცხოვრების წესს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე. იესო ცხოვრობდა ისე, როგორც ქადაგებდა.

წარმოიდგინეთ, რომ გსურთ ისწავლოთ მანქანის მართვა. თქვენ ნახეთ ორი მასწავლებელი, რომლებიც გთავაზობენ მართვის გაკვეთილებს. ერთ მასწავლებელს არასდროს უტარებია მანქანა, მაგრამ წაკითხული აქვს მრავალი წიგნი მართვის შესახებ. მეორე მასწავლებელს აქვს მრავალი წლის განმავლობაში უსაფრთხოდ მართვის გამოცდილება. რომელ მასწავლებელს აირჩევდით?

„იესოს არასდროს უთქვამს:
'თქვენ მათ შეიცნობთ მათი
მსახურების ზომით.' მან
თქვა: 'თქვენ მათ ნაყოფით
შეიცნობთ' – მამის
ნებისადმი მათი
მორჩილებით."
- კრეიგ კინერი

ახლა წარმოიდგინეთ, რომ გსურთ ისწავლოთ ქრისტიანული ცხოვრება. თქვენ ნახეთ ორი პასტორი. ერთი პასტორი ცოდვილი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ ის კარგ თემებს ქადაგებს. მეორე პასტორი ცხოვრობს ისე, რომ ჩანს მისი ახლო ურთიერთობა ღმერთთან. რომელ პასტორს აირჩევდით?

ჩვენი ქადაგება წრფელი უნდა იყოს. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იმ ცხოვრებით, რომელსაც ვქადაგებთ. ბევრმა მქადაგებელმა აღმოაჩინა, რომ შესაძლებელია ცოტა ხნით თავი მოაჩვენო პატიოსნად. შეიძლება ხალხს მოატყუოს მქადაგებელმა, რომელიც პატიოსნებას ქადაგებს, მაგრამ შესაწირავიდან ფულს იპარავს. ისინი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მქადაგებელმა, რომელიც ზნეობას ქადაგებს, მაგრამ საყვარელს ფარავს. ისინი შეიძლება მოატყუოს პასტორმა, რომელიც სიყვარულს ქადაგებს, მაგრამ ცოლს სცემს. მაგრამ საბოლოოდ, სიმართლე გამომომჟღავნდება. ცარიელი გული მოიტანს მსახურებას, რომელშიც არ იქნება სულიერი ძალა. ღმერთი ჩვენი მეშვეობით იმოქმედებს, როდესაც მას უფლებას მივცემთ იმუშაოს ჩვენში.

არასოდეს დაუშვათ, რომ ქადაგების შელამაზებამ ცოდვილი ცხოვრება დამალოს. ეფექტური ქადაგება იწყება გულით, რომელიც ღმერთს იცნობს.

გამოყენება: პასტორი, როგორც მწყემსი

► წაკითხეთ მარკოზის 6:30-34.

პასტორის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულება, მწყემსობაა. იესომ „უამრავი ხალხი რომ დაინახა, შეებრალა ისინი, ვინაიდან უმწყემსო ცხვრებივით იყვნენ, და დაუწყო მათ მრავალი რამის სწავლება.“ იესომ ამ ხალხს რომ შეხედა, დაინახა ცხვრები, რომლებსაც მწყემსი სჭირდებოდათ.

► შეეცადეთ წარმოიდგინოთ ვინ იქნებოდა ამ 5 ათას ადამიანს შორის, რის შესახებაც მარკოზის მე – 6 თავშია მოთხრობილი. შეადგინეთ სია.

- თქვენს სიაში შედიან მებაჟეები, რომლებიც ხალხს ატყუებდნენ? ისინი იყვნენ იქ. ადვილი იქნებოდა ამ არაკეთილსინდისიერი მებაჟეების დაგმომა, მაგრამ იესომ დაინახა დაკარგული ცხვრები, რომლებიც უნდა დაეხსნა.

- თქვენს სიაში შედიან გამსამართლებელი ფარისევლები, რომლებსაც იმედი ქონდათ, რომ იესოს მახეში გააბამდნენ? ისინი იყვნენ იქ. იესოსთვის ადვილი იქნებოდა ხალხის წინაშე მათი შერცხვენა, მაგრამ იესომ დაინახა ჯიუტი ცხვრები, რომელთაც სწორი გზა სჭირდებოდათ.
- თქვენს სიაში შედის მოღალატე ქმარი, რომლის გულმაც მას მსჯავრი დასდო მრუშობის გამო? ის იყო იქ. იესომ დაინახა დაცემული ცხვარი, რომელსაც გამოსწორება და შემდეგ განკურნება სჭირდებოდა.
- თქვენს სიაში მოხვდნენ თინეიჯერები, რომლებიც აჯანყდნენ მშობლების წინააღმდეგ და გაიქცნენ სკოლიდან, რათა ხალხის მასას შეერთებოდნენ? ისინი იყვნენ იქ. იესომ დაინახა გზააზნეული ცხვარი, რომლებიც საჭირო იყო სწორ გზაზე დაებრუნებინა, სანამ უფრო მეტად აცდებოდნენ გზას.

ვის ხედავთ, როდესაც ქადაგებთ? თქვენ მხოლოდ თქვენი მრევლის ნაკლოვანებებს ხედავთ, თუ ხედავთ თქვენი ცხვრების ღრმა საჭიროებებს? თქვენ მხოლოდ გუნდის გაბრაზებულ წევრს ხედავთ, თუ ხედავთ ავადმყოფ ცხვარს, რომელიც სხვებსაც ავნებს? თქვენ მხოლოდ განდგომილს ხედავთ, თუ ხედავთ ცხვარს, რომელიც ცოდვის გამო იტანჯება? იესომ დაინახა საჭიროებაში მყოფი ცხვრები.

► წაიკითხეთ იოანეს 10:1-18.

როგორც პასტორები, ჩვენ მწყემსებად ვართ მოწოდებულები. როგორ ემსახურება მწყემსი ცხვარს? იოანეს მე - 10 თავი გთავაზობთ მოდელს.

მწყემსი უძღვება ცხვარს

თუ შეხედავთ მწყემსს, ვერ ნახავთ მას კეტიტ რომ მართავდეს ცხვარს. ამის ნაცვლად, მწყემსი ცხვარს სწორი მიმართულებით მიუძღვება. იესომ თქვა: „ცხვარს ესმის მისი ხმა, იგი სახელით მოუხმობს თავის ცხვარს და გამოჰყავს ისინი. როცა თავისებს გამოუშვებს, იმათ წინ მიუძღვის და ცხვარიც მისდევს მას, რადგან სცნობს მის ხმას” (იოანეს 10:3-4).

სახარების კითხვისას, ხშირია შემთხვევები, როდესაც შეიძლება ველოდეთ, რომ იესო კეტიტ სცემს პეტრეს, იოანეს ან თომას! ისინი არაერთხელ ჩავარდნილან პრობლემებში. იმის ნაცვლად, რომ ისინი ეცემა, იესო იყენებს მწყემსის კვერთხს ამ სუსტი, ბრძოლაში მყოფი მოწაფეების ასაყვანად და სწორ გზაზე დასაყენებლად.

როგორც მწყემსი, უძღვებით ცხვარს, რომელიც ღმერთმა თქვენს ეკლესიაში მოახვედრა თუ მიერეკებით მათ? თქვენ ხართ მწყემსი, რომელიც ცხვარს **უძღვება**, თუ მმართველი, რომელიც ცხვარს მორჩილებას **უბრძანებს**?

მწყემსი ზრუნავს ცხვარზე

ზოგჯერ ფიქრობთ: „მინდა სამსახური, რომელიც დილის 9:00 საათიდან საღამოს 5:00

საათამდე გაგრძელდება. შაბათ-კვირას დასვენებით და 5 საათის შემდეგ სატელეფონო ზარების გარეშე.” ეს ზოგჯერ შესანიშნავად ჟღერს! მაგრამ ეს არ არის მწყემსის ცხოვრება.

მწყემსი ზრუნავს ცხვარზე, როდესაც მათ დახმარება სჭირდებათ და არა მხოლოდ „სამუშაო საათებში“. მწყემსს არ შეუძლია დაზარალებულ ბატკანს უთხრას: „დარჩი მანდ ხვალ 9:00 საათამდე, სანამ მოვალ მოვალეობის შესასრულებლად.“ მწყემსი ღამით გადის ბატკნის გადასარჩენად.

ანალოგიურად, პასტორი ზრუნავს თავის ცხვარზე, როდესაც მათ დახმარება სჭირდებათ. სულიერ ცხვარზე ზრუნვა უფრო მეტია, ვიდრე ქადაგება. ეს გულისხმობს ქადაგებას, მაგრამ ასევე მოიცავს რჩევას, სტუმრობას, მოსმენას, ლოცვას და ზოგჯერ დაზარალებულ კრავთან უბრალოდ ჯდომას.

დიახ, პასტორებო, თქვენ უნდა იზრუნოთ საკუთარ თავზე. თქვენ ვერ იქნებით ეფექტური მწყემსი, თუ ფიზიკურად, ემოციურად და სულიერად გამოიფიტავთ თავს. იესოს ჰქონდა დრო განმარტოვებით ყოფნისთვის, ასევე თქვენც გჭირდებათ განმარტოვება. მაგრამ იყო სხვა დროც, როდესაც იესომ იცოდა, რომ უნდა დაეთმო თავისი კომფორტი ცხვრებზე ზრუნვისთვის.

მსახურებასა და დასვენებას შორის ეს ბალანსი შეიძლება რთული იყოს. როგორც ბრძენი პასტორი-მწყემსი, მგრძნობიარე უნდა იყოთ სულიწმიდის ხელმძღვანელობისა და გარშემო მყოფთა ბრძნული რჩევების მიმართ. მოუსმინეთ სულის ხმას, როდესაც ის ამბობს: „დასვენებისა და განახლების დროა.“ მოუსმინეთ მეუღლის ან კოლეგების ხმას, რომლებიც ამბობენ: „ცოტა დრო გჭირდება მოშორებით ყოფნისთვის.“ განახლებული რომ დაბრუნდებით, ახალი ენთუზიაზმით იზრუნებთ ცხვარზე, რომელიც ღმერთმა მოგანდოთ.

მწყემსი იცავს ცხვარს

იესომ, შეადარა მოჯამაგირე, რომელიც საფრთხის დროს გარბის, კარგ მწყემსს, რომელიც იცავს ცხვარს სიცოცხლის საფრთხის წინაშეც კი. მოჯამაგირე „არ ზრუნავს ცხვრებზე“, მაგრამ მწყემსი „სულს დებს ცხვართათვის“ (იოანეს 10:13, 15).

მის ბოლო საათებშიც კი, იესო ზრუნავდა მოწაფეებზე. საიდუმლო სერობაზე, მან ისინი იმ განსაცდელისთვის მოამზადა, რომელსაც მალე შეხვდებოდნენ. ბაღში მან განაგრძო პეტრეს, იაკობისა და იოანეს სწავლება. ჯვარზე მან მარიამი იოანეს მიაბარა, საზრუნად. კარგი მწყემსი, ბოლომდე ზრუნავდა თავის ცხვარზე.

პავლემ ეფესოს ეკლესიის უხუცესებს მწყემსებად მსახური დაავალა. მათ უნდა ეზრუნათ სამწყსოზე, რომელიც იესოს ძვირფასი სისხლით იყო შეძენილი. მომდევნო მუხლში პავლე აფრთხილებს „უღმობელი მგლების“ შესახებ, რომლებიც თავს დაესხმებიან სამწყსოს. მწყემსები პასუხისმგებელნი იყვნენ სამწყსოს დაცვაზე (საქმეების 20:28-31).

როგორც პასტორი-მწყემსი, იცავთ თუ არა ცხვარს, რომელიც ღმერთმა თქვენს ეკლესიაში მოიყვანა? იცავთ მათ დოქტრინალური შეცდომებისგან, მათ ქორწინებასა და ოჯახზე თავდასხმებისგან და სხვა სულიერი შეტევებისგან? მწყემსი ხართ, თუ მოჯამაგირე?

სანამ მომავალ კვირას იქადაგებთ, ღმერთს სთხოვეთ გაჩვენოთ თქვენი ცხვრების საჭიროებები. სთხოვეთ მას, გაჩვენოთ გულდაჭრილები თქვენს სამწყსოში. ქადაგების დროს, ნახეთ ცხვრები, რომლებიც „შევიწროვებულნი და უმწყონი“ არიან და რომლებსაც ღვთისმოსავი მწყემსის სიყვარული სჭირდებათ.

ახლო ხედი: „ვაი!“

► წაიკითხეთ მათეს 23:1-39.

იესომ გამოიყენა ფრაზა „ვაი შენ“, როდესაც ის საუბრობდა იმ ქალაქებზე, რომლებმაც არ მიიღეს ის (მათეს 11:21), ფარისევლებსა და მწიგნობრებზე, ვისაც ხალხი შეცდომაში შეყავდა (მათეს 23:13-29), და იუდაზე, რომელიც გასცემდა მას (მარკოზის 14:21). ჩვენ ზოგჯერ კვითხულობთ ამ „ვაის“ გაბრაზებით, და ვივიწყებთ იესოს სიყვარულს, მათდამიც კი, ვინც უარყო ის.

სიტყვაში „ვაი“ არის განსჯა, მაგრამ არის მწუხარებაც. „ვაი“ შეიცავს ორივეს, განსჯასა და „მწუხარებას და სიბრაზულსაც“ მის მიმართ, ვინც განისჯება. ის გამოხატავს იესოს „მწუხარებას მათ მიმართ, ვინც ვერ გრძნობს თავის, ნამდვილად უბადრუკ მდგომარეობას.“²⁷ „ვაი“ გამოხატავს ღრმა მწუხარებას და ასევე გაფრთხილებას.

იესომ რელიგიური ლიდერების გასამართლების შესახებ განცხადება დაასრულა ტირილით იმ ქალაქის ბედის გამო, რომელიც მას უყვარდა. „იერუსალიმო, იერუსალიმო, წინასწარმეტყველთა დამხოცველო და შენთან მოვლინებულთა ჩამქოლავო! რამდენჯერ მინდოდა შენი შვილების შემოკრება, როგორც ფრინველი იკრებს ფრთებქვეშ თავის ბარტყებს, მაგრამ არ ინდომეთ!“ იესო ტიროდა იმ ქალაქის ბედზე, რომელიც მალე ჯვარს აცვამდა მას (მათეს 23:37 და ლუკას 19:41).

ეს უნდა იყოს ჩვენი განკითხვის შესახებ ქადაგების მაგალითი. ჩვენი ქადაგება უნდა შეიცავდეს ცოდვის წინააღმდეგ გაფრთხილებას და განკითხვის გზავნილს მათდამი, ვინც უარს ამბობს მონანიებაზე. მაგრამ ჩვენმა გზავნილმა უნდა გამოხატოს მწუხარება ცოდვის გამო და არა გაბრაზება ცოდვილის მიმართ.

ურჩი თინეიჯერი სახლში მივიდა ჯოჯოხეთის შესახებ ქადაგების შემდეგ. მამამისმა ჰკითხა: „შვილო, რას ფიქრობ ქადაგებაზე?“ მან უპასუხა: „არ მომეწონა, გავბრაზდი!“ შემდეგ კვირას შვილმა მოისმინა კიდევ ერთი ქადაგება ჯოჯოხეთის შესახებ. მამამისმა

²⁷ Martin H. Manser, *Dictionary of Bible Themes* (London: Martin Manser, 2009). აგრეთვე Joel B. Green and Scot McKnight, *Dictionary of Jesus and the Gospels* (Westmont, Illinois: InterVarsity Press, 1992)

კვლავ ჰკითხა: „რას ფიქრობ ქადაგებაზე?“ შვილმა უპასუხა: „მე იესოს უნდა ვემსახურო. არ მსურს იმ საშინელ ადგილას მოხვედრა!“

მამა გაოცდა. „გასულ კვირას, ჯოჯოხეთის შესახებ ქადაგებამ გაგაბრაზა. ამ კვირაში, ჯოჯოხეთზე ქადაგების გამო მოინანიე. რა შეიცვალა?“ ბიჭმა თქვა: „ის მქადაგებელი ტიროდა, როდესაც ჯოჯოხეთის თაობაზე მაფრთხილებდა.“

ტირით განკითხვაზე ქადაგებისას? ტირით, როდესაც ჯოჯოხეთზე ქადაგებას ამზადებთ? ხართ თუ არა მწყემსი, რომელსაც ცხვარი უყვარს - მაშინაც კი, როცა განკითხვის შესახებ უნდა გააფრთხილოთ?

დასკვნა: სულიწმიდის როლი ქადაგებაში

როგორც მქადაგებლები, სულიწმიდის ძალას უნდა დავეყრდნოთ, რათა ჩვენი მსმენელები დავარწმუნოთ. თუ ჩვენ მხოლოდ ადამიანურ მეთოდებს გამოვიყენებთ ემოციური მოწოდებების შესაქმნელად, შეიძლება ვნახოთ სწრაფი შედეგები, მაგრამ სულიერი შედეგები არ დადგება. მხოლოდ სულიწმიდას შეუძლია მუდმივი ცვლილებების შეტანა ჩვენს მსმენელებში.

► წაიკითხეთ 1 კორინთელთა 2:1-16.

პავლეს ესმოდა, რომ სულიერი ცვლილებები მხოლოდ სულიწმიდის ძალით ხდება. მას შემდეგ, რაც მან ათენი დატოვა, სადაც არეოპაგში ფილოსოფოსებს ეკამათებოდა, ის კორინთოში ჩავიდა (საქმეების 17:16-18:1). კორინთოში მან გადაწყვიტა, არ გამოეყენებინა „ამაღლებული სიტყვები, ან სიბრძნე“, არამედ არ ექადაგა „არაფერი თქვენს შორის, გარდა იესო ქრისტესი, და ისიც ჯვარცმულისა.“ ის ქადაგებდა „სულისა და ძალის გამოცხადებით“ (1 კორინთელთა 2:1-5).

პავლემ იცოდა, რომ სული განმარტავდა „სულიერ ჭეშმარიტებებს მათთვის, ვინც სულიერია“ (1 კორინთელთა 2:13). პავლე აფასებდა განათლებას; ის დიდად განსწავლული იყო. მას შეეძლო ეფექტური საჯარო გამოსვლა; მან შეიწავლა დიდი ბერძენი ორატორები. მან იცოდა ლოგიკური არგუმენტის აგება; რომაელების წერილი ლოგიკური სტრუქტურის შედეგია. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, პავლე აფასებდა სულიწმიდის ძალას. მან იცოდა, რომ ნამდვილი დარწმუნება მოდის მხოლოდ სულის მუშაობის შედეგად.

პავლემ შეახსენა კორინთელებს, რომ „განძი ჩვენ გვაქვს თიხის ჭურჭლებში, რათა გადამეტებული ძლიერება ღვთისგან იყოს და არა ჩვენგან პავლემ შეახსენა კორინთელებს, რომ ”განძი ჩვენ გვაქვს თიხის ჭურჭლებში, რათა გადამეტებული ძლიერება ღვთისგან იყოს და არა ჩვენგან“ (2 კორინთელთა 4:7). ჭურჭელი არ არის საგანძური! ჩვენ, როგორც მსახურების ხელმძღვანელები, გატეხილი ქოთნები ვართ, თიხისგან დამზადებული. მაგრამ ჩვენ გვაქვს შესანიშნავი პრივილეგია, მივუტანოთ ეს საგანძური, სახარება მათ, ვისაც ვემსახურებით.

ეს არის მკაცრი გაფრთხილება მსახურების ლიდერებისთვის. ადვილია ყურადღების „ქოთანზე“ გადატანა, ნაცვლად „საგანძურისა“, რომელიც ქოთანშია. ჩვენ შეგვიძლია მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენი წარდგენის ფორმას, ვიდრე გზავნილს; ჩვენ შეგვიძლია უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ ქოთანს, ვიდრე საგანძურს. პავლე შეგვახსენებს, რომ ღმერთი მიზანმიმართულად იყენებს თიხის ქოთნებს იმის საჩვენებლად, რომ „ძალა ღმერთს ეკუთვნის და არა ჩვენ.“ ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ ღვთის ძალას. არ უნდა მივიღოთ დიდება, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის. ჩვენ უნდა ვიქადაგოთ სულის ძალით.

გაკვეთილი 5 დავალებები

(1) მათეს სახარებაში ხუთი მთავარი ქადაგებაა. წაიკითხეთ თითოეული ქადაგება და განსაზღვრეთ ქადაგების ერთი მახასიათებელი, რაც მას ეფექტურს ხდის. ამ დავალებაზე არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხები. დასვით კითხვა: „როგორ დამარწმუნებს იესო, შთაგონების მოცემით, თუ მისი წერილის დამახსოვრებასა და გამოყენებაში დახმარებით?“

ქადაგება	მახასიათებელი
ქადაგება მთაზე (მათეს 5-7)	
მოციქულთა გაგზავნა (მათეს 10)	
იგავები ცათა სამეფოზე (მათეს 13)	
ცხოვრება ცათა სამეფოში (მათეს 18)	
ზეთისხილის დისკურსი (მათეს 24-25)	

(2) შემდეგი ქადაგების მომზადებისას გადახედეთ იმ მახასიათებლებს, რომლებიც იესოს ქადაგებებში აღმოაჩინეთ. გამოიყენეთ მისი ქადაგებები, როგორც ეფექტური კომუნიკაციის მოდელი. გაუზიარეთ ეს ქადაგება კლასში სხვებს. შეაფასეთ ქადაგება ამ კითხვით: „აგებულია, თუ არა ჩემი ქადაგება იესოს ქადაგების მაგალითზე?“

გაკვეთილი 6

იესო ქრისტე და ღვთის სამეფო

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- (1) გაიგოს ღვთის სამეფოს მნიშვნელობა სახარებებში.
- (2) გაიაზროს ღვთის სამეფოს როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი ასპექტები.
- (3) მიჰყვეს ზეციურ სამეფოში ცხოვრების იესოს პრინციპებს, მთაზე ქადაგებიდან.
- (4) სწორად განმარტოს იესოს იგავები ზეციური სამეფოს შესახებ.
- (5) დაემორჩილოს იესოს მოწაფეობის პირობებს.

მსახურების პრინციპი

ჩვენ ვმსახურობთ როგორც ელჩები, რომლებიც წარმოადგენენ ღვთის სამეფოს ჩვენს სამყაროში.

შესავალი

ღვთის სამეფო ახალი აღთქმის მთავარი თემაა.²⁸ ტერმინი „სამეფო“ ორმოცდაათოთხმეჯერ გვხვდება მათეს, თოთხმეტჯერ მარკოზის, ოცდაცხრამეტჯერ ლუკას და ხუთჯერ იოანეს სახარებებში.²⁹

იესოს იგავების თითქმის ნახევარი გვასწავლის ღვთის სამეფოს შესახებ. ის ქადაგებს სამეფოს შესახებ. ის კურნავს და დევნის დემონებს სამეფოს ძალაუფლების წარმოსაჩენად. ამალლების შემდეგ ადრეულმა ეკლესიამ განაგრძო სამეფოს შესახებ უწყების ქადაგება (საქმეების 8:12; 28:23).

ამ გაკვეთილში შევისწავლით ღვთის სამეფოს, იესოს მსახურებაში და სამეფოს გავლენას

²⁸ ამ თავში გამოყენებული წყაროებია:

D. Matthew Allen, „The Kingdom in Matthew” (1999). Available at <https://bible.org/article/kingdom-matthew> March 22, 2021.

Darrell L. Bock, *Luke: Baker Exegetical Commentary on the New Testament* (Grand Rapids: Baker Books, 1994-1996)

J. Dwight Pentecost, *The Words and Works of Jesus Christ* (Grand Rapids: Zondervan, 1981)

Martyn Lloyd-Jones, *Studies in the Sermon on the Mount* (Grand Rapids: Eerdmans, 1959)

²⁹ მათე ჩვეულებრივ მოიხსენიებს „ცათა სამეფოს“, სადაც ლუკა მოიხსენიებს „ღვთის სამეფოს“. მათეს პირველი აუდიტორია იყო ებრაული; ებრაელები ერიდებოდნენ ღმერთის სახელის გამოყენებას და ხშირად იყენებდნენ „ზეცას“, როგორც ღვთის ეფემიზმს. როგორც ჩანს, მათემ უმეტეს შემთხვევაში შეცვალა „ღვთის სამეფო“ „ცათა სამეფოთი“. ამ გაკვეთილისთვის გამოვიყენებ „ღვთის სამეფოს“, გარდა მათეს ციტირებისას

მსახურებაზე, დღეს. ამ გაკვეთილის ბოლოს დამატებულია ნიგერიაში ნაქადაგები სიტყვა ღვთის სამეფოს შესახებ. ეს ქადაგება გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს სამეფოს შესახებ უწყება, ჩვენს სამყაროში მსახურებაზე.

ღვთის სამეფო

არსებობს ორი კითხვა, რომლებიც წარმოადგენენ ღვთის სამეფოს შესწავლას.³⁰

1. რა არის ღვთის სამეფო?
2. როდის გამოცხადდება ღვთის სამეფო?

რა არის ღვთის სამეფო?

► წაიკითხეთ საქმეების 1:1-8.

აღდგომიდან ორმოცი დღის განმავლობაში იესო თავის მოწაფეებთან იყო და „მოუთხოვდა ღვთის სამეფოზე.“ ამალეობამდე, მოწაფეებმა ჰკითხეს: „ამ ხანებში ხომ არ აღუდგენ, უფალო, ისრაელს სამეფოს?“ მოწაფეები ელოდნენ:

1. **უშუალოდ მიწიერ სამეფოს:** „ამ ხანებში“. ისინი ელოდნენ, რომ იესო დაუყოვნებლივ დაამყარებდა სამეფოს.
2. **პოლიტიკური და გეოგრაფიულ სამეფოს:** „აღუდგენ“. ისინი მოელოდნენ, რომ იესო რომის იმპერიას დაამხოვდა და აღადგენდა ისრაელის პოლიტიკურ ძალაუფლებას.
3. **ეროვნულ სამეფოს:** „ისრაელის სამეფოს“. ისინი მოელოდნენ, რომ იესო მართავდა ერს, როგორც დავით მეფე ძველ აღთქმაში.³¹

იესომ უპასუხა: „თქვენი საქმე არ არის, იცოდეთ დროები ან ვადები, რომელიც მამამ დაადგინა თავისი ხელმწიფებით, არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და ქვეყნის კიდემდე.“

იესოს პასუხიდან ჩანს, რომ მისი სამეფო იყო:

1. **მარადიული სამეფო:** „დროები ან ვადები, რომელიც მამამ დაადგინა“. იესოს სამეფო არ იყო დამოკიდებული ადამიანის დროზე, არამედ მამის დროზე.
2. **ზეზუნებრივი სამეფო:** „ძალა, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე“. იესოს სამეფო ემყარებოდა სულიწმიდის ძალას და არა პოლიტიკურ ძალაუფლებას.

³⁰ ღვთის სამეფოს შესახებ ვიდეო ლექცია სკოტ მაკნაიტის: Scot McKnight, “What and Where is the Kingdom of God?” at <http://www.seedbed.com/where-is-the-kingdom-of-god/> (Accessed March 22, 2021.)

³¹ John Stott, *The Message of Acts* (Westmont, Illinois: InterVarsity Press, 1990), 41

3. საყოველთაო სამეფო: „ქვეყნის კიდემდე“. იესოს სამეფომ ყველა ერს მიაღწია. ის მხოლოდ ისრაელით არ შემოიფარგლა.

იესომ მოწაფეებს უთხრა, რომ მათ არ სჭირდებოდათ დროების ცოდნა. ამის ნაცვლად, ისინი ორი საკითხით უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულები: მიეღოთ სულიწმიდა და ყოფილიყვნენ მისი მოწმეები „ქვეყნის კიდემდე.“

როდის გამოცხადდება ღვთის სამეფო?

თეოლოგთა შორის არსებობს სამი ძირითადი შეხედულება ღვთის სამეფოს შესახებ.

სამეფო მოვსა.

ზოგი თეოლოგი ხედავს ბოლო დროის სამეფოს გამოცხადებას, როდესაც იესო დედამიწაზე ათასწლეულის განმავლობაში იმეფებს. ეს ავტორები

„სამეფო მოსულია;
სამეფო მოდის;
სამეფო ჯერ კიდევ
მოსასვლელია.“
- მარტინ ლიოდ-ჯონსი

ხელმძღვანელობენ წმიდა წერილების ისეთი მონაკვეთებით, როგორიცაა მათეს 24-25 თავები, სადაც ხაზგასმულია სამეფოს პოლიტიკური და ტერიტორიული ასპექტები.

სამეფო მოსულია.

სხვა თეოლოგები ასწავლიან, რომ იესოს სამეფო გამოცხადდა დედამიწაზე ყოფნის დროს. ისინი ხაზს უსვამენ წმიდა წერილებში იესოს ნათქვამს, რომ „მოახლოებულია ცათა სამეფო“ და „დაგდგომიათ ღვთის სამეფო“ (მათეს 4:17 და ლუკას 11:20). სამეფოს შესახებ ეს მოსაზრება ყურადღებას ამახვილებს სამეფოს სულიერ ბუნებაზე და ღვთის მმართველობაზე მორწმუნეთა გულებში.

სამეფო უკვე დადგა, მაგრამ ჯერ არ არის სრულყოფილი.

მრავალი თეოლოგი ამტკიცებს, რომ სამეფო მოიცავს, როგორც ახლანდელ, ასევე სამომავლო ასპექტებს. ეს მოსაზრება გვასწავლის, რომ ღვთის სამეფო იესოს მიწიერი მსახურების დროს გამოცხადდა; ის განაგრძობს გავრცელებას ეკლესიის მუშაობით; ის სრულად ძალაში შესული იქნება, როდესაც ქრისტე მმართველობას დაუბრუნდება.³² ქრისტე დაბრუნებისთანავე „მეფობას გადასცემს უფალსა და მამას, მას შემდეგ, რაც გააუქმებს ყოველ მთავრობას, ყოველ უფლებასა და ძალას“ (1 კორინთელთა 15:24). ეს არის ღვთის სამეფოს დაგვირგვინება.

³² კომენტატორები იყენებენ ტერმინს "სამეფოს გამოცხადება", რათა აღნიშნონ სამეფოს დასაწყისი იესოს მიწიერი მსახურების დროს. „სამეფოს დაგვირგვინება“ არის სამეფოს დაპირებების საბოლოო შესრულება ქრისტეს დაბრუნებისას

► სამეფოს შესახებ ამ მოსაზრებებიდან რომელს ემხრობით? რა პრაქტიკულ ზეგავლენას ახდენს თითოეული მოსაზრება მსახურებაზე?

ამ გაკვეთილზე ჩვენ ვიხილავთ სამეფოს ასპექტებს, რომლებიც უკვე მოქმედებს და სამეფოს ასპექტებს, რომლებიც შესასრულებელია. სამეფო მოიცავს:

- **მეფეს:** დაწყებული მისი დაბადებისას მოგვებიდან, ჯვარზე წარწერამდე, იესო მეფედ მოვიდა.
- **ძალაუფლებას:** იესომ თავისი ძალაუფლება აჩვენა თავისი სასწაულებით და საფლავზე გამარჯვებით.
- **კანონის:** იესომ შეაჯამა სამეფოს კანონი მთაზე ქადაგების დროს.
- **ტერიტორიას:** იესომ ასწავლა, რომ მისი სამეფო ქვეყნის კიდეებამდე ვრცელდება და მოიცავს ყველა ენასა და ყველა ხალხს.
- **ხალხს:** ყველა, ვინც მეფემ გამოისყიდა და რომელსაც ის მართავს, არიან იესოს სამეფოს მოქალაქეები.

სამეფოს დაპირება

► წაიკითხეთ მათეს 3:1-12.

ახალ აღთქმაში ღვთის სამეფოს შესახებ პირველი მოხსენიება, იოანე ნათლისმცემლის ქადაგებაში გვხვდება. იოანემ, როგორც ძველი აღთქმის ბოლო წინასწარმეტყველმა, დაგმო ისრაელის რელიგიური წინამძღოლების თვალთმაქცობა. როგორც ახალი აღთქმის პირველმა მაუწყებელმა, მან მოამზადა გზა ახალი მეფისთვის. „მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სამეფო“ (მათეს 3:2). სიტყვა „მოახლოებულია“ გულისხმობს, რომ სამეფო სწრაფად დადგება. ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ძალიან ახლოსაა. იოანე ქადაგებდა რათა მოემზადებინა ისრაელი მესიის მოსვლისთვის, რომელიც შეუძღვებოდა მათ ახალ სამეფოში.

იოანეს დაპატიმრებიდან მალევე იესომ დაიწყო მსახურება. ის მოგზაურობდა გალილეაში „ქადაგებდა და ახარებდა ღვთის სამეფოს.“ იოანე ნათლისმცემლის მსგავსად, იესომაც თქვა: „მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სამეფო“ (მათეს 4:17).

► წაიკითხეთ მათეს 10:5-42.

იესომ თორმეტი მოწაფე გაგზავნა „ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებთან“, რათა სამეფოს შესახებ გზავნილი მიეტანათ. იოანე ნათლისმცემლისა და იესოს მსგავსად, ისინიც ქადაგებდნენ: „მოახლოებულია ცათა სამეფო“ (მათეს 10:5-7).

მოწაფეების მსახურება მათი მოძღვრის მსახურების მაგალითზე იყო აგებული. იესოს მსგავსად, მათ სამეფოს შესახებ უნდა გამოეცხადებინათ და ხალხის ფიზიკური

საჭიროებები დაეკმაყოფილებინათ. იესოს მსგავსად, ისინი კურნავდნენ ავადმყოფებს და დევნიდნენ ეშმაკებს, იმის ნიშნად, რომ ღვთის სამეფო სატანის სამფლობელოში შეიჭრა. იესომ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები დავალებით: „სნეულნი განკურნეთ, მკვდრები აღადგინეთ, კეთროვანნი განწმიდეთ, ეშმაკები განდევნეთ” (მათეს 10:8).

სამეფოს გამოცხადება

► წაიკითხეთ მათეს 12:22-32.

სამეფოს დაპირება არ იყო ახალი. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები მომავალ სამეფოს ჰპირდებოდნენ. თუმცა, იესომ გამოაცხადა, რომ სამეფო იყო არა მხოლოდ მომავალი იმედი, არამედ უშუალო რეალობა. იესომ გამოაცხადა ღვთის სამეფოს დამყარების შესახებ. ღვთის სამეფო იყო იქ, სადაც იესო იმყოფებოდა.

იესომ დემონებზე ძალაუფლებით აჩვენა მეფის ძალა, რომელმაც დაამარცხა სატანის სამეფო. მას შემდეგ, რაც მან განკურნა დემონით შეპყრობილი კაცი, ფარისევლებმა განაცხადეს, რომ იესო „დემონებს დევნიდა” „ბელზებელის, დემონთა მთავრის მეშვეობით.” იესომ უპასუხა, რომ ის ღვთის ძალით იპყრობდა სატანის სამეფოს: „თუ მე ღვთის სულით ვდევნი ეშმაკებს, აბა, მოსულა თქვენთან ღვთის სამეფო” (მათეს 12:24, 28). იესო შეიჭრა სატანის სამეფოში.

► წაიკითხეთ მათეს 11:1-24.

იესოს სასწაულები მისი სამეფოს გამოცხადების ნიშნები იყო. იოანეს სახარება იყენებს ტერმინს „ნიშნები” იესოს სასწაულების აღსანიშნად. სასწაულები იესოს ღვთიურობის ნიშნები და ახალი სამეფოს მტკიცებულებები იყო.

იოანე ნათლისმცემელმა გამოაცხადა, რომ „მოახლოებულია ცათა სამეფო.” ის ელოდა პოლიტიკურ სამეფოს, რომელიც თავისუფლებას მოუტანდა ისრაელს. ამის ნაცვლად, იოანე ციხეში აღმოჩნდა, სიკვდილის საფრთხის წინაშე! მან თავისი მოწაფეები გაგზავნა, რომ ეკითხათ: „შენა ხარ ის, ვინც უნდა მოვიდეს, თუ სხვას უნდა ველოდოთ?” იესოს მსახურება არ ემთხვეოდა იოანეს მოლოდინს პოლიტიკური მესიის შესახებ, რომელიც დააარსებდა მიწიერ სამეფოს.

იესომ უპასუხა თავის მესიანურ ქმედებებზე მითითებით.

წადით მოახსენეთ იოანეს, რასაც ისმენთ და ხედავთ: ბრმები ხედავენ და ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმიდებიან და ყრუებს ესმით, მკვდრები დგებიან და ლატაკებს ეხარებათ. ნეტარია ვინც არ შეცდება ჩემში.

იესომ ასწავლა იოანეს, მოთმინებით დალოდებოდა ღმერთის გეგმას.

მიუხედავად იმისა, რომ იესომ შეაქო იოანეს ძალა და გამბედაობა, მან თქვა, რომ "ცათა სამეფოში უმცირესი მასზე (იოანეზე) დიდია". რატომ? იესო მოვიდა ახალი აღთქმის

დასადებად, სამეფოს ყველა პრივილეგიით. ახალი აღთქმის ყველაზე მცირე მორწმუნე ფლობდა პრივილეგიებს, რომლებიც ძველი აღთქმის უდიდეს წმინდანს არასოდეს უნახავს. ახალი აღთქმის მორწმუნეებმა ძველი აღთქმის დაპირებების აღსრულება იხილეს. დაპირებული სამეფო გამოცხადდა.

სამეფოში ცხოვრება: ქადაგება მთაზე

სახარებებში დაწერილი ყველაზე გრძელი ქადაგებაა, იესოს ქადაგება მთაზე. ღვთის სამეფო ამ ქადაგების გამაერთიანებელი თემაა. ეს ჩანს რამოდენიმე გზით:

- პირველი ნეტარება გვასწავლის, რომ ცათა სამეფო ეკუთვნით „სულით ღარიბებს.“ ბოლო ნეტარება გვასწავლის, რომ ცათა სამეფო ეკუთვნის "მათ, ვისაც დევნიან სიმართლის გამო." ეს ორი ქმნის გარსს დანარჩენი ნეტარებების გარშემო, რაც აჩვენებს, რომ ნეტარების მთავარი თემა ცათა სამეფოა.
- იესო აჩვენებს, რომ აქვს რჯულის ახლებურად გადმოცემის ძალაუფლება (მათეს 5:21-48). ეს არის მეფის ქმედება, რომელსაც აქვს უფლებამოსილება განმარტოს და გამოიყენოს თავისი სამეფოს კანონები.
- იესომ მოწაფეებს ასწავლა ლოცვა: „მოვიდეს სამეფო შენი, იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ (მათეს 6:9-13). ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვილოცოთ დედამიწაზე ღვთის სამეფოს წინსვლისთვის. როდესაც ღვთის ხალხი მთაზე ქადაგების შესაბამისად ცხოვრობს, სამეფო ფართოვდება და ღვთის ავტორიტეტი ვრცელდება სამეფოს ახალ მოქალაქეებზე.
- ქადაგების ბოლოს იესომ ასწავლა, რომ მხოლოდ „ძლიერი საქმეები“ არ არის საკმარისი „ცათა სამეფოში შესასვლელად.“ სამეფოში შევა მხოლოდ ის, „ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნებას.“

მთაზე ქადაგების წაკითხვის პრინციპები

ჩვენ უნდა გვახსოვდეს სამი პრინციპი, როდესაც მთაზე ქადაგებას ვკითხულობთ.

(1) მთაზე ქადაგების მცნებების შესრულებით ვერ „დაიმსახურებთ“ ცათა სამეფოს მოქალაქეობას.

არ უნდა ვიფიქროთ: „ასე იცხოვრე და გახდები ქრისტიანი.“ ამის ნაცვლად, ჩვენ უნდა წავიკითხოთ ეს ქადაგება, როგორც სამეფოს მოქალაქის ცხოვრების სახელმძღვანელო: „იცხოვრე ასე, რადგან შენ ხარ ქრისტიანი.“ ჩვენ მხოლოდ მადლით ვართ დახსნილნი; ამიტომ, როგორც ღვთის სამეფოს მოქალაქეები, მის მცნებებს ვემორჩილებით.

(2) ქადაგება მთაზე არის მოწაფეებისთვის და არა ურწმუნოებისთვის.

ეს სეკულარული ქვეყნის კონსტიტუცია არ არის. ნუ გაგიკვირდებათ, როდესაც თქვენი ურწმუნო მეზობლები უარს იტყვიან ამ პრინციპებით ცხოვრებაზე! ეს არის ღვთის სამეფოში ცხოვრების აღწერა და არა ადამიანების სამეფოებში ცხოვრების.

(3) ქადაგება მთაზე ყველა მორწმუნისთვისაა.

ბევრი ცდილობდა თავიდან აეცილებინა ქადაგების მოთხოვნები. ამტკიცებდა, რომ ეს პრინციპები არ ვრცელდება ჩვეულებრივ მორწმუნეებზე. ზოგმა თქვა: „ეს კანონი მომავალი ათასწლეულის სამეფოსთვის არის განკუთვნილი.“ ზოგმა თქვა: „ეს არის რამდენიმე წმინდანისთვის. ქრისტიანთა უმეტესობას არ შეუძლია შეასრულოს ეს მცნებები.“ ზოგმა თქვა: „ეს ქადაგება გვიჩვენებს, რომ ჩვენ ვერასოდეს შევასრულებთ ღვთის მცნებებს. როდესაც ვხედავთ, რომ ვერასდროს შევასრულებთ ღვთის მოთხოვნებს, მხოლოდ მის მაღლს დავეყრდნობით.“

თუმცა, ადრეული ეკლესია ქადაგებას კითხულობდა, როგორც სახელმძღვანელოს ყველა მორწმუნისათვის. იაკობისა და 1 პეტრეს წერილები იმეორებს ამ ქადაგების ბევრ მცნებას. იესომ უარი თქვა ღვთის სიწმინდის სტანდარტის შესუსტებაზე. ფარისევლების დაბალი სტანდარტების ნაცვლად, იესო უფრო მაღალ სტანდარტებს ამკვიდრებდა თავისი მიმდევრებისთვის: „თუ თქვენი სიმართლე არ აღემატება მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“ (მათეს 5:20).

ცხოვრება ღვთის სამეფოში

► წაიკითხეთ მათეს 5-7.

თუ დედამიწაზე მსახურების დროს იესომ სამეფო დაამყარა, ჩვენ ახლა ღვთის სამეფოში ვცხოვრობთ. ქადაგება მთაზე აღწერს ცათა სამეფოს მოქალაქის ბუნებას. აქ მოცემულია ქადაგების თემების მოკლე მიმოხილვა.

(1) ღვთის სამეფოს ღირებულებები ეწინააღმდეგება ამ სამყაროს ღირებულებებს.

არც ერთი მიწიერი მმართველი არ იტყვის, რომ სიღარიბე, გლოვა, თვინიერება ან დევნილობა კურთხევაა. ნეტარებები ამტკიცებენ იმ ღირებულებების სრულიად საპირისპიროს, რაც იესოს დროის რომის იმპერიაში იყო და დღეს ჩვენს სამყაროში არის. ღვთის სამეფო განსხვავდება ადამიანის სამეფოსგან.

(2) ღვთის სამეფოს მოქალაქეებმა გავლენა უნდა მოახდინონ მათ გარემოცვაზე.

იესოს დროინდელი ესენელები ამბობდნენ, რომ მართალი ადამიანები უნდა გამოეყონ საზოგადოებას და ღმერთის სამეფო განმარტოებით დაამყარონ. იესომ თქვა: „არა! თქვენ უნდა იყოთ მარილი, რომელიც ინახავს და ამარილებს ქვეყნიერებას. თქვენ უნდა იყოთ ნათელი, რომელიც ადიდებს თქვენს ზეციერ მამას.“ მიუხედავად იმისა, რომ ღვთის

სამეფო პირველ რიგში სულიერია, ქვეყნიერებამ უნდა ისარგებლოს პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად სამეფოს მოქალაქეების აქ ყოფნით.

ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მრავალი მაგალითი ქრისტიანების, რომლებიც იყვნენ მარილი და ნათელი საერო საზოგადოებაში. უილიამ ვილბერფორსმა მიიყვანა პარლამენტი ბრიტანეთის იმპერიაში მონებით ვაჭრობის გაუქმების გადაწყვეტილებამდე; მეთოდისტურმა გამოდვიდებამ სოციალური რეფორმა შეიტანა ინგლისის საზოგადოების ყველა დონეზე; უილიამ ქერი ებრძოდა ლეგალიზებულ ბავშვთა მკვლელობებსა და სატიებს (ქვრივის დაწვა) ინდოეთში; ქრისტიანებმა გაავრცელეს წიგნიერება, დააარსეს საავადმყოფოები და ბავშვთა სახლები და უამრავ ქვეყანაში ემსახურებოდნენ ღარიბებსა და გაჭირვებულებს.

„გულით სუფთანი
არამარტო ღმერთს
იხილავენ, არამედ ხდებიან
წერილები, რომელთა
მეშვეობითაც საზოგადოება
ხედავს მას (ღმერთს).“

- ლეონ ჰაინსონი

(3) ღვთის სამეფოს მოქალაქეები ცდებიან რჯულის მინიმალურ მოთხოვნებს, რათა წარმოაჩინონ მამის სიყვარული.

იესო არ მოსულა რჯულის შესაცვლელად, არამედ მის „აღსასრულებლად“. „მე მათ გასაუქმებლად კი არ მოვსულვარ, არამედ მათ აღსასრულებლად.“ რაიმეს აღსრულება არის „მიიყვანო საქმე დასასრულამდე“ ან „სრულყოფამდე.“ იესო მოვიდა არა რჯულის გასაუქმებლად, არამედ რჯულის უკან მდგომი სულის საჩვენებლად. ექვსი მაგალითის მიხედვით, იესო აჩვენებს, რომ სამეფოს მოქალაქეების სიმართლე „უნდა აღემატებოდეს მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს.“

რჯული	სამეფოს მოქალაქეები
რჯული კრძალავს მკვლელობას.	სამეფოს მოქალაქეებისთვის ცოდვას წარმოადგენს რისხვა.
რჯული კრძალავს მრუშობას.	სამეფოს მოქალაქეებისთვის სცოდავს „ვინც ქალს გულისთქმით უყურებს.“
რჯული ითვალისწინებს „გაყრილობის მოწმობას.“	სამეფოს მოქალაქეები ეძებენ ქორწინების შენარჩუნების გზებს, და არა განქორწინების საბაბს.
რჯული კრძალავს ტყუილად დაფიცებას.	სამეფოს მოქალაქის "ჰო ან არა" საკმარისია.
რჯული ზღუდავს შურისძიებას (თვალი თვალის წილ“).	სამეფოს მოქალაქეები სიყვარულით იქცევიან და არა შურისძიებით.
რჯული მოითხოვს მოყვასისადმი სიყვარულს.	სამეფოს მოქალაქეებს თავიანთი მტრებიც კი უყვართ. ისინი ავლენენ თავიანთი ზეციერი მამის სიყვარულს და წყალობას (ლუკას 6:36). ³³

(4) სამეფოს მოქალაქეები უფრო მეტად ზრუნავენ ღმერთის საამებლად, ვიდრე სხვების.

ფარისევლებს სურდათ, ხალხს დაენახა მათი ხელგაშლილობა; სამეფოს მოქალაქეები გასცემენ დაფარულში. ფარისევლებს სურდათ, რომ სხვებს მოესმინათ მათი შთამბეჭდავი ლოცვები; სამეფოს მოქალაქეები უბრალოდ და გულწრფელად ლოცულობენ. ფარისევლებს სურდათ, რომ ხალხს პატივი ეცათ მათთვის ხანგრძლივი მარხვის გამო; სამეფოს მოქალაქეები მარხულობენ მხოლოდ მამისგან საზღაურის მისაღებად.

(5) სამეფოს მოქალაქეები არ ეყრდნობიან თავიანთ სიმდიდრეს და არ ზრუნავენ თავიანთ საჭიროებებზე.

ამის ნაცვლად, ისინი ენდობიან თავიანთ ზეციერ მამას.

³³ ძველი აღთქმა არ ავალეს ისრაელს: „შეიძულე მტერი შენი.“ ეს არის ძველი აღთქმის გავრცელებული მცდარი შეხედულება

(6) სამეფოს მოქალაქეები არ განიკითხავენ სხვებს.

თუმცა, ისინი ცდილობენ გააცნობიერონ ცრუ მასწავლებლების ცუდი ნაყოფი.

(7) სამეფოს მოქალაქეები დარწმუნებულნი არიან თავიანთ ლოცვებში.

სამეფოს მოქალაქეები დარწმუნებულნი არიან თავიანთ ლოცვებში, რადგან მათ იციან, რომ მათი „ზეციერი მამა მისცემს სიკეთეს იმას, ვინც სთხოვს!“

(8) სამეფოს მოქალაქეებს ესმით, რომ მხოლოდ ორი გზა არსებობს.

არის ფართო კარიბჭე და ვიწრო კარიბჭე. არის კარგი ხე და ცუდი ხე. არის გონიერი მშენებელი და უგუნური მშენებელი. სამეფოს მოქალაქეები გამჭრიახები არიან.

ცხოვრება სამეფოს პრინციპების მიხედვით

როგორ შეგვიძლია ვიცხოვროთ მთაზე ქადაგების პრინციპებით? გასაღები მათეს 5:48 - ა. სამეფოს მოქალაქეები მოწოდებულები არიან გახდნენ ჩვენი ზეციერი მამის მსგავსები. იესოს სწავლება ისეთი მარტივია და ამავედროულად რთული. მხოლოდ ღვთის მაღლი გვაძლევს ძალას, ვიცხოვროთ იესოს სწავლების მიხედვით. საკუთარი ძალებით, ვერასდროს შევასრულებთ ქადაგების მოთხოვნებს. მხოლოდ სული ქმნის სამეფოში ცხოვრებას შესაძლებელს.

ჩვენ უნდა გვესმოდეს ეს პრინციპი, როდესაც ვქადაგებთ მთაზე ქადაგებას. თუ ქადაგებას, მხოლოდ როგორც კანონს ვიქადაგებთ, ხალხს იმედგაცრუებულს და თავგზააბნეულს დავტოვებთ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ქადაგებას ვიქადაგებთ, როგორც სამეფოს ცხოვრების ნიმუშს - ღვთის მაღლით მოწოდებული, ძის მსხვერპლით შეძენილი და სულიწმიდით გაძლიერებული - ქადაგება მთაზე, მართლაც იქცევა სახარებად, „კეთილ უწყებად.“

„ქადაგება მთაზე არის გაფრთხილება სიყვარულის წინააღმდეგ, რომელიც მიჯაჭვულობით, საკუთარი სარგებლით ან ჭეშმარიტი სიმართლისკენ მოწოდების უგულვებელყოფით ხასიათდება. მართლაც, ქადაგება არის მოწოდება, ღმერთის მსგავსად გამოიჩინო მპატიებლობა, მაღლიერი და თანამგრძნობი სიყვარული, გასცე და გაიღო.“
- დარულ ბოკი

► მთაზე ქადაგების წაკითხვისა და ამ რეზიუმეში განხილვის შემდეგ, იმსჯელეთ:

- ქადაგებიდან რომელი სწავლებებია ყველაზე რთული თქვენი საზოგადოების ქრისტიანებისთვის?
- ქადაგებიდან რომელი სწავლებაა თქვენთვის, როგორც ქრისტიანი ლიდერისთვის, ყველაზე რთული?

სამეფოს საიდუმლო: იგავები სამეფოს შესახებ

ებრაელმა მასწავლებლებმა იცოდნენ, რომ ჩვენ გვახსოვს ისტორიები ბევრად უფრო დიდხანს, ვიდრე შემოთავაზებული განცხადებები. ამის გამო, იგავები, სწავლების გავრცელებული ფორმა იყო, ებრაელი რაბინებისთვის. იესო იყენებდა იგავებს, ღვთის სამეფოს შესახებ, ღრმა ჭეშმარიტებების გადმოსაცემად.

მსახურების დასაწყისში, იგავების გამოყენებამ, საშუალება მისცა იესოს, ესწავლებინა თავისი მოწაფეებისთვის და ამავედროულად თავიდან აეცილებინა მტრებთან პირდაპირი კონფლიქტი. მოგვიანებით, იესო პირდაპირ დაუპირისპირდა იერუსალიმის რელიგიურ წინამძღოლებს; მაგრამ იმ ადრეულ წლებში, მისი ყურადღება გამახვილებული იყო მოწაფეების სწავლებაზე.

ბევრი ისმენდა იგავებს, მაგრამ ვერ იგებდნენ. ისინი „სმენით ისმენენ და ვერ იგებენ“; ისინი „ხედვით ხედავენ და ვერ ხვდებიან“. რატომ? რადგან მათ გაისასტიკეს გულები. ესაიამ იწინასწარმეტყველა:

რადგან დაეხშო ამ ხალხს გული, ყურით მიიმედა ესმით და დახუჭეს თვალები, რომ თვალით არ დაინახონ და ყურით არ მოისმინონ. გულით არ გაიგონ და არ მოიქცნენ, რათა განკურნო ისინი (მათეს 13:15, ციტირებს ესაიას 6:9).

იგავების საშუალებით იესომ შეძლო ესწავლებინა მათთვის, ვისაც ყურები ჰქონდა სასმენად.

მათეს მე - 13 თავში მოცემულია იგავების სერია „სამეფოს საიდუმლოებების შესახებ“ (მათეს 13:11). ეს იგავები აჩვენებს ღვთის სამეფოს ბუნებას იესოს მიმდევრებისთვის, ხოლო დაფარავს მისი სწავლების დიდ ნაწილს ურწმუნო ლიდერებისგან.

► სანამ გააგრძელებთ, შეჩერდით და წაიკითხეთ მათეს 13:1-52. თითოეული იგავის შესწავლისას, შეაჯამეთ მისი მთავარი თემა, ერთი ან ორი წინადადებით ცხრილში, მომდევნო გვერდზე. თითოეული იგავისთვის იპოვნეთ ერთი გამოყენება დღევანდელ მსახურებაში. მე დავასრულე პირველი იგავი მაგალითისთვის.

იგავები სამეფოს შესახებ		
იგავი	თემა	გაკვეთილი დღევანდელი მსახურებისთვის
მთესველი	მსმენელის პასუხი თესლზე განსაზღვრავს მის ნაყოფიერებას.	როდესაც ვჰადაგებ და ვასწავლი, შედეგები ღმერთს უნდა ვანდო. მე არ ვარ პასუხისმგებელი მოსავალზე; მე ვარ პასუხისმგებელი თესლის ერთგულად დათესვაზე.
ღვარძლი		
მდოგვის მარცვალი		
საფუარი		
მინდორში დაფარული განძი		
ძვირფასი მარგალიტი		
ბადე		
სახლის პატრონი		
ათი მინა (ლუკას 19:11-27)		

იგავი მთესველზე (მათეს 13: 3-9, 18-23; ლუკას 8: 5-18)

პირველი იგავი სამეფოს შესახებ ამ იგავების სერიაში გვასწავლის, რომ ჩვენი რეაგირება თესლზე, განსაზღვრავს თესლის ნაყოფიერებას. ცათა სამეფოში ზოგი ირწმუნებს და გამოიღებს ნაყოფს, ზოგი კი უარს იტყვის რწმენაზე, ან პირველადი პასუხის შემდეგ დაეცემა.

ამ იგავს შეიძლება ეწოდოს ნიადაგების იგავი, რადგან ეს არის ამბავი სხვადასხვა ნიადაგზე და არა სხვადასხვა თესლზე. თითოეულ მაგალითში, თესლი იგივე იყო და მთესველიც იგივე; განსხვავებული ნიადაგი იყო. როდესაც ვაცხადებთ გზავნილს სამეფოს შესახებ, არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ზოგი მსმენელი სხვებზე ნაკლებად არის მიმღები. ამაზე გული არ უნდა დაგვწყდეს. იესომ ასწავლა, რომ ზოგი მსმენელი ნაყოფიერი ნიადაგი იქნება, ზოგი კი სიტყვის საწინააღმდეგოდ გულს გაისასტიკებს.

ლუკას დასკვნით იგავი მთესველზე აჩვენებს, რომ ეს არის იგავი ჭეშმარიტების მოსმენის შესახებ. „დაუკვირდით, როგორ ისმენთ: ვისაც აქვს, მას მიეცემა. ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაც ჰგონია, რომ ექნება“ (ლუკას 8:18). როდესაც ადამიანი დადებითად რეაგირებს ჭეშმარიტებაზე, ის მეტ ჭეშმარიტებას მიიღებს. ქადაგებაში სხვა იგავების გამოყენებამდე, იესომ თავის მსმენელებს ასწავლა, როგორ მოესმინათ, რომ ყოფილიყვნენ ნაყოფიერი ნიადაგი.

იგავი ღვარძლის შესახებ (მათეს 13:24-30, 36-43)

ებრაელი ხალხი ელოდა, რომ ღვთის სამეფო დაუყოვნებლივ განაჩენს გამოიტანდა ბოროტთა მიმართ. იესომ მოამზადა თავისი მოწაფეები შუალედური პერიოდისთვის, რომლის დროსაც მორწმუნეები და ურწმუნოები ერთად იცხოვრებენ მსოფლიოში. ამ მოთხრობაში „ყანა მსოფლიოა“ (მათეს 13:38). მხოლოდ „ქვეყნიერების აღსასრულს“ შეაგროვებენ ანგელოზები ღვარძლს და დაწვავენ მათ ცეცხლში. ღვთის სამეფო განვითარდება ღმერთის დროით და არა ადამიანის დროით.

იგავი მდოგვის მარცვალზე (მათეს 13:31-32)

არავის, ვინც დააკვირდებოდა იესოს მიწიერ მსახურებას, არ შეეძლო ეწინასწარმეტყველა ეკლესიის გავრცელება მთელს მსოფლიოში. მოწაფეები იყვნენ გაუნათლებლები, ღარიბები და შეშინებულები. მათ არ გააჩნდათ ქარიზმა, სოციალური სტატუსი ან პოლიტიკური ძალა. ისინი პატარა „მდოგვის მარცვალს“ ჰგავდნენ. ისევე, როგორც პატარა მდოგვის მარცვალი გაიზარდა დიდ ხედ ან ბუჩქად, ღვთის სამეფოც მსოფლიოს კიდეებს მიაღწევს.

იესოს აუდიტორია შოკირებული იქნებოდა, იმის მოსმენით, რომ იესომ ღვთის სამეფო მდოგვის მარცვალს შეადარა. ებრაელი რაბინები ელოდნენ ღვთის სამეფოს მოსვლას, მის ძალასა და დიდებაში. ისინი ელოდნენ ცოდვილების მიმართ განაჩენის გამოტანას; ისინი ელოდნენ სამხედრო აჯანყებას რომის წინააღმდეგ; ისინი მოელოდნენ სოციალურ

არეულობას ახალი ებრაული სამეფოს შექმნისთანავე. ამის ნაცვლად, იესომ მოამზადა მოწაფეები სამეფოს არცთუ შთამბეჭდავი დასაწყისისთვის.

როდესაც ახალ აღთქმას ვკითხულობთ, შეიძლება დაგვავიწყდეს იუდეის მნიშვნელობა პირველ საუკუნეში. იუდეა არის ახალი აღთქმის ცენტრი, მაგრამ იგი შორს იყო პირველი საუკუნის სამყაროს ცენტრობიდან. დაფიქრდით თქვენი ქვეყნის დედაქალაქზე. ეს არ იყო იუდეის როლი პირველ საუკუნეში; ეს როლი რომს ეკუთვნოდა. დაფიქრდით ქალაქზე, რომელსაც აქვს დიდი უნივერსიტეტი და საგანმანათლებლო სისტემა. ეს არ იყო იუდეის როლი პირველ საუკუნეში; ეს როლი ეკუთვნოდა ათენს ან ალექსანდრიას.

იუდეა არ იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკურად; ის არც ეკონომიკურად იყო მნიშვნელოვანი; ის მნიშვნელოვანი არც სოციალურად იყო. წარმოიდგინეთ თქვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელო ქალაქი; ასეთი იყო იუდეა რომის იმპერიაში.

იგავი მდოგვის მარცვალზე გვიჩვენებს ღვთის სამეფოს ზრდას, რომის იმპერიის შორეული მხარეებიდან, ადამიანთა მცირე ჯგუფიდან დაწყებული, ხედ იქცა, რომელმაც ყველა ერს მიაღწია.³⁴ ებრაელი რაბინები ასწავლიდნენ, რომ ღვთის სამეფო შემოიფარგლებოდა მხოლოდ ებრაელებით; იესომ ასწავლა, რომ ღვთის სამეფო მიაღწევდა დედამიწის კიდეებს.

იგავი საფუარზე (მათეს 13:31-32)

საფუარის შესახებ იგავი, ასევე ასახავს სამეფოს ზეზუნებრივ ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ საფუარს ჩვეულებრივ აქვს უარყოფითი მნიშვნელობა წმინდა წერილში, (მათეს 16:6; 1 კორინთელთა 5:6-7). იესომ გამოიყენა საფუარი, როგორც სამეფოს გავრცელების სიმბოლო. საფუარის სამი ზომა შესაძლებელს ხდის ასი ადამიანის სამყოფ პურის წარმოებას. თავისი უმნიშვნელო დასაწყისის მიუხედავად, სამეფო ძლიერ ძალად იქცა.

საფუარის შესახებ იგავი, გვიჩვენებს სამეფოს განუხრელ ზრდას. საფუარი არ არის დრამატული; ის არ ფეთქდება დინამიტივით; ის მშვიდად ასრულებს თავის სამუშაოს პურში. ებრაელი რაბინები ასწავლიდნენ, რომ ღვთის სამეფო წარმოდგენილი იქნებოდა საყოველთაო ნიშნებით; იესომ აჩვენა, რომ სამეფო ნელა, მაგრამ სტაბილურად გაიზრდებოდა მანამ, სანამ მთელ მსოფლიოში არ გავრცელდება.

იგავი მინდორში დაფარული განძის და ძვირფასი მარგალიტის შესახებ (მათეს 13:44-46)

ეს ორი იგავი სამეფოს სიხარულზეა. ორივეში ადამიანმა აღმოაჩინა ისეთი დიდი ღირებულება, რომ ის „მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია, და იმას შეიძენს.“ ამ იგავებში ყურადღება არ არის გამახვილებული კაცის მსხვერპლზე, არამედ მის

³⁴ დანიელის 4:12 და ეზეკიელის 31:6, ხეზე დაბინავებული ფრინველები წარმოადგენდნენ დიდ სამეფოს, რომელიც აღწევდა მრავალ ერს

სიხარულზეა, რომელიც მან განიცადა ასეთი ღირებულის პოვნით. „სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს.“ ჭეშმარიტი მოწაფეები სიხარულით თმობენ ყველაფერს, რათა ქრისტეს გაყვნენ.

ეს იგავები აჩვენებს სამეფოს უზენაეს ღირებულებას. ღვთის სამეფო გავლენას ახდენს ჩვენს დამოკიდებულებაზე მთელი ცხოვრების მიმართ. სხვაგან იესომ თქვა, რომ „თუ გაცდუნებს შენი თვალი, ამოითხარე იგი. გიჯობს, ცალი თვალით შეხვიდე ღვთის სამეფოში, ვიდრე ორი თვალი გქონდეს და ჩაგაგდონ ჯოჯოხეთში“ (მარკოზის 9:47). ღვთის სამეფოში შესვლა ნებისმიერი მიწიერი მსხვერპლის ფასად ღირს.

იგავი ბადეზე (მათეს 13:47-50)

გალილეის ზღვაზე სათევზაო ნავეები დიდ ბადეს მიათრევდნენ, რომელშიც ხვდებოდა როგორც საჭმელი თევზი, ასევე ისეთები, რომლებიც არ იჭმევა. ნაპირზე დაბრუნების შემდეგ მეთევზეები გამოარჩევდნენ კარგ თევზებს ცუდებისაგან.

ღვარძლზე იგავის მსგავსად, ამ იგავმა შეახსენა მოწაფეებს, რომ განკითხვა იქნება „ქვეყნიერების აღსასრულის დროს.“ ნაცვლად იმისა, რომ ელოდონ მყისიერ განკითხვას, მათ უნდა იქადაგონ სამეფოს შესახებ იმის ცოდნით, რომ ღმერთი თავის დროზე განსჯის ბოროტსა და მართალს. იქნება საბოლოო განკითხვა, რომელიც გამოარჩევს კეთილს ბოროტისგან, მაგრამ დროები ღმერთს უნდა მივანდოთ.

იგავი სახლის პატრონზე (მათეს 13:51-52)

იგავთა ეს სერია იესომ მოწაფეებს ასწავლა, რათა ისინი ნაყოფიერი ნიადაგი ყოფილიყვნენ. მან დაასრულა სერია იმით, რომ ასწავლა მათ სხვებისადმი გაზიარების პასუხისმგებლობა. ყოველი მწიგნობარი, რომელიც ცათა სამეფოს მოწაფე გახდა, თავისი საუნჯიდან რაღაც უნდა გამოიტანოს, რათა სხვებს ასწავლის. ჩვენ, არა მხოლოდ ჩვენი სარგებლისთვის ვსწავლობთ. მოწაფეები მომზადებულნი იყვნენ, რათა მათ, თავის მხრივ, შემდეგობდათ სხვა მოწაფეების მომზადება.

იგავი ათი მინას შესახებ (ლუკას 19:11-27)

► წაიკითხეთ ლუკას 19:11-27.

ეს იგავი ლუკას სახარებიდან არის, მაგრამ მათეს სახარებაშიც გვხვდება ანალოგიური იგავი, რომელიც გადმოცემულია იესოს ზეთისხილის მთაზე ქადაგების დროს. იესომ დაურთო ეს იგავი ათი მინას შესახებ, როდესაც იერუსალიმს უახლოვდებოდნენ და „რადგან მათ ეგონათ, უეცრად გამოჩნდებოდა ღვთის სამეფო.“

იესოს იერუსალიმთან მიახლოებასთან ერთად, ხალხში სულ უფრო მატულობდა პოლიტიკური მესიის მოლოდინი. იესომ დაურთო ეს იგავი, რომ ესწავლებინა თავისი მოწაფეებისთვის, დარჩენილიყვნენ ერთგულნი სამეფოს მოლოდინში. მათ არ უნდა დაეფარათ ის, რაც მისცა მათ მოძღვარმა; ნაცვლად ამისა, მათ თავიანთი რესურსები უნდა

გამოყენებინათ სამეფოს წინსვლისთვის.

სამეფოს დამყარება


► წაიკითხეთ მათეს 24-25.

იესოს ადრეული სწავლების დიდი ნაწილი, ორიენტირებული იყო, სამეფოს მყისიერ გამოცხადებაზე. თავისი მიწიერი მსახურების დასასრულისკენ, იესო უფრო მეტს საუბრობდა სამეფოს განხორციელების შესახებ. მათეს 24-ე და 25-ე თავებში მოყვანილი ზეთისხილის მთაზე ქადაგება არის იესოს ყველაზე ფართო სწავლება, სამეფოს დაპირებების სამომავლო შესრულების შესახებ.

ახლო ხედი: ჰეროდეს ტაძარი

ძველი წელთაღრიცხვის 19 წელს ჰეროდე დიდმა დაიწყო ტაძრის სრული განახლება. ეს ტაძარი, რომელიც დასრულდა ძვ.წ. 516 წელს. ზერუბაბელის მიერ, უფრო მცირე და უბრალო იყო, ვიდრე სოლომონის თავდაპირველი ტაძარი. ჰეროდეს განზრახული ჰქონდა დაებრუნებინა ტაძრისთვის მისი პირვანდელი მშვენიერება. მან დაიწყო სამშენებლო პროექტი, რომელიც ოთხმოც წელზე მეტხანს გაგრძელდა. ჰეროდემ დანიშნა 10 000 გამოცდილი მუშაკი მშენებლობისთვის და მოამზადა 1000 ლევიანი, ტაძრის იმ მონაკვეთებზე სამუშაოდ, რომლებიც მრევლისთვის დახურული იყო.

ჰეროდე იმედოვნებდა, რომ მას დაიმახსოვრებდნენ, როგორც მსოფლიოს უდიდესი ტაძრის ამშენებელს. იესოს მსახურების დროს მუშაობა გაგრძელდა ორმოცდაექვსი წლის განმავლობაში (იოანეს 2:20). მთელი ტაძრის კომპლექსი არ უნდა დასრულებულიყო ახ.წ. 63 წლამდე - და განადგურდა მხოლოდ იერუსალიმის შვიდ წლიანი ალყის შემდეგ, რომელიც გენერალი ტიტუსის მიერ ახ.წ. 70 წელს.



³⁵ როდესაც „ჰეროდეს ტაძარი“ დასრულდა, იგი თითქმის ორჯერ აღემატებოდა სოლომონის ტაძარს და იერუსალიმში დღესასწაულებზე მისულ ათასობით ებრაელ მომლოცველს იტევდა. ეს იყო რომის იმპერიის ერთ-ერთი უდიდესი საოცრება.

სამეფოს დამყარება (გაგრძელება)

იესოს იერუსალიმში ყოფნის ბოლო კვირას „მივიდნენ მასთან მისი მოწაფეები, რათა ეჩვენებინათ ტაძრის შენობები.“ ვინაიდან ტაძრის მშენებლობა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, ისინი ალბათ მიუთითებდნენ იმ განსხვავებაზე, რაც შეიცვალა ტაძარში მათი წინა ვიზიტის შემდეგ.

იესომ უპასუხა წინასწარმეტყველებით, ტაძრის დანგრევის შესახებ. „ხედავთ ყოველივე ამას? ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, რომ არ ჩამოიქცეს.“ შემდეგ მოწაფეებმა ჰკითხეს: „გვითხარი, როდის მოხდება ეს და რა იქნება შენი მოსვლისა და საუკუნის აღსასრულის ნიშანი?“

მოწაფეების შეკითხვა იყო ორ ნაწილიანი; იესოს პასუხიც ორი ნაწილისგან შედგებოდა. ისევე, როგორც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებები მოიცავდა როგორც ახლო, ისე შორეულ ასპექტებს, იესოს წინასწარმეტყველებაც მოიცავდა ზოგიერთ მოვლენას,

³⁵ "Temple Comparison" was created by SGC with a photo by Ricardo Gandelman (CC BY 2.0) and temple plans from EB Vol. IV and Gal m, available from <https://www.flickr.com/photos/sgc-library/52345523784>, public domain (CC0)

რომელიც მალე მოხდებოდა და ზოგიერთს, რომელიც მოხდებოდა „საუკუნის აღსასრულს.“

- მოწაფეებმა ჰკითხეს: „როდის მოხდება ეს ყველაფერი?“ „ეს ყველაფერი“ (ტაძრის დანგრევა, სანამ „ქვა ქვაზე არ დარჩება აქ“) მოხდა ახ. წ. 70 წელს.
- მოწაფეებმა ჰკითხეს: „რა იქნება შენი მოსვლისა და საუკუნის აღსასრულის ნიშანი?“ იესომ მომავალ დაბრუნებაზე თქვა „იხილავენ კაცის ძეს, ცის ღრუბლებზე მომავალს, დიადი ძალითა და დიდებით“ (მათეს 25:30).

იესომ აჩვენა, რომ სამეფოში შევლენ ხალხი ყველა ერიდან, როგორც ებრაელები, ისე წარმართები. მან აჩვენა, რომ არაებრაელთა ჩართვა სამეფოში, იყო ღვთის გეგმა „ქვეყნიერების დასაბამიდან“ (მათეს 25:34). ღვთის სამეფო იყო ღმერთის მარადიული გეგმა თავისი ხალხისთვის.

ზეთისხილის ქადაგების ორი იგავი გვასწავლის, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ერთგულნი, სანამ ველოდებით სამეფოს. ხუთი უგუნური ქალწული ელოდა - მაგრამ სათანადო მომზადების გარეშე. ერთი ტალანტის მიმღები მსახური ელოდა - მაგრამ მიღებულის კარგად მართვის გარეშე. როგორც სამეფოს მოქალაქეები, ჩვენ მოწოდებულნი ვართ მეფისადმი ერთგულად და შეუპოვრად მსახურებისთვის.

საბოლოო სამსჯავროზე, მათეს მე -13 თავში დაპირებული, კეთილისა და ბოროტის გამორჩევა მოხდება. მთავარი გაკვეთილი არ მდგომარეობს იმაში, თუ როდის და როგორ მოხდება ეს სამსჯავრო. პირიქით, იესოს სწავლება ეხება იმას, თუ როგორ უნდა იცხოვრონ დღეს სამეფოს მოქალაქეებმა საბოლოო განკითხვისთვის მოსამზადებლად. იმ დღეს მეფე ეტყვის: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს, მე გამიკეთეთ.“ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ მეფის დაბრუნების მუდმივ მზადყოფნაში. ჩვენ უნდა აღმოვჩნდეთ ერთგულები, როდესაც ის დაბრუნდება.

გამოყენება: მოწაფეობის ფასი

► წაიკითხეთ ლუკას 9:21-27.

ღვთის სამეფოს მოქალაქეობა, მხოლოდ მაღლით არის შესაძლებელი. ჩვენ არ ვხდებით სამეფოს მოქალაქეები კეთილი საქმეებით. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოწაფეობრივ ცხოვრებას ფასი არ აქვს. ლუკას მე -9 თავში იესომ თავის მიმდევრებს ასწავლა მოწაფეობის ფასი.

დალას ვილარდი წერდა: „მაღლი არ ეწინააღმდეგება ძალისხმევას; მაღლი მოგების წინააღმდეგია.“³⁶ ძალისხმევა, რომელსაც ჩვენ ვიღებთ როგორც მოწაფეები, არ

³⁶ Dallas Willard, *The Great Omission: Reclaiming Jesus's Essential Teachings on Discipleship* (New York: HarperOne, 2006)

ეწინააღმდეგება მადლს. სინამდვილეში, ერთადერთი გზა იმისა, რომ ჩვენ გვაქვს ძალა განვაგრძოთ მოწაფეობა არის ღვთის მადლი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ იესოს სწავლების ნიმუში: **ჯვარი და შემდეგ დიდება.**

- იესომ იწინასწარმეტყველა მისი სიკვდილი და აღდგომა (ლუკა 9:21-22). ეს იყო ფასი, რომელიც იესომ გადაიხადა სამეფოში ჩვენი მოქალაქეობის უზრუნველსაყოფად.
- იესომ უთხრა თავის მიმდევრებს, თუ რა ფასი დაუჯდებოდათ მისი მოწაფეობა (ლუკა 9:23-25). „თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, ყოველდღე იტვირთავდეს თავის ჯვარს და მომყვებოდეს.” იესომ ჯვარი გაიარა სამეფოს დასამყარებლად; ჩვენც უნდა ავიღოთ ჯვარი, თუ გვინდა სამეფოში ცხოვრება.
- იესო საუბრობდა ღვთის სამეფოზე (ლუკა 9:26-27). „რადგან, ვისაც შერცხვება ჩემი და ჩემი სიტყვებისა, კაცის ძესაც შერცხვება მისი, როცა მოვა თავისი მამისა და წმიდა ანგელოზების დიდებით.”

ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ სამეფოს დიდება ჯვრის გაზიარების გარეშე. იესომ „დაიმდაბლა თავი ... თვით სიკვდილამდე, ჯვარცმით სიკვდილამდე. ამიტომ ღმერთმაც აღამაღლა იგი ...” (ფილიპელთა 2:8-9).

ჩვენ, როგორც ღვთის შვილები, მივყევით იმავე მაგალითს. „და თქვენი მცირეოდენი **ტანჯვის** შემდეგ, ღმერთი ყოველგვარი მადლისა, რომელმაც მოგვიწოდა თავისი **სამუდამო დიდებისაკენ** ქრისტეში...” (1 პეტრეს 5:10). ეს არის ცხოვრების ფორმა სამეფოში. ქრისტემ ჯვარცმა აიტანა, ტრიუმფით განდიდებამდე. მისმა მიმდევრებმა უნდა „აიღონ ჯვარი”, სანამ ისარგებლებენ „მისი მარადიული დიდებით.”

იესო ეძებდა ერთგულ მოწაფეებს. ის არ ითხოვდა თავის მოწაფეებისგან, ჰქონოდათ ბრწყინვალე გონება; ის ითხოვდა მათგან, ჰქონოდათ მიმდევნილი გული. რა ფასი ჯდება მოწაფეობა? „თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, ყოველდღე იტვირთავდეს თავის ჯვარს და მომყვებოდეს.”

1. **მოწაფემ უნდა უარყოს საკუთარი თავი.** საკუთარ თავს უთხრა „არა“, ძნელია გასაკეთებლად.
2. **მოწაფემ უნდა აიღოს თავისი ჯვარი.** იესოს მიმდევრებს ესმოდათ, რომ ჯვარი ნიშნავს სიკვდილს. ჯვარი წარმოადგენდა ტანჯვას და დამცირებას. მაგრამ ადრეულმა ქრისტიანებმა იცოდნენ, რომ მოწაფეობა ჯვარს მოითხოვდა. როდესაც იგნატიუსი რომში მიემგზავრებოდა მოწამეობრივი სიკვდილისთვის, მან თქვა: „მე ვიწყებ მოწაფეობას.” მოწაფეობა ჯვარს მოითხოვს.
3. **მოწაფემ უნდა გააგრძელოს იესოს მიბაძვა ბუნებითა და საქციელით.** ზმნა "მიბაძვა" არის ახლანდელ დროში.

ღირს მოწაფეობა ამ ფასად? იესომ მოწაფეობის სამი მიზეზი მოიყვანა. ბედის ირონიით, ეს არის სწორედ ის მიზეზები, რის გამოც ბევრი ადამიანი თავს არიდებს მოწაფეობას. რატომ უნდა გადავიხადოთ ფასი მოწაფეობისათვის?

1. **უსაფრთხოება.** ვინც ჯვრის თავიდან აცილებით ცდილობს სიცოცხლის გადარჩენას, დაიღუპება (ლუკა 9:24).
2. **ქეშმარიტი სიმდიდრე.** ვინც უარს იტყვის ქრისტესთან გაიგივებაზე, ის ყველაფერს დაკარგავს (ლუკა 9:25).
3. **ჯილდო.** მხოლოდ ისინი, ვინც ქრისტეს მიჰყვებიან, მიღებულნი იქნებიან სამეფოში (ლუკა 9: 26-27).

► წაიკითხეთ ლუკას 14:25-33.

მოგვიანებით იესომ გააფართოვა სწავლება მოწაფეობაზე. მისი ინსტრუქცია იყოფა სამ ნაწილად:

1. მოწაფეობის ფასი (ლუკა 14: 26-27)
2. უგუნურებაა გახდეს მოწაფე, თუ არ განსაზღვრავ, რა ფასის გადახდა მოგიწევს (ლუკა 14: 28-32)
3. შეხსენება მოწაფეობის ფასის შესახებ (ლუკა 14:33)

თუ მანქანის საყიდლად მიხვალთ, გამყიდველი შეეცდება დამალოს საბოლოო ღირებულება. ის იტყვის: „შეხედე ამ ლამაზ მანქანას!“ „იგრძენი ამ მანქანის ძალა!“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეგიყვარდება მანქანა, ის გეუბნება ფასს.

იესოს არასოდეს შეუთავაზებია თავისი მიმდევრებისთვის სამეფოსკენ მიმავალი მარტივი გზა. მან დაიწყო ფასის მონიშვნით:

თუ ვინმე მოვა ჩემთან და არ მოიძულებს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს, ძმებსა და დებს, საკუთარ სულსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მოწაფე. ვინც არ ატარებს თავის ჯვარს და ისე არ გამომყვება, ვერ გახდება ჩემი მოწაფე.

სიტყვა „მოიძულებს“ არის ებრაული იდიომა, რომელიც სრულიად განსხვავდება ჩვენი ქართული ტერმინისგან. „მოიძულო“ რაღაც, ნიშნავს, გიყვარდეს სხვაზე ნაკლებად. იესო ამბობს: „შენ არ შეგიძლია გახდეს ჩემი მოწაფე, თუ არ გიყვარვარ უფრო მეტად, ვიდრე შენი მამა, დედა, ცოლი, შვილები, ძმები, დები, საკუთარი თავიც კი!“

რა ფასი ჯდება მოწაფეობა? ყველაფერი! იყო ქრისტეს მოწაფე, უფრო მეტია, ვიდრე მესიანური დაპირებების სიხარულის გაზიარება; ის მოითხოვს ჯვრის გაზიარებას.

► იოანეს სახარება იძლევა დამატებით სამ პირობას მოწაფეობისთვის. წაიკითხე იოანეს 8:31; 13:35; და 15:8. თქვენ ამზადებთ მოწაფეებს თქვენს მსახურებაში, მოწაფეობის პირობებზე დაყრდნობით, რომლებიც მოყვანილია ლუკასა და იოანეს სახარებებში?

დასკვნა: რა არის ღვთის სამეფო?

სანამ ქრისტე არ დაბრუნდება, ჩვენ ვერ გავიგებთ მისი სწავლების ყველა დეტალს სამეფოს შესახებ. თუმცა, სახარებები აჩვენებს ღვთის სამეფოს მრავალ მახასიათებელს:

- ღვთის სამეფო არის სულიერი სამეფო. „ვინაიდან ღვთის სასუფეველი საჭმელ-სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდაში“ (რომაელთა 14:17). ხელახლა შობა გვათავისუფლებს სატანის ძალაუფლებისგან და გვაქცევს ღვთის სამეფოს ნაწილად.
- ღვთის სამეფო მოიცავს ფიზიკურ და პოლიტიკურ მეფობას საუკუნის აღსასრულს.
- ღვთის სამეფო საყოველთაოა; ის არ შემოიფარგლება ებრაელი ერით.
- ღვთის სამეფო არის „დინამიური“ და არა გეოგრაფიული. ეს არის ღმერთის ძალა, რომელიც მოქმედებს მსოფლიოში და არა ფიზიკური ადგილმდებარეობა. ათი მინას იგავში სამეფო იყო უფლებამოსილი, მმართველობა და არა გეოგრაფიული მდებარეობა.³⁷
- ღვთის სამეფო ზებუნებრივია. ადამიანი თესავს თესლს; მას არ შეუძლია გაზარდოს ის. სამეფო იზრდება ღვთის ძალით.
- ღვთის სამეფო უფრო მეტია, ვიდრე გაურკვეველი მომავლის იმედი; ეს არის ახლანდელი რეალობა, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას.
- ღვთის სამეფო გამოცხადდა იესოს მსახურების მეშვეობით. მისმა ძალაუფლებამ დემონებზე აჩვენა ღვთის სამეფოს გამარჯვება სატანის სამეფოზე.
- ღვთის სამეფო აგრძელებს წინსვლას ეკლესიის მუშაობით. მთაზე ქადაგება გვიჩვენებს, როგორი ცხოვრებისთვის არიან მოწოდებულნი მორწმუნეები, ახლანდელ პერიოდში.
- ღვთის სამეფო დაგვირგვინდება ქრისტეს დაბრუნებისას, რათა იმეფოს დიდებაში. სატანის ძალაუფლება დაინგრევა და ღმერთი მარადიულად იმეფებს.

► დანართში არის ქადაგება სახელწოდებით „სამეფოს სახარება“. წაიკითხეთ ეს სანამ გადახვალთ მე -7 გაკვეთილზე.

³⁷ ლუკას 19:11. „მინა“ იყო ფულის ერთეული. ეს იყო დაახლოებით სამი თვის ხელფასი მუშისთვის.)

გაკვეთილი 6 დავალება

მომზადეთ სამი ქადაგების სერია, რომელიც დაფუძნებულია იესოს მთაზე ქადაგებაზე. თქვენი ქადაგების თემა უნდა იყოს „ცხოვრება ღვთის სამეფოში.“ აჩვენეთ როგორ უნდა ვიცხოვროთ დღეს, როგორც ღვთის სამეფოს მოქალაქეებმა. დარწმუნდით, რომ ქადაგებთ „კეთილ უწყებას.“ აჩვენეთ, როგორ გვამღევეს უფლებას ღმერთის მადლი, ვიცხოვროთ როგორც მოქალაქეებმა ღვთის სამეფოში.

გაკვეთილი 7

სიყვარული იესო ქრისტეს მსგავსად

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- (1) გააცნობიეროს სიყვარულის ცენტრალური როლი იესოს ცხოვრებაში და მსახურებაში.
- (2) გაიგოს, რომ ღმერთის სიყვარული გულისხმობს ღმერთთან ურთიერთობას, ღვთის სიტყვის ცოდნას და ღვთის ნებისადმი მინდობას.
- (3) მიზამოს იესოს სიყვარულს, მსახურებაში მყოფი ხალხისადმი.
- (4) გაითვალისწინოს ღვთისადმი მუდმივი მორჩილების მნიშვნელობა.
- (5) აჩვენოს იესოს ბუნება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მსახურების პრინციპი

ქრისტეს მსგავსი სიყვარული არის ქრისტეს მსგავსი მსახურების მოტივაცია.

შესავალი

იესოს მთელი ცხოვრება და მსახურება სიყვარულმა განაპირობა. მან არაერთხელ აჩვენა, რომ ღვთისა და ადამიანების სიყვარულს ცენტრალური ადგილი უკავია მის ცხოვრებასა და მსახურებაში. თუ ჩვენ გავყვებით იესოს მაგალითს, სიყვარული დაიკავებს ცენტრალურ ადგილს ჩვენს ცხოვრებასა და მსახურებაში. ყველაზე ნათლად ეს ჩანს, იგავში კეთილ სამარიტელზე.

► წაიკითხეთ ლუკას 10:25-37.

ამ იგავის მოყოლამდე იესომ თქვა, რომ ღმერთმა „დაუფარა ეს ბრძენთა და გონიერთ, ჩვილებს კი განუცხადა“ (ლუკას 10:21). ეს გვასწავლის მნიშვნელოვან გაკვეთილს, სულიერი გაგების შესახებ. სულიერი ჭეშმარიტების გააზრება უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე ინტელექტუალურ სწავლას; ის მოითხოვს სულიერ გამოცხადებას. ღვთის ჭეშმარიტება საკმაოდ მარტივია ბავშვისთვის გასაგებად, მაგრამ ის ძალიან ღრმაა მეცნიერისთვის.

როგორ შეიძლება ესე იყოს? ღმერთი მაღავს ჭეშმარიტებას მათგან, ვისაც ის სურს? პასუხი მოიცავს ორ პრინციპს.

1. **სულიერი ჭეშმარიტება ვლინდება მხოლოდ სულიწმიდის საშუალებით.** პავლემ დაწერა, რომ „ღვთისა არავინ არაფერი იცის, გარდა ღვთის სულისა“. ამის გამო,

ჩვენ უნდა ვიყოთ „სულიწმიდისგან განსწავლულები. სულიერი სულიერით განვმარტოთ“ (1 კორინთელთა 2:11, 13)

2. **სულიერი ჭეშმარიტება ვლინდება მხოლოდ შემთვისებელ მსმენელთათვის.**
პავლე აგრძელებს: „მიწიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც ძალუმს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი“ (1 კორინთელთა 2:14)

იგავი მთესველზე გვიჩვენებს, რომ მსმენელის დამოკიდებულება განაპირობებს თესლის ნაყოფიერებას.³⁸ მხოლოდ ის, ვინც სიმართლის შემთვისებელია, გაიგებს ჭეშმარიტებას, რომელსაც ისმენს.

ლუკას 10:25 - ში მოყვანილი რჯულის მცოდნე, ამ მეორე პრინციპის ნამდვილი ილუსტრაციაა. რჯულის მცოდნის ეს კითხვა წარმოიშვა არა ჭეშმარიტების გაგების, არამედ იესოს მახეში გაბმის სურვილიდან; მას სურდა „მისი გამოცდა.“ მას შემდეგ რაც მან მოისმინა იესოს პასუხი, რჯულის მცოდნის რეაქცია არ იყო ნაყოფიერი ნიადაგის რეაქცია. პირიქით, მან დაუსვა კიდევ ერთი კითხვა „საკუთარი თავის გამართლების სურვილით.“

რჯულის მცოდნემ უკვე იცოდა პასუხი მის კითხვაზე: „რა უნდა გავაკეთო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“ პასუხი ჩაწერილი იყო რჯულში: „შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით, და მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.“

ეს არის იესოს გული, მაგალითი ჩვენთვის. იმისათვის, რომ ვიცხოვროთ და ვიმსახუროთ იესოს მსგავსად, ჩვენ უნდა გვიყვარდეს ღმერთი და გვიყვარდეს ჩვენი მოყვასი, როგორც იესოს უყვარდა. ქრისტეს მსგავსი სიყვარულის გარეშე, ამ კურსის არცერთ სხვა გაკვეთილს ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა. ლოცვა, ხელმძღვანელობა, სწავლება თუ ქადაგება - სიყვარულის გარეშე, ნამდვილად არცერთს არ აქვს მნიშვნელობა.

შეიძლება ძალიან მარტივად მოგეჩვენოთ. თქვენ შეიძლება თქვათ: „რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გვიყვარდეს ღმერთი და გვიყვარდეს ადამიანები. ეს უკვე ვიცით!“ მაგრამ მსახურების ყოველდღიური ტვირთის დროს ჩვენ შეგვიძლია დავკარგოთ მოსიყვარულე გული. ჩვენ შეგვიძლია ვემსახუროთ ჩვენი ეკლესიის წევრებს, მათდამი სიყვარულის გარეშე. ჩვენ შეგვიძლია ვემსახუროთ ჩვენს ოჯახებს, მათდამი სიყვარულის გარეშე. შესაძლებელია ქრისტიანული საქმის კეთება ღვთის სიყვარულის გარეშე. ჩვენი ქრისტიანული მსახურების მოტივაცია უნდა იყოს, ქრისტეს მსგავსად სიყვარული.

³⁸ მათეს 13:1-23. განსაკუთრებით გაითვალისწინეთ 13:12. ვინც ღებულობს ჭეშმარიტებას, მიიღებს მეტ ჭეშმარიტებას: „ვისაც აქვს, მეტი მიეცემა.“ ის, ვინც უარყოფს ჭეშმარიტებას, ზრმაა იმ ჭეშმარიტებისადმი, კი, რაც უკვე მოისმინა: „ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაც აქვს“

ღვთის სიყვარული, როგორც იესოს უყვარდა

იესოს კაცობრიობისადმი მსახურება განპირობებული იყო მისი მამისადმი სიყვარულით. მსახურებაში გადაღლილობისა და იმედგაცრუების თავიდან ასაცილებლად, ადამიანებისადმი ჩვენი მსახურება ღვთის სიყვარულით უნდა იყოს შთაგონებული. მსახურება ღვთის სიყვარულის გარეშე მალე გახდება ცარიელი და უნაყოფო.

მამისადმი იესოს სიყვარულის სამი ასპექტი უნდა იყოს ჩვენთვის მაგალითი: ურთიერთობა, ცოდნა და ნდობა.

იესოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მამასთან

სახარებებში არაერთხელ შეგვიღია დავინახოთ იესოს ახლო ურთიერთობა მამასთან. ეს ჩანს:

- იესოს მოწმობაში თავისი მშობლებისთვის: „ნუთუ არ იცით, რომ მამის სახლში უნდა ვიყო?“ (ლუკას 2:49).
- იესოს განმარტებით ლოცვაში, იოანეს მე - 17 თავში.
- იესოს ტკივილით სავსე შემახილში ჯვარზე: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“ (მათეს 27:46).

გეთსიმანიის ბაღში იესომ ღმერთს მიმართა ოჯახში მიღებული ახლო ურთიერთობის მანერით: „აბბა, მამაო“ (მარკოზის 14:36). ეს იყო მის ნათქვამი, რომელიც დარწმუნებული იყო მამასთან ურთიერთობაში.

ტრადიციულ ებრაულ ლოცვებში, ღმერთს არაერთი სახელით მოიხსენიებდნენ: აბრაამის, ისააკისა და იაკობის ღმერთი; ჩვენი მამების ღმერთი; კურთხეული; ძლევამოსილი; მხსნელი ისრაელისა. იესომ გამოიყენა მისთვის ახლობელი სახელი აბბა. იესო ახლო ურთიერთობაში ცხოვრობდა მამასთან.

კენეტ ბეილი მრავალი წლის გამწვავლობაში ასწავლიდა ახლო აღმოსავლეთში. ის წერს, რომ აბბა არის პირველი სიტყვა, რომელსაც ბავშვები ახლო აღმოსავლეთში სწავლობენ. *აბბა არის სახელი, რომელსაც ბავშვი იყენებს მამისადმი.*

პავლე გვეუბნება, რომ როგორც ღვთის შვილებს, ჩვენც გვაქვს პრივილეგია „შევღადადოთ, აბბა! მამაო!“ (რომაელთა 8:15; გალატელთა 4:6). ჩვენ არ ვცემთ თავყანს ღმერთს, რომელიც ჩვენგან შორსაა. პირიქით, იესოს მსგავსად, ჩვენ ვცხოვრობთ უსაფრთხოდ და კომფორტულად ჩვენი მამის სიყვარულში.

როგორც მწყემსებს, ჩვენ შეიძლება გვექონდეს ცდუნება, შევაფასოთ საკუთარი თავი ჩვენი მსახურების წარმატების მიხედვით. თუ ჩვენი მნიშვნელოვნება გამომდინარეობს ჩვენი ეკლესიის ზომიდან, ჩვენი მრევლის მოწონებიდან, ან ჩვენი თანატოლების აღიარებიდან, ჩვენ გვექნება ცდუნება, მსხვერპლად გავიღოთ პატიოსნება, წარმატების მისაღწევად. ჩვენ

იმედგაცრუებულნი ვიქნებით, როდესაც ჩვენი ძალისხმევა წარუმატებელი იქნება. თუმცა, თუ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს აზბას ვუყვარვართ, ჩვენი წარმატების, ან წარუმატებლობის მიუხედავად, ჩვენ შეგვიძლია შედეგები მას მივანდოთ. მისი სიყვარული არ არის დამოკიდებული ჩვენს მოქმედებაზე.

იესომ იცოდა მამის ნება

მიწიერი მსახურების დასასრულს იესომ დაამოწმა: „მე განგადიდე მიწაზე იმ საქმის აღსრულებით, რომელიც მომეცა, რომ გამეკეთებინა“ (იოანეს 17:4). იესომ იცოდა რისთვისაც გამოგზავნა ის მამამ და მან სიცოცხლე მიუძღვნა ამ მისიის შესრულებას.

მის ადამიანურობაში, იესომ შეიმეცნა მამის ნება ლოცვისა და სიტყვის მეშვეობით. ლოცვის მეშვეობით შეიტყო იესომ მამის ნება.

იესომ მამის ნება, ასევე სიტყვის მეშვეობით შეიმეცნა. კაპერნაუმში იესომ შეაჯამა თავისი მისია, როგორც ესაიას წინასწარმეტყველების აღსრულება (ლუკას 4:18-19). როდესაც მან უპასუხა იოანე ნათლისმცემლის მიერ წარმოგზავნილებს, იესომ გამოიყენა ესაიას სიტყვები, როგორც მტკიცებულება თავისი მესიანური მსახურებისა (მათეს 11:4-5). იესომ იცოდა სიტყვა.

მთელს ახალ აღთქმაში, ჩვენ ვხვდებით ქრისტიანებს, რომლებიც სირთულეების საპასუხოდ მიმართავენ წმინდა წერილს. მოწამეობრივი სიკვდილის წინაშე, სტეფანეს ბოლო ქადაგება ძირითადად შედგებოდა ძველი აღთქმის წმინდა წერილებისა და მათი იესო ქრისტეში აღსრულების გზავნილისგან (საქმეების 7:1-53). როდესაც ებრაელმა ლიდერებმა ქრისტიანებს უბრძანეს, შეეწყვიტათ იესოს შესახებ ქადაგება, ეკლესია შეიკრიბა ლოცვისთვის. მათი ლოცვა შეიცავს გრძელ ციტატას მე -2 ფსალმუნიდან (საქმეების 4:24-30; ფსალმუნი 2:1-2). ადრეულმა მორწმუნეებმა იცოდნენ წმინდა წერილები. ეს იყო მათი ბუნებრივი ენა ქადაგებისა და ლოცვისთვის.

ეკლესიის ისტორიის განმავლობაში, მქადაგებლები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო, იყვნენ სიტყვის ადამიანები. მარტინ ლუთერმა ვორმის კრებაზე თქვა: „მე შეკრული ვარ წმინდა წერილებით და ჩემი სინდისი ღვთის სიტყვის ტყვეობაშია.“ ჯონ უესლიმ თავისი თავი აღწერა, როგორც „ერთი წიგნის კაცი.“ ჩარლზ სპერჯენმა თქვა, რომ

„არასოდეს დაუშვიათ, რომ კარგმა წიგნებმა ბიბლიის ადგილი დაიკაონ. დალიე ჭიდან!“

- ემი კარმაიკლი

მქადაგებლები უნდა იკვებონ სიტყვით იქამდე, ვიდრე „თვით ბიბლიის არსი არ იდინებს თქვენგან.“ ჰადსონ ტეილორმა იმდენი დრო გაატარა სიტყვასთან ურთიერთობაში, რომ ერთმა მწერალმა დაწერა: „ბიბლია იყო ატმოსფერო, რომელშიც ტეილორი ცხოვრობდა.“ ამ მამაკაცებმა შეცვალეს თავიანთი სამყარო, რადგან ისინი ძალაუფლებით ქადაგებდნენ სიტყვას.

თუ ჩვენც გვინდა ვიმსახუროთ იესოს, ადრეული ქრისტიანების და ისტორიის დიდი მქადაგებლების მსგავსად, ჩვენც უნდა ვიყოთ გაჟღენთილები ღვთის სიტყვით. წმიდა წერილი იყო უზენაესი ავტორიტეტი პავლეს მსახურებისთვის (2 ტიმოთეს 3:16-17). იესო ლოცულობდა, რომ მისი მოწაფეები ყოფილიყვნენ განწმედილნი, ან გამოყოფილნი მსახურებისთვის. ეს განხორციელდება სიტყვის მეშვეობით: „განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით. შენი სიტყვა ჭეშმარიტებაა” (იოანეს 17:17). სიტყვამ აქცია მოწაფეები ეფექტურად მსახურებაში; სიტყვა ჩვენც გვაქცევს ეფექტურებად მსახურებაში.

აჯიტ ფერნანდომ სიცოცხლე შრი - ლანკაში მსახურებაში გაატარა. ის წერს, რომ ის არასოდეს აკეთებს რაიმე სერიოზულ განცხადებას ქადაგებაში, წმინდა წერილზე დაყრდნობის გარეშე. ეს ხდის მის ქადაგებას, სიტყვაზე დაფუძნებულს. როგორც ქრისტიანები, ჩვენ ვიცნობთ ღმერთს მისი სიტყვის მეშვეობით. როგორც მსახურები, ჩვენ ვაშენებთ ძლიერ ეკლესიებს ღვთის სიტყვაზე დაფუძნებული მსახურების მეშვეობით.

იესო ენდობოდა მამას

იესოს ურთიერთობა მამასთან, მისი მიწიერი მსახურების დროს, შეიძლება შეჯამდეს გეთსიმანიის ბაღში მისი ლოცვის სიტყვებით: ”არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ” (მათეს 26:39). ეს არის აბსოლუტური ნდობისა და მორჩილების გამოხატულება.

რთულია სრულად დაემორჩილო იმ პიროვნების ნებას, რომელსაც არ ენდობი. ჩვენ შეიძლება იძულებულნი ვიყოთ გარეგნულად დავემორჩილოთ, მაგრამ ჩვენი გული წინააღმდეგობას უწევს იმ პიროვნებისთვის კონტროლის დათმობას, რომელსაც ჩვენ არ ვენდობით. იესო დაემორჩილა მამის ნებას, რადგან ის სრულად ენდობოდა მამის სიყვარულსა და სულგრძელობას.

► წაიკითხეთ იოანეს 5:1-47.

იესოს მთელი მსახურება აჩვენებს მამისადმი აბსოლუტური დამოკიდებულების მდგომარეობას. როდესაც ებრაელი წინამძღოლები დაუპირისპირდნენ იესოს, შაბათს დავრდომილის განკურნების გამო, მან უპასუხა:

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე თვითონ ვერაფერს გააკეთებს, რომ არ ეხილოს, რასაც მამა აკეთებს, რადგან რასაც ის აკეთებს, მეც იმასვე აკეთებს ჩემთავად არაფრის გაკეთება არ შემიძლია. როგორც ვისმენ, ისე განვიკითხავ, და ჩემულისა და განკითხვა სამართლიანია, რადგან მე ჩემს ნებას არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას.

იესო უკვე აცხადებდა, რომ იყო ღვთაებრივი: „რასაც მამა აკეთებს, მეც იმასვე აკეთებს.” მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ის სრულად ღვთაებრივი იყო, იესო ნებით დაემორჩილა თავისი მიწიერი მისიის დაქვემდებარებულ როლს. ის და მამა თანასწორები არიან, მაგრამ ის დაემორჩილა მამის ნებას.

როდესაც რამოდენიმე თვის შემდეგ მწიგნობრები და ფარისევლები იესოს წინააღმდეგ გამოვიდნენ, მან კვლავ დაიცვა თავისი ქმედებები და მამის ავტორიტეტზე მიანიშნა: „როცა აამაღლებთ კაცის ძეს, მაშინ გაიგებთ, რომ ეს მე ვარ და არაფერს ვაკეთებ ჩემით, არამედ რაც მამამ მასწავლა, იმას ვლაპარაკობ” (იოანეს 8:28). რადგან ის სრულად ენდობოდა მამას, იესოს შეეძლო ნებით დამორჩილებოდა მის ნებას.

ეკლესიის ხელმძღვანელობა რთულ ბალანსს მოითხოვს. ბევრ პასტორს და ეკლესიის ლიდერს აქვს ძლიერი ლიდერული უნარები. როგორც ლიდერები, არიან ძლიერი პიროვნებები და აქვთ მყარი შეხედულებები. ეს შეიძლება იყოს ღირებული ძლიერი მხარე ლიდერისთვის. ამასთან, ეს ძალა დაბალანსებული უნდა იყოს, ღვთისადმი ნებაყოფლობითი მორჩილებით. თუ ნდობით არ დავემორჩილებით ღმერთს, ჩვენ გვექნება მცდელობები გავიკვლიოთ გზა ჩვენი, ნაცვლად იმისა, რომ მორჩილებით გავყვეთ ღმერთის გზას.

საუკეთესო ბიბლიური მაგალითია მოსე. მოსე იყო „ძალზე თავმდაბალი, დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ადამიანთაგან” (რიცხვთა 12:3). მოსე ძლიერი იყო, მაგრამ ის ასევე თავმდაბალი იყო. ის დაუპირისპირდა ფარაონს, ეგვიპტის ყველაზე ძლიერ ადამიანს. ის მიუძღვებოდა ისრაელის ჯიუტ ხალხს უდაბნოში. მოსე ძლიერი ლიდერი იყო. მაგრამ, ამავედროულად, ის ღმერთის მორჩილი იყო. ეკლესიის ეფექტური ხელმძღვანელობა მოითხოვს, რომ ჩვენი ბუნებრივი ძლიერი თვისებები ღმერთს დავუმორჩილოთ. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ღმერთთან ერთად ვმოძრაობთ რწმენითა და ნდობით.

► მამისადმი სიყვარულის ამ სამი ასპექტიდან (ურთიერთობა, მისი სიტყვის ცოდნა და ნდობაზე დაფუძნებული მორჩილება), რომელია პირადად შენთვის უდიდესი გამოწვევა?

ახლო ხედი: იესო აცხადებდა, რომ ღმერთი იყო?

ცრუ კულტები, როგორიცაა მორმონიზმი და იეჰოვას მოწმეები, ისევე როგორც არაქრისტიანული რელიგიები, როგორიცაა ისლამი, უარყოფენ, რომ იესო ჭეშმარიტი ღმერთია. ისინი აღიარებენ იესოს, როგორც დიდ მასწავლებელს ან წინასწარმეტყველს, როგორც პირველ ქმნილებას და მესიასაც კი. მაგრამ ისინი უარყოფენ, რომ ის ნამდვილად ღმერთი იყო.³⁹

ამ რელიგიების მიმდევრები ხშირად ამბობენ: „იესოს არასოდეს განუცხადებია, რომ ღმერთია. მან თქვა, რომ ის იყო ღმერთის ძე ისევე, როგორც თითოეული ჩვენგანი ვართ ღვთის ძეები.”

³⁹ ამ ცრუ რელიგიების სწავლების შესასწავლად, გთხოვთ შეისწავლოთ Shepherds Global Classroom - ის კურსი, მსოფლიო რელიგიები და კულტები

განაცხადა იესომ, რომ ის იყო ღმერთი? დიახ. ხალხმა, ვინც იესოს უსმენდა, გაიგო მისი განაცხადი. როდესაც იესომ ღმერთი მოიხსენია როგორც „მამაჩემი“. ებრაელი ლიდერები ცდილობდნენ მის მოკვლას. რატომ? „ამიტომ იუდეველებმა უფრო მეტად დაუწყეს ძებნა მოსაკლავად, რადგან არა მარტო შაბათს ტეხდა, არამედ ღმერთს საკუთარ მამად იხსენიებდა და თავს ღმერთს უტოლებდა“ (იოანეს 5:18).

იესოს მიერ ერთ - ერთი ყველაზე მკაფიო მტკიცება მის ღვთაებრიობაზე იყო, როდესაც მან უთხრა ებრაელ წინამძღოლებს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ“ (იოანეს 8:58). ეს იყო სიტყვები, რომლითაც ღმერთი გამოეცხადა მოსეს აღმოდებული ბუჩქიდან: „მე ვარ, რომელიც ვარ.“ და თქვა „ასე უთხარი ისრაელის ძეთ - მე ვარმა მომავლინა-თქო თქვენთან“ (გამოსვლის 3:14). ამ სიტყვებით იესო აცხადებდა, რომ იყო ღმერთი, რომელიც მოსეს ეჩვენა. ებრაელმა ლიდერებმა ზუსტად იცოდნენ რას გულისხმობდა იესო თავისი სიტყვებით. ამის საპასუხოდ, მათ "აიღეს ქვები" მის მოსაკლავად. ეს იყო სათანადო სასჯელი გმობისთვის - ღმერთად თავის გამოცხადებისთვის (ლევიალების 24:16).

სინედრიონის წინაშე წარმდგარ იესოს კაიაფამ ჰკითხა: „შენ ხარ ქრისტე, ძე კურთხეულისა?“ იესოს პასუხი იყო მკაფიო: „მე ვარ. თქვენ იხილავთ კაცის ძეს ძალის მარჯვნივ მჯდომარეს და ცის ღრუბლებში მომავალს.“ ამ პასუხით იესომ დაადასტურა, რომ ის არის ის, ვინც ზის ღვთის მარჯვნივ და არის ძე კაცისა, რომელზეც იწინასწარმეტყველა დანიელმა, რომელიც მოვა მსოფლიოს განსასჯელად (ფსალმუნის 109:1 და დანიელის 7:13-14). კაიაფამ იცოდა, რომ იესომ განაცხადა, რომ ღმერთი იყო. მან შემოიხია სამოსელი და თქვა: „თქვენ მოისმინეთ გმობა“ (მარკოზის 14:61-64).

თქვენ შეიძლება უარი თქვათ იესოს განცხადებების დაჯერებაზე, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ, სახარებების ყურადღებით წაკითხვის შემთხვევაში, არ აღიაროთ, რომ თავად იესო აცხადებდა, რომ იყო ღვთის ძე. მისმა მსმენელებმა მოისმინეს მისი განაცხადი და იძულებულები გახდნენ, ან მიეღოთ ის როგორც ღმერთი, ან მოეკლათ როგორც ცრუ წინასწარმეტყველი და ღვთის მგმობელი.

გვიყვარდეს ჩვენი მოყვასი, როგორც იესოს უყვარდა

როდესაც იესო ასწავლიდა, ის ხშირად იზიდავდა აუდიტორიას, შემდგარს „მებაჟეებისა და ცოდვილებისგან.“ არა მხოლოდ ასწავლიდა ამ ხალხს, არამედ იესო მათთან ერთად ჭამდა კიდევ. როდესაც ფარისევლებმა დაინახეს, რომ იესო ნებაყოფლობით ჭამდა ცოდვილებთან ერთად, დაიწყეს მისი კრიტიკა. იესომ უპასუხა სამი ისტორიით. როდესაც კითხულობთ ამ ისტორიებს, თქვენ უნდა გააცნობიეროთ ორი მნიშვნელოვანი მომენტი უკანა პლანზე.

1. იესოს დროს, ადამიანთან ერთად ჭამა ნიშნავდა, რომ შენ მასთან ურთიერთობას ამყარებ.⁴⁰ როდესაც იესო ცოდვილებთან ერთად ჭამდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ის შეგნებულად ურთიერთობდა მათთან. იესომ აჩვენა, რომ ღმერთი არ ელოდება ხალხის მასთან მოსვლას; ამის ნაცვლად, ღმერთი აქტიურად ეძებს დაკარგულებს.
2. იესოს დროს ებრაელ ხალხს მოლოდინი ჰქონდა, რომ მართალი ადამიანი თავს აარიდებდა ცოდვილ ადამიანებთან კონტაქტს. რაბინები ასწავლიდნენ, რომ როდესაც მესია მოვიდოდა, ის თავიდან აიცილებდა ყოველგვარ ურთიერთობას ბოროტებთან და ჭამდა მხოლოდ მართლებთან.

► წაიკითხეთ ლუკას 15:1-32.

ეს არის ერთი დიდი იგავი სამ ნაწილად: დაკარგულ ცხვარზე, დაკარგულ დრაქმაზე და დაკარგულ ვაჭზე. თითოეულ შემთხვევაში, იგავის თემა არის იმის სიხარული, ვინც პოულობს დაკარგულს. იესო აჩვენებს, რომ ზეცაში ხარობენ, როდესაც ცოდვილები ინანიბენ.

რაბინებს ჰქონდათ გავრცელებული ანდაზა: „სამოთხეში სიხარულია, როდესაც ცოდვილი ნადგურდება ღვთის წინაშე.“ იესომ ეს შემოაბრუნა: „სამოთხეში სიხარულია, როდესაც ცოდვილი ინანიებს.“ რა განსხვავება იყო იესოს და სხვა რაბინებს შორის? სიყვარული. იესომ აჩვენა, რას ნიშნავს მსახურება სიყვარულით სავსე გულით.

„ეს იგავები აჩვენებს, რომ სახარება არ არის მათთვის, ვისაც ყველაფერი კარგად აქვს. სახარება მათთვისაა, ვინც იცის, რომ მათ არ აქვთ ყველაფერი კარგად.“

- სამუელ ლამერსონი

როდესაც ჩვენ ვმსახურობთ სიყვარულის გარეშე, სტატუსი და პოზიცია უფრო მნიშვნელოვანი ხდება ვიდრე ადამიანები. თუმცა, როდესაც ჩვენ ვმსახურობთ სიყვარულით სავსე გულით, ჩვენ მზად ვართ მსხვერპლი გავიღოთ დაკარგული ადამიანების გულისთვის. იესო მზად იყო გაეძლო რელიგიური წინამძღოლების კრიტიკისთვის, რათა გამოეყვინა სიყვარული მათ მიმართ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა ის.

► თუ ჩვენ ვიკითხავთ: „გამოავლენდით სიყვარულს უძღვები მის მიმართ?“ ყველა ჩვენგანი უპასუხებდა: „დიახ.“ ჩვენ ვიცით სწორი პასუხი! ამის ნაცვლად, იკითხეთ: „ვინ იყო ის უძღვები შვილი, რომელიც ბოლოს ჩემს გზაზე შემომხვდა? როგორ გამოვხატე სიყვარული იმ ადამიანის მიმართ?“

⁴⁰ ეს ასახულია იგავების წიგნში. სიბრძნე იწვევს „ბრიყვებს“ მის სუფრაზე, საჭმელად (იგავები 9:1-6). სიბრძნესთან ურთიერთობისას, ბრიყვი გახდება ბრძენი

იესომ სიყვარული გამოავლინა ავადმყოფთა მიმართ თანაგრძნობით

სახარების კითხვისას შენიშნეთ, რომ ცოდვილები, რომლებიც გაიქცნენ სხვა რელიგიური წინამძღოლებისგან, გაიქცნენ იესოსთან. რა აღძრავდა ცოდვილებს ეძებნათ იესოს სიახლოვეში ყოფნა?

ის არა, რომ იესო იგნორირებას უკეთებდა მათ ცოდვას; ის მოითხოვდა სიმართლის უფრო მაღალ სტანდარტს, ვიდრე ნებისმიერი ფარისეველი (მათეს 5:20). ცოდვილები გარბოდნენ იესოსთან, რადგან ის თანამგრძნობი ადამიანი იყო. ის არ ამართლებდა ცოდვას, მაგრამ თანაგრძნობას ავლენდა ცოდვის ტყვეობაში მყოფი პიროვნების მიმართ.

ჩვენ ამას ვხედავთ იესოს სიტყვებში, მრუშობაზე წასწრებული ქალის მიმართ. მას შემდეგ, რაც მისი ბრალმძებლები წავიდნენ, იესომ თქვა: „არც მე გდებ მსჯავრს. წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდავ“ (იოანეს 8:11). იესომ არ გაამართლა ცოდვა; მან მოთხოვა ამ ქალს დაეტოვებინა ცოდვილი ცხოვრება. მაგრამ მან გამოავლინა თანაგრძნობა და არა მსჯავრდადება.

ლუკას სახარება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იესოს თანაგრძნობას. ლუკა მოგვითხრობს ისტორიას მეზაჟე ზაქეზე, რომელსაც სხვა რელიგიური ლიდერები ზიზღით შეხედავდნენ. გარშემომყოფთათვის ეს შოკი იყო, თუმცა იესომ თავი დაიპატიჟა „რომ ყოფილიყო ცოდვილი კაცის სტუმარი“ (ლუკას 19:7).

► წაიკითხეთ ლუკას 5:12-16.

ამ განკურნების შესახებ ლუკა გვაწვდის დეტალებს, რომლებიც შოკში ჩააგდებდა ხალხს. იესომ „გაუწოდა ხელი და შეეხო მას“. ძველ სამყაროში არავინ შეხებია კეთროვანს! ეს სამედიცინო თვალსაზრისით საშიში იყო ინფექციის გადადების შესაძლებლობის გამო. და ებრაელისთვის, ეს გახდა მიზეზი, რომ ადამიანი ფორმალურად უწმინდური გამხდარიყო.

რატომ შეეხო იესო ამ კეთროვანს? მან თანაგრძნობა გამოავლინა. „შეეცოდა იგი, გაიწოდა ხელი და შეეხო მას“ (მარკოზის 1:41). ამ კეთროვანს სჭირდებოდა ფიზიკური განკურნება, მაგრამ მას ასევე სჭირდებოდა ემოციური განკურნებაც. კეთროვნებს მოეთხოვებოდათ თავი შორს დაეჭირათ სხვა ადამიანებისგან. კეთრით დაავადების შემდეგ, ამ კაცს სხვა ადამიანის შეხება არ უგრძნია. იესოს შეეძლო დაავადების განკურნება ამ დასახიჩრებულ კაცთან შეხების გარეშე, მაგრამ მან იცოდა, რომ კეთროვანს სჭირდებოდა სხვა ადამიანის შეხება. იესომ თანაგრძნობა გამოავლინა.

ადამიანები არ ზრუნავენ იმაზე თუ რამდენი რამ გაიგეთ, სანამ არ გაიგებენ რამდენად მზრუნველი ხართ.

თუ ჩვენ გვსურს ვიმსახუროთ იესოს მსგავსად, ჩვენ უნდა გვქონდეს თანაგრძნობით სავსე გული, იესოს მსგავსად. როდესაც ცოდვილი ადამიანები იესოს თვალებში იყურებოდნენ, ხედავდნენ სიყვარულს და თანაგრძნობას. როდესაც ცოდვილი ადამიანები იყურებიან თქვენს თვალებში, რას ხედავენ ისინი?

იესომ გამოავლინა სიყვარული გაჭირვებულთა მომსახურებით

ადვილია თქვა: „ვწუხვარ გაჭირვებულთა გამო“; გაცილებით რთულია მათი საჭიროებების დაკმაყოფილება. იესო სიყვარულს ავლენდა მის გარშემო მყოფთა მიმართ, მათი საჭიროებების მომსახურებით. იესოს მთელი მსახურება იყო მომსახურება. პავლემ დაწერა, რომ იესომ „წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება“ (ფილიპელთა 2:7). იესომ უთხრა თავის მოწაფეებს: „რადგან მე კაცისა არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად“ (მარკოზის 10:45).

იესოს სასწაულებია მისი სხვებისადმი მსახურების მტკიცებულება. სასწაულები მისი მესიანური მისიის ნიშნები იყო, მაგრამ ისინი ასევე იყო ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალება. ზოგჯერ სასწაულები მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანებისთვის ხდებოდა. ზოგჯერ მათ სარგებელი მოჰქონდათ ადამიანებისთვის, რომლებსაც არ ჰქონდათ არც ძალაუფლება, არც გავლენა. ზოგჯერ მისმა სასწაულებმა (შაბათს) მოუტანა მას შემდგომი უარყოფა.

იესოს არ გამოუვლენია სასწაულები ძლევამოსილთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად; ის მათ ავლენდა გაჭირვებულთა მომსახურებისთვის. იყო მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც იესომ უარი თქვა სასწაულების გამოვლენაზე. ფარისევლები ედავებოდნენ მას: „და მოსთხოვეს ციდან ნიშანი, რომ გამოეცადათ“ (მარკოზის 8:11). იესომ უარი თქვა ნიშნის მიცემაზე. შემდეგ იესოს სასამართლო პროცესზე, ჰეროდეს „იმედი ჰქონდა, რაიმე სასწაულს ნახავდა მისგან“ (ლიკას 23:8). იესომ ჰეროდეს პასუხიც კი არ გასცა. იესო არ ახდენდა სასწაულებს „მოთხოვნით“ ან სკეპტიკურად განწყობილ აუდიტორიაზე შთაბეჭდილების მოხდენის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ იესომ უარი თქვა ჰეროდე ანტიპასტოსის სასწაულის მოხდენაზე, მან განკურნა მეთევზის სიდედრი, კეთროვნები, ბრმა მათხოვრები და ეშმაკეულები, რომლებიც ვერასდროს ვერაფერს გააკეთებდნენ, რომ მისთვის სამაგიერო მიეგოთ. მან დააპურა ხუთი ათასი კაცი, ვინც მადლიერების ნაკლებობას გამოხატავდა მისი მიტოვებით და განკურნა მღვდელმთავრის მსახური, რომელიც მის დასაპატიმრებლად იყო მოსული. იესო გაჭირვებულებს ემსახურებოდა თავისი სასწაულებით.

ჩვენთვის, როგორც პასტორებისთვის და ეკლესიის ლიდერებისთვის, ადვილია ჩვენი გადაწყვეტილების რაციონალიზება, რომ დავეხმაროთ მათ, ვინც ჩვენც დაგვეხმარება. როდესაც ჩვენ უფრო მეტ დროს ვატარებთ მდიდრებთან, ვიდრე ღარიბებთან, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: „ბიზნესმენს შეუძლია მხარი დაუჭიროს მსახურებას ეკლესიაში.“ როდესაც ჩვენ ქვრივის მონახულების ნაცვლად, გავლენიანი თანამდებობის პირის მოსანახულებლად მივალთ, ჩვენ შეგვიძლია ამის გამართლება: „მას აქვს გავლენა და შეუძლია დაეხმაროს ღმერთის საქმეს.“ იესო არასოდეს იქცეოდა ასე. თუ ჩვენ გვსურს

იესოს მსგავსად მსახურება, ჩვენ უნდა გავხდეთ მსახურები იესოს მსგავსად. მის მსგავსად, ჩვენ უნდა ვეძიოთ „არა ის, რომ მოგვემსახურონ, არამედ რომ ვემსახუროთ.“

პავლემ დაწერა: „რადგან ჩვენს თავს კი არ ვქადაგებთ, არამედ ქრისტე იესოს, უფალს. ჩვენს თავს კი თქვენს მონებად მივიჩნევთ იესოს მიერ“ (2 კორინთელთა 4:5). სიტყვა მსახური (წმინდა წერილის ინგლისურ თარგმანში გამოყენებულია სიტყვა მსახური) შეიძლება ითარგმნოს როგორც „მონა.“ რომის იმპერიაში ბევრ მონას ჰქონდა კარგი განათლება; ზოგი ექიმი იყო, ზოგი მასწავლებელი. მაშინაც კი, თუ მონას უკეთესი განათლება ჰქონდა, ვიდრე მის ბატონს, ის მაინც მონად რჩებოდა. მას არ შეეძლო ქედმაღალი გამხდარიყო და ეთქვა: „მე არ მოგემსახურები! მე შენზე მეტი ვარ.“

ზოგიერთი პასტორი ფიქრობს: „მე კარგი განათლება მაქვს. მე არ ვიქნები ფერმერის მსახური ჩემს ეკლესიაში!“ პავლე ასე არასოდეს იფიქრებდა. პავლეს ჰქონდა საუკეთესო განათლება, მაგრამ ის გახდა კორინთელთა მონა „იესოს გულისთვის.“ მას შეეძლო ეთქვა: „შეხედეთ ჩემს განათლებას; მე დახელოვნებული ვარ ებრაულ ლიტერატურაში, ბერძნულ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ თეოლოგიაში. მე შემწევს უნარი ვილაპარაკო სინედრიონში, ბერძნულ არეოპაგსა და რომის სენატში.“ ამის ნაცვლად მან თქვა: „მე ვარ ყველაზე ნაკლებად განათლებული ადამიანის მსახური კორინთოში - იესოს, ჩემი უფლის გულისთვის.“

თუ გვსურს ვიმსახუროთ იესოს მსგავსად, უნდა გვქონდეს თავმდაბლობა, რომ ვიცხოვროთ როგორც მსახურებმა. როგორც მსახურების, ჩვენი ცხოვრების წესი არ არის გუბერნატორის გრანდიოზული ცხოვრების წესის მსგავსი. თუ გვსურს გვიყვარდეს იესოს მსგავსად, უნდა ვიყოთ თავმდაბალი მსახურები.

იესომ სიყვარული გამოავლინა წყალობით თავისი მტრების მიმართ

► წაიკითხეთ მათეს 5:43-48.

იესომ ასწავლა თავის მიმდევრებს, რომ „იყო სრულყოფილი, როგორც შენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“ ნიშნავს გიყვარდეს ისე, როგორც შენს ზეციერ მამას უყვარს. ეს ნიშნავს „გიყვარდეს შენი მტრები და ილოცო შენი მდევნელებისთვის.“ როდესაც თქვენ გამოავლენთ ამგვარ სიყვარულს, მსოფლიო გაიგებს, რომ თქვენ ხართ „თქვენი ზეციერი მამის შვილები.“

დაახლოებით 200 წლით ადრე, სანამ იესო წარმოთქვამდა ქადაგებას მთაზე, ებრაელმა მწიგნობარმა დაწერა სწავლებების კრებული სახელწოდებით ზირაქი. მოუსმინეთ როგორ ასწავლიდა ის თავის მიმდევრებს მტრებისადმი მოპყრობას:⁴¹

⁴¹ ზირაქის 12:1-7

- სიკეთეს თუ აკეთებ, იცოდე, ვისთვის აკეთებ და მოგენიჭება მაღლი შენი სიკეთის წილ.
- კეთილი უყავი თავმდაბალს და უწმინდურს ნურაფერს მისცემ.
- დაუკავე მას პური და არ მისცე, რათა მისით არ გძლიოს შენ. რადგან ორმაგ ბოროტებას მიიღებ ყველა სიკეთისათვის, რასაც მას გაუკეთებ.
- რადგან მოიძულა უზენაესმა ცოდვილნი და უწმინდურებს სასჯელს მიაგებს.
- მიეცი კეთილს და ცოდვილს ნუ შეეწევი.

ბენ სირას ნაწერები, იესოს დროის ებრაელებში, წმინდა წერილად მიიჩნეოდა. როდესაც იესომ თქვა: „გსმენიათ, რომ თქმულა: შეიყვარე მოყვასი შენი და შეიძულე მტერი შენი“, შესაძლოა ეს ის წერილი იყოს, რომელსაც ის ეყრდნობა. ზირაქმა თქვა: „კეთილი უყავი ღვთისმოსავს. არ გაიღო სიკეთე მისთვის, ვინც განუწყვეტლივ სჩადის ბოროტებას.“ ახლა კვლავ წაიკითხეთ მათეს 5:43-48. ხედავთ, რატომ შეძრა იესოს სწავლებამ მისი მსმენელები?

ძველ აღთქმაში ღმერთი ასწავლიდა თავის ხალხს მტრების სიყვარულს. ეს არ იყო ახალი. ძველი აღთქმის გაკვეთილებზე მე ზოგჯერ ვაძლევ ამ "ტესტს" სტუდენტებს.

შენი მეზობელი ეკლესიის მტერია. როცა გაივლი, ის გწყევლის. ის ცდილობს მოგატყუოს და თქვენი პირუტყვიც კი მოიპაროს. ერთ დღეს წვიმის და ქარიშხლის დროს ხედავთ, რომ თქვენი მეზობლის ძროხა აეშვა და გარბის. რა პასუხისმგებლობა გექნება შენი მეზობლის წინაშე?

1. აიღებ მათრახს და ძროხას უფრო შორს გააგდებ?

ჩემმა სტუდენტებმა იციან, რომ ეს არ არის სწორი პასუხი!

2. ყურადღებას არ მიაქცევ ამას და იტყვი: „ეს ჩემი პრობლემა არ არის“?

ბევრი სტუდენტი ირჩევს ამ ვარიანტს. ისინი ამბობენ: „ეს მეზობლის ძროხაა და არა ჩემი. მე ჩემს საქმეს უნდა მივხედო. თანაც მეზობელს არ მოვწონვარ; ის არ დააფასებს ჩემს დახმარებას.“

3. ემორჩილები გამოსვლის 23:4-ს? „თუ წააწყდები შენი მტრის ხარს ან ვირს, გზადაბნეულს, დაუბრუნე პატრონს.“

ძველ აღთქმაშიც კი, ღვთის ხალხი მოწოდებულნი იყვნენ ყვარებოდნენ თავიანთი მტერი. მაგრამ იესოს დღეებში ხალხი უფრო ნაკლებად იხსენიებდნენ გამოსვლის 23 -ე თავის, ვიდრე ზირაქს. მათ მოეწონათ სწავლება, რომელიც მათ საშუალებას აძლევდა ყვარებოდნენ მოყვასი და სძულებოდნენ მტერი! იესომ თქვა: „თქვენ უნდა გიყვარდეთ თქვენი მტერი, რადგან თქვენს ზეციერ მამას უყვარს ბოროტეულიც და კეთილიც.“

როგორ გამოიყურება ეს „რეალურ ცხოვრებაში?“ წარმოიდგინეთ ეს სცენარი თქვენს მსახურებაში:

ადამიანთა ჯგუფი, რომელიც საჩვენებლად იზიარებს თქვენს მრავალ შეხედულებას, გამუდმებით გეწინააღმდეგებიან საჯაროდ. ისინი სვამენ კითხვებს, რომლებიც გამიზნულია თქვენი მახეში გასაბმელად; ისინი ეუბნებიან თქვენი ეკლესიის წევრებს, რომ თქვენ ხართ ცრუ მასწავლებელი; ისინი იმედოვნებენ, რომ თქვენ გააკეთებთ რამეს, რაც თქვენს მიმდევრებთან პრობლემებს შეგიქმნით. როგორ მოექცევით მათ?

1. განდევნით მათ და ეტყვიით, რომ არასოდეს დაბრუნდნენ?
2. ისე მოექცევით მათ, როგორც თვითონ გექცევიათ?
3. სამართლიანად მიანიშნებთ მათ შეცდომებზე, მაგრამ სიყვარულით უპასუხებთ მათ?

ფარისევლები ყველანაირად ცდილობდნენ შეწინააღმდეგებოდნენ იესოს. ის სამართლიანი იყო მათი შეცდომების შეფასებაში; ის ცდილობდა ესწავლებინა მათთვის ჭეშმარიტება; მაგრამ ის ყოველთვის სიყვარულით ექცეოდა მათ.

თუ ჩვენ გვინდა ვიმსახუროთ იესოს მსგავსად, ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი მტრები. ეს არის იესოს ერთ-ერთი ყველაზე მომთხოვნი სწავლება. მათ მიმართ, ვინც გვღალატობს, ვინც ჩვენს გზავნილს უარყოფს, ვინც გვდევნის, ჩვენ უნდა გამოვავლინოთ იესოს ალაპე სიყვარული.⁴² აი რა ფასის გადახდაა საჭირო იესოს მსგავსად სიყვარულისთვის.

გამოყენება: იესოს ხასიათი ქრისტიანის ცხოვრებაში

ადვილია დაწერო ღმერთის სიყვარულისა და მოყვასის სიყვარულის შესახებ. გაცილებით ძნელია ამ სიყვარულის გამოვლენა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ განვაკითხავთ იესოს ბუნებას ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენ მზად ვიქნებით გავუზიაროთ ის ჩვენს გარშემომყოფებს.

შესაძლებელია თუ არა ჩვენ გვქონდეს იესოს ბუნება? წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ღმერთს შეუძლია მისცეს შესაძლებლობა ხალხს, იფიქრონ ისე, როგორც ის ფიქრობს. მას სურს მოგვცეს თავის ხალხს ახალი სული, რომელიც გამოიწვევს ჩვენში იმის სურვილს, რაც ღმერთს სურს და ვიცხოვროთ ძალდაუტანებლად ისე, როგორც ის მოგვიწოდებს რომ ვიცხოვროთ (ეზეკიელის 36:26-27). ღმერთს სურს ჩვენში განავითაროს თავისი ძის ბუნება.

მოუსმინეთ რა თქვა ოსვალდ ჩემბერსმა ყოველდღიური მსახურების ერთგულების შესახებ:

⁴² ალაპე არის ბერძნული ტერმინი უპირობო სიყვარულისთვის, რომელიც გამოიყენება ახალ აღთქმაში. ეს ტერმინი გამოიყენება 1 იოანესა და 1 კორინთელთა მე-13 თავში

როდესაც თქვენ არ გაქვთ ხედვა ღმერთისგან, არც ენთუზიაზმი დაგრჩათ თქვენს ცხოვრებაში და არც არავინ გიცავთ და არ გამხნევებთ, ყოვლისშემძლე ღმერთის წყალობაა საჭირო იმისათვის, რომ გადადგათ შემდეგი ნაბიჯი მის მიმართ ერთგულებაში.... მომდევნო ნაბიჯის გადასადგმელად აუცილებელია ბევრად მეტი მადლი ღვთისაგან და გაცილებით მეტად გაცნობიერება იმისა, რომ საჭიროა მიმართო მას, ვიდრე იქადაგო სახარება.

ის, რაც ნამდვილად მოწმობს ღმერთზე და ღვთის ხალხისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში, არის მუდმივი დაჟინებულობა, მაშინაც კი, როდესაც სხვები ამ სამუშაოს ვერ ხედავენ. და ერთადერთი გზა დაუმარცხებელი ცხოვრებისთვის არის მუდმივად ღმერთისკენ მიმართული მზერა. სთხოვეთ ღმერთს, აგიხილოთ სულიერი თვალები აღმდგარი ქრისტეს დასანახად⁴³

როგორ შეგვიძლია შევინარჩუნოთ ეს ერთგულება მსახურებაში? როგორ შევძლებთ გავაგრძელოთ ღმერთის და ჩვენი მოყვასის სიყვარული კვირიდან კვირამდე, წლიდან წლამდე? ჩვენ უნდა განვაავითაროთ იესოს ბუნება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს მოითხოვს, რომ ჩვენ გვქონდეს ქრისტეს გონება.

ქრისტეს გონების აღწერა

► წაიკითხეთ ფილიპელთა 2:1-16.

პავლეს მითითება ფილიპიის ეკლესიისადმი არის ძლიერი სახელმძღვანელო იმისა, თუ რას ნიშნავს გქონდეს იესო ქრისტეს ბუნება. ეკლესიას, რომელიც გაყოფილი იყო პირადი კონფლიქტით, პავლე წერდა: არაფერი გააკეთოთ ანგარებით ან პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით; საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი. თითოეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებს, არამედ სხვებზეც.”

როგორ შეძლებდნენ ისინი ამის მიღწევას? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაემორჩილებიან პავლეს მითითებას: ის ზრახვანი იქონიეთ თქვენში, რაც ქრისტე იესოშია.”

პავლემ ჩამოთვალა ოთხი მახასიათებელი, რომლებიც უცხოა ქრისტიანული ცხოვრებისათვის. ⁴⁴ ეს მახასიათებლები აზიანებს ქრისტიანულ მოწმობებს და ანადგურებს ქრისტიანი მსახურების ეფექტურობას. პავლემ თქვა:

⁴³ Oswald Chambers, *My Utmost for His Highest* (ჩანაწერი 6 მარტს). წვდომა გვერდზე <https://utmost.org/taking-the-next-step/> 2021 წლის 22 მარტიდან

⁴⁴ ეს ნაწილი ადაპტირებულია Kinlaw, Dennis. *The Mind of Christ*. Wilmore: Francis Asbury Press, 1998. Warner Press, 1988), 101-107

(1) არაფერი გააკეთოთ ანგარებით (ფილიპელთა 2: 3).

ანგარება კითხულობს: „რას მივიღებ აქედან ჩემთვის? როგორ ვისარგებლებ ამით?“ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ იესოს კითხვა: „რა სარგებელს მივიღებ?“ კეთროვანთა განკურნებამდე, ან ჯვრის წინაშე? რათქმაუნდა არა!

პავლემ თქვა: „თუ ჩვენ გვექნება ქრისტეს გონება - თუ ჩვენ ვიფიქრებთ ქრისტეს მსგავსად - ჩვენ არაფერს გავაკეთებთ ანგარებით.“ ჩვენი დამოკიდებულება იქნება მსახურის დამოკიდებულება. ჩვენ ვიკითხავთ: „როგორ შემიძლია მოვემსახურო?“ და არა „როგორ შემიძლია მოვიმსახურო?“

(2) არაფერი გააკეთოთ პატივმოყვარეობით (ფილიპელთა 2:3).

პატივმოყვარეობა კითხულობს: „როგორს დამინახავს ხალხი? მოვახდენ მათზე შთაბეჭდილებას?“ და ისევ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ იესოს კითხვა: "ხალხი იქნება შთაბეჭდილების ქვეშ?" ჭასთან, სამარიელ ქალთან სტუმრობამდე? რათქმაუნდა არა!

პავლემ თქვა: „თუ ჩვენ გვაქვს ქრისტეს გონება - თუ ჩვენ ვფიქრობთ ქრისტეს მსგავსად - ჩვენ არაფერს გავაკეთებთ პატივმოყვარეობით.“ ჩვენ მოვძებნით ქრისტეს ჩვენგან გამოვლენის შესაძლებლობას და არა სტატუსის მოპოვების შესაძლებლობებს.

(3) ყველაფერი გააკეთე წუწუნის გარეშე (ფილიპელთა 2:14).

წუწუნი ამბობს: „მე ამაზე უკეთესს ვიმსახურებ!“ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, იესოს ეთქვა: „მე არ უნდა ვბანდე მოწაფეებს ფეხებს. მე მასწავლებელი ვარ. მე უკეთესს ვიმსახურებ.“ რათქმაუნდა არა!

პავლემ თქვა: „თუ ჩვენ გვექნება ქრისტეს გონება - თუ ჩვენ ვიფიქრებთ ქრისტეს მსგავსად - ჩვენ ვიმსახურებთ წუწუნის გარეშე, თუნდაც ყველაზე რთულ ვითარებაში.“ ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ ჩვენ არაფერს „ვიმსახურებთ“. როდესაც ჩვენ გვახსოვს, რომ ყველაფერი რაც გვაქვს არის ღვთის მადლის საჩუქარი, ეს ცვლის ჩვენს შეხედულებებს მსახურების გამოწვევებზე.

ელენ როზვერი მეოცე საუკუნის ერთ -ერთი უდიდესი მისიონერი იყო. ის იყო ექიმი, კემბრიჯის უნივერსიტეტში მიღებული განათლებით. როდესაც ზაირში მისიონერ ექიმად მსახურობდა, მას სურდა საავადმყოფოს აშენება. რადგანაც არ ქონდათ მასალები, პირველი ნაბიჯი იყო აგურის გაკეთება. დოქტორი როზვერი მუშაობდა აფრიკელ მუშებთან ერთად, რომლებიც აგურს ღუმელში ამზადებდნენ.

როდესაც ის აგურების წარმოებაზე მუშაობდა, მისი მიუჩვეველი, რბილი ხელები დასისხლიანდა. მან დაიწყო წუწუნი: „ღმერთო, მე აფრიკაში ჩამოვედი ქირურგად და არა აგურის მკეთებლად! ნამდვილად, იქნებთან სხვა ადამიანები, რომლებიც შეასრულებენ ამ მოკრძალებულ სამუშაოს.“

რამდენიმე კვირის შემდეგ, ერთმა აფრიკელმა მუშამ უთხრა მას: „ექიმო, როდესაც საოპერაციო ოთახში ხართ, გვაშინებთ, როგორც ექიმი. მაგრამ როდესაც თქვენ აგურების წარმოებაში მუშაობთ და თქვენი თითებიდან, როგორც ჩვენიდან სისხლი წვეთს, თქვენ ჩვენი და ხართ და ჩვენ გვიყვარხართ.“ დოქტორი როზვერი მიხვდა: „ღმერთმა არ გამომაგზავნა აფრიკაში მხოლოდ ქირურგად; მან გამომაგზავნა ქრისტეს სიყვარულის საჩვენებლად.“

(4) ყველაფერი უყოყმანოდ გააკეთეთ (ფილიპელთა 2:14)

ყოყმანი ამბობს: „დიახ, უფალო, მაგრამ.... მზად ვარ დაგემორჩილო, მაგრამ....“ და ისევ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ იესოს ეთქვა: „მამაო, მე აქ ვარ, რომ გემსახურო; რატომ გაართულე ეს ყველაფერი ასე?“ ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ იესო ეკამათება მამას.

პავლემ თქვა: „თუ ჩვენ გვექნება ქრისტეს გონება - თუ ჩვენ ვიფიქრობთ ქრისტეს მსგავსად - ჩვენ არ ვიკამათებთ და მოვძებნით მარტივ გამოსავალს.“ ჩვენ არ წავალთ კომპრომისზე ღვთის ნებასთან ჩვენს ცხოვრებაში, უფრო ადვილი გზისთვის ვაჭრობით. ჩვენი პასუხი ღვთისადმი იქნება "დიახ, უფალო". ჩვენ გვექნება ქრისტეს გონება.

მას შემდეგ, რაც პავლემ ფილიპელებს მოუწოდა ჰქონოდათ ქრისტეს გონება, მას მკაფიოდ სჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო. მან იცოდა, რომ მათ შეეძლოთ ჰქონოდათ თავმდაბალი, მორჩილი სული, რომლითაც იყო გამორჩეული იესოს ცხოვრება. როგორ მოვიპოვოთ ქრისტეს გონება?

ჩვენი გონება იცვლება წმინდა წერილის საშუალებით

ამ გაკვეთილის დასაწყისში ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გვასწავლის წმინდა წერილი ღვთის ნებას. იესომ იცოდა ღვთის სიტყვა. მოციქულებმა იცოდნენ ღვთის სიტყვა. ეკლესიის ისტორიაში ყველა ხანგრძლივი გამოღვიძება დაიწყო ღვთის სიტყვის შესწავლით.

პავლემ მოუწოდა ფილიპელ მორწმუნეებს, რომ ყოფილიყვნენ „სიცოცხლის სიტყვის მპყრობელნი“ (ფილიპელთა 2:16). სახარებისადმი მათი ნდობა და ერთგულება გახდის მათ სინათლედ მათ გარშემო მყოფთათვის.

სწორედ ღვთის სიტყვის სიღრმისეული შესწავლით ვიწყებთ იესოს მსგავსად ფიქრს, რათა გვექნდეს ქრისტეს გონება. „სიღრმისეული შესწავლით“ არ ვგულისხმობ იმას, რომ წმინდა წერილის გასაგებად თქვენ უნდა იცოდეთ ბერძნული და ებრაული; მე არ ვგულისხმობ იმას, რომ თქვენ უნდა გქონდეთ ბიბლიის კომენტარების დიდი ბიბლიოთეკა; მე უბრალოდ ვგულისხმობ იმას, რომ თქვენ უნდა გაატაროთ დრო ღვთის სიტყვის ძიებაში. ეს უნდა იყოს თქვენი ყოველდღიური რაციონის ნაწილი.

როგორც ქრისტიანებისთვის, ღვთის სიტყვა უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიური საკვები. ეს უნდა იყოს სიხარული და არა უბრალოდ მოვალეობა. მშვიერ მოზარდს არავინ ეუბნება:

„დღეს შენ უნდა ჭამო! თუ არ შეჭამ, სუსტი იქნები.“ ყველაფერი რაც თქვენ გჭირდებათ რომ გააკეთოთ, კარგი საკვები გახადოთ ხელმისაწვდომი და მოზარდი შეჭამს! ღვთის სიტყვა უნდა იყოს საკვები ყველა მშვიერი ქრისტიანისთვის.

როდესაც ჩვენ ვიკვებებით ღვთის სიტყვით, ჩვენი გონება გარდაიქმნება ქრისტეს გონებად. ბევრი ქრისტიანი ხელახლა შობილია, მაგრამ კვლავაც ისე აზროვნებენ, როგორც ურწმუნოები. მათი გონება არ გარდაქმნილა ქრისტეს გონებად. რატომ?

დოქტორი პოლ ბრენდი იყო მისიონერი ქირურგი ინდოეთში. ის ბევრ კეთროვან პაციენტს მკურნალობდა. მან ჩაუტარა მათ რეკონსტრუქციული ოპერაცია მათი სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც დაზიანებული იყო კეთრით. მან დაწერა, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ პაციენტებს უნდა ესწავლათ ახალი აზროვნება, რათა გამკლავებოდნენ სიტუაციას.

მაგალითად, მან გადაიტანა ჯანსაღი მყესი არათითიდან ცერა თითის დაზიანებული მყესის შესაცვლელად. მაგრამ როდესაც მან უთხრა პაციენტს: „გაამოძრავე ცერა თითი“, არაფერი მომხდარა. მაშინ ის ეუბნებოდა: „გაამოძრავე შენი არათითი“ და ისინი სწრაფად ამოძრავებდნენ ცერა თითს! მათ მოუწიათ გადაეკეთებინათ თავიანთი ტვინი. მათ მოუწიათ ესწავლათ ცერა თითის მართვა ახლებურად.⁴⁵

როგორც ახალმა მორწმუნეებმა, ჩვენ უნდა „გადავაპროგრამოთ“ ჩვენი გონება, რათა ვიფიქროთ ქრისტეს მსგავსად. სანამ ქრისტიანი გახდებოდი, პირველ რიგში საკუთარ საჭიროებებზე ფიქრობდი. თქვენ შესაძლოა შეგხვედრიათ ღარიბი ადამიანი, მაგრამ იფიქრეთ: „შეიძლება მე თვითონ დამჭირდეს ფული. მე არ შემიძლია მივცე ამ ადამიანს.“ როგორც ქრისტიანი, თქვენ ღვთის სიტყვაში კითხულობთ: „ვინც ღარიბს აძლევს, არ გაუჭირდება“ (იგავების 28:27). თქვენ გსმენიათ იესოს სიტყვები: „მიეცით და თქვენც მოგეცემათ: კარგი საწყაო, დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე მოგეცემათ თქვენსავე კალთაში. რადგან რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმითივე მოგეწყვებათ თქვენ“ (ლუკას 6:38). თქვენ იწყებთ ფიქრს ფულზე, როგორც ქრისტე ფიქრობდა მათზე. თქვენ იძენთ ქრისტეს გონებას ღვთის სიტყვის მეშვეობით.

სანამ ჩვენ ქრისტიანები გავხდებოდით, ჩვენ ვცდილობდით სამაგიერო გადაგვხადა მათთვის, ვინც ჩვენ გვაწყენინა. როდესაც ვინმე უხეშად მოგვექცეოდა, ჩვენ გავბრაზდებოდით მათზე. მაგრამ ჩვენ, როგორც ქრისტიანები, ვკითხულობთ: „შეიმოსეთ მოწყალება“ (კოლასელთა 3:12). ჩვენ ვკითხულობთ: „ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც ლანძღვას ლანძღვის წილ; პირიქით, აკურთხეთ, რადგან ამისთვის ხართ მოწოდებულნი, რათა კურთხევა დაიმკვიდროთ“ (1 პეტრეს 3:9). ჩვენ ვიწყებთ პასუხების

⁴⁵ ეს ნაწილი ადაპტირებულია Kinlaw, Dennis. *The Mind of Christ*. Wilmore: Francis Asbury Press, 1998. Warner Press, 1988), 101-107

ისე გაცემას სხვების მიმართ, როგორც ქრისტე პასუხობდა მათ, ვინც მას ავიწროვებდა. ჩვენ ვიძენთ ქრისტეს გონებას ღვთის სიტყვის მეშვეობით.

ჩვენი გონება იცვლება ყოველდღიურად მისდამი მორჩილების გზით

პავლემ უთხრა ფილიპელებს, რომ ჰქონოდათ გონება, რომელიც ქრისტე იესოში იყო. მან აღწერა ეს გონება და შემდეგ უთხრა მათ, თუ როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო მათ ცხოვრებაში. მათ თავიანთი ხსნისთვის უნდა „იღვაწონ“ ერთგული მორჩილებით, არა იმისთვის, რომ მოიპოვონ ხსნა - არამედ იმიტომ, რომ ღმერთი „ბადებს მათში სურვილსაც და მოქმედებასაც მისი სათნოებისამებრ“ (ფილიპელთა 2:12-13). როდესაც ისინი თავმდაბლად დაემორჩილნენ ღმერთს, მან მისცა მათ სურვილი („უნდოდეთ“) და ძალა („იმუშაონ“), რომ იცხოვრონ ღვთიური ცხოვრებით.

როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ მორჩილი ცხოვრებით, სულიწმიდა ჩვენში ამუშავებს იმავე მახასიათებლებს, რასაც ჩვენ ვხედავთ იესოს ცხოვრებასა და მსახურებაში. ჩვენ ვერ ვიპოვით ქრისტეს გონებას ჩვენი ძალისხმევით; ჩვენ ვპოულობთ მას მორჩილებაში.

ეს უნდა იყოს ყოველდღიური მორჩილება. პავლე მოგვიწოდებს: „წარუდგინეთ თქვენი სხეულები ცოცხალ მსხვერპლად“ (რომაელთა 12:1). „ცოცხალი მსხვერპლი“ არ არის მკვდარი; ის აგრძელებს ცხოვრებას. არსებობს **მორჩილება**, რომლის დროსაც ჩვენ მთლიანად ვუთმობთ ჩვენს ნებას ღვთის ნებას, მაგრამ ასევე არსებობს **მრავალი დამორჩილება**, რომლებშიც ჩვენ ყოველდღიურად ვემორჩილებით მის ნებას.

ნენსი ლეი დე მოსი წარმოგვიდგენს მორჩილი ცხოვრების სურათს.⁴⁶ ამ აღწერილობების წაკითხვისას იკითხეთ: „ვცხოვრობ ყოველდღიურ მორჩილებაში ამ მხარეში? ვაჩვენებ ქრისტეს გონებას ამ მხარეში?“

- როდესაც თქვენს ხორცს სურს გაიმეოროს კრიტიკის სიტყვები, სული ამბობს: „არავინ დაძრახო“ (ტიტეს 3:2). მორჩილი გული ამბობს: „დიახ.“
- როდესაც თქვენს ხორცს სურს დაჩივლება სირთულეების გამო, სული ამბობს: „მადლიერნი იყავით ყველაფრისთვის“ (1 თესალონიკელთა 5:18). მორჩილი გული ამბობს: „დიახ.“
- როდესაც თქვენს ხორცს სურს წინააღმდეგობა გაუწიოს უგუნურ უფროსს, სული ამბობს: „დაემორჩილეთ უფლის გულისთვის“ (1 პეტრეს 2:13). მორჩილი გული ამბობს: „დიახ.“

როდესაც ჩვენ ვემორჩილებით, იგივე სული, რომელიც მკვიდრობდა ქრისტეში, დამკვიდრდება ჩვენშიც. სულით და არა ჩვენი კეთილი განზრახვებით, ჩვენ გვეძლევა

⁴⁶ ადაპტირებული Nancy Leigh DeMoss, *Surrender* (Chicago: Moody Press, 2008), 223-224

ძალა, რომ ქრისტეს მსგავსად ვუპასუხოთ ყოველდღიური ცხოვრების იმედგაცრუებებს, მსახურების იმედგაცრუებებს და სატანის ცდუნებებს.

► გაუზიარე ბოლოდროინდელი გამოცდილება, როდესაც ხორციელი სურვილები ეწინააღმდეგებოდა ღვთის ნებას. როგორ ცხოვრობდით ყოველდღიურ მორჩილებაში, როდესაც ამ ცდუნების წინაშე აღმოჩნდით? თუ

გაქვთ მუდმივი ცდუნება, რომელშიც თქვენ კვლავ უნდა დაემორჩილოთ ღვთის ნებას? როგორც კლასი, ილოცეთ ერთმანეთისთვის ამ სფეროებში.

„წმინდად ცხოვრების საიდუმლო მდგომარეობს არა იესოს მიბაძვაში, არამედ იმაში, რომ ნება დავრთო იესოს გამოვლინდეს ჩემს ცხოვრებაში.... განწყვედა არ არის იესოსგან ძალის მიღება, რომ წმიდა იყო; ეს იესოსგან სიწმინდის მიღებაა, რომელიც მასში ვლინდება.“

- ოსვალდ ჩემბერსი

დასკვნა: ღმერთი მოქმედებს ქრისტეს მსგავსი სიყვარულით

როდესაც დავიწყე ამ გაკვეთილის წერა, ვიგრძენი რაღაც ყოყმანი. მიუხედავად იმისა, რომ მე მენტალურად ვიცი, რომ ჩვენ მოწოდებულნი ვართ გვიყვარდეს ჩვენი მტრები, მე ისიც ვიცი, რომ ჩვენ ვცხოვრობთ პრობლემურ სამყაროში. ბევრი, ვინც კითხულობს ამ გაკვეთილებს, ცხოვრობს ისეთ სიტუაციებში, როდესაც ეკლესიას ემუქრება მთავრობა, ცრუ რელიგიები ან სოციალური ზეწოლა. როდესაც ვწერდი მტრის სიყვარულის შესახებ, მე ვკითხე ჩემს თავს: „გონივრულია ვიფიქროთ, რომ ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ჩვენი სამყარო მტრის სიყვარულით? როგორ შეგვიძლია გვიყვარდეს ჩვენი მტერი, როდესაც ჩვენი მტერი ცდილობს ჩვენს მოკვლას?“

ამ გაკვეთილზე მუშაობისას მე წავიკითხე საინფორმაციო სტატია ბაღდადში მცხოვრები ერაყელი ქრისტიანის შესახებ.⁴⁷ როდესაც რეპორტიორი ესაუბრებოდა ამ კაცს, ISIS- ის ჯარისკაცები იყვნენ მისი სახლიდან ორმოც წუთში. ჟურნალისტმა ჰკითხა: „თქვენი ეკლესია კვლავ იკრიბება თაყვანისცემისათვის?“ ქრისტიანმა უპასუხა: ”დიახ! ფაქტობრივად, ჩვენ დავიწყეთ ორი ახალი ლოცვის ჯგუფი ჩვენს ეკლესიაში - ერთი, რომ ვილოცოთ ჩვენი დევნილი ძმებისთვის ჩრდილოეთით და მეორე, რომ ვილოცოთ ჩვენი მტრებისთვის.“

ბაღდადის წმინდა გიორგის ეკლესიის წევრები ლოცულობენ თავიანთი მტრებისთვის. ისინი აძლევენ საკვების ამანათებს მუსლიმ ქვრივებს. მათ უყვართ თავიანთი მტრები, რადგან სჯერათ, რომ ისინი მოწოდებულნი არიან მიყვნენ იესოს მაგალითს.

ამ სტატიამ გამახსენა სიმართლე, რომელიც ჩანს ეკლესიის ისტორიაში. ღმერთის მუშაობის წესი ყოველთვის ეწინააღმდეგება ადამიანის გზას. ადამიანი მონაწილეობს სამხედრო ჯვაროსნულ ლაშქრობებში მუსულმანების წინააღმდეგ შუა საუკუნეებში;

⁴⁷ Mindy Belz, “How Does the Church Move the World?” *World Magazine*, May 27, 2017

ღმერთი მოქმედებს რაიმონდ ლულის მეშვეობით, რომელიც გარდაიცვალა ოთხმოცდაორი წლის ასაკში, ისლამურ სამყაროში მრავალთაგან ერთ-ერთი, მისიონერული მოგზაურობის დროს. ადამიანი მოქმედებს სამხედრო ძალით; ღმერთი მოქმედებს ჰადსონ ტეილორის მეშვეობით, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ჩინეთში მახარებლობას. ადამიანი მოქმედებს ძალის გამოყენებით; ღმერთი ხშირად მოქმედებს სისუსტეების მეშვეობით.

ღმერთის გზა არასოდეს არის ადამიანის გზა, მაგრამ საბოლოოდ, ღვთის გზა გამარჯვებულია. ჩვენი სამყარო შეიცვლება სამუდამოდ, რადგან ქრისტიანებს უყვართ იესოს მსგავსად. ცვლილება არის ნელი და ხშირად მტკივნეული, მაგრამ ეს არის ღვთის გზა, რომ შეასრულოს თავისი საქმე ჩვენს დაცემულ სამყაროში.

იესოს მსგავსად მსახურება მოითხოვს, რომ ჩვენ გვიყვარდეს იესოს მსგავსად. მოხუც მახარებელს ჰკითხეს, რა იყო მისი მსახურების საიდუმლო. მან თქვა: „ერთადერთი გზა, რომ ადამიანებმა გაიგონ, რამდენად უყვარს ღმერთს ისინი, არის იმის დანახვება, თუ როგორ გიყვართ ისინი თქვენ.“ ამ მახარებელს ესმოდა, რომ როდესაც ქრისტეს სიყვარული ანათებს ჩვენში, ჩვენ სამყაროს ღმერთისკენ ვიზიდავთ. აი რას ნიშნავს გიყვარდეს იესოს მსგავსად.

გაკვეთილი 7 დავალება

ამ გაკვეთილში ჩვენ ვიხილეთ, როგორ უყვარდა იესოს. ეს დავალება მოითხოვს იპოვოთ გზები, რომლითაც შეგიძლიათ მიზანძოთ იესოს მაგალითს თქვენი მოყვასის სიყვარულში. დავალების შესრულებას დიდი დრო არ დასჭირდება; მას შეიძლება გაცილებით მეტი დრო დასჭირდეს პრაქტიკაში გასატარებლად! არ გაუშვათ ხელიდან პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. ჩვენ მოწოდებულნი ვართ გვიყვარდეს ისე, როგორც იესოს უყვარდა.

1 სვეტში, მოიყვანეთ სახარებიდან ხალხისადმი იესოს სიყვარულის კონკრეტული მაგალითი.

მე - 2 სვეტში, მიუთითეთ კონკრეტული გამოყენება თქვენს ცხოვრებაში. როგორ მიჰყვებით იესოს მაგალითს? ეს დავალება თქვენთვისაა; იყოს რაც შეიძლება კონკრეტული.

იესოს მაგალითი	ჩემი გამოყენება

გაკვეთილი 8

ჯვარი და აღდგომა

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- (1) გააცნობიეროს იესოს მსახურებაზე განსხვავებული პასუხები ვნების კვირის განმავლობაში.
- (2) გაიაზროს ლელვის ხის დაწყევლა, როგორც ამოქმედებული იგავი.
- (3) გააცნობიეროს ის სისუსტეები, რამაც პეტრეს დაცემა გამოიწვია.
- (4) შეაფასოს ჯვარი და აღდგომა, როგორც ქრისტიანული ცხოვრებისა და მსახურების საფუძველი.

მსახურების პრინციპი

ყველა ეფექტური მსახურება ხორციელდება ჯვრისა და აღდგომის ძალით.

შესავალი

სახარების კულმინაცია არის ვნების ისტორია. სახარების ოთხმოცდაცხრა თავიდან ოცდაათი ეთმოზა იერუსალიმში ტრიუმფალური შესვლისა და აღდგომას შორის კვირას. იოანეს სახარების თითქმის ნახევარი ეთმოზა ამ კვირას. ეს არის კულმინაცია, რომელზედაც მიუთითებდა იესოს მთელი ცხოვრება და მსახურება. ამ გაკვეთილზე ჩვენ შევისწავლით იესოს მიწიერი მსახურების ბოლო კვირას, რათა ვისწავლოთ გაკვეთილები ჩვენი ცხოვრებისა და მსახურებისთვის.

► გაკვეთილის გაგრძელებამდე განვიხილოთ ორი კითხვა:

- რას ნიშნავს ჯვარცმა ჩემთვის, თეოლოგიურად და პირადად?
- რას ნიშნავს აღდგომა ჩემთვის, თეოლოგიურად და პირადად?

იესოს პასუხები: იესოს საჯარო მსახურების ბოლო კვირა

მახარებელთა ერთ -ერთი მთავარი ხაზგასმა მათ რეაქციაზეა, ვინც იესოს შეხვდა. მაგალითად, იესოს ცხოვრების დასაწყისში მათე მოგვების თაყვანისცემას უპირისპირებს ჰეროდეს პასუხს, რომელმაც სცადა მოწინააღმდეგე მეფის მოკვლა. იოანე ადარებს ებრაელი რაბინის, ნიკოდემოსის კითხვით პასუხს ჭასთან მყოფ გაუნათლებელ სამარიელ ქალთან.

► წაიკითხეთ მათეს 10:32-39.

ვერავინ დარჩება ნეიტრალური იესოს გზავნილთან მიმართებაში; ჩვენ ან ვიღებთ მის მოთხოვნას ან ვუარყოფთ მას. იესომ თავისი მსახურება აღწერა როგორც მახვილი, რომელიც ამ ორ ჯგუფს ყოფს. ოჯახები გაიყო იესოს პასუხის გამო; იესოს ოჯახმაც კი გაიარა ეს გამოცდა (მათეს 13:53-58). ვერავინ დარჩება ნეიტრალური.

იესოს წინააღმდეგობრივი პასუხები კიდევ უფრო დრამატული გახდა მისი საჯარო მსახურების ბოლო კვირაში. ეს კონტრასტი გრძელდება თვით ჯვარში, სადაც ორი ქურდი განსხვავებულად რეაგირებს იესოს მიმართ.

პასუხები ლაზარეს აღდგინების შესახებ

► წაიკითხეთ იოანეს 11:1-57.

ლაზარეს აღდგინებამდეც კი, რელიგიური ლიდერები ეწინააღმდეგებოდნენ იესოს. როდესაც იესო ეწვია ტაძარს, მიძღვნის დღესასწაულზე ზამთარში, ებრაელმა ლიდერებმა მას ბრალი დასდეს მკრეხელობაში და მისი ჩაქოლვა სცადეს. რადგან ჯერ კიდევ არ იყო მისი მსხვერპლად გახდომის დრო, იესო დაუსხლტა მათ და იორდანეს გავლით გაემგზავრა იერუსალიმის რელიგიური ცენტრიდან (იოანეს 10:22-42).

როდესაც ლაზარეს სიკვდილის ამბავი გახდა ცნობილი, მოწაფეებმა იცოდნენ, რომ იესოსთვის საშიში იყო იუდეაში დაბრუნება. მკითხველები ხშირად დასცინიან თომას ეჭვს და პესიმიზმს, მაგრამ მე აღფრთოვანებული ვარ მისი ერთგულებით თავისი მოძღვრისადმი. ის თვლის (სწორად), რომ იესოს მოკლავენ იუდეაში, მაგრამ თომა ერთგულია. როდესაც იესო დაჟინებით მოითხოვს იუდეაში დაბრუნებას, თომა ეუბნება თავის თანა მოწაფეებს: „ჩვენც წავიდეთ, რომ მასთან ერთად მოვკვდეთ.” მიუხედავად თომას შემდგომი ეჭვებისა, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ამ შემინებული მოწაფის ერთგულება. გასაკვირი არ არის, რომ უფლის აღდგომის შემდეგ თომა გარდაიცვალა მოწამებრივი სიკვდილით, სახარების ინდოეთში ქადაგების გამო.

ბეთანიის მსგავს პატარა სოფელში ლაზარეს აღდგინება ვერ დაიმალა. რელიგიურ ლიდერებს არ ჰქონდათ საშუალება დაემაღათ ასეთი დრამატული მოვლენა. იოანე გვაჩვენებს განსხვავებულ პასუხებს ამ სასწაულზე.

ხალხის პასუხი

ლაზარეს აღდგინების შესახებ ამბის გავრცელების შემდეგ, საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ იესო დაამარცხებდა რომს და აღადგენდა დავითის ტახტს იერუსალიმში. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იესო იყო აღთქმული მესია. „მაშინ, მარიამთან მოსულმა ბევრმა იუდეველმა, იხილა რა, რაც მან მოახდინა, ირწმუნა იგი” (იოანეს 11:45 და 12:11). იმდენმა ადამიანმა ირწმუნა იესო, რომ ფარისევლებმა თქვეს: „ხედავთ? მთელი ქვეყანა მას მიჰყვება” (იოანეს 12:19). ამან აღაფრთოვანა ხალხი, როდესაც იესო ვირზე მდგდომი შევიდა იერუსალიმში.

რელიგიური ლიდერების პასუხი

ლაზარეს აღდგომამ შეუძლებელი გახადა რელიგიური წინამძღოლების იგნორირება იესოს მტკიცებაზე, რომ ის იყო მესია. როდესაც ბრბო იესოსკენ მობრუნდა, რელიგიურ წინამძღოლებს მხოლოდ ორი ვარიანტი ჰქონდათ:

1. **ელიარებინათ, რომ იესო იყო ის, ვინც აცხადებდა, რომ იყო.** თუმცა, ეს მოითხოვდა მათგან უარის თქმას ამბიციებზე, ქონდათ ძალაუფლება. იესომ უკვე დაგმო მათი თვალთმაქცური საქციელი. თუ ისინი აღიარებდნენ, რომ იესო იყო მესია, ისინი დაკარგავდნენ თავიანთ პოზიციებს, როგორც ებრაელი ხალხის ლიდერები.
2. **შეეპყრათ და მოეკლათ იესო.** თუ მათ უარი თქვეს იესოს, როგორც მესიის მიღებაზე, უნდა მოეკლათ ის.

რელიგიური ლიდერები მიიჩნევდნენ იესოს მოკვლის გადაწყვეტილებას, როგორც ერისთვის საუკეთესოს. ისტორიის განმავლობაში სუსტი ლიდერების მსგავსად, ისინი ცდილობდნენ თავიანთი გადაწყვეტილების გამართლებას. „რა ვქნათ, რადგან ბევრ სასწაულს ახდენს ეს კაცი? თუ თავის ნებაზე მივუშვებთ, ყველა ირწმუნებს. მოვლენ რომაელები და წაგვართმევენ ჩვენს ადგილსაც და ერსაც“ (იოანეს 11:47-48). მათ ეშინოდათ, რომ იესო რომის წინააღმდეგ ამბოხებას ჩაუდგებოდა სათავეში. მათ არ ესმოდათ, რომ მისი სამეფო სულიერი იყო.

„ჩვენს ადგილს“ ალბათ იგულისხმება ტაძარი და „ჩვენს ერს“ იგულისხმება თავისუფლებები, რომლებიც რომმა დაუშვა ებრაელებისთვის (იხილეთ საქმეების 6:13 და 21:28). მიუხედავად იმისა, რომ იუდეა რომის კონტროლის ქვეშ იყო, ებრაელებს უფლება ჰქონდათ თავიანთი ეკათ ტაძარში, დაეცვათ რელიგიური კანონები და სინედრიონის მეშვეობით შეენარჩუნებინათ სამოქალაქო მმართველობა. ეს ყველაფერი დაიკარგებოდა, თუ რომი ჩაახშობდა აჯანყებას.

კაიაფამ დაარწმუნა სინედრიონი, რომ სჯობს ერთი ადამიანი მოკვდეს, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს (იოანეს 11:49-50). ბედის ირონიით, იესოს მკვლელობის შემდეგ, სინედრიონის შიში ახდა. იესოს მკვლელობიდან ორმოცი წლის შემდეგ, რომაელებმა ჩაახშეს ებრაელთა ამბოხება, დაანგრეს ტაძარი, ჩამოართვეს ებრაელ ხალხს უფლებები და მოხდა ყველაფერი ის, რისი თავიდან აცილებაც კაიაფამ სცადა.

ვინაიდან მათ არ შეეძლოთ ამ სასწაულის დამალვა ყველა მტკიცებულების განადგურების გარეშე, სინედრიონმა გადაწყვიტა მოეკლა იესოც და ლაზარეც, რათა „დაეცვათ ერი“ (იოანეს 11:53 და 12:10). სასწაულები სულაც არ დაარწმუნებს ურწმუნოებს. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ: „ნეტავი ღმერთმა დაამოწმოს საკუთარ თავზე სასწაულით, ყველა დაიჯერებდა.“ თუმცა, სასწაულმა შეიძლება მხოლოდ გაამყაროს სკეპტიკოსი მის ურწმუნოებაში.

მდიდარი კაცისა და ლაზარეს ისტორიაში (არა ის ლაზარე, რომელიც იესომ აღადგინა),

მდიდარმა სთხოვა აბრაამს გაეგზავნა ლაზარე მისი ძმების გასაფრთხილებლად. აბრაამმა თქვა: „თუკი მოსეს და წინასწარმეტყველთ არ დაუგდეს ყური, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, იმასაც არ ერწმუნებიან” (ლუკას 16:31). თვითონ წმინდა წერილი არის საკმარისი მოწმობა ჭეშმარიტების შესახებ. თუ ჩვენ ვუარყოფთ მას, სხვა მტკიცებულებები ვერ დაგვარწმუნებს.

პასუხები იესოს: მარიამი

► წაიკითხეთ მათეს 26:6-13 და იოანეს 12:1-11.

იესოს მიწიერი მსახურების განმავლობაში, მარიამი, ლაზარესა და მართას და, მისი ერთ - ერთი ერთგული მიმდევარი იყო. ადრინდელ ისტორიაში მართა ჩიოდა, რადგან მარიამი იესოს უსმენდა იმ დროს, როდესაც მართა ემსახურებოდა. ამ ამბავში იესომ შეაქო მარიამი, რომელმაც „უკეთესი წილი ამოირჩია, რომელიც ვერ წაერთმევა” (ლუკას 10:42).

გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე, იესო და მისი მოწაფეები ეწვივნენ სიმონ კეთროვნის სახლს. ლაზარე და მისი დებიც მიიწვიეს შეერთებოდნენ ამ ჯგუფს. ჭამის დროს მარიამმა იესოს თავსა და ფეხებზე ძვირფასი ნელსაცხებელი დაასხა. ეს ნელსაცხებელი სამასი დინარი ღირდა, დაახლოებით ერთი წლის ხელფასი. იმ დროს, როდესაც ბანკები არ არსებობდა, ეს ალბათ მარიამის დანაზოგს წარმოადგენდა.

მოწაფეები აღშფოთდნენ, რომ მარიამმა ამდენი ფული ფუჭად დახარჯა, (მათეს 26:8; მარკოზის 14:5). მაგრამ მარიამს აინტერესებდა მხოლოდ ერთი ადამიანის, იესოს აზრი. ის მოქმედებდა სიყვარულის გამო, რომელიც მას აბრძავებდა სხვების აზრების მიმართ. მას არ აინტერესებდა რა ღირებულების იყო ნელსაცხებელი და მას არ აინტერესებდა რას ფიქრობდნენ სხვები. ის თავიანთ სცემდა თავის მოძღვარს და სხვას არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა.

როდესაც მოწაფეებმა გააპროტესტეს მარიამის ქმედება, იესომ უსაყვედურა მათ: „თავი გაანებეთ.... მან სიკეთე მიყო” (მარკოზის 14:6). იცოდა რა, რომ ჯვარცმამდე მხოლოდ რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, იესომ გააცნობიერა მარიამის მოქმედების სიმბოლიზმი: „მან წინასწარ სცხო ჩემს სხეულს ნელსაცხებელი დასამარხად.” იესომ პატივი მიაგო ამ ქალს, რომელმაც ყველაფერი გაიღო უანგაროდ, სიყვარულით თავიანთსცემაში.

როდესაც ვკითხულობთ მარიამის მიერ იესოს ცხების ამბავს, უნდა ვიკითხოთ: „მე რამდენად მიყვარს იესო? მე მას უფრო ვუფრთხილდები თუ გარშემომყოფთა აზრს? ” მარიამს ნამდვილად უყვარდა იესო.

პასუხები იესოს: ტრიუმფალური შესვლა

► წაიკითხეთ მათეს 21:1-11 და იოანეს 12:12-19.

კვირას იესო იერუსალიმში ვირზე მჯდომი შევიდა. ჩვეულებრივ დღეს, არაფერი იქნებოდა უჩვეულო ამ მოქმედებაში; გალილეელი მასწავლებელი პასექის

დღესასწაულზე იერუსალიმში მიმავალ მიმდევართა მცირე ჯგუფთან ერთად. მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი დრო. ლაზარეს აღდგომამ აქცია ეს პასექის მომლოცველობა რელიგიურ და პოლიტიკურ განცხადებად.

მათე ხაზს უსვამს იესოს იერუსალიმში შესვლის რელიგიურ შედეგებს. მათე გვიჩვენებს, რომ იესოს შესვლით აღსრულდა ზაქარიას წინასწარმეტყველება. ხალხის სიტყვები აღებულია 117 -ე ფსალმუნიდან, პასექის ფსალმუნიდან, რომელიც აღწერს იერუსალიმში ტრიუმფალურ მსვლელობას (მათეს 21:4-11; ზაქარიას 9:9; ფრსალმუნის 117:26).

ეს მსვლელობა სავსე იყო პოლიტიკური შედეგებით:

- ხალხი აფენდა სამოსელს გზაზე, რათა წარმოეჩინა მეფისადმი მორჩილება (მათეს 21:8; 4 მეფეთა 9:13).
- მაკაბელთა პერიოდიდან პალმის ტოტები სიმბოლირებდა მტერზე სამხედრო გამარჯვებას (იოანეს 12:13; 1 მაკაბელთა 13:51).
- „ოსანა!“ ნიშნავს „გვიხსენი“, ძახილი ხსნისათვის.
- „დავითის ძე“ იყო სამეფო და მესიანური ტიტული.

ხალხს სჯეროდა, რომ იესო იერუსალიმში შემოდიოდა რომის დასამხობად და მისი სამეფოს დასამყარებლად. დავით მეფის ხანგრძლივი ლოდინი დასრულდა. წინასწარმეტყველთა დაპირებები მალე შესრულდებოდა.

სულ რამდენიმე დღის შემდეგ, ბევრი იგივე ადამიანი ყვიროდა: „ჯვარს აცვი!“ რატომ? იმიტომ, რომ მათ არასწორი მოლოდინი ჰქონდათ იესოს მიმართ. მათ სჯეროდათ, რომ ის დაამარცხებდა რომს, მაგრამ მას არ სურდა სამხედრო აჯანყების ხელმძღვანელობა. ისინი პოლიტიკურ სამეფოს ეძებდნენ, მაგრამ მას სულიერ სამეფო მოჰქონდა. იმედგაცრუებული ეს ბრბო, მალე იესოს წინააღმდეგ აღსდგებოდა.

სინედრიონის პოლიტიკურად გავლენიანმა და სოციალურად ელიტარულმა წევრებმა უკვე გადაწყვიტეს იესოს მოკვლა; უძლურნი მალევე აღსდგებიან მის წინააღმდეგ. იცოდა რა, თუ რა ელოდა წინ, იესო ტიროდა იმ ქალაქის ბედზე, რომელიც მას უარყოფდა (ლუკას 19:41-44). ჩვენ მას „ტრიუმფალურ შემოსვლას“ ვუწოდებთ; იესომ კი იცოდა, რომ ეს იყო „გზა ჯვრისაკენ.“ ბრბო ციტირებდა ფსალმუნის 117: 26 -ს: „კურთხეულია უფლის სახელით მომავალი!“ იესომ იცოდა ფსალმუნის შემდეგი მუხლი: „საბელით მიაბით სადღესასწაულო მსხვერპლი სამსხვერპლოს რქებზე!“ (ფსალმუნის 117:27). იესო შევიდა იერუსალიმში, როგორც მსხვერპლი, რომელიც მალე მიბმული იქნებოდა „სამსხვერპლოზე“, რომაულ ჯვარზე.

ახლო ხედი: იესო წყევლის ლეღვის ხეს

► წაიკითხეთ მარკოზის 11:12-25.

თითოეული სახარება მოიცავს ისტორიას, სადაც იესო წყევლის უნაყოფო ლეღვის ხეს, საჯარო მსახურების ბოლო კვირას. იესომ დაწყევლა ლეღვის ხე ორშაბათს, როცა იერუსალიმში ჩავიდა, ბეთანიაში ღამის გატარების შემდეგ. სამშაბათს მოწაფეებმა დაინახეს, რომ ხე მხოლოდ ოცდაოთხ საათში გახმა.

მიუხედავად იმისა, რომ „ჯერ არ იყო ლეღვობის დრო“ (მარკოზის 11:13), ფოთლები ნიშნავდა, რომ ხეზე მწვანე ლეღვი მაინც უნდა ყოფილიყო. ლეღვის ნაყოფი ჩნდება ფოთლების გამოსვლიდან მცირე ხნის შემდეგ. როდესაც ხეს ფოთლები ჰქონდა ადრეული ლეღვის გარეშე, ხე იმ წელს არ გამოიღებდა ნაყოფს.

ეს ამბავი არის „ამოქმედებული იგავი“ ისრაელის მიერ ნაყოფის გამოუღებლობის შესახებ.⁴⁸ ისრაელი ღმერთმა აირჩია, რომ ხალხებს კურთხევა მიენიჭებინა (დაბადების 12:3). ამის მაგივრად, ისრაელმა შეარცხვინა იეჰოვას სახელი.

ტადარი უნდა ყოფილიყო ლოცვის ადგილი „ყველა ხალხისთვის“ (ესაიას 56:7). ამის მაგივრად, ტადარი გახდა „მძარცველთა ბუნაგი“, სადაც ძალაუფლების მქონე მღვდელმთავრები ატყუებდნენ ღარიბებს.

ლეღვის ხე უნაყოფო იყო; ისრაელი უნაყოფო იყო. ლეღვის ხე უარყოფილი იყო; ისრაელი ძალე უარყოფილი იქნებოდა.

ლეღვის ხის დაწყევლა არის ერთ-ერთი გზავნილი იმ გასამართლების ჩამონათვალიდან, რომელიც იესომ საჯარო მსახურების ბოლო დღეებში გააკეთა:

1. უნაყოფო ლეღვის ხის ამოქმედებული იგავი (მარკოზის 11:12-14, 20-25).
2. ტადრის განწმენდა (მარკოზის 11:15-19).
3. იგავი ბოროტ მოიჯარეებზე (მარკოზის 12:1-12).
4. დავები რელიგიურ წინამძღოლებთან (მარკოზის 12:13-40).
5. იესო წინასწარმეტყველებს ტადრის დანგრევას (მარკოზის 13:1-37).

იესოს პასუხები: იესოს საჯარო მსახურების ბოლო კვირა (გაგრძელება)

პასუხები იესოს: რელიგიური წინამძღოლები

► წაიკითხეთ მათეს 21:23-22:46.

ლაზარეს აღდგომის შემდეგ რელიგიურმა წინამძღოლებმა გადაწყვიტეს იესოს მოკვლა. თუმცა, მისი პოპულარობა უბრალო ხალხში, ამას ართულებდა. მათ სურდათ ეპოვათ იესოს დისკრედიტაციის საშუალება ხალხის თვალში. იესოს ტრიუმფალური შესვლის შემდგომ დღეებში რელიგიურმა წინამძღოლებმა ტადარში მთელი რიგი დაპირისპირება მოახდინეს. ისინი ცდილობდნენ იესოს მახეში გაბმას, მაგრამ ყოველ ჯერზე უშედეგოდ.

⁴⁸ ძველ აღთქმაში ლეღვის ხე ხშირად სიმბოლირებს ისრაელს (მაგ. იერემიას 8:13; ოსიას 9:10; იოველის 1:7)

ამის მაგივრად, ხალხი ხედავდა, როგორ არცხვენდა იესო რელიგიურ წინამძღოლებს თავისი სიბრძნითა და გამჭრიახობით.

პირველ რიგში, „მღვდელმთავრები და უხუცესები“ დაუპირისპირდნენ მის უფლებამოსილებას გაეწმინდა ტაძარი და საჯაროდ ესწავლებინა. იესომ უპასუხა მათ იოანე ნათლისმცემელზე კითხვით.

შემდეგ იესომ თქვა სამი იგავი, რომელშიც მსჯავრი დასდო რელიგიურ წინამძღოლებს. ორი მის იგავი გვიჩვენებს, რომ მორჩილება და არა მხოლოდ აღიარება ამტკიცებს ურთიერთობას ღვთის სასუფეველში. ბოროტი მოიჯარეების იგავი ასახავდა იესოს, როგორც მესიის უარყოფის შედეგებს. დაბოლოს, საქორწინო ნადიმზე იგავი გულისხმობს იმას, რომ მასზე მიწვეული რელიგიური წინამძღოლები ახლა უარყოფილ იქნენ სხვების სასარგებლოდ, რომლებიც, შესაძლოა ნაკლებად ღირსეულად გამოიყურებიან, მაგრამ ისინი გამოეხმაურნენ მოწვევას.

იესოს დისკრედიტაციის მიზნით, რელიგიურმა წინამძღოლებმა მას დაუსვეს კითხვების სერია, რათა შეეტყუებინათ ის მახეში. მათი მიზანი არ იყო ჭეშმარიტების გაგება; მათ მიზანს წარმოადგენდა იესოს განადგურება. იესომ იცოდა, რომ მათ არ სურდათ ჭეშმარიტების გაგება, ამიტომ ის მათ ყველა კითხვას ირიდებდა.

მას შემდეგ, რაც იესოს მახეში გაბმის ყველა მცდელობა მარცხით დასრულდა, წინამძღოლები დანებდნენ. მათე ასრულებს ამ ნაწილს მათი მარცხის ჩვენებით: „და ვერავინ შეძლო მისთვის სიტყვის შებრუნება; იმ დღიდან მოყოლებული ვერც კითხვის დასმას უბედავდა ვინმე“ (მათე 22:46). მარკოზი ასრულებს იმით, რომ აღნიშნავს უბრალო ხალხის სიხარულს, რომლებიც აკვირდებოდნენ ამ დაპირისპირებებს: „და მრავალი ხალხი უსმენდა მას სიამოვნებით“ (მარკოზის 12:37).

► როგორც პასტორი ან ქრისტიანი ლიდერი, თქვენ ხშირად წააწყდებით რთულ კითხვებს. როგორ შეძლებთ განასხვავოთ ის, ვინც გულწრფელად გეკითხებათ მისგან, ვისაც სურს თქვენი მახეში გაბმა? რით უნდა განსხვავდებოდეს თქვენი პასუხები ამ ორი სახის კითხვაზე? (ამ განსხვავების მაგალითისთვის იხილეთ იგავების 26:4-5.)

სასამართლო და ჯვარცმა

► წაიკითხეთ 1 კორინთელთა 15:1-8.

იესოს ამაღლებიდან ოცი წლის შემდეგ პავლემ დააარსა ეკლესია კორინთოში. ეს ეკლესია შედგებოდა ახალმოქცეულებისგან, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ფენას წარმოადგენდნენ. ეკლესია შედგებოდა როგორც ებრაელებისგან, რომლებმაც იცოდნენ ებრაული წერილები, ასევე წარმართებისგან, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ.

ეკლესია კორინთოში კონფლიქტების გამო დანაწევრებული იყო და იყო ცრუ სწავლებების გავრცელების საფრთხის ქვეშ. ამ პრობლემებზე საპასუხოდ პავლე ახსენებს კორინთელებს იმ უწყებას, რომელიც მან პირველად იქადაგა. პავლეს პირველი გზავნილები დიდ წარმართულ ქალაქში ოთხ ისტორიულ მოვლენაზე იყო ორიენტირებული:

- ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისთვის.
- ის დაიკრძალა.
- ის მესამე დღეს აღსდგა.
- ის გამოეცხადა საჯაროდ - კეფას და შემდეგ - თორმეტს; მერე ერთდროულად გამოეცხადა ხუთასზე მეტ ძმას, იაკობს და მერე - ყველა მოციქულს და ბოლოს პავლეს.

კორინთოში პავლეს გზავნილის პირველი ნაწილი ჯვარს ეხებოდა: „ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისთვის.” გზავნილი ჯვრის შესახებ უმთავრესია ქრისტიანულ სარწმუნოებაში.

ძველ აღთქმაში ადამიანი, რომელსაც კრავი მოჰყავდა მსხვერპლად შესაწირად, ხელს ადებდა ამ კრავს თავზე, რათა თავი გაეგიგებინა მსხვერპლად შეწირულის სიკვდილთან. კრავის თავზე ხელის დადებით, მსხვერპლშემწირველი იძახდა: „ეს კრავი კვდება ჩემს ნაცვლად. სიკვდილს მე ვიმსახურებ ჩემი ცოდვების გამო.” ანალოგიურად, ჩვენც ვიმსახურებდით სიკვდილს ჩვენი ცოდვების გამო, მაგრამ ქრისტე მოკვდა ჩვენს ნაცვლად. ჩვენ დავიმსახურეთ სიკვდილი; ის მოკვდა, რათა ჩვენ ვიცოცხლოთ.

შეპყრობა

► წაიკითხეთ მათეს 26:1-5, 14-56.

ვნების კვირის ოთხშაბათს იესომ იწინასწარმეტყველა მისი სიკვდილი „ორი დღის შემდეგ.” სინედრიონი გეგმავდა იესოს შეპყრობას მას შემდეგ, რაც პასექის სადღესასწაულოდ ჩამოსული ხალხი დატოვებდა ქალაქს, ამ წინასწარმეტყველებიდან სულ მცირე ცხრა დღის შემდეგ. თუმცა, როდესაც იუდაშ შესთავაზა თავისი მოძღვრის გაცემა, მათ გადაწყვიტეს იესოს შეპყრობა, სანამ მისი ერთ-ერთი მიმდევარი მათთან თანამშრომლობდა.

რატომ დასჭირდათ მღვდელმთავრებს იუდაშ? მათ იცოდნენ ვინ იყო იესო და სად ეპოვნათ ის. ის ყოველდღე ასწავლიდა ტაძარში. რელიგიურ წინამძღოლებს სჭირდებოდათ, რომ იუდაშ იესოს წინააღმდეგ მოწმე ყოფილიყო სასამართლო პროცესზე. ნებისმიერი სასიკვდილო დანაშაულისთვის რომის სამართალი მოითხოვდა მოწმეების წარდგენას. იესოს ღალატით იუდაშ დათანხმდა მოწმე ყოფილიყო. იესოს შეპყრობის შემდეგ იუდაშ „გადაიფიქრა” და ებრაელმა ლიდერებმა დაკარგეს ოქროს მოწმე იესოს წინააღმდეგ (მათეს 27:3-4, მარკოზის 14:55-56).

პასექის თავის მოწაფეებთან გაზიარების შემდეგ, იესო წავიდა გეთსიმანიის ბაღში სალოცავად. ჯვრის ფიზიკური ტანჯვისა და მამისგან განშორების სულიერი ტანჯვის წინაშე იესო ლოცულობდა, „მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი; თუმცა იყოს არა ჩემი ნებისამებრ, არამედ შენი ნებისამებრ.“ ამ უკიდურეს განსაცდელშიც კი, იესო ემორჩილებოდა მამის ნებას.

იმავე საღამოს იუდა მოვიდა „დიდძალი ხალხით“ იესოს შესაპყრობად.⁴⁹ მას შემდეგ, რაც იუდამ იესოზე ამბორით მიანიშნა, იესომ ჯარისკაცებს მიმართა. „როცა იესომ უთხრა: მე ვარო, უკან დაიხიეს და მიწაზე დაემხნენ“ (იოანეს 18:6). ჯარისკაცების ამ დიდ ჯგუფს ეშინოდა იმ ადამიანის, რომელსაც სიკვდილზე გააჩნდა ძალაუფლება. იესო ხელმძღვანელობდა და არა მისი მტრები. ოქტავიუს უინსლოუ, მეცხრამეტე საუკუნის მქადაგებელი, წერდა: „ვინ გადასცა იესო სიკვდილს? არა იუდამ, ფულის გამო. არა პილატემ, შიშის გამო. არა ებრაელებმა, შურის გამო. ეს გააკეთა მამამ, სიყვარულის გამო!“⁵⁰

სასამართლო

► წაიკითხეთ მათეს 26:57-27:26; ლუკას 22:54-23:25; იოანეს 18:12-19:16.

იესოს „სასამართლო პროცესი“ მოიცავდა როგორც ებრაულ სასამართლოს, ასევე რომაულ სასამართლოს. ებრაული სამართალი უძველესი სამართლებრივი სისტემებიდან ყველაზე ჰუმანური იყო; ებრაული სამართალი ყველაფერს აკეთებდა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. რომაული სამართალი ცნობილი იყო თავისი მკაცრი წესებითა და

„ის ნაგვემი იყო?
ეს იმისთვის, რომ მისი ჭრილობებით
ჩვენ განვიკურნოთ.
იყო ის მსჯავრდადებული,
თუმცა უდანაშაულო?
ეს იმისთვის, რომ ჩვენ ვიყოთ
გამართლებულნი, თუმცა დამნაშავენი.
მას ეკლის გვირგვინი ედგა?
ეს იმისთვის, რომ ჩვენ შეგვეძლოს
ვატაროთ დიდების გვირგვინი.
მას ტანისამოსი გახადეს?
ეს იმისთვის, რომ ჩვენ შეგვეძლოს
ჩავიცვათ მარადიული სიმართლე.
მას დასცინოდნენ და აბუჩად
იგდებდნენ?
ეს იმისთვის, რომ ჩვენ შეგვეძლოს
გვექონდეს პატივი და კურთხევა.
იყო ის ბოროტმოქმედად ჩათვლილი და
გამწესებული
ავაზაკთა შორის?
ეს იმისთვის, რომ ჩვენ შეგვეძლებოდა
ჩავთვლილიყავით უდანაშაულოებათ და
გამართლებულებად
ყოველგვარი ცოდვისგან.
იყო ის აღიარებული უძლურად
თავის დასახსნელად?
ეს იმისთვის, რომ მას შეძლებოდა
სხვების სრულად დახსნა.
და ბოლოს ის მოკვდა,
და არის ეს ყველაზე მტკივნეული
და სამარცხვინო სიკვდილი?
ეს იმისთვის, რომ ჩვენ შეგვეძლოს
ვიცხოვროთ სამარადისოდ და ვიყოთ
ამაღლებულნი
უმაღლესი დიდებით".
- ეპისკოპოსი რაილი

⁴⁹ იოანეს 18:3 განსაზღვრავს ამ ჯგუფს, როგორც ჯარისკაცთა „შენაერთს“ ან „რაზმს“. რომაული რაზმი ჩვეულებრივ შედგებოდა 600 კაცისაგან

⁵⁰ ციტირებულია John Stott, *The Message of Romans* (Westmont, Illinois: InterVarsity Press, 1994), 255

ყოველმცველობით. ეს იყო უძველესი სამყაროს ორი საუკეთესო სამართლებრივი სისტემა, მაგრამ მათ ხელი ვერ შეუშალეს ცოდვილ ადამიანებს ღვთის ძის მკვლელობაში.

შეპყრობიდან რამდენიმე საათში იესო წარადგინეს ექვს მოსმენაზე, ან სასამართლო პროცესზე. ეს მოიცავდა როგორც ებრაულ რელიგიურ სასამართლოს, ასევე რომაულ სამოქალაქო სასამართლოს. ისტორიკოსებმა აჩვენეს, რომ ებრაელთა სასამართლო უკანონო იყო, ებრაული სამართლის თანახმად მათ სიჩქარეში იესო დაედანაშაულებინათ, სინედრიონმა:

„იესო არ ეძებდა შევბას თავის ღვთაებრიობაში ადამიანური ტანჯვისგან; მან თავი ღოცვას შეაფარა“.

- ადაპტირებულია ტ.ბ. კილპატრიკის მიხედვით

- ჩაატარა ღამის სასამართლო (უკანონო),
- იესოს შეპყრობამდე მას არ წაუყენა ოფიციალური ბრალდება (უკანონო)
- არ მისცა უფლება იესოს, მოეხმო მოწმეებისთვის, თავის დასაცავად (უკანონო)
- ჩქარობდა სასამართლოს ჩატარებას იმაზე სწრაფად, ვიდრე ებრაული სამართლით იყო ნებადართული (უკანონო)

ბედის ირონიით, ეს ყველაფერი მოხდა ისე, რომ მათ შეეძლოთ იესოს ჯვარცმა და მისი სხეულის მოშორება პასექამდე. მათ მოკლეს ღვთის კრავი, რათა შეძლებოდათ პასექის კრავის ჭამა ჩვეული განრიგით!

სასამართლოების თანმიმდევრობა

(1) ებრაული მოსმენა ანას წინაშე (იოანეს 18:12-14, 19-23)

ანა დაინიშნა მღვდელმთავრად უვადოდ. მას შემდეგაც კი, რაც რომაელებმა ანა ჩაანაცვლეს მისი სიძით - კაიაფათი, ებრაელი ხალხის უმეტესობა ანას მოიხსენიებდა ტიტულით „მღვდელმთავარი.“ ეს პირველი მოსმენა ანას წინაშე არაოფიციალური იყო. მასში არ შედიოდა ბრალდებები და მოწმეები.

(2) ებრაული მოსმენა სინედრიონის წინაშე (მათეს 26:57-68)

პირველი მოსმენა სინედრიონის სრული შემადგენლობის წინაშე შესაძლოა შემდგარიყო დილის 2:00 საათზე. მიუხედავად იმისა, რომ მზის ამოსვლამდე მათ არ შეეძლოთ სამართლებრივი პროცესის ჩატარება, ებრაელ ლიდერებს სურდათ სწრაფად დაესრულებინათ ყველაფერი. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ღამის სასამართლო უკანონო იყო, სინედრიონმა ჩაატარა არაფორმალური მოსმენა, რომელმაც მსჯავრი დასდო იესოს მკრეხელობისათვის და დაადგინა, რომ ის სასიკვდილო განაჩენის ღირსი იყო.

(3) ოფიციალური ებრაული სასამართლო სინედრიონის წინაშე (ლუკას 22:66-71)

„როდესაც გათენდა,“ სინედრიონმა ჩაატარა ოფიციალური სასამართლო პროცესი. ამ სასამართლოზე სინედრიონმა ოფიციალურად დაადანაშაულა იესო მკრეხელობაში.

(4) პირველი რომაული სასამართლო პილატეს წინაშე (ლუკას 23:1-5; იოანეს 18:28-38)

რომმა არ მისცა სინედრიონს დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის უფლებამოსილება (იოანეს 18:31). პილატეს სასიკვდილო განაჩენის მოსაპოვებლად, ებრაელმა ლიდერებმა შეცვალეს ბრალდება, მკრეხელობის რელიგიური ბრალდებიდან, აჯანყების წაქეზების პოლიტიკურ ბრალდებად. მათ დაადანაშაულეს იესო იმაში, რომ „ხალხს აქეზებდა იგი და კეისრისთვის ხარკის მიცემას უკრძალავდა, თავის თავს კი ცხებულ მეფეს უწოდებდა.“

პასექის დროს ებრაელი ხალხი არ შედიოდა რომაულ შენობებში იმის შიშით, რომ არ გაუწმინდურებულებიყვნენ და ხელი არ შეშლოდათ პასექის ჭამაში. რადგან ისინი სასახლეში არ შედიოდნენ, პილატემ მოსმენა ჩაატარა სასახლის კარის გარეთ მდებარე ტროტუარზე.

(5) რომაული სასამართლო ჰეროდე ანტიპას წინაშე (ლუკას 23:6-12)

პილატემ იცოდა, რომ იესო უდანაშაულო იყო, მაგრამ მას არ სურდა ებრაელი წინამძღოლების გაბრაზება. როდესაც მან გაიგო, რომ იესო „აშფოთებს ხალხს და ასწავლის მთელ იუდეაში, გალილეიდან მოყოლებული აქამდე“, პილატემ გადაწყვიტა, გაქცეოდა ამ დილემას. პასექის კვირაში გალილეის მმართველი ჰეროდე ანტიპა იერუსალიმში იმყოფებოდა.⁵¹ ვინაიდან იესო გალილეიდან იყო, პილატეს იმედი ჰქონდა, რომ ჰეროდე გახდებოდა ამ საქმის მოსამართლე. პილატემ გაგზავნა იესო ჰეროდესთან, მაგრამ ჰეროდემ უარი თქვა ჩარევაზე.

(6) საბოლოო რომაული სასამართლო პილატეს წინაშე (მათეს 27:15-26; ლუკას 23:13-25; იოანეს 18:39-19:16)

როდესაც იესო თავის სასამართლოზე დაბრუნდა, პილატემ სხვა გამოსავლის ძებნა დაიწყო. პილატემ იცოდა, რომ იესო უდანაშაულო იყო: „მე გამოვიძიე თქვენს წინაშე და ვერ ვპოვე ამ კაცში ვერავითარი დანაშაული, რაშიც ადანაშაულებთ“ (ლუკას 23:14). პილატეს არ სურდა იესოსთვის, უდანაშაულო კაცისთვის, მსჯავრის დადება.

როდესაც წინამძღოლები დაემუქრნენ, რომ კეისარს შეატყობინებდნენ მის ორგულობას, პილატემ დაუთმო და შეასრულა მათი მოთხოვნები. პილატე სუსტი მმართველი იყო. ადრინდელ კონფლიქტში პილატემ ჯარისკაცებს ნება დართო იერუსალიმში შესულიყვნენ იმპერატორის გამოსახულებით. ებრაელი ხალხის მასა პროტესტს გამოხატავდა პილატეს სასახლის წინ ხუთი დღის განმავლობაში. როდესაც ის დაემუქრა პროტესტის მონაწილეებს მოკვლით, მათ განაცხადეს, რომ ისინი დაიხოცებიან, ვიდრე

⁵¹ პასექის კვირას პალესტინაში მყოფი ყველა რომაელი ჩინოვნიკი ჩადიოდა იერუსალიმში, აჯანყების შემთხვევაში დასახმარებლად

შეეგუებიან კეისრის გამოსახულებას წმინდა ქალაქში. პილატე იძულებული გახდა უკან დაეხია.

ამ გამოცდილების გამო პილატეს ეშინოდა ებრაელი ხალხის. გარდა ამისა, რომში მისი ზემდგომი ოფიცერი, სეჯანუსი, არ ენდობოდა პილატეს, იუდეველი ხალხის გაკონტროლების უნარს. როდესაც ლიდერები დაემუქრნენ, რომ უჩივლებდნენ კეისართან, თუ პილატე იესოს გაათავისუფლებდა, პილატემ „გადასცა იგი ჯვარზე საცმელად“ (იოანეს 19:16). პილატემ იესო სიკვდილით დასაჯა არა იმიტომ, რომ მას სჯეროდა, რომ იესო დამნაშავე იყო, არამედ საკუთარი სისუსტის გამო.

სასამართლოს მიმდინარეობისას პეტრე უარყოფს იესოს.

პასექის დროს იესომ გააფრთხილა პეტრე: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ, მამალი არ იყივლებს, სანამ სამჯერ არ უარყოფ“ (იოანეს 13:38). ახლა, იესოს სასამართლოს მიმდინარეობისას, პეტრემ სამჯერ უარყო იესო.

როდესაც ვკითხულობთ პეტრეს სამარცხვინო დაცემას, უნდა გვახსოვდეს, რომ პეტრე არ იყო ერთადერთი, ვინც იმ ღამეს იესო მიატოვა. სასამართლოს მხოლოდ პეტრე და იოანე ადევნებდნენ თვალს. სხვა მოწაფეები შიშისგან გაიქცნენ.

ცხადია, პეტრეს უყვარდა იესო. მაშ რატომ დაეცა? მანამდე ჩვენ შევისწავლეთ იესოს ცდუნება, რათა გვესწავლა როგორ გავუმკლავდეთ ცდუნებას. პეტრეს დაცემაში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ გაფრთხილებები, რომლებიც დაგვეხმარებიან ცდუნების დროს. სულ მცირე ორმა მახასიათებელმა შეუწყო ხელი პეტრეს დაცემას:

(1) ზედმეტი თავდაჯერებულობა

როდესაც იესომ გააფრთხილა სატანის თავდასხმის შესახებ, პეტრემ დაიკვებნა: „მოგკვდები შენთან ერთად და არ უარგოფ!“ (მათეს 26:33). როდესაც ზედმეტად თავდაჯერებულები გავხდებით, დაცემის საფრთხე გვემუქრება. ჩვენ ვცხოვრობთ გამარჯვებული ქრისტიანული ცხოვრებით მხოლოდ სულის ძალით. ზედმეტი თავდაჯერებულობა არის პირველი ნაბიჯი სულიერი მარცხისკენ.

(2) ულოცველობა

გეთსიმანიის ბაღში იესომ გააფრთხილა მოწაფეები: „ილოცეთ, რომ არ ჩაცვივდეთ განსაცდელში“ (ლუკას 22:40). იმის ნაცვლად, რომ ელოცა ძალისთვის განსაცდელის წინ, პეტრეს ეძინა.

ულოცველობა აუცილებლად იწვევს სულიერ მარცხს. შეუძლებელია შეინარჩუნო გამარჯვებული ქრისტიანული ცხოვრება ძლიერი ლოცვის გარეშე. სატანა ცდილობს ქრისტიანი მუშაკები ჩართოს ბევრ საქმიანობაში იქამდე, სანამ ლოცვისთვის დრო არ დაგვრჩება. მან იცის, რომ თუ ზედმეტად დაკავებულნი ვართ, რომ ვილოცოთ, მალე დავეცემით.

► გადახედეთ თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებას და მსახურებას. დაფიქრდით იმ ადგილებზე, სადაც ცდუნება გქონდათ, ან სადაც ცოტა დაგაკლდათ დაცემამდე. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი დაცემას? გქონდათ მსახურებაში წარმატებები, რამაც გამოიწვია ზედმეტი თავდაჯერებულობა? იყავით უჩვეულოდ დაკავებული და ვერ გაატარეთ საკმარისი დრო ლოცვაში? არსებობს თუ არა სხვა ფაქტორები, რომლებიც შეიძლება მომავალში გამაფრთხილებელ ნიშნად იქცეს?

სასამართლოს დროს იუდა თავს იკლავს

პეტრეს უარყოფის შესახებ შეტყობინებისთანავე, მათე მოგვითხრობს იუდას თვითმკვლელობის ამბავს. თავისი ღალატის შედეგების შემხედვარე იუდამ „ინანა და მღვდელმთავრებსა და უხუცესებს ოცდაათი ვერცხლი უკან მიუბრუნა. უთხრა: „შევცოდე, მართალი სისხლი რომ გავეცი“ (მათეს 27:3-4). იუდამ ვერცხლი ტაძარში დაყარა, გამოვიდა, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო (მათეს 27:5). იუდამ არჩია თვითმკვლელობა, მთელი ცხოვრების დანაშაულის გრძნობით გატარებას.

მათე თავის თხრობაში პეტრეს მონანიებას და იუდას სინანულს ერთმანეთის გვერდიგვერდ აყენებს. ორივე, პეტრეც და იუდაც, ნანობდნენ თავის ქმედებას. თუმცა იუდასთვის მათე იყენებს სიტყვას, რომელიც გამოხატავს აზრის შეცვლის იდეას და არა ჩვეულებრივ სიტყვას ჭეშმარიტი მონანიების გამოსახატად.⁵² ეს განსხვავება მნიშვნელოვანია ადამიანების პასუხის გასაგებად, ცოდვილობის გააზრების შესახებ.

პავლემ დაწერა სინანულსა (ცოდვის შედეგების გამო მწუხარება) და მონანიებას (მწუხარება ცოდვის გამო და მიმართულების შეცვლა) შორის განსხვავების შესახებ. მოციქულმა დაწერა: „ვინაიდან ღვთის გულისთვის დანაღვლიანება წარმოშობს მონანიებას გადასარჩენად, რაც არ გახდება სანანებელი, ხოლო ქვეყნიერების ნაღველი სიკვდილს წარმოშობს“ (2 კორინთელთა 7:10).

„ღვთის გულისთვის დანაღვლიანებას“ მოაქვს ჭეშმარიტი მონანიება, რომელიც ხსნისა და სიცოცხლისკენ გვიძღვება. „ამქვეყნიურ მწუხარებას“ მოაქვს სინდისის ქენჯნა, რაც იწვევს მხოლოდ დანაშაულის გრძნობას და სიკვდილს. ორივე, პეტრეც და იუდაც წუხდნენ, მაგრამ მხოლოდ პეტრემ მოინანია ჭეშმარიტად.

იუდამ დაინახა მისი ღალატის შედეგი და სიკვდილი არჩია სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობით სიცოცხლეს; მან სინანული იგრძნო, მაგრამ არ მოინანია. პეტრემ დაინახა მისი დაცემის შედეგი და აირჩია ჭეშმარიტი მონანიება. იუდას სინანულის შედეგი იყო სიკვდილი; პეტრეს მონანიების შედეგი იყო სიცოცხლე და ნაყოფიერი მსახურება.

⁵² მეტამელომაი მეტანოიას ნაცვლად

► გინახავთ ადამიანები, რომლებმაც სინანული გამოთქვეს ცოდვის გამო, მაგრამ სინამდვილეში არ მოინანიეს? რა შედეგი გამოიწვია ამან? ჩვენი ქადაგებისას როგორ შეგვიძლია მივიყვანოთ ხალხი ჭეშმარიტ მონანიებამდე?

ჯვარცმა

► წაიკითხეთ მათეს 27:27-54.

იუდეა მსახურებისთვის საშინელი ადგილი იყო რომაელი ჯარისკაცისთვის. ხალხს სძულდა რომაელი ჯარისკაცები და ზილოტები გეგმავდნენ მათ მკვლელობებს. პასექის დროს არმია მუდმივ მზადყოფნაში იყო არეულობების გამო. ჯარისკაცისთვის უარესი დავალება არ არსებობდა. როდესაც ებრაელ პატიმარს სიკვდილს უსჯიდნენ, ჯარისკაცები მასზე იყრიდნენ ჯავრებს.

იესოს მიმართ მოპყრობა - ცემა, დაცინვა, ეკლის გვირგვინი - გვიჩვენებს გულქვა ჯარისკაცების სისასტიკეს, რომლებსაც სძულდათ თავიანთი მსახურების ადგილი, ვისაც სძულდათ გარშემომყოფი ხალხი და ვინც სიამოვნებით სჯიდა ვინმეს, ვინც ვერ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას. იესომ გადაიტანა ეს ყველაფერი ჯარისკაცების მიმართ განრისხების გარეშე.

ბევრმა მწერალმა შეისწავლა ჯვარცმის ისტორია, იესოს მიერ ჯვრიდან გაკეთებული შვიდი მოწმობის მიხედვით. ადამიანის ბოლო სიტყვები აჩვენებს რა არის მნიშვნელოვანი ამ ადამიანისთვის. სიკვდილის პირისპირ რა თქვა იესომ?

მიტევების სიტყვები

როდესაც მათ ჯვარზე მიაღურსმეს, იესო ლოცულობდა: „მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკეთებენ” (ლუკას 23:34). ბოლოსაც, მან სიყვარული და პატიება აჩვენა.

ავაზაკს, რომელმაც სიკვდილი დაიმსახურა, იესომ აღუთქვა: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში” (ლუკას 23:43).

თანაგრძნობის სიტყვები

იესომ დაავალა იოანეს მის დედაზე ეზრუნა, როდესაც მან უთხრა: „დედაკაცო, აჰა, შენი ძე!” და იოანეს: „აჰა, დედაშენი!” (იოანეს 19:26-27). მანამდე იესომ ასწავლა, რომ ყველაზე ღრმა ოჯახური კავშირები სულიერია. ”აჰა, დედაჩემი და ჩემი ძმები. რადგან, ვინც ჩემი ზეციერი მამის ნებასურვილს შეასრულებს, ისაა ჩემი ძმაც, დაც და დედაც” (მათეს 12:49-50).

მისი გარდაცვალების დროს იესოს ნახევარძმები ურწმუნოები იყვნენ; ისინი არ იყვნენ მისი სულიერი ოჯახის ნაწილი. ასე რომ, იესომ დედამისი თავის სულიერ ძმას, მის საყვარელ მოწაფეს - იოანეს ჩააბარა მზრუნველობისთვის.

ფიზიკური ტანჯვის სიტყვები

ღვთის მედ ყოფნა არ ათავისუფლებდა იესოს ჯვრის ფიზიკური ტანჯვისგან. მან განიცადა მსჯავრდებული დამნაშავის ყველა ფიზიკური ტანჯვა. რამდენიმე საათის განმავლობაში წყლის გარეშე, სასტიკ სიცხეში დატოვებულმა იესომ წამოიძახა: „მწყურია.“ (იოანეს 19:28).

სულიერი ტანჯვის სიტყვები

მათემ და მარკოზმა გადმოგვცეს მხოლოდ ერთი გამონათქვამი, მაგრამ ეს იყო ალბათ ყველაზე სულის შემძვრელი სიტყვები ჯვრიდან: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე?“ (მათეს 27:46; მარკოზის 15:34).

სინამდვილეში, იესოს უდიდესი ტანჯვა მამასთან განშორება იყო. მამა და მე მარადიულად ცხოვრობდნენ, უწყვეტ ურთიერთობაში. ახლა, რადგან მან აიღო ჩვენი ცოდვა, იესო განშორდა მამას.

ჯვარზე, ღმერთმა „ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახდა ცოდვად ჩვენს გამო, რათა გავხდეთ ღვთის სამართლიანობა მასში“ (2 კორინთელთა 5:21). ესაიას 53 – ე თავში წინასწარმეტყველმა დაამოწმა „ტანჯულ მონაზე“, რომელიც იტვირთავს ჩვენს ცოდვებს (ესაიას 53:4-12). პავლე გვიჩვენებს, რომ ჩანაცვლებითი გამოსყიდვა აღსრულდა ჯვარზე.

იესო გახდა ცოდვად ჩვენს გამო „რათა მასში ჩვენ გავმხდარიყავით ღვთის სამართლიანობად.“ ჩვენ აღარ ვცხოვრობთ ცოდვის ტყვეობაში; ქრისტეს სიკვდილით ჩვენ გავმართლდით. პავლე უბრალოდ არ ამბობს, რომ მასში ჩვენ მართლებად ვიწოდებით. უფრო მეტიც, „მასში ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ ღვთის სამართლიანობად.“ ქრისტეს მიერ, ჯვარზე შესრულებული სამუშაოს შედეგად, ხდება რეალური ტრანსფორმაცია. ქრისტე გახდა ცოდვა, რათა ჩვენ გავმხდარიყავით მართალნი.

მორჩილების სიტყვები

„მამაო, შენს ხელთ გაბარებ ჩემს სულს!“ (ლუკას 23:46). მთელი თავისი ცხოვრება, იესო მამასადმი ერთგულ მორჩილებაში ცხოვრობდა. ჯვრის პირისპირ, ის ლოცულობდა: „არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ“ (მათეს 26:39). ახლა მან გააკეთა ეს საბოლოო დამოწმება მამის ნებისადმი მორჩილების შესახებ.

ტრიუმფის სიტყვები

„აღსრულდა!“ (იოანეს 19:30). გამარჯვების ამ შემახილით, იესომ გამოაცხადა, რომ მან აღასრულა ის საქმე, რომლის შესასრულებლადაც მამამ გამოგზავნა. ცოდვისთვის სასჯელი გადახდილია; სატანა დამარცხდა. გამოსყიდვა, რომელიც ძველი აღთქმის კრავების მიერ იყო ნაწინასწარმეტყველები და დაპირებული ესაიას 53 – ე თავში, აღსრულდა.

დაკრძალვა

► წაიკითხეთ მათეს 27:57-61.

პავლე, კორინთოში გაგზავნილ შეტყობინებაში ქადაგებდა, რომ იესო „ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის“ და „რომ ის დამარხულ იქნა“ (1 კორინთელთა 15:3-4). პავლესა და ადრეული ეკლესიისათვის დაკრძალვა მნიშვნელოვანი იყო.

დღეს, ვნების კვირის მრავალი რიტუალის აღნიშვნა გადანაწილებულია დიდ პარასკევსა და აღდგომის კვირას შორის. მაგრამ ეკლესიის ისტორიის დიდი დროის განმავლობაში "წმიდა შაბათი" მიიჩნეოდა აღდგომის ღამისთვის მნიშვნელოვან ნაწილად. რა მნიშვნელობა აქვს დაკრძალვას?⁵³

ისტორიული მნიშვნელობა

დაკრძალვა აჩვენებს, რომ იესო ნამდვილად მკვდარი იყო. ისლამური მტკიცებების საპირისპიროდ, რომ იესო იყო „გონება დაკარგული“, და შემდეგ, მოგვიანებით გაიღვიძა. დაკრძალვა აჩვენებს, რომ ის ნამდვილად მკვდარი იყო. რომაელებმა კარგად იცოდნენ, როგორ მოეკლათ სიკვდილმისჯილი პატიმარი. არ იყო იმის შანსი, რომ ისინი ჯვრიდან ჩამოხსნიდნენ ვინმეს მის სიკვდილამდე.

გარდა ამისა, მძიმე ქვა და მცველები გარანტია იყო, რომ საფლავიდან ვერავინ გაექცეოდათ. მაშინაც კი, თუ რომაელმა ჯარისკაცებმა შეცდომით დამარხეს იესო გარდაცვალებამდე, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ადამიანს, რომელიც საათობით იტანჯებოდა ჯვარზე, შეეძლო გახსნილიყო სუდარისგან, გადაეგდო მძიმე ქვა და დაემარცხებინა პროფესიონალი მცველების რაზმი. დაკრძალვა ადასტურებს ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ იესო ნაზარეველი მკვდარი იყო.

წინასწარმეტყველური მნიშვნელობა

დასაკლავად წაყვანილი კრავის შესახებ დაწერით, ესაიამ იწინასწარმეტყველა: „ბოროტმოქმედებთან მიეცა საფლავი, მაგრამ მდიდრებთან იყო თავის სიკვდილში“ (ესაიას 53:9). იესოს დაკრძალვამ შეასრულა მესიანური წინასწარმეტყველება.

იესოს სიკვდილის შემდეგ, იოსებ არიმათიელი პილატესთან მივიდა, იესოს გვამის გამოსათხოვად. იოსები იყო სინედრიონის წევრი, მაგრამ ის არ ეთანხმებოდა იესოს დადანაშაულებას. მას შემდეგაც კი, რაც ლიდერების უმეტესობა იესოს წინააღმდეგ გამოვიდა, ზოგიერთები „მოელოდნენ ღვთის სასუფეველს.“ იოსები იყო ერთ -ერთი

⁵³ ადაპტირებული James Boice, "The Burial of Jesus." წვდომა <http://www.alliancenet.org/tab/the-burial-of-jesus-christ-part-one> 22 მარტს, 2021

ასეთი საიდუმლო მოწაფე. მან და ნიკოდემოსმა იესოს ცხედარი დაკრძალეს იოსების ახალ სამარხში (მათეს 27:57-60; მარკოზის 15:42-46; ლუკას 23:50-54; იოანეს 19:38-42).

დაფიქრდით რა გამბედაობა დასჭირდა ამას. მას შემდეგ, რაც მოწაფეებმაც კი მიატოვეს იესო, იოსებმა გადადგა ნაბიჯი, რომელიც აკავშირებდა მას სიკვდილმისჯილ დამნაშავესთან. ამ გაცხადებულმა მდგომარეობამ საფრთხე შეუქმნა იოსების პოზიციას სინედრიონში და მის პოზიციას საზოგადოებაში. სავარაუდოდ მან დაკარგა თანამდებობა სინედრიონში, იესოსთან მისი საჯაროდ დაკავშირებისთვის.

გარდა ამისა, იოსებმა გარისკა განერისხებინა პილატე. რომაელი ჩინოვნიკები იშვიათად აძლევდნენ ნებას მეგობრებს ან ნათესავებს, დაეკრძალათ ჯვარცმის მსჯავრდებულთა ცხედრები. ცხედრები საზოგადოების თვალწინ რჩებოდა, როგორც გაფრთხილება სხვა დამნაშავეებისთვის. პილატეს ნებართვა არის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ მან იცოდა იესოს, ყველა ბრალდებაში, უდანაშაულოების შესახებ.

თეოლოგიური მნიშვნელობა

პავლემ ჩვენი ნათლობა გააიგივა იესოს დაკრძალვასთან:

ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ მასთან ერთად სიკვდილში ნათლისღებით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით (რომაელთა 6:3-4).

დაკრძალვა იყო იესოს სიკვდილის საჯარო დადასტურება. ანალოგიურად, ნათლობა არის საჯარო ჩვენება ჩვენი მონაწილეობის შესახებ იესოს სიკვდილში. ნათლობისას ჩვენ ვცხადდებით მკვდრებად, ჩვენი ძველი ცხოვრების წესისთვის.

დაკრძალვა არის საბოლოო ნაბიჯი, ადამიანის გარდაცვალების აღიარებაში. დასავლეთში მგლოვიარეები მიწას აყრიან ჩასვენებულ კუბოს, რათა აღიარონ ამ

„ქრისტესთან შეერთების შემდეგ, ცოდვასთან დაბრუნება, მკვდარი სხეულის ამოთხრას ჰგავს“.

- ჯეიმს ბოისი

დედამიწაზე „დამშვიდობების“ საბოლოოობა. პავლე ხაზს უსვამს, ცოდვისთვის ჩვენი სიკვდილის დასრულებულობას. როგორც ქრისტე მოკვდა, ჩვენც მკვდრები ვართ ცოდვისთვის. ქრისტესთან ერთად დაკრძალვის შემდეგ, ცოდვაში დაბრუნება, ჰგავს გვამის ამოთხრას. ჩვენ ქრისტესთან ერთად ვართ დამარხულნი; ჩვენ ცოდვისთვის აღარ ვცოცხლობთ.

აღდგომა

პავლე კორინთოში ჯვრის შესახებ ქადაგებდა; ქრისტე მოკვდა და დამარხულ იქნა ჩვენი ცოდვებისთვის. შემდეგ, პავლე ქადაგებს აღდგომის შესახებ; ქრისტე აღდგა მესამე დღეს

და გამოეცხადა მრავალ მოწმეს (1 კორინთელთა 15:3-8). აღდგომას უკავია ცენტრალური როლი ქრისტიანულ რწმენაში.

► წაიკითხეთ მათეს 27:62-28:15.

მათეს 27:62-66 არის ჩემი ერთ-ერთი საყვარელი სცენა აღდგომის ისტორიაში. მანამდე, როდესაც რელიგიურმა წინამძღოლებმა პილატეს სთხოვეს შეეცვალა წარწერა ჯვარზე, მან უარი თქვა. მან ჯვარს აცვა იესო იმ წარწერის ქვეშ, სადაც ნათქვამი იყო: „იესო ნაზარეტელი, იუდეველთა მეფე“ (იოანეს 19:19). ამ ტიტულის გამოყენებით მსჯავრდებულისთვის, პილატე დასცინოდა იუდეველებს, რადგან გაბრაზებული იყო მათზე.

ჯვარცმის შემდეგ, რელიგიური წინამძღოლები კვლავ მივიდნენ პილატესთან და ითხოვეს რომელიმე მცველები, საფლავის დასაცავად.

ბატონო, გაგვახსენდა, რომ იმ მატყუარამ, სანამ ცოცხალი იყო, თქვა: სამი დღის შემდეგ აღვდგებიო. ამიტომ უბრძანე, მესამე დღემდე უყარაულონ სამარხს, რომ არ მოვიდნენ მოწაფეები, არ მოიპარონ იგი და ხალხს არ უთხრან: მკვდრეთით აღდგაო. უკანასკნელი ტყუილი პირველზე უარესი იქნება (მათეს სახარება 27:63-64).

ჩარლზ სპერჯენმა თქვა, რომ პილატე კვლავ დასცინოდა ებრაელ ლიდერებს, როდესაც მან უპასუხა: „თქვენ გყავთ დაცვა. წადით და უსაფრთხო ჰყავით, როგორც იცით.’ *მაგრამ თუ ის ნამდვილად ის არის, ვინც თქვა, რომ არის, ვერაფერს გააკეთებთ, რომ ის სამარხში დააკავოთ!*“

მართლა ეშინოდათ ლიდერებს, რომ მოწაფეები გვამს მოიპარავდნენ? ალბათ არა. მათ დაინახეს, რომ მოწაფეები შეშინებულები გაიქცნენ; მათ იცოდნენ, რომ მოწაფეებს არ ჰქონდათ გამბედაობა გვამის მოსაპარად. თუკი მათ ამის შიში ჰქონდათ, სინედრიონს შეეძლო წამყვანი მოწაფეების დაპატიმრების ბრძანება გაეცა. მოწაფეები არ წარმოადგენდნენ საფრთხეს.

მაშ, რატომ მოითხოვეს მათ ეს დაცვა? იესომ იწინასწარმეტყველა, რომ ის მკვდრეთით აღდგებოდა. მათ დაინახეს მისი ძალა სიკვდილზე, როდესაც მან ლაზარე აღადგინა მკვდრეთით. შესაძლებელია თუ არა, ებრაელ ლიდერებს შეშინებოდათ, რომ იესო შეასრულებდა იმას, რასაც შეპირდა, რომ გააკეთებდა?

პილატეს ნებართვით, მათ დალუქეს საფლავი და განათავსეს მცველები, შემდგარი იმ ხალხისგან, რომელმაც იესო შეიპყრა ბაღში. უეცრად:

მოხდა დიდი მიწისძვრა. უფლის ანგელოზი ჩამოვიდა ციდან, მივიდა, ლოდი გადააგორა და ზედ დაჯდა. მისი შესახედაობა ელვასავით იყო და მისი ტანისამოსი

- თოვლივით სპეტაკი. მისი შიშით შედრკნენ მცველები და მკვდრებით გახდნენ (მათეს სახარება 28:2-4).

იესო აღდგა!

► წაიკითხეთ იოანეს 20:1-29.

სახარებებში აღწერილია მკვდრეთით აღდგარი იესოს მრავალი გამოჩენა. ის ბევრ ადამიანს ეჩვენა, ბევრ სხვადასხვა ადგილას.

სკეპტიკოსებს ზოგჯერ მოაქვთ არგუმენტად: „სამარხთან მყოფი ქალები ჰალუცინაციებს განიცდიდნენ. მათ დაინახეს ის, რასაც ელოდნენ და სურდათ, რომ ეხილათ.” თუმცა, ეს მოწმეები არ ელოდნენ იესოს ცოცხლად დანახვას; მათ იცოდნენ, რომ ის მკვდარი იყო. ისინი ჯერ კიდევ ვერ იგებდნენ, მისი აღდგომის შესახებ წინასწარმეტყველებებს (იოანეს 20:9). მაშინაც კი, როდესაც პირველმა მოწმეებმა თქვეს, რომ მათ იესო იხილეს, დანარჩენ მოწაფეებს ეჭვი ეპარებოდათ (მარკოზის 16:13). ისინი არ ელოდნენ, რომ იესო მკვდრეთით აღდგებოდა.

თანდათანობით, მარიამ მაგდალინელისთვის ჩვენების გზით, (იოანეს 20:11-18). ორმა მოწაფემ, ემაუსის გზაზე, (ლუკას 24:13-32). თორმეტმა, (იოანეს 20:19-31). და კიდევ, ხუთასკაციანმა ჯგუფმა, (1 კორინთელთა 15:6). იესოს მიმდევრებმა გააცნობიერეს, რომ ის ნამდვილად აღდგა. ადრეულმა ეკლესიამ დაიწყო თაყვანისცემა ამ სიტყვებით: „ის აღდგა. ის ნამდვილად აღდგა!”

„პილატეს დავალებული: „წადით და უსაფრთხო ჰყავით, როგორც იცით.” მან მალევე შეიტყო, რომ ვერცერთი მიწიერი მმართველი ვერ გადალახავს იესოს აღდგომის ძალას. ის აღდგა. ის ნამდვილად აღდგა!

გამოყენება: მსახურება ჯვრის ძალასა და აღდგომაში

ბევრი ლიბერალი ღვთისმეტყველი ცდილობდა აღდგომა წარმოეჩინათ მითად. თუმცა, მოციქულთა რწმენა არ ემყარებოდა „მშვენიერ ისტორიას, იესოს ცხოვრების მუდმივი გავლენის შესახებ“, არამედ მისი სიკვდილისა და აღდგომის უტყუარ ფაქტებს. მოციქულებმა იცოდნენ, რომ იესო მოკვდა და რომ შემდეგ ის მკვდრეთით აღდგა. ამან მათ გაბედულება მისცა დევნის და სიკვდილის წინაშეც კი. დღეს, რას ლაპარაკობს იესოს სიკვდილი და აღდგომა მსახურების შესახებ?

მსახურება ჯვრის ძალაში

► წაიკითხეთ 1 კორინთელთა 1:17-2:5.

მეორე მისიონერული მოგზაურობისას, პავლე კორინთოში გაემგზავრა ათენიდან, სადაც მან არეოპაგში იქადაგა. როგორც ჩანს, პავლემ ათენში მსახურებიდან მხოლოდ შეზღუდული შედეგები დაინახა (საქმეების 17:16-34). მას ათენში არ დაუარსებია ეკლესია,

ამასთან ფილოსოფიურად მოაზროვნე ათენელები დასცინოდნენ მის გზავნილს აღდგომის შესახებ. ათენიდან პავლემ სამოცდათხუთმეტი კილომეტრი გაიარა დასავლეთით, კორინთომდე, აქაიას პროვინციის ყველაზე გავლენიან ქალაქამდე.

პავლე ჩავიდა კორინთოში წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ სამ ქალაქში: თესალონიკეში, ბერეასა და ათენში. ალბათ ამიტომაც თქვა მან: „ვიყავი თქვენთან უძლურებაში, შიშში და დიდ ძრწოლაში.“ მიუხედავად იმისა, რომ ბერძენი აუდიტორია ეძებდა მქვერმეტყველებას და ინტელექტუალურ ბრწყინვალეობას, პავლემ გადაწყვიტა მხოლოდ ჯვრის შესახებ ქადაგება. ძალა მის გზავნილში მოდიოდა არა მისი მქვერმეტყველებადან, არამედ თვით ჯვრიდან. პავლე ქადაგებდა „არა ბრძნული სიტყვებით, რათა არ გაუქმებულიყო ქრისტეს ჯვარი.“

კორინთელებს პავლემ უთხრა: „გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენს შორის, გარდა იესო ქრისტესი, და ისიც ჯვარცმულისა.“ პავლემ იცოდა, რომ უწყება ჯვრის შესახებ, ბევრს შეურაცხყოფდა.

იუდეველნი მოითხოვენ სასწაულებს და ბერძნები სიბრძნეს ეძებენ, ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს და ბერძენთათვის - უგუნურებას.

ეს გზავნილი იყო „დაბრკოლების ლოდი“ და „შერცხვენა“ ებრაელებისთვის. ისინი ეძებდნენ „ნიშნებს“ მესიის ვინაობის დასადასტურებლად. მათ გონებაში, აზრი, რომ ჯვარცმული ადამიანი შეიძლება იყოს რჩეული მესია, აბსურდული იყო. რჯულში ნათქვამია: „ღვთისგან არის დაწყევლილი ძელზე ჩამოკიდებული“ (მეორე რჯულის 21:23). იმის მტკიცება, რომ ჯვარცმული იესო იყო მესია, ებრაელი აუდიტორიისთვის შეურაცხმყოფელი იყო.

გზავნილი ჯვრის შესახებ „სისულელე იყო წარმართებისთვის.“ ბერძნები პატივს სცემდნენ მოწამის კეთილშობილურ სიკვდილს. თუ იესო რომაელებთან ბრძოლაში დაიღუპებოდა, ბერძენი მოაზროვნეები მას პატივს მიაგებდნენ მამაცობისათვის. მაგრამ ჯვარცმამ შეურაცხყო მსხვერპლი; ეს არ იყო კეთილშობილური სიკვდილი. ჯვარცმის მსხვერპლებს ჩვეულებრივ უარს ეუბნებოდნენ სათანადო დაკრძალვაზე. გვამებს ხშირად ჭამდნენ ფრინველები ან ვირთხები, ხოლო ძვლებს ყრიდნენ საერთო ორმოში. იმის მტკიცება, რომ ჯვარცმული ებრაელი გლეხი, იყო „უფალი“, აბსურდული იყო წარმართული აუდიტორიისათვის.

ჯვარი იყო „შეურაცხყოფა“ ებრაელებისთვის და „უგუნურება“ წარმართებისთვის, მაგრამ პავლე უყოყმანოდ ქადაგებდა გზავნილს ჯვრის შესახებ. პავლეს მაგალითი ჩვენთვის ნიმუშია. დღესაც, ისევე როგორც პირველ საუკუნეში, ჯვარი ზოგს შეურაცხყოფს და ზოგს სისულელედ მოეჩვენება, მაგრამ ეს ის გზავნილია, რომელიც ჩვენ უნდა ვიქადაგოთ.

ჩვენი, როგორც მსახურების და ეკლესიის წინამძღოლების გაბედულება არ მოდის ჩვენი

შესაძლებლობებიდან; ჩვენი გაბედულება ემყარება ჯვრის შესახებ გზავნილს. პავლეს ჰქონდა შესანიშნავი განათლება, ბრწყინვალე გონება და შეეძლო შეკამათებოდა თავისი დროის უდიდეს ინტელექტუალებს. მაგრამ მისი საბოლოო ნდობა ჯვარზე იყო. როდესაც ჩვენ ვიპყრობთ ადამიანებს მხოლოდ არგუმენტების დახმარებით, მათ რწმენას შეუძლია „დაეყრდნოს ადამიანთა სიბრძნეს“; მაგრამ როდესაც ჩვენ მათ ჯვარზე მივუთითებთ, მათი რწმენა ემყარება „ღვთის ძალას.“

მსახურება აღდგომის ძალით

► წაიკითხეთ საქმეების 2:22-36.

საქმეების წიგნი გვიჩვენებს, რომ აღდგომა იყო ადრეული ქრისტიანული ქადაგების მთავარი თემა. სულთმოფენობის დღეს პეტრემ აღდგომა აღნიშნა, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ იესომ შეასრულა წინასწარმეტყველთა დაპირებები.

აგრიპას წინაშე თავის დაცვისას, პავლემ თქვა, რომ ის იდგა განსაკითხავად „აღთქმის იმედის გამო, რომელიც ღმერთმა მისცა ჩვენს მამებს, რომლის მიღწევის იმედი აქვს ჩვენს თორმეტ ტომს.“ რა იყო ეს აღთქმა? აღდგომა. „დაუჯერებელი რატომ გგონია, რომ ღმერთი მკვდრებს აღადგენს?“ (საქმეების 26:6-8).

► წაიკითხეთ 1 კორინთელთა 15:12-34.

კორინთელთა მიმართ პირველ წერილში, პავლე გვაჩვენებს, რომ მისი მსახურება დაფუძნებულია არა მხოლოდ ჯვრის ძალაზე, არამედ აღდგომის ძალაზე. პავლე ამტკიცებს, რომ აღდგომის გარეშე, მისი მსახურება უმიზნოა. „ქრისტე თუ არ აღმდგარა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია თქვენი რწმენაც.“ აღდგომის გარეშე იესოც, იგივე ცრუ მესიაა. აღდგომის გარეშე, იესო შეიძლება იყოს ტრაგიკულად წამებული, მაგრამ ის არ არის აღთქმული მესია.

აღდგომა არის ჩვენი ქრისტიანული რწმენის საფუძველი. „თუ ქრისტე არ აღდგა, თქვენი რწმენა ფუჭია და კვლავ თქვენს ცოდვებში ხართ.“ ჯვარზე ქრისტემ უზრუნველყო ჩვენი ცოდვების გამოსყიდვა, მაგრამ იყო აღდგომაც, რომელმაც დაამტკიცა ქრისტეს ძალა სიკვდილზე და ცოდვაზე. თუ აღდგომა არ არის, ამბობს პავლე, თქვენი რწმენა ფუჭია და თქვენ კვლავ თქვენი ცოდვების ტყვეობაში ხართ.

აღდგომა არის ჩვენი ქრისტიანული იმედის საფუძველი. „ვინაიდან, როგორც კაცის მიერ მოვიდა სიკვდილი, ასევე კაცის მიერ - მკვდრეთით აღდგომა. ვინაიდან, როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე გაცოცხლდებიან ქრისტეში.“ პავლე არწმუნებდა კორინთელებს, რათა მათ ჰქონოდათ აღდგომის იმედი, რადგან ქრისტე აღდგა მკვდრეთით.

მეორე საუკუნეში ბერძენმა მწერალმა ლუციანემ დასცინა ქრისტიანებს აღდგომის რწმენის გამო. მან თქვა: „საცოდავი უიღბლოები დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი სამუდამოდ იცოცხლებენ. ამის გამო, ისინი უგულებელყოფენ სიკვდილს და მზად არიან

სიცოცხლე გაიღონ რწმენისთვის.” ლუციანე დასცინოდა ქრისტიანებს, მაგრამ მისი სიტყვები სიმართლეა. როგორც ლუციანემ თქვა, მეორე საუკუნის ქრისტიანებს სწამდათ, რომ ისინი სამუდამოდ იცოცხლებდნენ. ამ რწმენის გამო, ისინი მზად იყვნენ მომკვდარიყვნენ რწმენისთვის.

ეს ჩვენთვის დღესაც ასე უნდა იყოს. თუ ჩვენ ნამდვილად გვწამს, რომ ქრისტე აღდგა მკვდრეთით, ეს უნდა გვადლევედეს გაბედულებას დევნის და სიკვდილის წინაშე კი. აღდგომა არის ჩვენი ქრისტიანული იმედის საფუძველი.

აღდგომა არის ჩვენი ქრისტიანული ცხოვრების საფუძველი. პავლე აღდგომის შესახებ სწავლებას პრაქტიკაში იყენებს საოცარი გზით. „თუ მკვდრები არ აღდგებიან, „ვჭამოთ და ვსვათ, რადგან ხვალ დავიხოცებით.“... გამოფხიზლდით ჯეროვნად და ნუ სცოდავთ” (1 კორინთელთა 15:32-34). პავლეს თქმით, აღდგომა გვადლევეს მნიშვნელოვან მიზეზს ღვთისმოსავი ცხოვრებისთვის. თუ აღდგომა არ არის, ჩვენ შეიძლება ვიცხოვროთ ეპიკურიელების მსგავსად, რომლებიც ამბობდნენ: „ჭამეთ და სვით, რადგან მალე მოვკვდებით.” არ არსებობს მიზეზი იმისა, რომ ვიცხოვროთ მარადისობისთვის, თუ არ არსებობს აღდგომა. მაგრამ, პავლე აგრძელებს, რადგან აღდგომაა, გამოფხიზლდი და იცხოვრე ცოდვის გარეშე. ცოდვაზე გამარჯვება შთაგონებულია აღდგომისადმი ჩვენი ნდობით.

აღდგომის ამბავმა მსჯავრი უნდა დაგვდოს, მსახურების გამოწვევების წინაშე ჩვენი რწმენის ნაკლებობის გამო. რამდენჯერ გვაქვს მოლოდინი, რომ ჩვენი ლოცვები უპასუხოდ დარჩება? რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ გვავიწყდება აღდგომის ძალა! რამდენჯერ ვხვდებით ცდუნებებს და გამარჯვების არ გვჯერა? რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ გვავიწყდება პავლეს დაპირება: „ხოლო თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, მაშინ ის, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით, თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრებული” (რომაელთა 8:11).

თუ ქრისტე ცხოვრობს ჩვენში, ჩვენ აღარ ვცხოვრობთ ხორციელად; ჩვენ აღარ ვართ ცოდვის ტყვეები. ეს არის სიცოცხლე აღდგომის ძალით. ძალა, რომელმაც იესო საფლავიდან აღადგინა, გვადლევეს ყოველდღიურ გამარჯვებას ცოდვაზე. აი რას ნიშნავს ცხოვრება და მსახურება აღდგომის ძალით.

დასკვნა: ქრისტეს მსგავსი ცხოვრების და მსახურების ნიშნები

ჰგავს თქვენი ცხოვრება ქრისტესას?

ლუკა წერდა: „პირველად ანტიოქიაში ეწოდათ მოწაფეებს ქრისტიანები” (საქმეების 11:26). როდესაც ხალხი აკვირდებოდა ანტიოქიაში მორწმუნეებს, მათ თქვეს: „ეს ადამიანები იქცევიან როგორც ქრისტე. ჩვენ მათ უნდა ვუწოდოთ 'ქრისტიანები.'” ამ მუხლის კითხვისას მე ხშირად ვეკითხები ჩემს თავს: „შეუძლიათ თუ არა ჩემს მეზობლებს სახელი ქრისტიანი შენიშნონ ჩემს საქციელზე, სიტყვებსა და დამოკიდებულებებზე

დაკვირვებით? ვიქცევი ქრისტეს მსგავსად?” ანტიოქიელი მორწმუნეები ცხოვრობდნენ ისე, რომ ასახავდნენ იესო ქრისტეს ბუნებას; ისინი იყვნენ ქრისტიანები.

პასტორობის მრავალი წლის შემდეგ, დოქტორი ჰ.ბ. ლონდონი ახლა მსახურობს ახალგაზრდა პასტორების მენტორად. მან გააფრთხილა იმ სულიერი საფრთხეების შესახებ, რომელთა წინაშეც დგანან პასტორები. „თქვენ შეიძლება იყოთ წმიდა ნივთებთან, წმიდად ყოფნის გარეშე. შესაძლებელია ქადაგებდეთ პატიების შესახებ და არ პატიობდეთ. მსახურებმა შეიძლება იმდენი ძალისხმევა ჩადონ მსახურებაში, რომ ყურადღება არ მიაქციონ თავის სულიერ ჯანმრთელობას.”⁵⁴ შესაძლებელია სხვებს უქადაგო და თვითონ დარჩე უღირსი (1 კორინთელთა 9:27).

დოქტორმა ლონდონმა შემოგვთავაზა რამოდენიმე პრაქტიკული რჩევა, რომელიც დაეხმარება პასტორებს თავიდან აიცილონ სულიერი უკმარისობა სხვების წინამძღოლობისას. ეს ის სფეროებია, რომლებიც დაგვეხმარება შევინარჩუნოთ ქრისტეს მსგავსი ცხოვრება. მან დაწერა:

- **იცხოვრეთ იმით, რასაც ქადაგებთ.** არასოდეს უქადაგოთ სხვებს ის, რაც თვითონ არ გამოგიყენებიათ თქვენს ცხოვრებაში.
- **იზრუნეთ თქვენს პიროვნებაზე (მშვიინვაზე).** ზოგიერთი ექიმი თვითონ არ არის ჯანმრთელი. ისინი ზრუნავენ სხვებზე, მაგრამ უგულებელყოფენ საკუთარ ჯანმრთელობას. ზოგიერთი პასტორი სულიერად არ არის ჯანმრთელი. როგორც პასტორმა, დრო დაუთმეთ თქვენს სულიერ კეთილდღეობაზე ზრუნვას.
- **იყავით თავმდაბლები.** გახსოვდეთ, რომ პასტორი არის მწყემსი და არა ბანკის პრეზიდენტი. იყავი მსახური.
- **დაძლიეთ იმედგაცრუებები.** თქვენ იმედგაცრუებები გექნებათ მსახურებაში. ვინმე, ვისაც თქვენ მოძღვრავთ, შეცდება. ახლო მეგობარი თქვენს წინააღმდეგ გამოვა. ეკლესიის წევრები უარგყოფენ. არ მისცე იმედგაცრუებას ნება, დაგაკარგვინოს იმედი. იუდამ უღალატა იესოს. დემასმა მიატოვა პავლე. ცრემლების მიღმა გააგრძელე ზრდა და გააგრძელე სამწყსოს მწყემსვა.

თქვენი მსახურება ჰგავს ქრისტესას?

იესოს ცხოვრებისა და მსახურების ამ გაკვეთილებზე ჩვენ ვნახეთ იესოს მსახურების მრავალი მახასიათებელი. ეს მახასიათებლები ჩანს თქვენს მსახურებაში?

აქ არის რამოდენიმე კითხვა, რომელიც უნდა დასვათ თქვენი მსახურების შესაფასებლად:

⁵⁴ H. B. London, *They Call Me Pastor* (Grand Rapids: Baker Books, 2000), 145

- იღებენ ცოდვილები გადარჩენას? როდესაც იესო ქადაგებდა, ადამიანები იღებდნენ ახალ სიცოცხლეს. მიგყავთ ხალხი ხელახალ (ზეციდან) შობამდე?
- მორწმუნეები სულით ივსებიან? იესო დაგვპირდა, რომ „გამოგზავნიდა სულს“ თავისი შვილებისთვის. სრულდება თუ არა ეს დაპირება მათ შორის, ვისაც თქვენ ემსახურებით?
- დამარცხებულია სატანა? ირღვევა სატანის სიმაგრეები? იესოს მსახურება გამოირჩეოდა სულიერი ძალაუფლებით.
- გატანჯული ადამიანები შვებას იღებენ? დანგრეული ოჯახები შერიგებას პოულობენ? დამსხვრეული ცხოვრება მთლიანდება? ხდება გაწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა? იესომ განკურნა ისინი, ვინც მიიღო ფიზიკური, ემოციური და სულიერი ჭრილობები.
- ხედავენ ადამიანები მადლს და ჭეშმარიტებას? ხალხს იესოსკენ ვიზიდავთ თუ ვდევნი მათ იესოსგან? იესო ქადაგებდა ჭეშმარიტებას დარწმუნებით და მადლით.

► ამ კითხვებზე მსჯელობისას მოძებნეთ ის სფეროები, სადაც თქვენი მსახურება შეიძლება გაიზარდოს ქრისტეს მსგავსებაში. გახსოვდეთ, რომ ყველა მსახურს აქვს ზრდის მიმართულება, ამიტომ მიიღეთ ეს სია, როგორც გამოწვევა ზრდისთვის და არა საკუთარი თავის დადანაშაულების საშუალებად.

გაკვეთილი 8 დავალებები

(1) მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი, ჯვრიდან შვიდ გამონათქვამზე. ხაზი გაუსვით იესოს ამ სიტყვების მნიშვნელობას დღევანდელი ქრისტიანებისთვის.

(2) მოამზადეთ ქადაგება ან ბიბლიური გაკვეთილი აღდგომის მნიშვნელობის შესახებ ყოველდღიური ქრისტიანული ცხოვრებისათვის. გამოიყენეთ როგორც აღდგომის ამბავი სახარებიდან, ასევე პავლეს სიტყვები 1 კორინთელთა 15:15-17-დან, თქვენს ამ მომზადებაში.

გაკვეთილი 9

მემკვიდრეობის დატოვება

გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- (1) გაიაზროს იესოს საბოლოო მემკვიდრეობა მისი მოწაფეებისა და ეკლესიისთვის.
- (2) დააფასოს მისი მნიშვნელობა იესოს მემკვიდრეობაში.
- (3) გააცნობიეროს, მისი მოწაფეების მეშვეობით, იესოს მსახურების გაგრძელებული გავლენა, საქმეებში.
- (4) შეიმუშავოს პრაქტიკული ნაბიჯები, თავის მსახურებაში მემკვიდრეობის დასატოვებლად.

მსახურების პრინციპი

ჩვენი მსახურების გამოცდა მდგომარეობს იმაში, თუ რას დავტოვებთ ჩვენი წასვლის შემდეგ.

შესავალი

ტიმი უახლოვდებოდა პენსიაზე გასასვლელ ასაკს, პატივდებულ პასტორად მუშაობის მრავალი წლის შემდეგ. მე მას ვკითხე: „როგორ ამზადებთ ეკლესიას თქვენი პენსიაზე გასვლისთვის? როგორია ეკლესიის ხედვა მომდევნო ათი წლის განმავლობაში?“ მისმა პასუხმა გამაოგნა. „მე აღარ ვიქნები აქ, ამიტომ არ მაინტერესებს რა მოხდება ჩემი წასვლის შემდეგ.“ ამ პასტორს არ ესმოდა მსახურებისთვის მნიშვნელოვანი პრინციპი: ჩვენი მსახურების საბოლოო გამოცდა არის იმაში, თუ რა მოხდება ჩვენი წასვლის შემდეგ.

შეადარეთ ეს პასტორი პიტს. პიტი მოულოდნელად გარდაიცვალა ოცდახუთი წლის მსახურების შემდეგ. ამ წლების განმავლობაში პიტი უძღვებოდა რამდენიმე მსახურებას, თავის ადგილობრივ ეკლესიაში. მან შეიმუშავა მსახურება უსახლკარო ადამიანებისთვის, ნარკომანებისთვის რეაბილიტაციისა და ბიზნეს ლიდერებთან ურთიერთობის პროგრამები. პიტის დაკრძალვაზე ნარკომანების რეაბილიტაციის მსახურების ლიდერმა თქვა: „გასულ თვეს, მე და პიტი შევხვდით მომავალი წლის ბიუჯეტის განსახილველად.“ უსახლკაროების დახმარების მსახურების ლიდერმა წარმოადგინა ახალი შენობის ესკიზი, რომელიც ოჯახებს დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფდა. პიტმა საგულდაგულოდ დაგეგმა მსახურებების მომავალი. მან დატოვა მემკვიდრეობა.

ამ ბოლო გაკვეთილზე ჩვენ შევისწავლით იესოს ბოლო სწავლებებს მოწაფეებისთვის, მის ბოლო დავალებას მოწაფეებისადმი და მოწაფეთა მსახურებას, იესოს ამაღლების შემდეგ. ჩვენ ვისწავლით გაკვეთილებს მემკვიდრეობის დატოვების შესახებ.

► ამაღამ რომ გარდაიცვალა, რა მემკვიდრეობას ტოვებ?

- რა მემკვიდრეობას ტოვებთ თქვენს ოჯახში?
- რა მემკვიდრეობას ტოვებთ თქვენს საზოგადოებაში?
- რა მემკვიდრეობას ტოვებთ თქვენს მსახურებაში?

იესოს გამოსამშვიდობებელი მიმართვა

იოანეს 13-16 თავებში მოთხრობილი, შეიძლება შევადაროთ ძველ აღთქმაში, იაკობის, მოსეს, იესო ნავეს ძისა და დავითის „დამშვიდობებას“⁵⁵. იესოს „გამოსამშვიდობებელი მიმართვა“ შეიცავს მის ზოგიერთ ღრმა და ყველაზე პირად სწავლებას.

იოანეს 13: 1 აღწერს ამ გამოსამშვიდობებელ სწავლების გარემოს: „იესომ იცოდა, რომ მოვიდა მისი ჟამი, რათა ამ ქვეყნიდან მამასთან წასულიყო.“ რომ იცოდეთ, რომ ორმოცდარვა საათში მოკვდებით, რას ეტყოდით მათ, ვინც გააგრძელებდა თქვენს მსახურებას? ეს სიტყვები წარმოადგენს იმას, რაც თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია თქვენი მიმდევრებისთვის.

ამ უკანასკნელ ვახშამზე იესომ გამოავლინა თავისი სრული სიყვარული მოწაფეებისადმი როგორც თავისი მოქმედებით (ფეხების დაბანით), ასევე სიტყვებით. იესომ „როგორც შეიყვარა თავისიანები, რომლებიც ამ ქვეყნად იყვნენ“. ისევე, „ბოლომდე უყვარდა ისინი“ (იოანეს 13:1). „ბოლომდე“ თავისში მოიცავს ორ იდეას:

1. ეს ნიშნავს, რომ იესოს „ბოლომდე უყვარდა ისინი“, მათთან ერთად ყოფნის დროს.
2. ეს ნიშნავს, რომ იესოს „უზომოდ უყვარდა ისინი“. იესოს სრულყოფილად უყვარდა ისინი.

► წაიკითხეთ იოანეს 13:31-14:31.

ბრძანებები და დაპირებები იესოს გამოსამშვიდობებელ მიმართვაში

ბრძანება: გიყვარდეთ ერთმანეთი (იოანეს 13:34).

„ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი. როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი.“ მოწაფეთა ჯგუფისთვის, რომლებიც კამათით უფრო მეტად იყვნენ ცნობილნი, ვიდრე სიყვარულით, ეს რთული მცნება იყო.

⁵⁵ დაბადების 49; მეორე რჯულის 32-33; იესო ნავეს 23-24; 1 ნეშტა 28-29

როგორ იყო ეს „ახალი მცნება“? ძველი აღთქმაც კი უბრძანებდა ღვთის ხალხს: „გიყვარდეს მოყვასი შენი.“ იესოს სწავლებაში სიყვარულის შესახებ ორი „ახალი“ ასპექტი არსებობს.⁵⁶

პირველ რიგში, იესომ თავად წარმოადგინა სიყვარულის **მაგალითი**, რომელიც მან მცნებად დაუდო. მათ უნდა უყვარდეთ ისე, როგორც მას უყვარდა. მას შემდეგ რაც მათ, თავმდაბლად დაბანა ფეხები, იესომ თქვა: „გიყვარდეთ ერთმანეთი. როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ.“ მან განასახიერა სიყვარული, რომელიც გამოხატულია თავმდაბალ მსახურებაში. მოწაფეებს, მაშინაც და ახლაც, უნდა უყვარდეთ ისე, როგორც იესოს უყვარდა. ეს სიყვარული იღებს პირსახოცს, რომ ემსახუროს. ეს სიყვარული ემსახურება მოღალატესაც კი. ეს სიყვარული სიკვდილამდე გრძელდება.

მეორე, ქრისტიანებს შორის სიყვარული უნდა ყოფილიყო იესოს გზავნილის ქეშმარიტების უნიკალური **მოწმე**. „ჩემი მოწაფეები რომ ხართ, ამით გაიგებენ ყველანი, თუ ერთმანეთის სიყვარული გექნებათ.“ მოგვიანებით, იესო ლოცულობს: „რათა სრულყოფილნი იყვნენ ერთში და რათა იცოდეს ქვეყნიერებამ, რომ შენ მომავლინე“ (იოანეს 17:23). ეკლესიის სიყვარული და ერთიანობა უნდა იყოს იესოს გზავნილის მოწმე.

ბევრმა ქრისტიანმა აღმოაჩინა, რომ უფრო ადვილია ურწმუნო მეზობლის სიყვარული, ვიდრე ქრისტიანი ძმის სიყვარული, რომელიც სავსეა პიროვნული ნაკლებით. მაგრამ ჩვენ, როგორც ქრისტიანებს, ნაბრძანები გვაქვს, „გიყვარდეს ერთმანეთი.“ ორმოცდაათი წლის შემდეგ, იოანემ შეახსენა ეკლესიას ეს გზავნილი:

თუ ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა, ვინაიდან ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა ეყვარება ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს? და ასეთი მცნება გვაქვს მისგან, რომ ღვთის მოყვარულს თავისი ძმაც უნდა უყვარდეს (1 იოანეს 4:20-21).

იესომ გამოსამშვიდობებელი გზავნილი დაიწყო ერთმანეთის სიყვარულის მცნებით. ეს ბრძანება არის საფუძველი ყველაფრისთვის, რაც მან გამოაცხადა ამ გზავნილში.

მცნება (დავალება): ნუ შეკრთება თქვენი გული. იწამეთ (იოანე 14:1).

როგორც ხშირად აკეთებდა, პეტრემ შეაწყვეტინა იესოს და ჰკითხა: „უფალო, სად მიდიხარ?“ თავის პასუხში იესომ იწინასწარმეტყველა პეტრეს მიერ უარყოფა. შემდეგ იესომ განაგრძო გზავნილით პეტრესადმი, დანარჩენი მოწაფეებისადმი და ჩვენდამიც დღეს. „ნუ შეკრთება თქვენი გული.“

ვინაიდან წერილი დაყოფილია თავებად, იოანეს 13:38 -ის შემდეგ, ჩვენ ხშირად ვკითხულობთ იოანეს 14:1 -ს, თითქოს ახალი გზავნილი იწყება. იოანეს 14:1 პეტრესთვის პასუხის ნაწილია. წაიკითხეთ ასე:

⁵⁶ Darrell L. Bock, *Jesus According to Scripture* (Grand Rapids: Baker Book House, 2002), 498

პეტრე, სამჯერ უარმყოფ. შენ ბევრად სუსტი ხარ ვიდრე გგონია. მაგრამ, ნუ დაღონდები; მე მაქვს იმედის უწყება შენთვის პეტრე და ყველა თქვენგანისთვის, ვინც მალე შეშინებული გაიქცევა ჩემი შეპყრობისას. „ნუ შეკრთება თქვენი გული. იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე.“

პეტრეს ჭირდებოდა იმის ცოდნა, რომ დაცემის მიუხედავად, იესოს ჰქონდა იმედის უწყება. მოწაფეებსაც ჭირდებოდა იმის ცოდნა, რომ შიშის მიუხედავად, იესოს ჰქონდა იმედის უწყება. „ნუ კრთება თქვენი გული“ ახლანდელ დროშია. იესოს გაფრთხილებისა და რელიგიური წინამძღოლების წინააღმდეგობის გათვალისწინებით, მოწაფეებს უკვე შეეშინდათ. იესო ამბობს: „ნუ შეკრთებით.... იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე.“

ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ მსახურების სტრესებისგან „შეკრთომა“ არის, რომ „ვიწამოთ.“ ამ გაკვეთილს ვწერ ორშაბათს დილით. ნებისმიერ ორშაბათს, არიან პასტორები მთელს მსოფლიოში, რომლებიც იმედგაცრუებულნი არიან. გუშინ თქვენ ერთგულად იქადაგეთ და თქვენი ერთ-ერთი წევრი გაბრაზდა. თქვენ იქადაგეთ მონანიებაზე და არავინ გამოეხმაურა. თქვენ მოიწვიეთ ურწმუნოები და არავინ მოვიდა.

ზოგიერთ ქვეყანაში ეკლესიას მთავრობა ეწინააღმდეგება. ზოგიერთ ქვეყანაში ეკლესიას ემუქრებიან ისლამური ბოევიკები. ზოგიერთ ქვეყანაში ეკლესიას ემუქრება სოციალური გულგრილობა - არავის აინტერესებს. იესო ამბობს: „ნუ შეკრთება თქვენი გული. იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე.“

დაპირება: მე ვარ გზა (იოანეს 14:6).

იესომ გაამხნევა თავისი მოწაფეები იმით, რომ ის მიდიოდა მათთვის ადგილის მოსამზადებლად. ახლა თომამ შეაწყვეტინა: „უფალო, არ ვიცით, სად მიდიხარ, და გზა როგორღა გვეცოდინება?“

იესოს პასუხი გვასწავლის ქრისტიანული ცხოვრების მნიშვნელოვან პრინციპს. იესოს არ უთქვამს: „აი, სად მივდივარ“. ამის ნაცვლად, მან თქვა: „მე ვარ გზა.“ იესოს არ უჩვენებია გზა ან მიმართულება; მან თავისკენ მიუთითა. წმინდა წერილში არ არსებობს უფრო მკაფიო განცხადება, ვიდრე ის, რომ მამისკენ მიმავალი ერთადერთი გზა არის ქრისტე. ლიბერალური თეოლოგების მტკიცების საწინააღმდეგოდ, იესომ ნათლად თქვა, რომ ის არის ერთადერთი გზა ღმერთისკენ.

დაპირება: თქვენ გააკეთებთ უფრო დიდ საქმეებს (იოანეს 14:12-14).

იესო დაგვპირდა, რომ „ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, თავადაც გააკეთებს, და მათზე დიდსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ.“ ეს საქმეები უფრო დიდი იქნება არა იმიტომ, რომ უფრო გასაოცარი იქნება, არამედ იმიტომ, რომ ისინი უფრო ფართოდ გავრცელდება. მიწიერი მსახურების დროს იესოს საქმეები

შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთ გეოგრაფიულ არეალში. ახლა, როდესაც იესომ გამოგზავნა სული, ეკლესიის საქმეებმა მსოფლიოს მიაღწია.

იესომ განაგრძო: „რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში.“ ამ დაპირებას ორი პირობა აქვს.

(1) „ითხოვეთ ჩემი სახელით.“

ეს უფრო მეტია, ვიდრე ლოცვის დასასრულს დაამატო „იესოს სახელით“. ეს არ არის მანტრა, რომელიც აიძულებს იესოს დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნები. მთელ ბიბლიაში ღვთის „სახელი“ ასახავს მის ბუნებას. „იესოს სახელით ლოცვა“ ნიშნავს ილოცვით იესოს ბუნებისა და მისი ნების შესაბამისად.

ლოცვა „ჩემი სახელით“ შეიძლება ასევე ნიშნავდეს „მამასთან მისვლას მის უფლებამოსილებით.“ როდესაც მოსე „ფარაონთან მივიდა, რომ ღმერთის სახელით ელაპარაკა“, ის მოვიდა იმ ღმერთის ძალაუფლებით, რომელმაც გაგზავნა ის (გამოსვლის 5:23). იესოს სახელით ლოცვა ნიშნავს ლოცვას მისი ნებართვით და უფლებამოსილებით. ჩვენ ვუახლოვდებით მამას მის შუამდგომლობით, რომელიც „ცოცხალია მუდამ, რათა უშუამდგომლოს მათ“ (ებრაელთა 7:25).

(2) „... რათა განდიდდეს მამა ძეში.“

ჩვენი ლოცვები უნდა იყოს ღვთის სადიდებლად. იაკობმა გააფრთხილა ისინი, ვინც „ითხოვთ და არ გექმევთ, რადგან ბოროტს ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმანი დაიკმაყოფილოთ“ (იაკობის 4:3). როდესაც ჩვენ ვაღიარებთ იესოს აღთქმას, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენ ვლოცულობთ ღვთის სადიდებლად და არა ჩვენი მიზნებისთვის.

მცნება (დავალება): ჩემი მცნებანი დაიცავით (იოანეს 14:15).

იესომ მოგვცა სტანდარტი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ ჩვენი სიყვარული მის მიმართ. „თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებები დაიცავით.“ იოანემ გაიხსენა ეს მოწმობა, როდესაც დაწერა თავისი პირველი ეპისტოლე: „ხოლო ვინც იცავს მის სიტყვას, მასშია ჭეშმარიტად აღსრულებული ღვთის სიყვარული“ (1 იოანეს 2:5). ზოგიერთი თანამედროვე მქადაგებლის სწავლების საპირისპიროდ, იესოს არასოდეს უსწავლებია, რომ მის მოწაფეებს შეეძლოთ ეცხოვრათ მისი ბრძანებების განზრახ დაუმორჩილებლობაში. სიყვარული ჩანს ნებაყოფლობით მორჩილებაში.

დაპირება: ის ნუგეშისმცემელს მოგივლენთ (იოანეს 14:16).

იოანეს 14:16 -ში მოცემული სიტყვა პარაკლეტი, ნათარგმნია როგორც „დამხმარე“.⁵⁷ ეს სიტყვა აღნიშნავს „დამცველ ადვოკატს.“ იგულისხმება „დამხმარე“ ან „ნუგეშისმცემელი, რომელიც ნუგეშს იძლევა უბედურების დროს.“

იესომ თქვა, რომ „მე მამას შევევედრები და ის **სხვა** ნუგეშისმცემელს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ.“ ეს მიანიშნებს იმაზე, რომ სულიწმიდის მსახურება იესოს მსახურების მსგავსი იქნება. სული მოვიდა არა როგორც უპიროვნო „ძალა“, არამედ როგორც პიროვნება, ისევე როგორც იესო იყო პიროვნება.

პარაკლეტი არის წმიდა „ჭეშმარიტების სული“, რომელიც იცხოვრებს „თქვენთან და თქვენში იქნება.“ ის „ყველაფერს გასწავლით, რაც თქვენთვის მითქვამს.“ მისი მსახურება იმდენად ძლიერი იქნება, რომ იესომ თქვა: „თქვენთვის უკეთესია, რომ წავიდე, რადგან თუ არ წავედი, ნუგეშისმცემელი ვერ მოვა თქვენთან“ (იოანეს 16:7).

რა სარგებელს მოუტანდა მოწაფეებს იესოს წასვლა? რობერტ კოულმანმა განმარტა:

სანამ ის მათთან იყო სხეულებრივად, [მოწაფეები] ვერ ხედავდნენ საჭიროებას დანდობოდნენ სულს, და შესაბამისად, მათ არ იცოდნენ მისი ცხოვრების უფრო ღრმა რეალობა. თუმცა მისი არყოფნისას მათ არ ჰქონდათ ხილული მხარდაჭერა. რომ გადარჩენილიყვნენ, მათ უნდა შეეცნოთ მამასთან მისი შინაგანი კავშირის საიდუმლო. მათი აუცილებლობის გამო, ისინი განიცდიდნენ უფრო დიდ თანაზიარებას ქრისტესთან, ვიდრე აქამდე იცოდნენ.⁵⁸

ცხოვრება ვაზში

► წაიკითხეთ იოანეს 15:1-16:33.

იესომ განაგრძო თავისი ერთ -ერთი ყველაზე ძლიერი გამოხატულებით. „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, ხოლო მამაჩემი მევენახეა.“ ძველი აღთქმა არაერთხელ მოიხსენიებს ისრაელს, როგორც ვაზს.⁵⁹ თუმცა, მისი ცოდვის გამო, ისრაელმა ვერასოდეს აღასრულა ღვთის მიზანი, განკუთვნილი მშვენიერი ვაზისთვის, რომელიც მან დარგო. სამაგიეროდ, რადგან ისრაელი მატერიალურად აყვავდა, მან ააგო სამსხვერპლოები ცრუ ღმერთებისთვის (ოსიას 10:2). ნაცვლად იმისა, რომ ნაყოფი გამოიღოს, რომელიც აკურთხებს ერებს, ისრაელმა გამოისხა „ველური ყურძენი.“⁶⁰ ისრაელი ისეთი ცოდვილი გახდა, რომ

⁵⁷ დამხმარე, ინგლისური სტანდარტული ვერსია; ნუგეშისმცემელი, მეფე ჯეიმსის ვერსია; ადვოკატი, ახალი საერთაშორისო ვერსია

⁵⁸ Robert Coleman, *The Mind of the Master* (Colorado Springs: WaterBrook Press, 2000), 29

⁵⁹ ფსალმუნის 79:8-9; ესაიას 5:1-7; 27:2-6; ოსიას 10:1-2

⁶⁰ ესაიას 5:2 კულტურული ვენახის ნაყოფის ტკბილი არომატისგან განსხვავებით, „ველურს“ აქვს „მჟავე“ გემო

ღმერთმა ვერაფრის გაკეთება შეძლო ამ ვაზთან, გარდა იმისა, რომ შეშად გამოეყენებინა (ეზეკიელის 15:1-6).

იესო მოვიდა როგორც „ჭეშმარიტი ვაზი.“ ის მოვიდა იმის განსახორციელებლად, რაც ისრაელის ერმა ვერ შეძლო; ის მოვიდა, აღასრულოს ისრაელის მოწოდება, იყოს კურთხევა ერებისთვის.

იესომ უთხრა მოწაფეებს, რომ ის იყო ვაზი და ისინი იყვნენ ლერწები. იესოს გზავნილი ნათელი იყო: ნაყოფიერება მთლიანად დამოკიდებულია ჩვენს მზადყოფნაზე „დავრჩეთ მასში.“

მე ვაზი ვარ, თქვენ კი - ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი გამოიღებს ბევრ ნაყოფს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ.

ვაზის გარეშე, მოწაფეებს არაფერი შეეძლოთ; ვაზის გარეშე, ჩვენც არაფრის გაკეთება შეგვიძლია დღეს. როდესაც ჩვენ ცვდილობთ მსახურებას საკუთარი ძალებით, ჩვენ განწირულები ვართ იმედგაცრუებისა და უძლურებისთვის. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ არასოდეს გვქონდა განზრახული ნაყოფის გამოღება ჩვენივე.

ჩვენი სულიერი ცხოვრება გამომდინარეობს ვაზთან ჩვენი უწყვეტი ურთიერთობიდან. თუ ვინმე არ დარჩება ვაზში, „გარეთ გადაიგდება, როგორც ლერწი, და გახმება; მოაგროვებენ მათ, ცეცხლში ჩაყრიან და დაწვანენ.“ მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი არის გამაფრთხილებელი, ის ასევე დიდი გამხმევებაცაა. ვაზის გარეშე ჩვენ უსარგებლო და გამოუსადეგარი ვართ. მაგრამ თუ დავრჩებით ვაზში, სიცოცხლე და ნაყოფიერება გვექნება. ჩვენი სულიერი ცხოვრება არ არის დამოკიდებული საკუთარ ძალებზე; ჩვენ ცხოვრობთ „ვაზზე.“

ეს თემა გვხვდება ებრაელებშიც. ჩვენი დიდი მღვდელმთავარი, იესო, „მარად ცოცხალია, რათა უშუამდგომლოს მათ“, ვინც „მიეახლება ღმერთს“ (ებრაელთა 7:25). ჰოვარდ ჰენდრიქსმა გაამხმევა მეზრდოლი პასტორები, რომლებიც თავს იზოლირებულად გრძნობდნენ: „თუ არავინ გყავთ, ვინც ილოცებს თქვენთვის, არასოდეს დაივიწყოთ, რომ თქვენთვის ქრისტე ღოცულობს.“ ის არის ჩვენი შუამავალი; ის არის ჩვენი სულიერი ცხოვრების წყარო.

იესო ახსენებს თავის მოწაფეებს, რომ ისინი უნდა დარჩნენ ვაზზე. ეს დღესაც ასეა. როგორც პასტორები და ეკლესიის ლიდერები, თქვენ არ მსახურობთ საკუთარი ძალებით. თქვენ ცხოვრობთ ვაზის ძალაში და დიდი მღვდელმთავრის ძალაში, რომელიც შუამდგომლობს თქვენთვის, როდესაც თქვენ არ გაქვთ ძალა, რომ შუამდგომლობდეთ საკუთარ თავზე.

ბოლო მიმართვის დარჩენილ ნაწილშიც იესო კვლავ ასწავლიდა თავის მოწაფეებს, რომ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი. მან მოამზადა ისინი ქვეყნიერების მხრიდან სიძულვილის

დასაძლევად. ქვეყნიერებას სძულდა იესო; ქვეყნიერება მოიძულებს იესოს ჭეშმარიტ მიმდევრებსაც.

შემდეგ იესომ უფრო მეტი ახსნა სულიწმიდის მოქმედების შესახებ. მანამდე, მიმართვაში ის შეპირდა, რომ გამოგზავნიდა სულს. ახლა მან უფრო მეტი ასწავლა მათ, სულიწმიდის მოქმედების შესახებ. სული ამხელს ქვეყნიერებას; ის წარმართავს მოწაფეებს სრულ ჭეშმარიტებაში; ის განადიდებს ძეს.

მან კვლავ განუმარტა მათ წასვლის შესახებ „ცოტა ხანში.“ მან კვლავ უთხრა მათ, ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება. ამ საუბრის დასაწყისში იესომ ბრძანა: „ნუ შეკრთება თქვენი გული. იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე“ (იოანეს 14:1). მან დაასრულა მიმართვა გამხსნევებით: „ეს იმიტომ გითხარი, რომ მშვიდობა გქონდეთ ჩემში. ქვეყნიერებაზე ჭირი გექნებათ, მაგრამ გამხსნევდით! მე ვძლიე ქვეყნიერებას“ (იოანეს 16:33).

გაითვალისწინეთ, რომ ორივე შემთხვევაში ჩვენი იმედი მხოლოდ ქრისტეშია. ჩვენ არ შევკრთებით, თუ „ვიწამებთ მას.“ ჩვენ უნდა "გავმხსნევდეთ", რადგან "მან სძლია ქვეყნიერებას." ვაზში ცხოვრება არის, სარწმუნო მშვიდობაში ცხოვრება. ჩვენი ნდობა არ ემყარება მიწიერ გარემოებებს; ჩვენი ნდობა ემყარება ქრისტეს და მის გამარჯვებას ქვეყნიერებაზე.

ახლო ხედი: საიდუმლო სერობა

⁶¹ *მიშნა* არის ძველი ებრაული ტრადიციების ჩანაწერი. *მიშნას* ერთი ნაწილი გვიჩვენებს, თუ როგორ აღნიშნავდნენ ებრაელები პასექს. საიდუმლო სერობისას, იესო და მოწაფეები, ალბათ, მიჰყვებოდნენ ამ წესს, რომელიც 2000 წლის შემდეგაც გრძელდება.

სუფრაზე მიტანილია წყალთან შერეული ღვინის პირველი თასი. თასის კურთხევა მოიცავს გამოსვლის ამ დაპირებას: „მე გამოგიყვან.“

ღვინის მეორე თასიც შერეულია, მაგრამ ჯერ არ არის მიტანილი. უმცროსი ვაჟი კითხულობს: რატომ არის განსხვავებული ეს ღამე ყველა სხვა ღამისგან?" მამა პასუხობს ეგვიპტიდან ისრაელის გათავისუფლების ამბავს.

ამ ამბის მოყოლის შემდეგ, ოჯახი გალობს პირველ პასექის ჰალელს, ფსალმუნებს 112-113. ისინი მეორე თასს სვამენ ამ დაპირებით: „მე გიხსნით მათი მონობიდან.“

კურთხევის შემდეგ მიირთმევენ საკვებს. საკვები შედგება მწარე მწვანე ხაჭაპურის, ცხვრის ხორცისა და ხილის სოუსისგან, შეზავებული სუნელებით და ძმრით. მამა

⁶¹ თქვენ შეგიძლიათ უფრო მეტი ვიდეო მესიანური ებრაული პასექის შესახებ გვერდზე <https://www.youtube.com/watch?v=bVolBDIWloQ> ხელმისაწვდომია 2021 წლის 22 მარტს. შეგიძლიათ წაიკითხოთ მეტი აქ <http://www.crivoice.org/haggadah.html>, ხელმისაწვდომია 2021 წლის 22 მარტს

იბანს ხელებს, ტეხს და აკურთხებს პურებს, იღებს პურის ნაჭერს, ახვევს მწარე მწვანილში, აწობს სოუსში და ჭამს. შემდეგ მადლობას სწირავს და ჭამს კრავის ხორცის ნაჭერს. შემდეგ ოჯახის თითოეული წევრი ჭამს.

მესამე თასი იკურთხება პასექის დაპირებით: „მე გამოგისყიდი.“

მეოთხე თასი იკურთხება პასექის დაპირებით: „მე წაგიყვან ერად.“

ოჯახი გალობს პასექის ბოლო ჰალელს, ფსალმუნებს 114-117.⁶²

პასექის დროს ებრაელ ხალხი იხსენებდა, რომ ღმერთმა ისრაელი მონობიდან იხსნა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისინი მოუთმენლად ელოდნენ ღვთის დაპირებების სრულყოფილად შესრულებას, როდესაც მესია ერთხელ და სამუდამოდ იხსნიდა მათ მონობისგან.

საიდუმლო სერობის მეორე დღეს იესო მოკვდებოდა, როგორც პასექის სრულყოფილი კრავი. ჯვარზე, ხსნის დაპირება შესრულდა.

მღვდელმთავრის ლოცვა

► წაიკითხეთ იოანეს 17.

იესოს ბოლო ლოცვა თავის მოწაფეებთან ერთად, მნიშვნელოვანია მისი მემკვიდრეობის გასაგებად, რომელიც მან დაუტოვა მოწაფეებს და დღევანდელ ეკლესიას. ამ ლოცვას „იესოს ლოცვების წმიდათა წმიდა“ ეწოდა. ეს არის მისი ყველაზე პირადული ლოცვა.

იესო ლოცულობდა თავისი თავისთვის (იოანეს 17:1-5)

იესო ლოცულობდა, „მამაო, დადგა ჟამი განადიდო შენი ძე, რათა ძემ განგადიდოს შენ.“ მიუხედავად იმისა, რომ მოწაფეებს არ ესმოდათ ეს ლოცვა, ისინი მალე გაიგებდნენ შოკისმომგვრელ ჭეშმარიტებას, რომ ამ ლოცვას პასუხი გაეცა რომაულ ჯვარზე.

ვნების კვირის ორშაბათს იესომ თქვა: „როცა ავმალდეები დედამიწიდან, ყველას ჩემთან მივიზიდავ.“ იოანემ განმარტა: „ამას იმის მისანიშნებლად ამბობდა, როგორი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო“ (იოანეს 12:32-33). იესო განდიდდა არა გამარჯვებით, არამედ აშკარა დამარცხებით. იესო განდიდდა ჯვრით.

იესო ლოცულობდა თავისი მოწაფეებისთვის (იოანეს 17:6-19)

იესო ლოცულობდა სამ რამეზე თავისი მოწაფეებისთვის. ის ლოცულობდა, „მამავ, შენი სახელით დაიცავი ესენი.“ ის ლოცულობდა, „რომ დაიცვა ბოროტისგან.“ და ის ლოცულობდა, მამა „განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით.“

⁶² ეს იყო ბოლო ფსალმუნი, რომელიც იესომ თავის მოწაფეებთან ერთად იგალობა გეტსიმანიაში წასვლამდე (მათე 26:30)

იესო ლოცულობდა ყველა მორწმუნისთვის (იოანეს 17:20-26)

იესო ლოცულობდა ყველა „იმათთვისაც, ვინც მათი სიტყვით მორწმუნებს" მომავალში. ის ლოცულობდა „რათა ყველა ერთი იყოს." ეს ერთიანობა არის მოწმობა სამყაროსთვის: „რათა ირწმუნოს ქვეყნიერებამ, რომ შენ წარმომგზავნე."

იესო ქვეყნიერებისთვის არ ლოცულობდა: „ქვეყნიერებისთვის კი არ გთხოვ, არამედ მათთვის, რომლებიც შენ მომეცი." ამის ნაცვლად, ის ლოცულობდა ქრისტიანებისთვის, რათა მსოფლიოს ერწმუნა. ეკლესიისთვის ბოლო ლოცვისას იესომ ილოცა, რომ ჩვენ ვიყოთ მოწმეები მსოფლიოსთვის ჩვენი ერთიანობისა და ერთგულების მეშვეობით.

იესოს მემკვიდრეობა იყო მორწმუნეთა ჯგუფი, რომლებიც აღასრულებდნენ მის მიზანს მსოფლიოში. ძველ აღთქმაში ღმერთმა აკურთხა ისრაელი, რათა ის ყოფილიყო კურთხევის საშუალება ყველა ერისთვის (დაბადების 12:1-3). ახალ აღთქმაში ეკლესია აკურთხა ღმერთმა, რათა ის ყოფილიყო კურთხევის საშუალება ყველა ერისთვის. იესო ლოცულობდა, რომ ჩვენ შევასრულოთ ჩვენი დანიშნულება და ვიყოთ კურთხევა ყველა ხალხისთვის.

იესოს საბოლოო დავალება მოწაფეებს

► წაიკითხეთ მათეს 28:16-20; მარკოზის 16:15; ლუკას 24:44-49; საქმეების 1:6-11.

ლიდერის მუდმივი გავლენა დიდწილად განისაზღვრება მისი უნარით სხვებს გაუზიაროს თავისი ხედვა. დღეს ჩვენ ამას ვუწოდებთ „ხედვის ჩამოყალიბებას." იესო გვამღერს მაგალითს ხედვის ჩამოყალიბებისთვის, რომელიც შთააგონებს ერთგულ მიმდევრებს. მისი ხედვის გამო, მოწაფეებმა სიცოცხლე მიუძღვნეს ღვთის სამეფოს შესახებ უწყების გავრცელებას, რომის იმპერიის მასშტაბით.

სახარებები შეიცავს სამ განცხადებას, იესოს დავალების შესახებ. თითოეული ეს განცხადება ყურადღებას ამახვილებს დავალების სხვადასხვა ასპექტზე. მათე ხაზს უსვამს მისიისათვის აუცილებელ ძალაუფლებას. მარკოზი აღნიშნავს დავალების გავრცობას: „მთელ ქმნილებაზე." ლუკა აჯამებს შეტყობინების შინაარსს, რომელსაც მოციქულები ქადაგებენ.

იესოს ბოლო დავალების ყველაზე სრულყოფილი განცხადება მოცემულია მათეს 28:18-20-ში.

მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ზეცაში და დედამიწაზე. ამიტომ წადით და დაიმოწაფეთ ყველა ხალხი და მონათლეთ ისინი მამის, მის და სულიწმიდის სახელით. ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. და აჰა, მე თქვენთანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე.

ამ დავალებიდან უპირველესი მცნებაა „დაიმოწაფეთ.“ ამ მცნების შესრულება ჩვენგან მოითხოვს ახალ მოქცეულთა მონათვლას და ახალგაზრდა მორწმუნეების სწავლებას. ეს ქმედებები მხარს უჭერს ცენტრალურ მცნებას, „დაიმოწაფეთ.“ მახარებლობა, სოციალური შრომა, განათლება და მსახურების ყველა სხვა ასპექტი ხელმძღვანელობს ამ ცენტრალური პრიორიტეტით: ჩვენ გვევალება მოწაფეების მომზადება.

პასტორობის მიზანი

ედ მარკვარტი, ამერიკელი პასტორი, სადილობდა რიჩარდ ვურმბრანდთან, რუმინელ პასტორთან, რომელმაც მრავალი წელი გაატარა კომუნისტურ ციხეში. ვახშმის დროს ვურმბრანდი მიუბრუნდა მარკვარტის ეკლესიის წევრს და ჰკითხა: „თქვენი პასტორი კარგი პასტორია?“ წევრმა თქვა: „დიახ.“

ვურმბრანდმა ჰკითხა: „რატომ არის ის კარგი პასტორი?“ წევრმა უპასუხა: „რადგან ის ქადაგებს კარგ ქადაგებებს.“

ვურმბრანდმა შემდეგ ჰკითხა: „ის ამზადებს მოწაფეებს?“ პასტორ მარკვარტმა თქვა, რომ ამ კითხვამ შეცვალა მისი მთელი მსახურების მიმართულება. მან თქვა:

ღვთის დავალება ყველა პასტორისთვის არის მოამზადოს მოწაფეები იესო ქრისტესთვის. ადამიანები, რომლებსაც უყვართ იესო ქრისტე, მიჰყვებიან იესო ქრისტეს, რომლებიც იესო ქრისტეს უწოდებენ თავიანთ უფალს. ეს არის ის, რისკენაც ჩვენ მოწოდებულნი ვართ: მოვუმზადოთ იესო ქრისტეს მოწაფეები. არა ეკლესიის წევრები. არა საკვირაო სკოლები. არა შენობების შენება. ჩვენ უნდა მოვამზადოთ იესო ქრისტეს მოწაფეები. სულ ეს არის.

ახლო ხედი: იესოს მისია

იესოს მსახურების ბოლო კვირის მოვლენები აჩვენებს მის მისიას, შექმნას სამეფო, რომელიც შედგება ყველა ერისა, რასისა და ხალხისგან. იესოს მსახურების ბოლო კვირის სცენები ასახავს მის მისიას ყველა ერისთვის.

- იესო შემოვიდა ქალაქში ვირზე მჯდომი. მათემ და იოანემ მოახდინეს ზაქარიას წინასწარმეტყველების ციტირება: „აჰა, შენი მეფე მოდის შენთან, მშვიდი, მჯდომი ვირსა და ჩოჩორზე, სახედრის ნაშიერზე.“ ზაქარიამ აღწერა ამ მეფის მეფობა. „მშვიდობას აუწყებს იგი **ხალხებს**, ზღვიდან ზღვამდე იქნება მისი ხელმწიფება“ (მათეს 21:5; ზაქარიას 9:9-10).
- ტაძრის განწმენდისას, იესომ ესაიადან მოახდინა ციტირება: „განა არ წერია: ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება **ყველა ერში**?“ (მარკოზის 11:17, ციტატა ესაიას 56:7). ებრაელმა ლიდერებმა მოაწყვეს გარე ეზო, სადაც წარმართები იკრიბებოდნენ სალოცავად, ფულის გადამცვლელთა და მტრედების გამყიდველთა ბაზრად.

- როდესაც მოწაფეებმა გააკრიტიკეს მარიამი, ძვირფასი ნელსაცხებლის „გაფლანგვისთვის“, იესომ უპასუხა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სადაც კი იქადაგებენ სახარებას მთელ ქვეყანაზე, იმასაც იტყვიან, რაც მან გააკეთა, მისივე მოსაგონებლად“ (მარკოზის 14:9; დაემატა ხაზგასმა.).
- ზეთისხილის ქადაგებაში იესომ იწინასწარმეტყველა დღე, როდესაც „ექადაგება სამეფოს ეს სახარება მთელ მსოფლიოს ყველა ერისთვის დასამოწმებლად და მაშინ დადგება აღსასრული“ (მათეს 24:14; დაემატა ხაზგასმა.). ამ ებრაელ მოწაფეებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სამეფო მხოლოდ რჩეული ხალხისთვის იყო, იესომ უთხრა, რომ სახარება გამოცხადდება მთელი მსოფლიოსთვის.

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმა აჩვენეს, რომ მესია მოვიდოდა ყველა ერისთვის. საჯარო მსახურების ბოლო კვირას იესო ასწავლიდა თავის მოწაფეებს, რომ ღვთის სამეფოში შევიდოდა ხალხი ყველა ერიდან. წინასწარმეტყველთა დაპირება უნდა შესრულებულიყო ეკლესიის მეშვეობით.

იესოს მემკვიდრეობა: ეკლესია საქმეებში

მრავალი წიგნი ქრისტეს ცხოვრებაზე მთავრდება ამაღლებით. თუმცა, ამაღლება არ ყოფილა იესოს მიწიერი მსახურების კულმინაცია. იესოს მსახურებამ არა მხოლოდ ჯვართან, ანდა ცარიელ საფლავამდე მიგვიყვანა; მისმა მსახურებამ სულთმოფენამდე მიგვიყვანა. იესო შეგვპირდა, რომ „სხვა ნუგეშისმცემელს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ“ (იოანეს 14:16). ეს პირობა შესრულდა საქმეებში. საქმეებში ორი სცენა აჩვენებს იესოს მემკვიდრეობის შესრულებას.

ეკლესია სულთმოფენისას

► წაიკითხეთ საქმეების 1:4-11 და 2:1-41.

ამაღლების წინ, მოწაფეებმა ჰკითხეს: „უფალო, ამ დროს ხომ არ აღუდგენ ისრაელს სამეფოს?“ ისინი მოელოდნენ, რომ იესო დაამყარებდა მიწიერ, პოლიტიკურ სამეფოს. მათი აზრით, აღდგომა აძლიერებდა მიწიერი სამეფოს შესაძლებლობას. მათი აზრით, საჭირო იყო მხოლოდ, რომ იესოს თავისი ძალა რომაელების დასამხობად გამოეყენებინა. იესომ უპასუხა,

თქვენ არ გეხებათ დროების ან ვადების ცოდნა, რომელიც მამამ დაადგინა თავისი ხელმწიფებით. არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და დედამიწის კიდემდე.

„სამეფოს დროები ან ვადები არ არის შენი პასუხისმგებლობა,” - გულისხმობს იესო. „სამაგიეროდ, თქვენ უნდა შეასრულოთ მისია, რომელიც მე მოგვცით თქვენ: იმსახურეთ, როგორც ჩემმა მოწმეებმა დედამიწის კიდემდე. მაგრამ სანამ წახვალთ, უნდა

დაელოდოთ.” ლუკაში იესომ თქვა: „თქვენ კი, ვიდრე მაღლიდან ძალით შეიმოსებოდეთ, ქალაქში დარჩით” (ლუკას 24:49).

პასექიდან ორმოცდამეათე დღეს, როდესაც 120 მოწაფე შეიკრიბა ზედა ოთახში, აღთქმა სულიწმიდაზე შესრულდა. მათ დაიწყეს საუბარი სხვა ერებიდან შეკრებილი ხალხის ენებზე ებრაული სულთმოფენობის დღესასწაულზე. ეს განასახიერებდა ქრისტეს გეგმის შესრულებას, შექმნას თავისი ეკლესია ყველა ერისგან.

საქმეების 2 – ში მოყვანილი ერების სია, გვახსენებს დაბადების 10 – ში ერების ჩამონათვალს. დაბადების 11 –ში ღმერთმა დაგმო ადამიანების მცდელობა ბაბილონში დაეარსებინათ საყოველთაო სამეფო, მათი ენების არევით. საქმეების 2 – ში ღმერთმა დაიწყო თავისი სამეფოს მშენებლობა, ენების არევის შემობრუნებით.

სულთმოფენობა იყო იესოს დაპირებული „ამათზე დიდი საქმეების“ დასაწყისი (იოანეს 14:12). სულიწმიდის მოქმედების გამო, სულთმოფენობისას უფრო მეტი ადამიანი მოექცა, ვიდრე იესოს მთელი მიწიერი მსახურების დროს. იესოს მემკვიდრეობის აღსრულება დაიწყო. აღთქმული სულიწმიდა ახლა აქტიური იყო მოციქულთა მსახურებაში. ამ დროიდან ეკლესია იწყებს ღვთის დიდი მიზნის განხორციელებას, მისი სამეფოს ჩამოყალიბებას. როგორც პეტრეს ქადაგება ცხადყოფს, ძველი აღთქმის დაპირებები ახლა ეკლესიის მეშვეობით სრულდებოდა.

ჯონ სტოტმა განმარტა სულთმოფენობის დღის ოთხი ასპექტი.⁶³

- სულთმოფენობის დღე იყო იესოს უკანასკნელი გადამრჩენი მოქმედება დედამიწაზე.
- სულთმოფენობის დღემ აღჭურვა მოციქულები, დიდი მოვალეობის შესრულებისთვის.
- სულთმოფენობის დღეს დაიწყო სულის ახალი ხანა. ძველ აღთქმაში სულიწმიდა აძლიერებდა ღვთის მსახურებს მსახურების განსაკუთრებულ დროს. სულთმოფენობის შემდეგ, ქრისტიანები ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას სარგებლობენ მისი მსახურებით.
- პირველი ქრისტიანული გამოღვიძება დაიწყო სულთმოფენობის დღეს.

სულთმოფენობის დღის შედეგები ჩანს საქმეების წიგნის დანარჩენ ნაწილში. სულთმოფენობის ნიშნები იყო „განსაკუთრებული.” სიხარული, მორწმუნეთა თანამოზიარეობა, თაყვანისცემის თავისუფლება, დამოწმების გამბედაობა და ძალა

⁶³ John W. Stott, *The Message of Acts* (Westmont, Illinois: InterVarsity Press, 1990), 60-61

მსახურებისთვის, უნდა ყოფილიყო „ნორმალური“ მტკიცებულება სულიწმიდის ძალით მსახურებისთვის.

ყოველდღიური ცხოვრება ადრეულ ეკლესიაში

► წაიკითხეთ საქმეების 2:42-47.

მეორე მოვლენა, რომელიც აჩვენებს იესოს მემკვიდრეობის შესრულებას, არის საქმეების 2 - ს ბოლოს. ეს მოვლენა წარმოადგენს ადრეული ეკლესიის ყოველდღიურ ცხოვრებას.

მის მღვდელმთავრულ ლოცვაში იესო ლოცულობდა თავისი მიმდევრების ერთობისთვის. ის ლოცულობდა, „რათა ერთი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთი“ (იოანეს 17:22). ამ ლოცვის პასუხი იწყება საქმეების 2 - ში. „ყველა მორწმუნე ერთად იყო“; ისინი „ყოველდღე ერთსულოვნად იყვნენ ტაძარში, სახლებში პურს ტეხდნენ“; „უფალი ყოველდღე მათებდა ეკლესიას გადარჩენილებს.“

საქმეებში, ფრაზა "ერთსულოვნება" წარმოადგენს ადრეული ეკლესიის ერთობას. მიუხედავად ებრაელებისა და წარმართებისგან ეკლესიის ჩამოყალიბების სირთულეებისა, ებრაელი წინამძღოლების დევნის და მოციქულთა პირადი კონფლიქტებისა, ეკლესია დარჩა ერთიანი. ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, იესოს ლოცვა „ერთი იყვნენ“ აღსრულდა.

► ეკლესიის სურათი, აღწერილი საქმეების 2:42-47-ში, ჰგავს თქვენს ეკლესიას? თქვენ სულიწმიდის ძალით მსახურობთ? თუ არა, რა დაბრკოლებები აფერხებს სულის მუშაობას თქვენი მსახურების შიგნით და მისი მეშვეობით? ეს დაუმორჩილებლობაა? ულოცველობა? რწმენის ნაკლებობა? ერთობის ნაკლებობა? როგორ ხედავთ სულის ახალ გადმოღვრას თქვენს მსახურებაში?

გამოყენება: მემკვიდრეობის დატოვება

ამ ნაწილის მომზადებისას მე ინტერვიუ ჩამოვართვი პენსიაზე გასულ მსახურებების ლიდერებს.⁶⁴

მე ვკითხე მათ მემკვიდრეობის, მათ მომზადებაზე ხელმძღვანელობის დატოვებისთვის და გაკვეთილებზე ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. ეს ნაწილი ემყარება მათ პასუხებს.

⁶⁴ ამ ნაწილის ინტერვიუები მოიცავდა შემდეგ ლიდერებს:

დოქტორი მაიკლ ევერი, ღვთის ბიბლიური სკოლისა და კოლეჯის ყოფილი პრეზიდენტი, ცინცინატი, ოჰაიო

მეუფე პოლ პიერპოინტი, Hobe Sound ბიბლიური ეკლესიის ყოფილი პასტორი და FEA მისიის პრეზიდენტი, Hobe Sound, ფლორიდა

მეუფე ლეონარდ სანკი, პენსიაზე გასული პასტორი და მრავალი მისიონერული ორგანიზაციის ლიდერი დოქტორი სიდნი გრანტი, FEA მისიების ყოფილი პრეზიდენტი, Hobe Sound, ფლორიდა, FL

(1) ლიდერები, რომლებიც ტოვებენ სამომავლო გეგმას.

წარმოიდგინეთ, ჰკითხეთ მშენებელს: „რას აშენებთ?“ თქვენ ალბათ შოკირებული დარჩებით, თუ მშენებელი გიპასუხებთ: „ჯერ არ ვიცი, შევხედავ რა გამოვა.“

სანამ ის მშენებლობას დაიწყებს, მშენებელი გეგმავს საბოლოო შედეგს. ლიდერებმა, რომლებიც ტოვებენ მემკვიდრეობას, იციან რისი დატოვებაც სურთ.

ლიდერებმა, რომლებმაც კარგად დაასრულეს, იციან ის მემკვიდრეობა, რომლის დატოვებაც სურთ. ისინი ბრმად არ გადიან მსახურებას. ამ ლიდერებს სჯერათ: „ეს ის არის, რისკენაც მე ღმერთმა მომიწოდა, რომ გამეკეთებინა, ჩემი მსახურების ადგილას.“

იესოს მემკვიდრეობა იყო მოწაფეთა ჯგუფი, რომლებიც მზად იყვნენ ეკლესიის გაძლიერებისთვის. მსახურების დასაწყისიდან მან საკმარისი დრო და ენერგია გაიღო, რომ მოემზადებინა ეს ადამიანები, როგორც თავისი მემკვიდრეობა.

თუ გსურთ დატოვოთ მემკვიდრეობა, თქვენ უნდა დაგეგმოთ მომავალი. სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი აშენებს თავის ცხოვრებას მიზნისთვის ყურადღების მიქცევის გარეშე. თუ თქვენ ჰკითხავთ მათ 30, 50 ან თუნდაც 70 წლის ასაკში, „რას აშენებთ თქვენი ცხოვრებით?“ პასუხი იქნება: „ჯერ არ ვიცი, შევხედავ რა გამოვა.“

„თქვენ ქმნით თქვენს მემკვიდრეობას ყოველდღე, და არა თქვენი ცხოვრების ბოლოს.“
- ალან ვაისი

(2) ლიდერები, რომლებიც ტოვებენ მემკვიდრეობას, ყურადღებით ემზადებიან ცვლილებისთვის.

წარმოიდგინეთ, ეწვიეთ მშენებელს ძირითადი სამშენებლო პროექტის დასასრულს. კედლები ამოყვანილია; სახურავი დასრულებული; თითქმის შესახლების დროა. იკითხეთ: „რა არის დარჩენილი შენობის დასრულებამდე?“

თქვენ ალბათ შოკირებული დარჩებით, თუ მან გიპასუხათ: „არ ვიცი! მე არ ვკარგავ დროს იმ საბოლოო ნაბიჯებზე ფიქრში.“ არა! მშენებელი ტოვებს იმას, რაც მის სიცოცხლეს ბევრად გადააჭარბებს. ის ყურადღებით გეგმავს თითოეულ ნაბიჯს. მას შეუძლია გითხრათ: „ეს არის დღე, როდესაც ჩვენ დავასრულებთ შენობას. როდესაც მფლობელი გადავა საცხოვრებლად.“ ყველაფერი დაგეგმილია გადასვლისთვის.

ლიდერები, რომლებიც ტოვებენ მემკვიდრეობას, ყურადღებით ემზადებიან ჩანაცვლებისთვის. როდესაც ეს შესაძლებელია, ისინი წინასწარ გეგმავენ გადადგომას, რაც ორგანიზაციას აძლევს უფლებას აირჩიოს მემკვიდრე და აძლევს მათ უფლებამოსილებას მოემზადონ ახალი პასუხისმგებლობისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში, მიმავალ და მომავალ ლიდერებს აქვთ პერიოდი „გადაფარვის“, რომელშიც ახალი ლიდერი იწყებს გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წინა ლიდერი ხელმისაწვდომია რჩევებისა და კონსულტაციებისთვის.

ლიდერები, რომლებიც ტოვებენ მემკვიდრეობას, ამზადებენ მსახურებას, რომელსაც ისინი ხელმძღვანელობენ, გარდამავალი პერიოდისთვის. ეფექტური მიმავალი ლიდერები გამოხატავენ ნდობას ღმერთის მიმართ, მომავლის უზრუნველყოფაში. ისინი ამზადებენ ხალხს, რომლებიც კარგად იმუშავენ, შემდეგი ლიდერის პირობებში. ისინი დარწმუნდებიან, რომ ადამიანები ორგანიზაციაში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, გარდამავალ პერიოდში. ერთ-ერთმა ლიდერმა დაწერა: „ჩემი მიზანი იყო გამეკეთებინა ყველაფერი ისე, რომ თანამშრომლებს ვერც კი შეემჩნიათ ჩემი წასვლა.“

(3) ლიდერები, რომლებიც ტოვებენ მემკვიდრეობას, იციან რა, როდის წავიდნენ.

ლიდერები მზად უნდა იყვნენ პასუხისმგებლობა გადასცენ თავიანთ მემკვიდრეს და „წავიდნენ სინანულის გარეშე.“ ყოფილი ლიდერები ხელმისაწვდომი უნდა იყვნენ რჩევისთვის, მაგრამ მხოლოდ მათი მემკვიდრეების მოთხოვნის შემთხვევაში.

ამ კურსში ჩვენ ვნახეთ, როგორ მოამზადა იესომ მოწაფეები ეკლესიის წინამძღოლობისთვის. მანამდე, მან მათ საფუძვლიანი სწავლება მისცა. მოგვიანებით მან გაგზავნა ისინი სამსახურებლად და შემდეგ ისინი დაბრუნდნენ შეფასებისთვის. საიდუმლო სერობაზე მან მისცა მათ საბოლოო მითითებები მსახურებისთვის. ამალელებამდე, მან ბოლოს შეახსენა მათი უდიდესი დავალების შესახებ. იესო ყურადღებით მოემზადა ჩანაცვლებისთვის.

სამწუხაროდ, ბევრი ქრისტიანი ლიდერი ნაკლებად აქცევს ყურადღებას ჩანაცვლებას. ისინი ფიქრობენ: „მე შევასრულებ ჩემს საქმეს, სანამ არ შემცვლიან. ამის შემდეგ, ეს სხვისი პრობლემაა.“ რასაკვირველია, არის შემთხვევები, როდესაც უეცარი ავადმყოფობა, სიკვდილი ან მსახურების მნიშვნელოვანი ცვლილება შეუძლებელს ხდის ჩანაცვლებისთვის სათანადოდ მომზადებას. მაგრამ, როდესაც შესაძლებელია, ჩვენ ყურადღებით უნდა დავგეგმოთ მომავალი ლიდერით ჩანაცვლება. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მომავლისთვის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად.

გაკვეთილი 9 დავალება

დაწერეთ 3-5 გვერდიანი ესე, რომელიც პასუხობს სამ კითხვას:

(1) დაფიქრდით მსახურების ლიდერზე ან ოჯახის წევრზე, რომელმაც დატოვა მემკვიდრეობა, რომელმაც გავლენა მოახდინა თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებასა და მსახურებაზე. ერთ გვერდზე შეაჯამეთ მათი გავლენა თქვენს ცხოვრებაში. უპასუხეთ ორ კითხვას.

- როგორი იყო მათი გავლენა თქვენს ცხოვრებაზე?
- რას აკეთებდნენ ან ამბობდნენ, რამაც ასეთი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა?

(2) რა მემკვიდრეობის დატოვება გსურს სიკვდილის შემდეგ? იყავით კონკრეტული თქვენს პასუხში. პასუხებს 1-2 გვერდი დაუთმეთ.

- რა მემკვიდრეობის დატოვება გსურთ თქვენი ოჯახისთვის?
- რა მემკვიდრეობის დატოვება გსურთ თქვენი საზოგადოებისთვის?
- რა მემკვიდრეობის დატოვება გსურთ თქვენი მსახურებისთვის?

(3) მე -2 პასუხის სამი პუნქტიდან თითოეულისთვის განსაზღვრეთ კონკრეტული პრაქტიკა, რომელიც უნდა დაიცვათ ახლა, რათა დატოვოთ ის მემკვიდრეობა, რომლის დატოვებაც გსურთ. პასუხს დაუთმეთ 1-2 გვერდი.

შეინახეთ ეს ნაშრომი და განიხილეთ ყოველკვირეულად მომდევნო ექვსი თვის მანძილზე. გამოიყენეთ ის, რომ დაიწყეთ თქვენი მემკვიდრეობის დაგეგმვა მომავალი თაობისთვის.

დანართი:

სამეფოს სახარება (ქადაგება)

პროფესორი დენი მაკკეინი (ჯოსის უნივერსიტეტი, ნიგერია)

რამდენიმე წლის წინ, გომბეს ემირმა დამპატიჟა სტუმრად. რამდენიმე თვის შემდეგ წავედი სასახლეში. ოფიციალურმა პირმა განმიმარტა წესები, რომლებიც უნდა დამეცვა ემირთან შეხვედრისას. თქვენ უნდა გაიხადოთ ფეხსაცმელი სასახლეში შესვლისას. თქვენ არ შეგიძლიათ ხელი ჩამოართვათ ემირს, რადგან ის ხელს არ ართმევს უბრალო ხალხს. არ შეიძლება ემირთან ერთ დონეზე (სიმაღლეზე) ჯდომა. თქვენ უნდა მიმართოთ მეფეს როგორც „თქვენო სამეფო უმაღლესობავ“ ან „თქვენო სამეფო უდიდებულესობავ.“

თითოეულ სამეფოს აქვს თავისი მახასიათებლები, წესები და ლიდერები. თუ თქვენ ხართ ამ სამეფოს ნაწილი, თქვენ უნდა გესმოდეთ სამეფო და მისი წესები. დავიწყებ წმინდა წერილის ორი ადგილით, რომელიც იქნება საფუძველი ამ ქადაგებისათვის.

მათეს 6:9-10:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი; მოვიდეს მეფობა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.

ლუკას 9:1-2:

მოუხმო თორმეტს, მისცა მათ ძალა და ხელმწიფება ყველა ეშმაკზე, და სნეულებათა განსაკურნებლად. მიავლინა ისინი ღმერთის სამეფოს საქადაგებლად და სნეულთა განსაკურნად.

ამ გზავნილში მსურს წარმოვაჩინო ღვთის სამეფოს დიდი სურათი და ვაჩვენო, თუ როგორ შეიძლება იყოს ეს ჭეშმარიტება პრაქტიკული ჩვენს ცხოვრებაში.

ღვთის სამეფო: დიდი სურათი

ბავშვობაში მეგონა, რომ „ღვთის სამეფო“ იყო ღმერთის მარადიული სახლი - სამოთხე. როგორც ჩანს, სამეფოს მრავალი მუხლი ეხება ჩვენს მარადიულ სახლს. „ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს“ (მათეს 7:21).

რაც მეტს ვსწავლობდი, დავიწყე იმის გაგება, რომ სამეფო უფრო მეტი იყო, ვიდრე ღვთის მარადიული სახლი. მე გავზარდე ჩემი აზროვნება იმის დასაჯერებლად, რომ სამეფო მიახლოებით უტოლდებოდა ეკლესიას. ბადეში თევზის იგავი ცხადყოფს, რომ სამეფოს შესახებ ზოგიერთი ცნობა სამოთხეს არ ეხება.

კიდევ, ცათა სამეფო წააგავს ბადეს, რომელსაც ზღვაში მოისვრიან და ყოველნაირი ჯიშის თევზს იჭერენ. როცა ივსება, გამოაქვთ ნაპირზე, მერე დასხდებიან, კარგებს ჭურჭელში მოათავსებენ, ხოლო ცუდებს გადაყრიან. ასევე იქნება წუთისოფლის აღსასრულის დროს: გამოვლენ ანგელოზები და გამოაცალკევენ ბოროტებს მართლებისგან. ჩაყრიან მათ ცეცხლის ქურაში: და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა (მათე 13: 47-50).

ეს უნდა ეხებოდეს ეკლესიას. ჩვენს ეკლესიებში არიან ნამდვილი მორწმუნეები და თვალთმაქცები. თუმცა, ეკლესიის ხანის ბოლოს, ღმერთი განარჩევს მათ: „ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! **როდი** შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს“ (მათე 7:21).

რაც უფრო მეტს ვსწავლობდი, მით უფრო მეტს ვპოულობდი მინიშნებებს, რომ ღვთის სასუფეველი **უფრო ფართოა ვიდრე ეკლესია**. იესომ თქვა: „მაგრამ თუ მე ღმერთის სულით ვდევნი ეშმაკებს, აბა, მოსულა თქვენთან ღმერთის სამეფო“ (მათე 12:28). თუ ეკლესია დაიბადა სულთმოფენობის დღეს და სამეფო უკვე მოვიდა, მაშინ ეკლესია და სამეფო არ უნდა იყოს იგივე.

ამ ფიქრებმა მაიძულა, სამეფოსთვის შემეხედა გლობალური თვალსაზრისით. ეს არის ის, რისი გაკეთებაც ახლა მსურს.

ღვთის სამეფო ედემის ბაღში

სამყაროს შექმნისას ღმერთმა თქვა: „შექმნათ კაცი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსად; დაე იბატონოს ზღვაში თევზზე, ცაში ფრინველზე, პირუტყვზე, მთელ დედამიწაზე და ყოველ ქვეწარმავალზე, რომელიც დაძვრება მიწაზე“ (დაბადების 1:26). როდესაც ღმერთმა შექმნა ადამიანები, მან ისინი გარკვეულწილად, თავის მსგავსებად შექმნა.

თუ ღმერთმა შექმნა ადამიანები თავისი ხატად, გონივრულია ვარაუდი, რომ ღმერთი შექმნიდა ადამიანთა საცხოვრებელ ადგილს, რომელიც გარკვეულწილად დაემსგავსებოდა იმ გარემოს, რომელშიც თავად ღმერთი ცხოვრობდა. თუ ეს მართალია, მაშინ ედემის ბაღი სამოთხის ხატად შეიქმნა. როგორი იყო ედემის ბაღი?

- იქ არ ყოფილა ცოდვა და მორალური ნაკლი; ის სამოთხეს ჰგავდა.
- იქ არ ყოფილა ავადმყოფობა, სიკვდილი და მწუხარება; ის სამოთხეს ჰგავდა.
- იქ უსიამოვნო არაფერი იყო. ეს იყო სამოთხის მსგავსი სრულყოფილების ადგილი.
- იქ უწყესრიგობა არ ყოფილა. ყველაფერი ფუნქციონირებდა ზუსტად ისე, როგორც შეიქმნა; ის სამოთხეს ჰგავდა.

ედემის ბაღი იყო ღვთის სამეფო დედამიწაზე იმ დროს. „იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და აჰა, კარგი იყო ფრიად“ (დაბადების 1:31). ეს იყო პირველი შეფასება დედამიწაზე ღვთის ახალი სამეფოს შესახებ. როდესაც რაღაც კარგია, ყველაფერი თავის ადგილას და

სათანადო წესრიგშია. დედამიწაზე ყველაფერი ისე იყო, როგორც ღმერთს სურდა. ეს ასახავდა წესრიგს, სილამაზეს და სრულყოფილებას, რომელიც ახასიათებდა ღვთის სახლს ზეცაში. ამიტომ, თუ გსურთ იცოდეთ როგორი იქნებოდა ღვთის სამეფო დედამიწაზე, შეისწავლეთ ედემის ბაღი.

ღვთის სამეფოს დაკარგვა ედემის ბაღში

ღმერთმა საფუძვლიანი მითითებები გასცა დედამიწაზე, ღვთის სამეფოს დაცვისა და შენარჩუნებისთვის. სამწუხაროდ, ადამიანმა დაარღვია ღვთის წმინდა ნდობა და შესცოდა ღმერთს. ამან გამოიწვია ორი სერიოზული მდგომარეობა.

პირველი, ცოდვა შემოვიდა სამყაროში და გამოიწვია ადამიანში ღმერთის მსგავსების დამახინჯება. მეორე, რადგან ადამიანებმა ნაწილობრივ დაკარგეს ღმერთის მსგავსება, მათ აღარ ჰქონდათ უფლება ეცხოვრათ სრულყოფილ ადგილას, რომელიც აშკარად იყო იმ ადგილის გამოხატულება, სადაც ღმერთი ცხოვრობდა. ედემი აღარ იყო ადამიანისთვის მიკუთვნებული ადგილი.

ამიტომაც, ღმერთმა ისინი განდევნა იმ ადგილიდან და დაწყევლა დედამიწა ისევე, როგორც დაწყევლა მამაკაცი და დედაკაცი. ღმერთმა „დაწყევლა მიწა“ და მან წარმოშვა „ეკალი და ძეძვი.“ დედამიწამ დაკარგა თავისი სილამაზე, კომფორტი, პროდუქტიულობა და უსაფრთხოება. ისევე, როგორც ადამიანები არიან მხოლოდ აჩრდილი, თავისი ოდესღაც წმიდა პიროვნების, ასევე დედამიწა მხოლოდ აჩრდილია იმისი, რადაც ღმერთმა შექმნა ის. იმისათვის, რომ ეს ქადაგების ტერმინოლოგიას შეესაბამებოდეს: ღვთის სამეფო დედამიწაზე დაინგრა.

- ის, რაც ღმერთმა ააშენა, წახდა.
- ის, რაც ღმერთმა შექმნა ლამაზი, ახლა მახინჯი იყო.
- ის, რაც ღმერთმა შექმნა კომფორტულად, ახლა ტკივილის მომტანი იყო.
- ის, რაც ღმერთმა წმიდად შექმნა, ახლა ცოდვილი და გარყვნილი იყო.
- ის, რაც ღმერთმა დაგეგმა კაცობრიობისა და დედამიწისთვის, არ ასრულდებოდა.

თუმცა, ღმერთი არ არის დამარცხებული. მისი დამარცხება შეუძლებელია. "არ არსებობს სიბრძნე, გონება და რჩევა, უფალს რომ დაუპირისპირდეს" (იგავების 21:30). ეშმაკმა სცადა, მაგრამ ის ვერასოდეს დაამარცხებს ღმერთს.

- ვის შეუძლია გააუქმოს ის, რაც ღმერთმა დააარსა?
- ვის შეუძლია თქვას არა, როდესაც ღმერთმა თქვა დიახ?
- ვის შეუძლია გაანადგუროს ის, რაც ღმერთმა შექმნა?

ღმერთისთვის მიუღებელია მარცხი. ღმერთს შეუძლია შეცვალოს და აღადგინოს ის, რაც არასწორად მოხდა. ღმერთი მთავარი განმახლებელი-გამომსყიდველი-აღმდგენი-გამწმენდი-გადამამუშავებელი-რეაბილიტატორია.

ღმერთმა შეადგინა გეგმა დედამიწაზე თავისი სამეფოს აღდგენის შესახებ.

განივრცობა მისი ხელმწიფება და არ ექნება დასასრული მის მშვიდობას დავითის ტახტსა და მის სამეფოზე, რათა განამტკიცოს იგი და დააფუძნოს სამართლითა და სიმართლით ამიერიდან უკუნისამდე; ცაბოთ უფლის მოშურნეობა აღასრულებს ამას (ესაიას 9: 7).

ჯერ კიდევ ადამისა და ევას ცოდვით დაცემამდე, ღმერთს ჰქონდა გეგმა დედამიწაზე თავისი სამეფოს აღდგენისა და აღორძინების შესახებ. ბიბლიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა აღწეროს ღვთის სამეფოს აღდგენა დედამიწაზე, რომ იყოს ისეთი, როგორც ზეცაშია. აღდგენის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ჩვენ ვხედავთ პროცესის დაწყებას დაბადების 12:1-3-ში.

ღვთის სამეფო და აბრაამი

აბრაამი ქალდეელთა ურში იყო, როდესაც ეს შეტყობინება მიიღო:

წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც გაჩვენებ. **დიდ ერად გაქცევ**, გაკურთხებ, განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; და **იკურთხება შენში დედამიწის ყველა ტომი** (დაბადების 12: 1-3).⁶⁵

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „სამეფო“ აქ არ არის გამოყენებული, ჩვენ გვჯერა, რომ ღმერთი იწყებდა დედამიწაზე თავისი სამეფოს აღდგენას, ამ განცხადებაში ორი ალთქმის გამო.

ღმერთმა აღუთქვა ისრაელისგან დიდი ერის შექმნა

ერი და სამეფო არ არის ერთი და იგივე, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად ემთხვევა ერთმანეთს. საინტერესოა, რომ ძველი ალთქმის მესამედი ნაწილი ეთმობა ამ ერის შექმნის აღწერას.

ამ ერის შექმნაში ჩვენ ვხედავთ, რომ ღმერთი იყენებს ორ პრინციპს, რომელსაც იგი იყენებს თავის პროექტებში.

1. როდესაც ღმერთი მოქმედებს დედამიწაზე, ის ყოველთვის მოქმედებს ადამიანების მეშვეობით. როგორც წესი, ღმერთი ანგელოზებს არ აგზავნის იმ სამუშაოს შესასრულებლად, რაც მას სურს რომ მოიმოქმედოს დედამიწაზე.
2. როდესაც ღმერთი მოქმედებს დედამიწაზე, ის მოქმედებს მძიმე გზებით, ნელა, რთულად, პროგრესულად, იმის საპირისპიროდ, თუ როგორ ვიმოქმედებდით

⁶⁵ ხაზგასმულია

ჩვენ. ერის შექმნა სავსე იყო მრავალი დაბრკოლებით. თუმცა, საბოლოოდ რეალობად იქცა.

მე არ მგონია, რომ ეს ერი იყო სრულყოფილად, ღმერთის მიერ აღდგენილი მისი სამეფო დედამიწაზე. თუმცა, ეს იყო ნაბიჯი ამ მიმართულებით. სამეფომ აჩვენა, რომ ღმერთს შეეძლო თავისი ხალხის მართვა დედამიწაზე. სამწუხაროდ, ადამიანური ფაქტორის გამო, ეს მხოლოდ ნაწილობრივ იყო წარმატებული.

ღმერთმა აღუთქვა, რომ აბრაამის შთამომავლები კურთხევა იქნებოდა დედამიწის ყველა ხალხისთვის

„...და იკურთხება შენში დედამიწის ყველა ტომი“ (დაბადების 12:3). ეს აღთქმა შესრულდა იესოს მოსვლით.

ღვთის სამეფო და იესო

პირველი ისტორია, რომელსაც ლუკა აღწერს იესოზე, მისი ნათლობისა და გამოცდის შემდეგ, არის ნაზარეთის სინაგოგაში მისი მისვლა. მივიდა ნაზარეთს, სადაც აღიზარდა და ჩვეულებისამებრ, შაბათ დღეს შევიდა სინაგოგაში და დადგა წასაკითხად. დღის წასაკითხი აღებული იყო ესაია წინასწარმეტყველის წიგნის 61 -ე თავიდან.

„უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო გლაზაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად“. დახურა წიგნი, მსახურს გადასცა და დაჯდა; სინაგოგაში ყველა მას მისჩერებოდა. და დაუწყო მათ ლაპარაკი: „დღეს აღსრულდა ეს წერილი, თქვენ რომ მოისმინეთ“ (ლუკას 4:18-21).

მისი მსახურების პირველ დღეებში იესომ მტკიცედ მიანიშნა, რომ ის იყო იქ, რათა გაეგრძელებინა განახლების ის პროცესი, რასაც ღმერთი ასობით წლის განმავლობაში ატარებდა.

- ცოდვის შედეგების გამო სამყარო გადარიბდა როგორც სულიერი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ იესომ თქვა, რომ ის ცხებული იყო „გლაზაკთა სახარებლად.“
- დაცემის გამო, კაცობრიობა ცოდვის ტყვე გახდა. თუმცა, იესომ თქვა, რომ ის მოვიდა „ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად.“
- დაცემის გამო, კაცობრიობა სულიერად დაბრმავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა ვერ შეიცნეს ჭეშმარიტება. ზოგი ადამიანი ფიზიკურად დაბრმავდა. მაგრამ იესო მოვიდა „ბრმათათვის თვალის ასახელად.“

- დაცემის გამო ეშმაკმა და მისმა დემონებმა ადამიანები მრავალმხრივ დაჩაგრეს. თუმცა, იესომ თქვა, რომ ის მოვიდა „ჩაგრულთა გასათავისუფლებლად.“

იესომ თქვა, რომ მისი მიზანი იყო გაეუქმებინა წყევლა, რაც მრავალი ცოდვის გამო დაატყდა დედამიწას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იესო დედამიწაზე მოვიდა, ღვთის სამეფოს მშენებლობის პროცესის გასაგრძელებლად დედამიწაზე. და კიდევ სხვაგვარად რომ ვთქვა, იესო მოვიდა ამ დედამიწაზე, რათა შეასრულოს აბრაამისადმი მიცემული ღვთის მეორე აღთქმა - იყოს კურთხევა დედამიწის ყველა ხალხისთვის. „აღსრულდა ჟამი,“ - თქვა მან. „მოახლოვდა ღმერთის სამეფო. მოინანიეთ და იწამეთ სახარება!“ (მარკოზის 1:14-15). სამეფო იყო იესოს სწავლებების მთავარი ნაწილი მისი მსახურების განმავლობაში.

ღვთის სამეფო და ეკლესია

არხი, რომლის მეშვეობითაც ღმერთი მოქმედებდა ძველი აღთქმის პერიოდში, იყო ისრაელის ერი. ახალ აღთქმაში ეკლესია გახდა ღვთის მოქმედების არხი. ეკლესია პროგრესი იყო ძველ აღთქმასთან შედარებით, რამდენიმე მიზეზის გამო:

- ეკლესია მოიცავდა მსოფლიოს ყველა ხალხს, არა მხოლოდ ებრაელებს.
- ეკლესიამ ყველას მისცა სულიწმიდისადმი წვდომა, ხოლო ძველი აღთქმის პერიოდში მხოლოდ სულიერ გიგანტებს ჰქონდათ ასეთი წვდომა.
- ეკლესიამ ახალი აქცენტი გააკეთა ღმერთთან პირად ურთიერთობაზე.
- ეკლესია ხაზს უსვამდა თაყვანისცემას "სულითა და ჭეშმარიტებით" და არა ცხოველების მსხვერპლშეწირვითა და მკაცრი რიტუალების საშუალებით.

იესოს გაკვეთილები ღვთის სამეფოს შესახებ

არსებობს რამდენიმე გაკვეთილი სამეფოს შესახებ, რომლის სწავლაც შეგვიძლია იესოს ცხოვრებიდან და სწავლებიდან.

(1) ღვთის სამეფოს არ აქვს გეოგრაფიული საზღვრები, მაგრამ არსებობს იქ, სადაც მეფეა.

- როდესაც იესო ეწვია ქორწილს, მან ის ღვინით უზრუნველყო, რადგან მისი სამეფო მისი იქ ყოფნით გავრცელდა.
- როდესაც იესო ხვდებოდა ავადმყოფებს, ის კურნავდა მათ, რადგან მისი სამეფო ვრცელდებოდა ავადმყოფობებზე და უძლურებებზე.
- როდესაც იესო ხვდებოდა მშვიერ ხალხს, ის აპურებდა მათ, რადგან მისი სამეფო ხალხის ძირითად მოთხოვნილებებს ეხებოდა.

იესოს სურს გააფართოვოს თავისი სამეფო დღეს და მოიცვას ნებისმიერი ადგილი, სადაც მისი მიმდევრები მივლენ. ის ხდება მისი სამეფოს ნაწილი, რადგან მეფის ხალხი არის იქ. ეს არის ჩვენი, როგორც სამეფო ოჯახის ნაწილის პასუხისმგებლობა. ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ იესოს მმართველობა ვრცელდება ჩვენს კონკრეტულ სფეროზე, მსოფლიოს იმ მხარეზე, რომელზეც ჩვენ გვაქვს გავლენა.

- ჩვენ უნდა დავამყაროთ ღვთის სამეფო ჩვენს ოჯახებზე.
- ჩვენ უნდა დავამყაროთ ღვთის სამეფო ჩვენს საზოგადოებაზე.
- ჩვენ უნდა დავამყაროთ ღვთის სამეფო ჩვენს სამსახურებსა და სამუშაო ადგილებზე.
- ჩვენ უნდა დავამყაროთ ღვთის სამეფო ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობებზე.
- ჩვენ უნდა დავამყაროთ ღვთის სამეფო ჩვენს ეკლესიებსა და ქრისტიანულ ორგანიზაციებზე.

სადაც მეფის ქვეშევრდომი ცხოვრობს, სამეფო უნდა დამყარდეს. ამრიგად, ჩვენი სახლები და ოფისები წარმოადგენს ღვთის სამეფოს. ჩვენი ურთიერთობა კოლეგებთან წარმოადგენს სამეფოს. პეტრე წერდა,

საყვარელნო, შეგაგონებთ, როგორც ხიზნებსა და მწირებს. განეშორენით ხორციელ გულისთქმებს, რომლებიც თქვენი სულის წინააღმდეგ იბრძვიან. კეთილად მოიქეცით წარმართთა შორის, რათა რაშიც გაძაგებენ, როგორც ბოროტმოქმედებს, იმაში დაინახონ თქვენი კეთილი საქმეები და ადიდონ ღმერთი მონახულების დღეს (1 პეტრეს 2:11-12).

ღმერთს სურს, რომ სამეფოს არამოქალაქეებმა დაინახონ სამეფო ჩვენში. ისინი შეძლებენ დაინახონ სამეფო ჩვენს ცხოვრებაში, თუ ჩვენ ვიცხოვრებთ სამეფოს პრინციპებით. შეუძლიათ ადამიანებს დაინახონ ღვთის სამეფო თქვენში?

(2) ღვთის სამეფო არ არის ადამიანთა მხოლოდ კონკრეტული ჯგუფისთვის, არამედ ყველასთვის, ვინც მას მიჰყვება.

როდესაც იესომ განკურნა რომაელი (წარმართი) ჯარისკაცის მსახური, მან თქვა,

ხოლო თქვენ გეუბნებით, რომ მრავალნი მოვლენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან და დასხდებიან აბრაჰამთან, ისაკთან და იაკობთან ცათა სამეფოში (მათეს 8:11).⁶⁶

⁶⁶ ხაზგასმულია

სამეფო იყო ყველა ადამიანისთვის, განურჩევლად რასისა, ენისა და ეთნიკური წარმომავლობისა. იმის გამო, რომ იესომ აირჩია ყველა სახის წარმომავლობის ადამიანები, ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა სახის წარმომავლობის ადამიანები, რომლებიც იესოს მიმდევრები არიან. რასიზმი, ეთნიკური კუთვნილება და ფრაქციონალიზმი არ არის ღვთის სამეფოს ნაწილი.

(3) ღვთის სამეფო არ ასოცირდება ძვირფას სასახლეებთან და ეგზოტიკურ ტანსაცმელთან, არამედ დადებით სოციალურ ფასეულობებთან.

როდესაც ჩვენ ვფიქრობთ სამეფოებზე, ჩვენ ხშირად წარმოვიდგენთ მეფის სამყოფელს - სასახლეს. სასახლე მეფის შესახებ რაღაცას ამბობს. თუმცა, იესომ თქვა: „მელიებს სოროები აქვთ, ცის ფრინველებს - ბუდეები. მე კაცისას კი თავის მისაღებიც არ გააჩნია" (მათეს 8:20). იესოს სამეფოს არ ახასიათებს სიმდიდრის ჩვენება ან დახვეწილი შენობები, ღამაში ტანსაცმელი ან ეგზოტიკური სამკაულები. იესოს სამეფოს ახასიათებს არა ეს გარეგანი საგნები, არამედ პოზიტიური ღირებულებები.

(4) ღვთის სამეფოსვის არ არის დამახასიათებელი ბოროტება და მანიპულირება, არამედ სამართლიანობა და ჭეშმარიტება.

იესო ასწავლიდა: „თუ თქვენი სიმართლე არ აღემატება მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს, ვერ შეხვალთ ცათა სამეფოში" (მათეს 5:20). სიმართლე აქ, არ არის მოყვანილი, როგორც თეოლოგიური კონცეფცია, არამედ როგორც პრაქტიკული სიკეთე. ფარისევლებს ჰქონდათ გარეგნული სიმართლე, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხზე შთაბეჭდილების მოხდენას და მათგან პატივისცემის მიღებას. ჭეშმარიტი სიმართლე ბევრად უნდა აღემატებოდეს სამართლიანობასა და სიკეთეს. იესოს სამეფო დამახასიათებელია მათთვის, ვინც სწორად იქცევა. ღვთის სამეფო შეიძლება აყვავდეს იქ, სადაც სიუხვეა. ღვთის სამეფო შეიძლება აყვავდეს იქ, სადაც უკმარისობაა. ეს სიმართლეა, რადგან ღვთის სამეფო არ არის ფიზიკური, მატერიალური სამეფო, არამედ ღირებულებების და ღირსებების სამეფოა.

(5) ღვთის სამეფო არ ხასიათდება სიამაყით და ცერემონიებით, არამედ თავმდაბლობითა და მსახურებით.

იესომ თქვა: „ნეტარ არიან სულით ღარიბნი, რადგან მათია ცათა სამეფო" (მათეს 5: 3). ფრაზა „სულით ღარიბი" თავმდაბლობას ეხება. თავმდაბლობა, როგორც წესი, არ ასოცირდება მიწიერ პოლიტიკურ ლიდერებთან. პოლიტიკოსებმა უნდა უთხრან სხვებს, რატომ არიან ისინი უკეთესები, ვიდრე მათი ოპონენტები. თუმცა, იესოს სამეფო ხასიათდება თავმდაბლობით, თავგანწირვითა და სხვების ხელშეწყობით.

სამეფო პირებს ხშირად იმდენად ანებივრებენ და აქებენ, რომ ისინი ამპარტავნდებიან და მიაჩნიათ, რომ ისინი უფრო მნიშვნელოვნები არიან, ვიდრე სხვები. ისინი შეიძლება ქედმაღლები გახდნენ თავიანთ დამოკიდებულებებში. თუმცა, იესომ თქვა: „მე კაცისა არ

მოსულა იმისთვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად მოემსახუროს და თავი შესწიროს მრავალთა გამოსასყიდად" (მათეს 20:28).⁶⁷ მეფეს ეს ხალხი მიჰყავდა ყველგან, სადაც მიდიოდა და ასწავლიდა მათ, რაც თვითონ იცოდა. ეს მეფე მზად იყო, თავის მოწაფეებისთვის ფეხებიც კი დაეხანა. ჩვენ ვაჩვენებთ ამ სამეფოს ბუნებას თავმდაბლობით და უბრალოებით და არა რთული და ეგზოტიკური რამეებით.

(6) ღვთის სამეფო იზრდება არა დაბადებით, არამედ იესოს მიმდევრების საქმიანობით.

იესომ თქვა: „მოგცემ ცათა სამეფოს გასაღებებს და, რასაც შეკრავ დედამიწაზე, შეკრული იქნება ზეცაშიც, ხოლო რასაც გახსნი დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც, "(მათეს 16:19).⁶⁸ როდესაც ღვთის მიერ შექმნილი სამეფო ცოდვაში, სიბნელეში და უდაბურობაში ჩაიძირა, ღმერთს მოუწია დედამიწის აღდგენა. ღმერთმა კაცობრიობას დააკისრა პასუხისმგებლობა, მიეყვანა ხალხი თავის სამეფოში და განემტკიცებინა თავისი სამეფო საზოგადოების ყველა სხვა ნაწილში. ღმერთი არ აგზავნის ანგელოზებს, თავისი სამეფოს შესაქმნელად. მას ვჭირდებით მე და თქვენ, ამ სამუშაოს შესასრულებლად. ეს არის იმ ადამიანების პასუხისმგებლობა, რომლებიც სამეფოს ნაწილია, რომ:

- მივიყვანოთ სხვა ადამიანები სამეფოში.
- შევქმნათ სამეფო, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი.
- სამეფოს პრინციპების დანერგვა საზოგადოების ყველა ნაწილში.

ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა და ჩვენი პრივილეგია. მოდით აქტიურად მივიყვანოთ ადამიანები ღვთის სამეფოში.

სამეფოს სახარების პრაქტიკაში განხორციელება, საქმეების წიგნში

ახლა ჩვენ შევხედავთ, თუ როგორ ცდილობდა ადრეული ეკლესია აესრულებინა იესოს ლოცვა, რათა ეხილა დედამიწაზე დამყარებული სამეფო, ისეთივე როგორიც ზეცაშია. გაითვალისწინეთ ეს მაგალითები:

უკმარისობაში მყოფთა მომსახურება

ღმერთს ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული ადგილი გაჭირვებულთათვის საზოგადოებაში, მათ შორის ქვრივების, ობლებისა და ღარიბების ჩათვლით. გასაკვირი არ არის, რომ იესოს მიმდევრები პრაქტიკულ სამუშაოებს ასრულებენ ღვთის სამეფოს ასაშენებლად ამ დედამიწაზე.

საქმეების მე -6 თავში ჩვენ ვხედავთ ადრეულ მორწმუნეებს, რომლებიც ზრუნავენ ქვრივებზე. ქრისტიანი ქალბატონი სახელად ტაბითა „სავსე იყო კეთილი საქმეებითა და მოწყალებით, რომელსაც გასცემდა“ (საქმეების 9:36). პავლემ და ბარნაბამ, ქრისტიანებს

⁶⁷ ხაზგასმულია

⁶⁸ ხაზგასმულია

იერუსალიმში, რომლებიც შიმშილობას განიცდიდნენ, ფული და პროდუქტი ჩაუტანეს (საქმეების 11:29). მოგვიანებით საქმეებში, პავლემ მიიღო საჩუქრები მაკედონიისა და აქაიის ეკლესიებიდან იერუსალიმის გაჭირვებულთათვის (24:17).

ღვთის სამეფოს პრინციპი ჩვენს საჭიროებებთან დაკავშირებით შეჯამებულია პავლეს წერილში 2 კორინთელთა 8:13-15:

ვინაიდან, იმისთვის კი არ იძლევი, რომ სხვებს შვება ჰქონდეთ და თქვენ გაჭირვება, არამედ თანაბრობისთვის. ამჟამად თქვენი ნამატი შეავსებს მათ ნაკლულობას, რათა მათმა ნამატმაც შეავსოს თქვენი ნაკლულობა, რომ იყოს თანაბრობა. როგორც სწერია: ბევრის ამკრეფს ზედმეტი არ მოსვლია და ცოტას ამკრეფს არ დაჰკლებია.

არსებობს მრავალი გზა, უკმარისობაში მყოფთა დასახმარებლად, რომლებიც არ მოითხოვს ზებუნებრივ შესაძლებლობებს. ჩვენ არ უნდა დაველოდოთ ღმერთს, რომ მოგვცეს ზებუნებრივი საშუალებები, სანამ ჩვენი საზოგადოების მტკივნეული მდგომარეობის გამოსწორებას შევეცდებით.

სამართლიანობის დაცვა

ღვთის სამეფოს ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი არის სამართლიანობა. როგორ ეხებოდა ადრეული ეკლესია საზოგადოებაში სამართლიანობის საკითხს? როდესაც პეტრეს და იოანეს უთხრეს, რომ მათ არ უნდა ექადაგათ იესოს სახელით, მათ თავაზიანად აცნობეს ებრაელ ლიდერებს, რომ ისინი განახორციელებდნენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, რადგან მათ ჰქონდათ მითითებული სახარების ქადაგება. მათ უთხრეს ამ ლიდერებს: „ღმერთს უფრო მეტად უნდა ვემორჩილებოდეთ, ვიდრე ადამიანებს“ (საქმეების 5:29).

როდესაც პავლე დააპატიმრეს და უკანონოდ სცემეს ფილიპეში, მან უარი თქვა ციხის დატოვებაზე, სანამ არ მოვიდნენ ის ოფიცრები, რომლებმაც მოათავსეს ის იქ და არ სთხოვეს მას ციხის დატოვება. ეს არ ყოფილა მახარებლობის აქტი. ის არ ცდილობდა ამ ხალხის ქრისტესთან მიყვანას. ეს იყო სამართლიანობის აქტი. პავლე ცდილობდა აემულებინა ეს ლიდერები ეცხოვრათ სამართლიანობის პრინციპებით საზოგადოებაში.

პავლე არ ფიქრობდა, რომ მისი ერთადერთი საქმეა მახარებლობა და ეკლესიების დაარსება. ის ცხოვრობდა დაავადებულ საზოგადოებაში და ის იყენებდა ყოველ შესაძლებლობას ამ ავადმყოფობის, მათ შორის უსამართლობით დაავადების განსაკუთრებლად.

ჯანმრთელობის აღდგენა

პავლეს, ისევე როგორც მის მოძღვარს, შეეძლო ზებუნებრივად განეკურნა ზოგიერთი ადამიანი. თუმცა, ეს არ იყო ერთადერთი საშუალება, რომელსაც ის იყენებდა. პავლე წერდა ტიმოთეს: „ამიერიდან მარტო წყალს ნუღარ დალევი, ცოტა ღვინოც იხმარე შენი

კუჭისა და შენი ხშირი უძლურების გამო“ (1 ტიმოთეს 5:23). ყურძნის წვენისგან დამზადებული ღვინო ბევრ რკინას შეიცავს. ზომიერად მიღებული, ის შეიძლება კარგი იყოს სისხლისთვის. პავლემ დაუნიშნა ეს ბუნებრივი საშუალება, რომელიც ტიმოთეს სნეულებებისგან გამოჯანმრთელებაში დაეხმარებოდა.

მას შემდეგ, რაც იესომ თავისი მოწაფეები გაგზავნა სახარებლად, მან უთხრა მათ: „წამოდით უდაბურ ადგილას მხოლოდ თქვენ და მცირედ მოისვენეთ“ (მარკოზის 6:31). იესო აცნობიერებდა, რომ დასვენება საჭიროა ჯანმრთელობისთვის.

იაკობმა გააკეთა საინტერესო დამოწმება განკურნების შესახებ.

არის თქვენს შორის ვინმე ავად? მოიხმოს ეკლესიის ხუცესნი, ილოცონ მასზე და ზეთი სცხონ უფლის სახელით. და რწმენის ლოცვა იხსნის ავადმყოფს. უფალი წამოაყენებს მას და, თუ რამ ცოდვა ჩაუდენია, მიეტევება (იაკობის 5:14-15).

სიტყვა "ცხება" ბერძნულად ორი სიტყვით გამოიხატება, *aleipho* და *chrio*.

1. *Chrio* ეს არის სიტყვა საზეიმო ზეთისცხებისთვის.
2. *Aleipho* ეს არის სიტყვა სამკურნალოდ ან კოსმეტიკური გამოყენებისთვის ზეთისცხების გადმოსაცემად.

ზეთი იყო პირველადი დახმარების წამალი არასპეციალისტებისთვის ძველ სამყაროში. როდესაც კეთილმა სამარიტელმა იპოვა შეიარაღებული მძარცველების მიერ დაჭრილი კაცი, მან ჭრილობებზე ზეთი დაასხა. ღმერთს შეუძლია აირჩიოს, განკურნოს ადამიანი ზებუნებრივად, ლოცვის პასუხად (*chrio*). ამასთან, მას ასევე შეუძლია აირჩიოს ადამიანის განკურნება ბუნებრივი საშუალებებით მედიცინის გამოყენებით (*aleipho*).

დასკვნა

ღმერთს სურს თავისი სამეფოს შექმნა დედამიწაზე, როგორც ის ზეცაშია. სამეფო იმართება პრინციპებით და არა გეოგრაფიული, ენობრივი ან პოლიტიკური მახასიათებლებით. რამდენადაც ჩვენ ვასწავლით და ვიყენებთ ღვთის სამეფოს პრინციპებს, ჩვენ ჩამოვყალიბებთ ღვთის სამეფო ცხოვრების იმ სფეროში.

რეკომენდებული რესურსები

ეს კურსი შეისწავლის იესოს ცხოვრებას და მსახურებას, როგორც მაგალითს დღევანდელი ცხოვრებისა და მსახურებისთვის. ეს არ არის სახარებების სრულად შესწავლა. ამის ნაცვლად, ეს კურსი განიხილავს იესოს მსახურების რჩეულ ასპექტებს, რომ მივიღოთ გაკვეთილები მსახურებისთვის დღევანდელობაში. თუ გსურთ შეისწავლოთ ქრისტეს ცხოვრება სრულად, გირჩევთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ - ერთ წიგნს. ეს წიგნები არის ამ კურსის მთავარი წყარო. გარდა პირდაპირი ციტატებისა, მე არ ვაყენებ სქოლიოებს ამ წიგნებზე გაკვეთილებში.

დარელ ბოკის *Jesus According to Scripture* და J. Dwight Pentecost-ის *The Words and Works of Jesus Christ* არის ქრისტეს ცხოვრების სრული შესწავლა. ამ სიის ყველა წიგნიდან, Ajith Fernando-ის *Jesus Driven Ministry* და Robert Coleman-ის *The Master Plan of Evangelism* ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა იესოს მსახურების სტილის ჩემს გააზრებაზე. მე ძალიან გირჩევთ ამ წიგნებს თქვენი სწავლისთვის.

Blomberg, Craig. *Jesus and the Gospels*. Nashville: Broadman & Holman, 1997.

Bock, Darrell L. *Jesus According to Scripture*. Grand Rapids: Baker Academic, 2002.

Coleman, Robert E. *The Mind of the Master*. Colorado Springs: Waterbrook Press, 1977.

Coleman, Robert E. *The Master Plan of Evangelism*. Grand Rapids: Baker Books, 1993.

Fernando, Ajith. *Jesus Driven Ministry*. Wheaton, Illinois: Crossway, 2002.

Pentecost, J. Dwight. *The Words and Works of Jesus Christ*. Grand Rapids: Zondervan, 1981.

Robertson, A. T. *Harmony of the Gospels*. New York: Harper & Row Publishers, 1922. Available online at <http://www.gutenberg.org/files/36264/36264-h/36264-h.htm>

დავალებების ჩაწერა

სტუდენტის სახელი და გვარი _____

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია თითოეული დავალების შესრულების საწყისი თარიღი. ყველა დავალება წარმატებით უნდა შესრულდეს იმისათვის, რომ მიიღოთ სერტიფიკატი Shepherds Global Classroom - ისგან.

გაკვეთილი	დავალება 1	დავალება 2	დავალება 3
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			

სერტიფიკატის მოთხოვნა Shepherds Global Classroom - ისგან

Shepherds Global Classroom - ისგან კურსის დასრულების სერტიფიკატის გამოყენება შეგიძლიათ შეავსოთ ჩვენს ვებ – გვერდზე, მისამართზე: www.shepherdsglobal.org. სერტიფიკატები ციფრული სახით, SGC– ს პრეზიდენტისგან გადაეცემა ინსტრუქტორებსა და ფასილიტატორებს, რომლებიც შეავსებენ განაცხადს მათი სტუდენტ (ებ) ის სახელით.